თარგმანი

და

პოსტკოლონიალიზმის თეორია,

მთარგმნელობითი იმპერიალიზმი

ხათუნა ბერიძე

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა"
ბათუმი – 2018

რედაქტორები:

მარინე გიორგაძე

დავით თედორაძე

მაია კიკვაძე

რეცენზენტები:

ბელა წიფურია

ვასილ რუხაძე

რამაზ ხალვაში

ზეინაბ გვარიშვილი

UDC (უაკ) 81'25
ბ-53
ISBN 978-9941-460-47-0
© ხათუნა ბერიძე, 2018
© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, 2018

შესავალი 8
თავი I პოსტკოლონიალიზმის კონცეპტუალური გააზრება
პოსტკოლონიალიზმი, როგორც სამეცნიერო მიმართულება, 11
პოსტკოლონიალიზმის ზუთი ნიშანი 16
რა არის პოსტკოლონიური ტრანსლაცია? 25
თარგმანი და პოსტკოლონიალიზმის თეორია
საკუთარი თავის თარგმანი: პოსტკოლონიური პროზის კონტურები;, თარგმანის მეტაფორა
თარგმანის პოლიტიკური მეტაფორა და პოსტკოლონიური თარგმანი; პოსტკოლონიური თარგმანი, როგორც მეტაფორა
ირლანდია და პოსტკოლონიური 33
თარგმანი; ჯეიმს ჯოისი და პოსტკოლონიური ჰიბრიდი; ჯეიმს ჯოისის ორმაგი ენის თარგმანი
„უცხოს“ ენა და ტრადიციული მთარგმნელობითი 44
ექვივალენტები

თავი II ტრანსლაცია, როგორც პოსტკოლონიური ტერმინი
თარგმანი და იდეოლოგია 64
ცენზურა, როგორც იდეოლოგიის ნაწილი და თარგმანი 70
პოსტკოლონიური საქართველო 75
ცარიზმის ეპოქაში
ორიენტალური საქართველოს, როგორც აზიელი, ქალის სიმბოლოს ლიტერატურული ხატი 80
მედეა: სიმბოლო, მეტაფორა, პოსტკოლონიური ტრანსლაცია (პროფ. მარინე გიორგაძის თანაავტორობით) 130
ციმორი და საქართველო 155
თავი III ქართული ლიტერატურის რუსულენოვანი თარგმანები პოსტკოლონიურ კონტექსტში
ქართული ლექსის რუსული თარგმანი: ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურის“ პასტერნაკისეულ თარგმანზე 179
ილია ჭავჭავაძე
პოსტკოლონიური თარგმანის პარადიგმაში, იბერია და იმპერია: ილია ჭავჭავაძის 186

პატრიოტული ლირიკა რუსულ თარგმანებში
ვაჟა-ფშაველა რუსულ და ინგლისურ თარგმანებში
პოლიტიკურად მოტივირებული მეტყველების რაობა და მისი თარგმნის სტრატეგიები 212
ცარიზმისა და საბჭოეთის გასაყარზე - გარდამავალი ეპოქა 218
საბჭოთა იმპერია - ეპოქალური რეტროსპექტივა 220
საბჭოთა ცენზურა და იდეოლოგია მხატვრულ თარგმანში - საბჭოთა თარგმანის პოლიტიკა და საქართველო 237
რომანტიზმი, მოდერნიზმი და საბჭოთა ინტერტექსტუალიზაცია ბორის პასტერნაკისეულ ტიციან ტაბიძის თარგმანებში (ჰ. რემის მიხედვით) 255
გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის რუსული თარგმანები
„გთხოვთ, საერთოდ არ გადამთარგმნოთ“, - სიმონ ჩიქოვანის ლექსების რუსული თარგმანების მთარგმნელობითი სტრატეგიები 288 299 303

ანა კალანდაძის „პაწაწინა რტო ვარ“ რუსულ ენაზე თარგმანი როგორც კულტურული კორუფცია, კულტურული სტერილიზაცია და კულტურული ავტოდაფე 310
გლოსარიუმი 315
ციტირებული და დამოწმებული ლიტერატურა 365

მონოგრაფიაზე მუშაობაში ჩართული იყვნენ ტრანსლატოლოგიის მოდულის მაგისტრანტები: მადონა ფუტკარაძე (2017 წ.) სამაგისტრო ნაშრომით ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პარალელური კორპუსი და პოლიტიკურად მოტივირებული მეტყველების თარგმნის სტრატეგიები"; თამთა ნაგერვაძემ (2018 წ) კი გლოსარიუმზე მუშაობაში მიიღო მონაწილეობა.

შესავალი

მხატერული თარგმანის თეორია, როგორც მეცნიერება, თანამედროვე ეტაპზე მოიცავს სწავლების ისეთ დარგებს, როგორიც არის პოლიტიკა და იდეოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია, ისტორია, სოციოლოგია, ლინგვისტიკა და ლიტერატურათმცოდნეობა. კვლევების სწორედ ეს პოლისისტემა ქმნის პოსტკოლონიალური თარგმანის თეორიას. ყოველი ნარატივი იტევს ისეთ სოციოლინგვისტურ კონცეპტს, როგორიცაა „ენობრივი პოლიტიკა", ნარატივის მიკროსამყაროს სუბიექტური რეფლექსია SL ენაზე TL, ნაამბობი - გულისხმობს მთხრობელის სუბიექტურად შერჩეულ ფაბულასა და პერსონაჟებს, მაშასადამე, მას აქვს წარმოდგენილი სრული სურათი: კოლოსალური კომპოზიცია დასაწყისით, განვითარებითა და კულმინაციით, ჟანრობრივი ხდომილების პერიპეტიებითა და ინვარიანტებით, როგორც ერთი კულტურის ავტორისეული ვიზუალიზაცია. კომპოზიციის არსს განსაზღვრავს ავტორის იდეოლოგია. ავტორი, როგორც სუბიექტური მთხრობელი, სათანადო ჟანრულ ფორმასა და ვერბალურ და არავერბალურ (გრაფიკულ) ნიშნებს მიმართავს კომპოზიციის ასამეტყველებლად.

კომპოზიციამ აეტორის ხედვა, მისი იდეოლოგია უნდა გადმოსცეს. ყოველი სინტაქსური კონსტრუქცია და ლექსიკური ერთეული, დენოტაციური თუ კონოტაციური მნიშვნელობით, ემსახურება ავტორის ინტენციას, გამოხატოს საკუთარი სუბიექტური დამოკიდებულება ამბისა და პერსონაჟისადმი, სწორედ ეს არის ავტორის ენობრივი პოლიტიკა, რომელიც ავტორის იდეოლოგიით არის მოტივირებული და ამ იდეოლოგიის რელევანტურად არის დეტერმინირებული. შედეგად, ავტორის იდეოლოგიით პირობადებულია ენობრივი პოლიტიკაც: სუბიექტიეზმი (სუბიექტური

იდეოლოგია) განაპირობებს სელექციურ დამოკიდებულებას ენობრივი და გრაფიკული ნიშნებისადმი. ამასთან, ლინგვისტურ ინფორმაციას თან ერთვის ექსტრალინგვისტური ინფორმაციაც. თარგმანის პროცესში, ნებსით ან უნებლიეთ, სუბიექტური მიზეზებით თუ ობიექტური გარემოებებით, აეტორის იდეოლოგიასა და ენობრივ პოლიტიკას ერწყმის მთარგმნელის იდეოლოგია და ენობრივი პოლიტიკა და ეს ორი ხმა ან ჰარმონიაშია ერთმანეთთან, ან დისონანსში. პოსტკოლონიური პარადიგმა კვლევის ის მიმართულებაა, რომელიც თარგმნილ ტექსტში ეროვნული იდენტობისა და კოლონიზატორის პოლიტიკისადმი საპროტესტო განწყობის შენარჩუნების პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას, ქმნის თარგმანის მეტაფორას და კოლონიზებულ ხალხს აიგივებს თარგმნილ ტექსტთან იმ გარდაქმნებისა და გარდასახვის გამო, რასაც უცხო კულტურისა და ენის ზეგავლენით განიცდის ერთიცა და მეორეც; იგივე მეტაფორა პოსტკოლონიური მწერლის შემოქმედებასა და წერის მანერას აერთიანებს თარგმნილი ტექსტის ნიშნებთან, მათ შორის კი საერთო ისაა, რომ ორივე კულტურათა ჰიბრიდიზების ნიშნებს ავლენს. იგივე მეტაფორა აღნიშნავს კოლონიზატორი ერის წარმომადგენელი მწერლის მიერ კოლონიზებულ-ეგზოტიზებული ხალხის დახასიათებას საკუთარ შემოქმედებაში. ამ მეტაფორულ იგივეობას ტერმინი პოსტკოლონიური / კულტურული ტრანსლაცია აღნიშნავს.

აკადემიური დაწესებულებების დაინტერესებამ დეკონსტრუქციით და კულტურათმცოდნეობით წინ წამოსწია იდეოლოგიის თემა. დღის წესრიგში დადგა იდეოლოგიისა და ძალაუფლების ურთიერთობების საკითხი. კულტურული ტრანსლაციის ფენომენით თარგმანმცოდნეთა მზარდი დაინტერესება აიხსნება თარგმანის იდეოლოგიური პრობლემებით. რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვან ურთიერთობებს თან ახლდა პოლიტიკური იმედგაცრუება და მძაფრი კულტურული ზეგავლენა.

რუსეთის მონარქიული იმპერიის პერიოდში შეიქმნა საქართველოს კულტურული ხატი სიმულაკრუმი, რომელიც მხატვრულ შემოქმედებაში ჩაისახა და ინტერსემიოტიკური ტრანსლაციით გავრცელდა, საბოლოოდ კი საერთო-საზოგადოებრივ შთაბეჭდილებად ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა. ასეთი სიმულაკრუმი საშიში იმდენად არის, რამდენადაც იგი წარუშლელ, ქვეცნობიერ მრწამსად და ცრურწმენად გადაეცემა თაობიდან თაობას. ასეთი „ცოდნა“ ხელს უშლის საგნების, მოვლენებისა და პროცესების რეალურ ხედვას, ობიექტურ აღქმას.

სწორედ ეს პოსტმონარქიული „მემკვიდრეობითი ცოდნა“ ვლინდება უნებლიეთ საბჭოთა ეპოქის რუსი მწერლების, პოეტებისა და მთარგმნელების შემოქმედებაში, რასაც პოსტსაბჭოთა ეპოქაში ხელახალი ანალიზი და შეფასება სჭირდება.

რუსულ თარგმანში გამქრალია ქართველ პოეტთა საპროტესტო მუხტი იმპერიალისტური პოლიტიკისადმი და სანაცვლოდ ან ნეიტრალური, ან სულაც მშვიდი, ბედნიერი ტონალობა ისმის მათ ხმაში.

რუსი მწერლები წერენ საქართველოსა და ქართველებზე ორიენტალიზმის საკუთარი სუბიექტური წარმოსახვის ჭრილში, ამ ტექსტებს იმპერიალისტური სულისკვეთების თაობებისგან მიღებული „მემკვიდრეობითი ცოდნა“ ამყარებს, ინტერტექსტები კი კოლონიური რეჟიმის შექმნილი მითებია.

აღსანიშნავია ისიც, რაოდენ გავლენას განიცდის ქართული წიგნი და მაშასადამე, ქართული აზრი ცენზურის გამო. რასაკვირველია, იგივე ცენზურას, კომუნისტური იმპერიის ანტიეროვნულ სადარაჯოზე მდგარ იდეოლოგიურ მანქანას ეპყრა უცხოური ლიტერატურის თარგმნის „სადაველებიც“.

პოსტკოლონიალიზმის თეორიული კვლევები ინტერდისციპლინურია და შეიძლება წარიმართოს ლიტერატურათმცოდნეობის,

თარგმანმცოდნეობისა და კულტურათმცოდნეობის მიმართულებებით; თავად თარგმანმცოდნეობა პოსტკოლონიურ ტექსტებს იკვლევს კულტურისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებებით, მაგრამ კვლევის არეალის გაფართოება და ახალი მეთოდიკის განვითარება შეუძლია ლინგვისტიკისა და კორპუსლინგვისტიკის ინტეგრირებით.

პოსტკოლონიალიზმი, როგორც სამეცნიერო მიმართულება

პოსტკოლონიალიზმის მეცნიერების კუთხით შესწავლა პოსტსტრუქტურალიზმის განვითარებამ განაპირობა. ჰომი ბჰაბა, გაიატრი სპივაკი, რობერტ იუნგი, დიპეშ ჩაკრაბარტი მიიჩნევენ, რომ პოსტსტრუქტურალიზმი ევროპული განმანათლებლობის ღირებულებებს კითხვის ნიშნების ქვეშ აყენებს და პრეტენზია უნივერსალიზმზე აქვს.

პოსტსტრუქტურალისტების მეორე მიმდინარეობის წარმომადგენლები: ბენიტა პერი, ნილ ლაზარუსი, არიფ დერლიკი და პალ აჰლუვალია აღიარებენ პოსტკოლონიური თეორიის ფორმულირებების დეპოლიტიზებას, რაც თან მოჰყვა ფსიქოანალიტიკოს ჟაკ ლაკანის, ფილოსოფოს დერიდას და დელუზის მიერ პოსტსტრუქტურალიზმის თეორიების კრიტიკულ გააზრებას. პოსტკოლონიალიზმის თეორიული ფორმულირებების პოლიტიკური საწყისები მომდინარეობს მემარცხენე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან. ჟაკ დერიდა, ისევე როგორც მიშელ ფუკო, განზრახ თუ უნებლიეთ, უარყოფდნენ ადამიანის უნარს, შეგნებული მოქმედებით მოახდინონ რაიმე ცვლილება, შეიტანონ გარდატეხა სისტემაში, რასაც ტერმინი „აგენცია“ აღნიშნავს.

პოსტკოლონიური თეორიის მატერიალისტი კრიტიკოსები კრიტიკულად შენიშნავენ, რომ პოსტკოლონიური თეორია კოლონიზებულებს ართმევს აგენციისა და ხმის უფლებას, რადგან მათი წინააღმდეგობის მოძრაობას, პოლიტიკურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ნიღბავს ირიბი სტრატეგიებით, აბსტრაქტული ნიშნებითა და კოდებით.

რა არის პოსტკოლონიური?

პოსტკოლონიური თეორიის ქვაკუთხედად ედვარდ საიდის წელს გამოცემული წიგნები „ორიენტალიზმი“ (1977), „კულტურა და იმპერიალიზმი“ (1993) იქცა, რომელშიც იგი ტოტალიტარულ კომუნისტურ რეჟიმსაც შეეხო[1], „მხოლოდ კომუნიზმისგან გათავისუფლებით შეძლებდა მესამე მსოფლიო თავისუფლებას მოპოვებას - ასეთი იყო 1940-1970 წლებში, აშშ-ს ოფიციალური პოლიტიკური პოზიცია“[2].

---

[1] That was certainly the case in the Soviet Union and its satellites, where show trials, mass purges, and a gigantic penitentiary system exemplified the horrors of the ordeal on the other side of the iron curtain" REITH LECTURES 1993: Representations of an Intellectual Edward Said Lecture 6: Gods That Always Fail TRANSMISSION: 28 July 1993 - BBC Radio 4

[2] For an even longer period of time, roughly from the mid-1940s until the mid-1970s, the official American idea held that freedom in the Third World meant simply freedom from communism: it reigned virtually unchallenged; and with it went the notion endlessly elaborated by legions of sociologists, anthropologists, political scientists and economists REITH LECTURES 1993: Representations of an Intellectual Edward Said Lecture 4: Professionals and Amateurs TRANSMISSION: 2 August 1993 - BBC Radio 4

როგორც ეშკროფტი, გრიფიტსი და ტიფინი აღნიშნავენ, ტერმინი *პოსტკოლონიური* აღნიშნავს იმპერიული პროცესების ზეგავლენის ქვეშ მყოფ კულტურას დღიდან კოლონიზაციისა, მიმდინარე პროცესების ჩათვლით. იგი კულტურათშორისი კრიტიკული დისკურსის მიერ ყველაზე მისაღებ ტერმინად არის აღიარებული.

რა არის „ორიენტალური“ ?

ედვარდ საიდის მიხედვით, ორიენტალურია *წარმოსახვითი ტერიტორია*; რუსეთისთვის ორიენტალურია კავკასია, ევროპულ ცივილიზაციასა და კულტურას ნაზიარები, მაგრამ ჩამორჩენილი ნაწილი. ორიენტალიზმი არის კულტურული და იდეოლოგიური დისკურსი, რომელსაც ამყარებენ ინსტიტუციები, მეცნიერება, საგანგებო ტერმინოლოგია, დოქტრინები, კოლონიური ბიუროკრატია.

ტერმინი *დისკურსი*, როგორც ე. საიდი მიიჩნევს, არის რეგულირებული სისტემა, რომელშიც ცოდნას კონკრეტულ საზღვრებში ვიყენებთ. რასაკვირველია, დისკურსში ცოდნის საზღვრულად გამოყენების მიუხედავად, აეტორის ავტონომია განუსაზღვრელია, მას შეუძლია გასცდეს დისკურსის დადგენილ საზღვრებსა და ნორმებს საკუთარ ნარატივში. ან, დისკურსის საზღვრულ პარადიგმაში საკუთარი, სუბიექტური მსოფლაღქმის რაკურსით წარმოაჩინოს ამბავი. ბუნებრივია, თუ დაეძენთ, რომ სუბიექტივიზმი ანგაჟირებული დამოკიდებულების პარადიგმატული ნიშანია. აანალიზებს რა ანგაჟირების ცნებას, პოსტკოლონიალიზმის თეორია მიუთითებს, რომ ყოველი კოლონისტური ქვეყნის ნარატივი იმთავითვე იდეოლოგიურად მოტივირებული და ანგაჟირებულია:

ვინაიდან კოლონიზატორს სჭირდება კოლონიზაციის არგუმენტი, იგი დისკურსის მანიპულაციით თხზავს და პროპაგანდისტული პრაქტიკით ცდილობს დაამკვიდროს დიქოტომია: სუპერიორი-ინფერიორი, განმანათლებელი ჩამორჩენილი ქვეყანა, სუბალტერნი. წარმოსახვითი სამყაროების ასეთი ვერტიკალი არის ის ხელსაყრელი იდეოლოგიური ინსტრუმენტი, რომელსაც კოლონიზატორი მიმართავს საკუთარი როლის გასამართლებლად. მიშელ ფუკოს შრომებში აღნიშნულია, რომ ძალაუფლება კომუნიკაციის ყველა ფორმაში იჭრება, რის გამოც, რეალურად არ არსებობს ნეიტრალური ან პოლიტიკისაგან თავისუფალი დიალოგი.

პოსტკოლონიური თეორია ინტელექტუალური დისკურსია, რომელიც რამდენიმე თეორიას აერთიანებს - თარგმანის თეორიას, ლიტერატურის თეორიას, კინომცოდნეობას, ფილოსოფიას - ამდენად, პოსტკოლონიური დისკურსი არის კულტურული დისკურსი, როგორც რეაქცია და ორიენტალიზაციისთვის გაცემული პასუხი.

პოსტკოლონიალიზმი არ არის შედარებითი მდგომარეობა, ამდენად, ტერმინ *პოსტკოლონიურს*, როგორც ზედსართავს, არ გააჩნია შედარებითი და აღმატებითი ფორმები.[3] პოლიტიკური კოლონიზების ხუთი ნიშანია:

1. ეროვნული მთავრობას ანაცვლებს მარიონეტული, ხოლო და ცენტრს კონტროლის ფუნქცია აქვს;

[3] "For a colonized people the most essential value, because the most concrete, is first and foremost the land: the land which will bring them bread and, above all, dignity." Frantz Fanon, The Wretched of the Earth.

2. კოლონიზატორის ენას უპირატესობა აქვს მინიჭებული სახელმწიფო დონეზე, საქმისწარმოებისას..
3. ეროვნული ისტორია გადაიწერა, ანუ იმ პერსპექტივიდან დაიწერა, რომელიც იმპერიას აძლევდა ხელს;
4. რელიგიური ტრადიციები იხშობა და ეკლესიები ინგრევა;
5. განადგურებულია და არ ვითარდება ეკონომიკა.

პოსტკოლონიზაციის თანმდევი ნიშნების დახასიათება:

- მსოფლაღქმის შეცვლა ფსიქოლოგიური ცვლილებების შედეგად;
- კოლონიზებულის დეჰუმანიზაცია;
- საფრთხის წინაშე დგება ეროვნებისა და ეროვნულობის დამახასიათებელი ნიშნების შენარჩუნება;
- ფასეულობათა გადაფასება - ენის, ეროვნული პოლიტიკის, სარწმუნოების ხელახლა „გადასინჯვა“;
  იდენტობის დაკარგვა, ან დაკარგვის საფრთხე.

რა არის პოსტკოლონიური ტრანსლაცია?

პოსტკოლონიური ტრანსლაცია კოლონიზატორის კულტურული პოლიტიკაა, რომელიც შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

1. პერიფერიის ეგზოტიზება, ორიენტალურისა და "უცხოს" სტატუსის მინიჭება;

2. პოლიტიკურად მოტივირებული კულტურული ტრანსლაცია: იდეოლოგიური ცენზურის, სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოების წნეხი, იძულებითი ზომების გატარება იმპერიის

იდეოლოგიური დასაყრდენის, კულტურისა და განათლების პოლიტიკის განსახორციელებლად.

იმპერიის, როგორც განმანათლებლის მისიონერული პატრონაჟი (ან ამგვარი სურვილი თუ დამოკიდებულება) პერიფერიისადმი (როგორც უფრო სუსტისა და ნაკლებ განვითარებულის მიმართ) და სუპერიორის ქედმაღალი დამოკიდებულება ინფერიორისადმი არის კოლონიზატორის პოლიტიკის თანმდევი მახასიათებლები.

რა საერთო აქვს ტერმინ „ტრანსლაციას“ თარგმანთან? მეტაფორულად, ეს ეროვნული იდენტობის კულტურული ტრანსლაციაა, ანუ ერთი ვითარებიდან მეორე ვითარებაში გარდასახვა ან გარდატეხა. ინგლისურ ენაში ტერმინი translation კი აღნიშნავს როგორც გადატანას, გარდასახვასა და გარდატეხას, ასევე გადათარგმნას. ქართულში არაბულიდან დამკვიდრებული ტერმინის „თარგმნის“ ცნებითი განზომილება ვერ იტევს ტერმინ პოსტკოლონიური ტრანსლაციის არსს.

პოსტკოლონიური ტრანსლაცია, როგორც ტერმინი, შეიძლება, აღნიშნავდეს: ა. ყოფილ კოლონიაში დაწერილ და კოლონიზატორის ენაზე თარგმნილ ტექსტს; ბ. ლიტერატურულ ტექსტს, რომელშიც იმპერიის წარმომადგენელი უცხოს ეგზოტიკურს/კოლონიზებულს აღწერს; გ. იდენტობის ტრანსლაციას (ერთი კულტურიდან მეორეში გარდასახვას) დ. ეროვნულ პოსტკოლონიურ ლიტერატურას.

პოსტკოლონიური ტრანსლაცია,

როგორც

პოსტსაბჭოთა პარადიგმა

ტერმინ *პოსტსაბჭოთა პარადიგმის* კონცეპტუალური განსაზღვრებაა კომუნისტური იმპერიალიზმის ეპოქა და მისი სამეცნიერო შესწავლა მულტიდისციპლინური მიდგომებით.

ეს ეპოქა აღნიშნავს საქართველოში საბჭოთა / კომუნისტური რეჟიმის / დიქტატურის დამყარებას და ქვეყნის პოლიტიკური დამოკიდებულების 70 წლიან პერიოდს.

ტერმინი *პოსტკოლონიური ტრანსლაცია* გაცილებით ფართო კონცეპტია, ვიდრე *პოსტსაბჭოთა პარადიგმა*, რადგან, ის არ აღნიშნავს მხოლო ოდენ საბჭოთა კავშირში არსებულ იდეოლოგიური, პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიას, რომლის დროსაც, ერთი მხარე დომინანტი იყო, ხოლო მეორე დომინირებული, არამედ, ზოგადად კოლონიზატორ-კოლონიზებულის მსოფლიო გამოცდილებას.

შეიძლება ვთქვათ, რომ ტერმინი პოსტკოლონიური ტრანსლაცია არის ჰიპერონიმი, რომლის ჰიპონიმია *პოსტსაბჭოთა პარადიგმა.*

საქართველოს პოლიტიკური დამოკიდებულების ისტორია იწყება გეორგიევსკის ტრაქტატის პერიოდიდან. ეს არის ე.წ. *გასაბჭოების* წინმსწრები პერიოდი, რომელიც ცარისტული რუსეთის იმპერიის, როგორც სუზერენის და საქართველოს, როგორც

ქვეშევრდომის ურთიერთობის ისტორიაა. ამდენად, ფაქტია, რომ *ჰოსტსაბჭოთა პარადიგმას*, როგორც ჰიპონიმს, აქვს კოჰიპონიმი, *ცარისტული პარადიგმა*, რომლებსაც, თუ გავაერთიანებთ, მივიღებთ ერთიან ცნებას, რომელსაც სუპერორდინატი *საქართველოს პოსტკოლონიური ტრანსლაცია* განსაზღვრავს.

პოსტკოლონიური ტრანსლაციის, როგორც კვლევის მიმართულება სწავლობს კულტურას და კულტურის სფეროს ყველა მოვლენას, ენას, ლიტერატურას, თარგმანს, ხელოვნებას, ისტორიას, მეხსიერებას, გამოცდილებას; მას ყოველი ერი მიმართავს იდენტობის მეტამორფოზის გაცნობიერებისათვის, საკუთარი ფსიქო-კულტურული „მე“-ს შეცნობისათვის და ეროვნული ნაკლოვანებების გაცნობიერება-აღმოფხვრისათვის.

თარგმანი და პოსტკოლონიალიზმის თეორია

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, წარმოშობით ბენგალელი გაიატრი ჩაკრავორტი სპივაკი ნაშრომში „თარგმანის პოლიტიკა“, რომელიც აერთიანებს ფემინისტების, პოსტკოლონიალისტებისა და პოსტსტრუქტურალისტების სამეცნიერო მიდგომებს, ე.წ. „მესამე სამყაროს“ ლიტერატურის ინგლისურ ენაზე თარგმანის იდეოლოგიურ შედეგებს იკვლევს. პროფესორი გაიატრი სპივაკი „ტრანსლატიონეზეს“ უწოდებს წარმოშობით არაევროპელი ფემინისტების ინგლისურ თარგმანებს, რადგან, როგორც თავად წერს, მათში გაუჩინარებულია პოლიტიკურად ნაკლები ძალმოსილების მქონე ინდივიდებისა და კულტურების იდენტობა. სპივაკი დასავლეთევროპელ ფემინისტებს აკრიტიკებს, რადგან ისინი აუცილებლობად მიიჩნევენ,

წარმოშობით არაევროპელმა ფემინისტებმა ინგლისურ ენაზე თარგმნონ საკუთარი ფემინისტური ლიტერატურა. „ყველაფრის ინგლისურ ენაზე თარგმნით ვწირავთ დემოკრატიის იდეალს და სანაცვლოდ ვაღიარებთ უძლიერესის ძალაუფლებას. მესამე სამყაროს ლიტერატურის თარგმანებში მნიშვნელოვანი დანაკარგი გვაქვს, ინგლისურ ენაზე ვთარგმნით იდიომებსა და სინტაქსს, ეს კი ზედაპირული თარგმანია. პალესტინელი ქალი მწერლის სამეტყველო რეპერტუარი იმდენად განეიტრალებული ინგლისურით არის გადმოცემული, რომ მის იდენტობას ვერ ჩასწვდები. მეტიც, შესაძლოა, ვინმე ტაივანელი მამაკაციც კი წარმოიდგინოთ ავტორად“ [4], შენიშნავს სპივაკი (Spivak, 1993/2000:399).

აღსანიშნავია, რაოდენ თანხვდება ქართული ლიტერატურის რუსულ თარგმანების შესახებ 1966 წელს გამოთქმული ა. ბაქრაძის მოსაზრებები სპივაკის კრიტიკას:

„როცა ქართული მწერლობის ნიმუშების რუსულ თარგმანს კითხულობთ, ვის არ შეუმჩნევია, როგორ ჰგვანან ჩვენი მწერლები ერთმანეთს. დაკარგულია მათი ინდივიდუალობა, ხასიათის, სტილის, აზროვნების მანერის თავისებურება. არა მარტო ერთი მთარგმნელის შესრულებული თარგმანებია ასეთი, არამედ სხვადასხვისაც. შემუშავებულია თარგმანის რაღაც ერთი მოდელი და ყველა ამ თარგმანზეა მოჭრილი. უფრო მეტიც, თარგმანის მიხედვით, ქართველი,

[4] Wholesale translation into English is the betrayal of democratic ideal into the law of the strongest. Literature by a woman in Palestine begins to resemble by the feel of its prose something by a man in Taiwan.

სომეხი, აზერბაიჯანელი მწერლებიც არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს კი იმას მოწმობს, რომ მთარგმნელს ეროვნული თავისებურებანი არ გაუთვალისწინებია, ხალხის სულში არ ჩაუხედავს, ისე გაულექსავს პწკარედი. ეს უსაბუთო განცხადებათ არ მიმაჩნია და, თუ ვინმეს ეჭვი შეეპარება, არგუმენტებსაც წარმოვუდგენ" (აკ. ბაქრაძე, 2005:73).

ცხადია, „მცირე" და „დიდ" ენებს შორის არსებული ძალთა უთანასწორობა თანაბრად საცნაურია თარგმანში ქართველისთვისაც და ბენგალელისთვისაც და ის გლობალიზებულ კულტურულ სამყაროში მით უფრო საშიშ, უნივერსალურ ბუნებას იძენს; დღეს ეს ფენომენი უკვე ახალი და ნეიტრალური ტერმინით აღინიშნება: *ნაკლებად გავრცელებული ენა*[5]; მსგავსი მთარგმნელობითი პოლიტიკით წაგებულია ყველა მხარე: ის, ვისაც საკუთარი ეროვნული ლიტერატურა, როგორც კულტურის სახე და ხატი უცვლელად სურს წარუდგინოს მსოფლიოს და მკითხველიც, ვისაც მხატვრულ თარგმანში ეროვნული და უნიკალური ხმა „არ გააგონეს". კულტურათა და ენათა ზეაჩქარებული მიმოქცევის და ტექნოლოგიების განვითარების ეპოქაში არსებითად მნიშვნელოვანია, სრულიად ახალი, აკადემიური მთარგმნელობითი პოლიტიკა.

სპივაკის კრიტიკა დასავლეთევროპელი ფემინისტებისადმი განსაკუთრებთ მწვაველ ისმის, როდესაც ის წერს, რომ ჰეგემონიური ქვეყნის წარმომადგენელმა ფემინისტებმა საკუთარი სოლიდარობა იმით უნდა გამოხატონ პოსტკოლონიური ქვეყნის კონტექსტში მყოფი ქალებისადმი, რომ მათი ენა შეისწავლონ, ის ენა, რომელზეც ეს ქალები წერენ და ლაპარაკობენ. სპივაკის აზრით, „თარგმანის პოლიტიკა" გამოკვეთს ყოფილი კოლონიზატორების ჰეგემონიურ ენებს. იგი წერს,

[5] Languages of lesser diffusion

რომ რაოდენ პროფესიონალმა მთარგმნელმაც არ უნდა თარგმნოს და რაოდენ კარგი განზრახვაც არ უნდა ამოძრავებდეს მას, ბენგალური კულტურული სხვაობები იმდენად ასიმილირებულად გადააქვს თარგმანის ტექსტში, რომ ძნელდება წყარო ტექსტის იდენტიფიცირება. ამას მთარგმნელი საკუთარი, დასავლეთევროპელი მკითხველისათვის ტექსტის გაგების გასაიოლებლად სჩადის. სპივაკის მთარგმნელობითი სტრატეგია მთარგმნელს ავალდებულებს ახლოს იცნობდეს ორიგინალის ენასაც და დედანში აღწერილ სიტუაციასაც. ეს სტრატეგია ეფუძნება რიტორიკის, ლოგიკისა და სოციალური მეცნიერებების პოსტსტრუქტურალისტურ თეორიებს. სპივაკის ნაშრომი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თარგმანმცოდნეობა, როგორც დარგი, უკვე რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, კულტურათმცოდნეობისა და პოსტკოლონიური თეორიების შესწავლის საგანია.

რა არგუმენტი უდევს საფუძვლად კულტურათმცოდნეობისა და პოსტკოლონიური თეორიების ინტერესს თარგმანმცოდნეობისადმი? უპირველეს ყოვლისა, კოლონიზაციისა და თარგმანის ურთიერთკავშირს მეცნიერები ხედავენ თარგმანის, როგორც კოლონიზაციის გამავრცელებლის როლში. მეცნიერთა ძირითად არგუმენტად იქცა ის ფაქტორი, რომ თარგმანი კოლონიზაციის პროცესის კატალიზატორი გახდა. კოლონიზებული ხალხის იდეოლოგიურად მოტივირებული ხატით თარგმანში ასახვა სწორედ კოლონიზატორთა ინტერესებს ემსახურებოდა.

თარგმანისა და პოსტკოლონიური თეორიის მთავარი მსგავსება მაინც ძალთა გადანაწილების პრინციპია. საკუთარ ნაშრომში: „თარგმანის ადგილმდებარეობა“ ტაჯასვინი ნირანჯანა წერს, რომ ისტორია, პოსტსტრუქტურალიზმი და კოლონიური კონტექსტი

პოსტკოლონიურის ხატს კელავაც კოლონიალიზმის კუთხით წარმოგვიდგენს, თვით კოლონიალიზმის არარსებობის პირობებშიც კი (ნირანჯანა, 1992:8). ნირანჯანა მიიჩნევს, რომ მხატვრული თარგმანი, როგორც დისკურსის ერთ-ერთი სახეობა, სხვა ისეთ დისკურსთა შორის, როგორიცაა განათლება, თეოლოგია, ისტორიოგრაფია, ფილოსოფია, ჰეგემონიურ ძალებს ინფორმაციით უზრუნველყოფს. ჰეგემონიური აპარატი თავის მხრივ ემსახურებოდა იდეოლოგიურ სტრუქტურას და კოლონიურ რეჟიმს. ნირანჯანა ყურადღებას იმ ფაქტორზე ამახვილებს, რომ ინგლისურ ენაზე თარგმანი ძირითადად გამოიყენებოდა კოლონიური რეჟიმის მიერ.

„აღმოსავლეთის“, ანუ დასავლეთის კოლონიის ხატის კონსტრუირება თარგმანით, ანუ ხელახლა გადაწერით ხდებოდა შესაძლებელი. ნირანჯანას საილუსტრაციოდ კოლონიზატორის სამსახურში მყოფი მისიონერები მოჰყავს, ისინი ხომ კოლონიზატორის იდეოლოგიურ ღირებულებებს ახვევდნენ თავს კოლონიზებულ ქვეყნებს. მისიონერები სკოლებს მართავდნენ, ლინგვისტები ენის სწავლებას ემსახურებოდნენ, ხოლო მთარგმნელები ლიტერატურას თარგმნიდნენ. ნირანჯანას მიაჩნია, რომ ეს ჯგუფები კოლექციონირებისა და კოდიფიცირების იმ უზარმაზარ პროექტში მონაწილეობდნენ, რასაც კოლონიური ძალა ეფუძნებოდა. ამ მხრივ, ნირანჯანა თარგმანს განსაკუთრებით მძიმე ბრალდებას უყენებს: „თარგმანი. როგორც საქმიანობა, კოლონიალიზმის დროს არსებულ ასიმეტრიულ ძალაუფლებას აყალიბებს და თავადაც ყალიბდება მის ფორმაში“ (ნირანჯანა 1992:2). ნირანჯანას კრიტიკა სწვდება თარგმანმცოდნეობასაც, მისი მკვეთრად დასავლური ორიენტაციისა და აქედან გამომდინარე სამი მთავარი ხარვეზის გამო.

1. თარგმანმცოდნეობა ბოლო დრომდე არ აღიარებდა და არ ითვალისწინებდა სხვადასხვა ენებს შორის ძალთა აშკარა არათანაფარდობას.

2. დასავლეთევროპული თარგმანის თეორიის საბაზო კონცეპტები მცდარია, რადგან ეფუძნება ენის თეორიის უაღრესად ნაივურ ცნებებს, როგორიცაა *ტექსტი, ავტორი და მნიშვნელობა.*

3. თარგმანისადმი მიდგომა, როგორც მოღვაწეობის ჰუმანისტური დარგის მიმართ, უნდა გადაისინჯოს, რადგან კოლონიურ კონტექსტში თარგმანი ქმნიდა კოლონიური დომინაციის კონცეპტუალურ ხატს და მას დასავლეთის ფილოსოფიურ დისკურსში ნერგავდა.

პოსტკოლონიური ლიტერატურა

როგორც ცნობიერების თარგმანი

მ. ტიმოჟკო წერს, რომ აფრიკული, ავსტრალიური, ბანგლადეშის, კანადის, კარიბის ქვეყნების, ინდოეთის, მალაიზიის, ახალი ზელანდიის, პაკისტანის, სინგაპურის, სამხრეთ წყნარი ოკეანის კუნძულების, შრი ლანკის ლიტერატურა პოსტკოლონიური ლიტერატურაა და მიიჩნევს, რომ აშშ-ს ლიტერატურაც ამავე კატეგორიაში უნდა შევიდეს.

პოსტკოლონიალიზმის ლიტერატურული თეორია ეხება:

ა) ისეთ ქვეყნებში დაწერილ ლიტერატურას, რომლებიც ოდესღაც სხვა ქვეყნების პოლიტიკური და იდეოლოგიური კოლონიები გახლდნენ;

ბ) კოლონიზატორი ქვეყნების მოქალაქეების მიერ შექმნილ ლიტერატურას, რომელშიც თემად არჩეულია კოლონიზებული ხალხი. კოლონიზებული ქვეყნების წარმომადგენლები განათლებას იძენდნენ კოლონიზატორის უნივერსიტეტებში (მაგ, ბრიტანეთი კოლონიის, ინდოეთის უამრავი წარმომადგენელი). ის ფაქტი, რომ განათლების მიღება მათ არ შეეძლოთ საკუთარ ქვეყანაში წარმოშობს ახალ კრიტიკას, - უმეტესწილ ლიტერატურულს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტკოლონიურ პარადიგმაში იკვლევენ როგორც საქართველოს პოლიტიკას, ისე ქართულ კულტურას: ენას, ლიტერატურას, თარგმანს, ფილმებს და ა. შ.

პოსტკოლონიური მწერლობა განვითარდა რამდენიმე ეტაპად; (1) ეროვნული და რეგიონალური შეგნების ეტაპები, ცენტრის მიერ საკუთარი უპირატესობის, განსხვავების წარმოჩენა-მტკიცება; კოლონიზებულის კულტურის თემის ლეგიტიმაცია საკუთარ მწერლობაში; იმპერიული პერიოდის განმავლობაში, იმპერიის ენაზე წერა გარდაუვალია; ელიტარული მწერლები იმპერიამ „გადაწერა“ - ეს ის მეტაფორაა, რომელიც აღნიშნავს იმპერიის შეკვეთით, იმპერიის სახოტბოდ იმპერიის ენაზე წერას. ლიტერატურული ელიტა უწინარესად სწორედ იმპერიულ ძალასთან იდენტიფიცირდება. ასე რომ ახალი ტექსტები, რაც წარმოიშობა კოლონიებში, არის იმპერიული ძალის „წარმომადგენლების“ დაწერილი. მაგალითად, გააზნაურებული მაცხოვრებლები (უენტვორსის „ავსტრალია“), მოგზაურები და ექსკურსანტები (ფროიდის „ესტინდოეთის ინგლისური“) ანდა მერი კინგსლის „მოგზაურის დღიურები“). ასეთი ტექსტები ვერასოდეს დაუდებს საფუძველს ძირეულ არსებულ კულტურას და ვერც მასთან ინტეგრირებული ვერ იქნება. მიუხედავად ლანდშაფტის, ადათების, ენის დეტალური აღწერისა, ისინი უპირატესობას მაინც ცენტრს ანიჭებენ და ხაზს უსვამენ „შინას“ და არა - „მშობლიურს“, „მეტროპოლიტენს“

ამჯობინებენ „პროვინციულს“, ანუ „კოლონიურს“ და ასე შემდეგ. ღრმა დონეზე მათი პრეტენზიები ობიექტურობის შესახებ უბრალოდ იმ იმპერიული დისკურსის დასამალად /შესანიღბად არის საჭირო, რომლის წიაღშიც ისინი იქმნებიან. ამის მაგალითად გამოდგება რადიარდ კიპლინგის ლექსები და მოთხრობები. მისი ცნობილი ლექსი „შობა ინდოეთში“, საინტერესოდ აღწერს შობადღეს ინდოეთის ხვატში. რამდენადაც ინდოეთში, ინგლისისაგან განსხვავებით შობა არ აღინიშნება, კონტექსტით აშკარა ხდება, რომ ეს „არ აღნიშვნა“ ის ნიშანია, რითაც ინდოეთის კულტურული ყოფა ლეგიტიმურობას იძენს, რომ იმპერიული ლიტერატურული დისკურსის თემა გახდეს.

მეორე ეტაპი პოსტკოლონიური მხატვრული დისკურსის წარმოშობისა გახლავთ ის ლიტერატურა, რომელიც წარმოიშვა „იმპერიის ლიცენზირებით“ ადგილობრივ მცხოვრებთა, ანუ „საზოგადოებისაგან და სისტემისგან გარიყულთა“ მიერ, მაგალითად პოეზიისა და პროზის დიდი ნაწილი, რომელიც მე-19 ს-ში ინგლისში განათლებამიღებულმა ინდოელმა მაღალი ფენის წევრებმა შექმნეს. ან აფრიკული „მისიონერული ლიტერატურა“, მაგ. ტომას მოფოლოს „ჩაკა“.

თავად იმ ფაქტით, რომ დომინანტური კულტურის ენაზე წერენ, ავტორები მიუთითებენ, რომ ისინი დროებით ან სამუდამოდ შეუერთდნენ „სპეციფიკურ და პრივილეგირებულ კლასს“ ენით, განათლებითა და იმ თავისუფალი დროით, რაც ასეთი ნამუშევრის შესაქმნელადაა საჭირო. ავსტრალიური რომანი „რალფ რაშლეი“, მსჯავრდებულის მიერ შესრულებული ნაწარმოებია. ავტორი, ჯეიმს თაკერი, განათლებული პიროვნება გახლდათ, იგი „პრივილეგირებულ პატიმრობაში“ ჰყავდათ და პორტ მაკკუაირში ზედამხედველის მაღაზიაში ნოქრად მუშაობდა. თაკერმა რომანი დაწერა მთავრობისაგან

ბოძებულ ქაღალდზე, სამთავრობო მელნითა და კალმით. რომანს ცხადად ატყვია ზედამხედველის „დახმარება“ და „მხარდაჭერა.“ ავტორს ლიტერატორის პრივილეგირებული სტატუსიც მიანიჭეს, თუმცა პრივილეგირებულობის ხანგრძლივობა საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა და 58 წლის თაკერი სიღარიბეში გარდაიცვალა სიდნეიში მდებარე ლივერპულის თავშესაფარში. მწერლის ბედი საოცრად ჰგავს კომუნისტური რეჟიმის დროს რეპრესირებულ ლიტერატორთა სევდიან სვეს.

ამ ადრეული პერიოდის პოსტკოლონიური ტექსტებისათვის დამახასიათებელია, რომ მათი თემების პოტენციური „ძირგამომთხრელი“ შედეგის სრულად შეცნობა შეუძლებელია. თუმცა ისინი ეხება ისეთ თემატიკას, როგორიცაა მსჯავრდებულთა სისტემაში არსებული დაუნდობლობა (თაკერის „რაშლეი“), დამატებითი დისკურსი მშობლიური კულტურის ღირსების შემლახველი ფორმით წარმოჩენის (მაგ. მოფოლოს „ჩაკა“) ან მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა, რომელიც კიდევ უფრო ძველია და უფრო მდიდარი ვიდრე ევროპის (მაგ. მე-19 ს-ის პოეტების მიერ, როგორიცაა, მაგ.: რამ შარმა) ისტორიული პოტენცია მოკლებულია მათი ანტიიმპერიული პოტენციის სრულად გაანალიზებას. კოლონიაში, „ლიტერატურა“, როგორც ინსტიტუტი იმპერიის მმართველი კლასის უშუალო კონტროლქვეშ იმყოფება. სწორედ იგი გასცემს ნებართვას ფორმის მისაღებობის, გამოქვეყნებისა და გავრცელების შესახებ. ამდენად, ასეთი ტექსტები ჩნდება შეზღუდული დისკურსისა და პატრონაჟის სისტემის დაწესებული პრაქტიკის კონტექსტში, რომელიც სხვა პერსპექტივით მათ გამოჩენას ხელს უშლის და ავიწროებს. დამოუკიდებელი ლიტერატურის განვითარება დამოკიდებული იყო ამ დამაბრკოლებელი ძალის გარღვევაზე, ენისა და მწერლობის განვითარებაზე, ახალი და მკაფიოდ გათვლილი მიზნით. ასეთი

განვითარებისათვის უდავოდ დამახასიათებელი ნიშანია თანამედროვე პოსტკოლონიური ლიტერატურის გამოჩენა.

საკუთარი თავის თარგმანი: პოსტკოლონიური პროზის კონტურები

პოსტკოლონიური ლიტერატურა, რომელიც კოლონიზატორის ენაზე იწერება, ინტერკულტურული ტრანსფერის ფორმაა (Pym, 1992) ლიტერატურაში ასახულია ადგილობრივი, მშობლიური ენის ასპექტები, რწმენა, კულტურული რეალიები და ლიტერატურული ტრადიციები. ზოგიერთი კრიტიკოსის არგუმენტირებით, პოსტკოლონიური ლიტერატურა სხვა არაფერია, თუ არა თარგმნა (ანუ ტრანსლაცია) მაგალითად, წარმოშობით იამაიკელი მწერალი, მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ თელუელი (Ekwueme Michael Thelwell) წერს ამოს ტუტუოლას წიგნის, "Palm-Wine Drinkard" ამერიკული გამოცემის შესავალში, სადაც ეს წიგნს სათაური შეუცვალეს და "My Life in the Bush of Ghosts" უწოდეს:

„ეს რომანი კულტურული ჰიბრიდია, კულტურათა აღრევის პირმშოა, თხრობა წარმოადგენს იმ ტრადიციული ხალხური ზღაპრების იდიომურ ენაზე თარგმანს, უფრო ზუსტად კი ტრანსლიტერაციას. წაკითხულიდან ცხადი ხდება, თუ რაოდენ ძნელი რამაა თარგმნის პროცესი. თავად ავტორისეული თხრობის „მოსმენა" კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ამ სიძნელეს: ეს უბრალოდ "Young English" როდია, როგორც დილან ტომასი ამბობდა, ეს, ნიგერიელი მასების ახალი ინგლისურია. ინგლისური, რომლის ლექსიკონიც მოარგეს სხვა

ენის ნიუანსების, სინტაქსისა და ლოგიკის გადმოცემას. შედეგი კი მეტად ორიგინალური, ხანდახან გასაოცარიც კია".

დიდმა უელსელმა პოეტმა, დილან ტომასმა წიგნის ბრიტანული გამოცემის რეცენზიაში "Young English" უწოდა ინ ინგლისური ენის დიალექტს, რომელზეც ავტორი „ენითაღუწერელი თავგადასავლების" შესახებ წერდა:



BLITHE SPIRITS

The Palm-wine Drinkard. By Amos Tutuola. (Faber. 10s. 6d.)

By DYLAN THOMAS.

THIS is the brief, thronged, grisly and bewitching story, or series of stories, written in young English by a West African, about the journey of an expert and devoted palm-wine drinkard through a

Thomas made an unlikely hero - a short, curly-haired, tubby mai

ტუტუოლას ფოლკლორული ჟანრის ნაწარმოები 172 გვერდისგან და ოცდაათი თავისგან შედგება. წიგნი საინტერესოა კულტურათმცოდნეობის თვალსაზრისითაც, იგი მოგვითხრობს

დასავლეთ აფრიკული ტრადიციის შესახებ პალმის ხისგან ღვინის დამზადებაზე. მთავარი გმირი და მთხრობელი, მდიდარი და ღვინოზე დამოკიდებული კაცია, რომელსაც ღვინის მარაგი გამოელევა, ხოლო საკუთარი „მელვინე" გარდაიცვლება. ასე მიემართება „მკვდართა ქალაქში" მთავარი პერსონაჟი დაკარგულის დასაბრუნებლად.

ამ მაგიური რეალიზმის ჟანრის ნაწარმოებმა ჩაუყარა საფუძველი აფრიკულ პოსტმოდერნიზმს; ზებუნებრივი ძალისა და ტრიქსტერის, სამყაროს ხილული და უხილავი განზომილებების შესახებ დაწერილი წიგნი 1952 წელს დიდ ბრიტანეთში დაიბეჭდა „ფაბერის" გამომცემლობაში, (Faber and Faber Limited, სადაც უ. გოლდინგის „ბუზთა მბრძანებელი" დაიბეჭდა, ერთ დროს კი თვით ტ. ს. ელიოტი მუშაობდა რედაქტორად), წიგნის შესავალი დოქტორ ჯეფრი ფარინდერს ეკუთვნის, ნიგერიაში იბადანის საუნივერსიტეტო კოლეჯის ლექტორს. 1954 წელს კი აშშ-ში იგი „გროუვ პრესმა" გამოსცა.

ამოს ტუტუოლა დაიბადა 1920, ქრისტიანი მშობლების ოჯახში, იგი ნიგერიის ერთ-ერთი დიდი ქალაქის, აბეოკუტის მკვიდრია, ელემენტარული განათლება ხსნის არმიისა და ლაგოსის სკოლებში, მისი განათლება სულ ექვს წელს ითვლის. მომავალი მწერალი თავდაპირველად სპილენძის მჭედელი გახდა და მეორე მსოფლიო ომის დროს, სამი წლის განმავლობაში, ნიგერიაში ამ ხელობით ემსახურებოდა ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალებს. ტუტუოლა საუბრობს და წერს იმ ინგლისურ ენაზე, რომელზეც დასავლეთ აფრიკაში იურუბას ინგლისური ენის ფიჯინის დიალექტზე.

ენის მობილიზება განსაკუთრებით აქტუალურია აზიის, აფრიკისა და კარიბის ქვეყნებისათვის, რადგან ენა პოლიტიკური თავისუფლების მძლავრ იარაღს წარმოადგენდა. ამ ქვეყნის მწერლები განსაკუთრებით ცდილობდნენ თავიანთი კულტურული იდენტობის

აღდგენას, ანუ რეკონსტიტუციას, რადგან კოლონიალიზმის ერთ-ერთი ნიშანი სწორედ იდენტობისათვის ვნების მიყენებაა. მათი მცდელობა მშობლიურ ენაზე სიმბოლური ლექსიკონის შექმნა გახლდათ. როგორც ნგუგი წერდა, ეს იყო ერთ დროს კოლონიზებული ხალხის აზროვნების დეკოლონიალიზაციის გამოხატვის ფორმა. მათი მიზანი იყო ექს-კოლონიზატორის ენის სრული უარყოფა და უგულებელყოფა, და ადგილობრივი მშობლიური ენების ფუნქციის აღდგენა, ისევე როგორც კულტურის აღორძინება; ეს მათ საშუალებას მისცემდა, სამყაროს მათი თვითმყოფადობა დაენახა. რეალურად კი სხვაგვარად მოხდა: ნგუგის რეკომენდაციების მიუხედავად, არაერთმა ავტორმა უპირატესობა მიანიჭა შუალედური არსებობის პოლიტიკას, ფენომენს, რასაც ბჰაბა უწოდებდა კულტურის ლოკაციაში შუალედურ ხაზს. თავად ბჰაბა ამ შუალედურ მომენტის შესახებ განმარტავდა, რომ ეს იყო „ტრანსლაციისა და რენეგოციაციის ზენიტი“, რადგან ეს იყო გარდამავალი, ანუ ე. წ. „მესამე განზომილება“, სწორედ მისი ამოცანაა კულტურის მნიშვნელობის გადატანა (Bhabha, 1994:38) ამ მწერლებმა აქცენტი სწორედ ლოკალური კულტურების წარმოჩენაზე გადაიტანეს, თავიანთ ტექსტებში მითითებული აქვთ ადგილობრივი ლეგენდებისა და მითების შესახებ, იყენებენ ისეთ სიტყვებსა და თხრობის რიტმებს, რაც ტიპურია მათი ენებისათვის. ეს ტექსტები წარმოადგენს ერთგვარ წინააღმდეგობას კოლონიზატორების მიერ მათ შესახებ შეთხზული მითებისადმი. მწერლები ცდილობდნენ იმპერიის მიერ კანონიზებული მიდგომები დაეძლიათ მათ შესახებ. თუმცა, შეიძლება ისეთი მაგალითის დასახელებაც, როგორიცაა ჩინუა აჩებე, აფრიკელი მწერალი, რომელიც მტკიცედ უჭერდა მხარს ინგლისური ენის გამოყენებას აფრიკულ ლიტერატურაში და იმედოვნებდა, ინგლისური ენა შეინარჩუნებდა აქტუალობასა და ფუნქციას.

საინტერესოა, დავაკვირდეთ აფრიკელი მწერლების ტუტუოლასა და სოინკას მიერ ენის გამოყენების თავისებურებას: ისინი იურუბას ტომის კულტურის შესახებ ჰყვებიან ინგლისურად; ამასვე აკეთებს რაჯა რაო, ვისი პროზაც რამას შესახებ თქმულებებს შეეხება, ასევე ამა ატა აიდო, ვისი ტექსტიც, „აკას ლეგენდა“ აშკარად ინტერტექსტს წარმოადგენს. ყველა მათგანი ხასიათდება ერთი ნიშნით: **მწერლები თარგმნიდნენ საკუთარი ენისა და კულტურის შემადგენელ ელემენტებს კოლონიზატორის ენაზე.**

„კულტურასა და იმპერიალიზმში“ ედვარდ საიდი წერდა, რომ ნარატივი ქმნის „ისეთი შეგრძნების სტრუქტურას“, რომელიც იმპერიის არსებობის საყრდენ-საფუძველია და მისი ფუნქციონირების დახვეწა-განმტკიცებას ემსახურება. იმპერიალიზმი, როგორც საიდი წერს,[6] მეტროპოლიტენის და პერიფერიის ინტერაქციაა; ძალაუფლებისათვის ბრძოლა ისტორიული მოვლენაა, მაგრამ ამ მოვლენის ძველი მნიშვნელობა არ იტევდა ისეთ ცნებას, როგორიცაა განვლილ ეპოქაში ძალაუფლებისთვის ბრძოლის კვლევას ლინგვოკულტურული ინტერაქციის ფარგლებში.

ერთ-ერთი საინტერესო საკითხია, თუ რა ძირითადი ენობრივი და ტექსტუალური ასპექტები ამსგავსებს ერთმანეთს პოსტკოლონიურ მხატვრულ ტექსტებსა და თარგმნილ ლიტერატურას? მიუხედავად იმისა, რომ პოსტკოლონიური ლიტერატურის შექმნა განსხვავდება მთარგმნელობითი საქმიანობისაგან, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი შემოიფარგლება მხოლოდ წინასწარ არსებული, მზა, ფიქსირებული ტექსტის სხვა ენაზე გადმოცემით, ორივე მათგანს

[6] One of the examples that most interest me is imperialism, where you have an interaction between the metropolitan and the peripheral regions of the world, Said, 58

ფორმალური საერთო ნიშან-თვისებები აქვს; პოსტკოლონიური მწერლები ისევე განიცდიან ორი კულტურის ზემოქმედებას, როგორც მთარგმნელები. ისინიც ისევე მიმართავენ სხვადასხვა აპრობირებულ ტექნიკურ ხერხებს კულტურათშორის მედიაციისას, როგორც მთარგმნელები. ტექსტის დონეზე პოსტკოლონიური ნაწერებიცა და თარგმანებიც ხშირად სცდებიან მიმღები ენის სტანდარტულ ნორმებს: იყენებენ „იმპორტირებულ“ ლექსიკურ ერთეულებს, უჩვეულო კოლოკაციებს, არასტანდარტულ სინტაქსურ კონსტრუქციებს, ავლენენ სემანტიკური ველის განსხვავებულ გაგებას, ენაში შემოაქვთ ნეოლოგიზმები, უჩვეულო მეტაფორები და ყველაფერი ეს ერთიანობაში ბადებს მოულოდნელობის განცდას, ენის უცხოობის შეგრძნებას.

როგორც თარგმანს, ისე პოსტკოლონიურ მწერლობას ახასიათებს უცხო კულტურული სუბსტრატები, ტექსტი დატვირთულია ისეთი უცნობი ინფორმაციით, რომელსაც განმარტება სჭირდება... ავტორი, ისე როგორც მთარგმნელი, ხშირად განმარტებებს ურთავს ტექსტს, მაგალითად ინფორმაცია კულტურის სფეროდან, რაც ორიგინალის ენაზე შექმნილ მხატვრულ ტექსტში იმპლიციტურ დონეზე გასაგებია. ამდენად, პოსტკოლონიური და თარგმნილი ტექსტები გაცილებით ექსპლიციტურ ინფორმაციას შეიძლება შეიცავდეს, ვიდრე მშობლიურ ენაზე დაწერილი ტექსტი, ან დედანი. ამავე დროს, ორივე ტიპის ტექსტი, პოსტკოლონიურიც და თარგმანიც, შეიძლება იყოს ძალზე სუბიექტური; მიკერძოება ჩვეული მოვლენაა თარგმანში... პოსტკოლონიურ ტექსტში რადიკალურად განწყობილი ავტორის სუბიექტურობა განპირობებულია პოლიტიკური და იდეოლოგიური მოტივაციით, ისევე, როგორც თარგმანში მთარგმნელის მრწამსით, ან ცენზორის ზეგავლენით. გარდა ზემოთ აღნიშნული, ზედაპირული საერთო თვისებებისა, ამ ორი ტიპის ტექსტს

კიდევ ერთი ნიშანი აქეს საერთო: ორივე მათგანი ერთდროულად ორ ენაზე მეტყველებს. ბილინგვური პოსტკოლონიური ტექსტები კი წარმოადგენს რადიკალურ ბილინგვიზმს; მაგალითად თუთაშხიას ქართულ ვერსიაში ისმის ცენზორის კალმის წრიპინი, რუსულ თარგმანში კი იარაღის ჟღარუნი და ჩექმების ბრაგუნი, მით უფრო ინგლისურში. ესაა ბილინგვური პოსტკოლონიური წერის ნიმუში, რომელიც „რადიკალური ბილინგვალიზმია". პოსტკოლონიური ტექსტები ხშირად ავლენენ თავიანთ სრულ მნიშვნელობას, როდესაც თავიანთი კულტურული კონტექსტიდან სხვა ენაზე ითარგმნებიან.

ტექსტები, რომლებიც ერთდროულად ორ ენაზე მეტყველებენ, ხასიათდებიან ლინგვისტური მულტივალენტობით და პოლისემიური კომუნიკაციის ნიმუშს წარმოადგენენ, თუმცა ისინი მონოლინგვურები არიან. ეს პოლიფონიური პოტენციალი, რომელიც თარგმანსაც და პოსტკოლონიურ ტექსტიც ანიჭებს ევოკაციურ მნიშვნელობას და სუბვერსიულ ძალას, ხშირად პოლივალენტობის საფუძველია.

ირლანდია და პოსტკოლონიური თარგმანი

ირლანდია პატარა ქვეყანაა, მაგრამ მისმა ბრძოლამ თავისუფლებისათვის ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ მთელს იმპერიას შიშის ზარი დასცა, იმპერიის საფუძველთა საფუძველი შეარყია, ტექსტუალურობისა და მოქმედების პარადიგმა დაამყარა, რამაც დანარჩენი კოლონიზებული სამყარო შთაგონებით აღავსო. 1914 წ. ლენინმა იწინასწარმეტყველა, რომ ირლანდიის მიერ ბრიტანეთის იმპერიისთვის მიყენებული დარტყმა „ასჯერ უფრო მეტი

მნიშვნელობის იქნებოდა, ვიდრე იმაზე ძალის დარტყმა აზიასა თუ აფრიკაში“ (ციბერდი, 1995:197), რაც ახდა კიდეც. ირლანდიელთა ეროვნულ მოძრაობას დამოუკიდებლობისათვის ინდოელები აკვირდებოდნენ, რომლებიც კონკურენციასაც კი უწევდნენ მათ თავიანთი გამოსვლებით. ორ ქვეყანას მხარი ეგვიპტემ და სხვა კოლონიზებულმა ქვეყნებმა აუბეს და სოლიდარობა გამოუცხადეს. ბრიტანეთის მთავრობამ ისტორიის კურსის მიმართულება ჯერ კიდევ 1919 წ. განსაზღვრა, მთავრობის სხდომის ოქმები ასახავს მთავრობაში გაჩენილ შიშის განცდას, რომ ირლანდიიდან რევოლუციური ალი გავრცელდებოდა ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში, რაც ინგლისს იმპერიის სტატუსს დააკარგვინებდა. მარქსი ამბობდა, რომ იმპერიული ინგლისის ყველაზე სუსტი წერტილი ირლანდია იყო, ირლანდიის დაკარგვით ბრიტანეთის იმპერიაც დაეცემოდა. ადრეული ირლანდიური ლიტერატურის ინგლისურ ენაზე თარგმანის ისტორია, მაშასადამე, არის თარგმანის პრაქტიკის ისტორია, რომელმაც პატარა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანა განმათავისუფლებელი სულისკვეთებით განმსჭვალა. მთარგმნელობითი მოძრაობა უმთავრესი იყო ირლანდიის კულტურული აღორძინებისათვის, საიდანაც დაიწყო კიდეც თავისუფლებისათვის პოლიტიკური და სამხედრო ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ. კოლონიალიზმისთვის გაწეული წინააღმდეგობა კოდირებულია ადრეული ირლანდიური ლიტერატურის თარგმანში. ეს თარგმანები წინ უძღვოდა ირლანდიასა და ბრიტანეთს შორის განვითარებულ მოვლენებს. მთარგმნელობითი მოძრაობა იქცა წერის ფორმად...

თარგმანის როლი ირლანდიის პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიძლება ეროვნული გმირის, ქუ ჰულანის ტრანსფორმაციის გრაფიკული გამოსახულებით წარმოვიდგინოთ; ადრეულ ირლანდიურ ტექსტებში ის დახატულია მოკვდავი ქალისა და ღმერთი ლუგის ვაჟად,

ქუ ჰულანი გროტესკული ახალგაზრდაა, რომლის საბრძოლო შემართება მას სასაცილოდ წარმოგვიდგენს, რადგან აღარც მტერს ინდობს და აღარც მეგობარს. ის თავისი ტერიტორიის საზღვრებს იცავს ულსტერში, მაგრამ პოსტს დატოვებს, პაემანზე მიეშურება (Kinsella 1969:133) და ქალის გამო ეელარ დაუხვდება შემოსეულ მტერს. ეს გადმოცემულია ზღაპარში Táiin Bó Cúailnge (სიტყვასიტყვითი თარგმანი: „ქულიდან ნახირის გადარეკვა“). საბოლოოდ, ჩვიდმეტი წლის ეპიკურ გმირს, ქუ ჰულანს მაგიური ძალებითა და ხრიკებით გამოასალმებენ სიცოცხლეს...სიფრთხილისა და სტრატეგიული თავშეკავების ნაცვლად, იგი უთანასწორო ბრძოლაში გადაეშვება. მე-19 ს-ის ბოლოს და მე-20 ს-ის დასაწყისში პატრიოტული თარგმანების ვერსიებში ყველა გროტესკული ეპიზოდი გამქრალია, აღარსად ჩანს პერსონაჟის დამაკნინებელი ელემენტები: ქალთა მადევრის „ტიტული“ და მოვალეობის უპატიებელი უგულებელყოფა, ისევე, როგორც დასანან ვითარებაში სიცოცხლესთან გამოსალმება. თუმცა პერსონაჟი ინარჩუნებს ყოვლისშემძლე გმირის სტატუსს, მისი დაბადება სწორედ რომ ზებუნებრივია, გმირი კი კეთილშობილი, მტრის წინააღმდეგ მედგარი მებრძოლი, მას ისეთი სიკვდილი ერგო, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის რემინესცენციას იწვევს, - აი ასე ხატავდნენ მას ახალ თარგმანებში და ეს, რასაკვირველია, ასახავდა ნაციონალისტურ მისწრაფებებს. ულსტერის ციკლის მითების ინგლისურ თარგმანებსა და ადაპტაციებში ქუ ჰულანის ჰეროიკული ბიოგრაფიაა წარმოჩენილი. ამ მითების ინტეგრირება ერთ კოჰერენტულ მოდელშია შესაძლებელი: დეპერსონალიზებული და კოლონიზებული ხალხი საკუთარი ტანჯვის საწინააღმდეგო სურათს ხატავდა. გამარჯვების რწმენით აღსავსე მსგავსი ჰეროიკული მოდელების აღზევება და მებრძოლთათვის ხოტბის შესხმა მედგარ წინააღმდეგობას აღეიევებდა ჩაგვრისადმი. ქუ ჰულანი ამ თარგმანებში დახატულია როგორც ირლანდიის სამხედრო გმირობის ეპიტომიზებული იდეალი, ვინც თვისტომთა სახელით იბრძოდა. ქუ

ჰულანი თანდათანობით, აბსტრაქციიდან იქცა გმირის ხატად. ამ პარადიგმამ ნაციონალისტური იდენტიფიკაცია ერის გაიგივება მოახდინა ამ მხედრული სულისკვეთებით შემართულ გმირთან.

სურათზე: ქუ ჰულანი



ამ თარგმანების ტრაექტორია გახლდათ 1916 წელს სააღდგომო ამბოხი; მისი ერთ-ერთი მოთაეე, პატრიკ პირზი გახლდათ, ვისთვისაც ქუ ჰულანი პირადი მაგალითი იყო. საუკუნის დასაწყისში ქუ ჰულანის ამბავი პიესების ფაბულებშიც გამოიყენეს (მაგ. ვ. ბ. იეიტსმა). მისი სახელი ჟღერდა შეჯიბრებებზე, პოეზიაში, საბავშვო ლიტერატურაში. ქუ ჰულანის პორტრეტებს შეხედებით მაღალ მხატვრობაშიც და პოპკულტურაშიც. წმ. ენდას ვაჟთა სკოლის დარბაზის შესასელელს ამშვენებს ქუ ჰულანის ნახატი, რომელზეც ის საჭურველს ისხამს,. სწორედ ამ სკოლას ხელმძღვანელობდა პატრიკ პირზი რამდენიმე წლის განმავლობაში, მისი დევიზი იყო: „თუ ჩემი სახელი და დიდება იცოცხლებს, დღესვე დავთმობდი სიცოცხლეს“. ამ სულით ზრდიდა ის მოსწავლეებსაც. პირზი ოცნებობდა, რომ ვაჟებს მაგალითად სწორედ ქუ ჰულანი ჰყოლოდათ (Tymoczko 1999:80). ქუ ჰულანის ჰეროიკული ხატება ირლანდიის კულტურულ ცხოვრებაში კვლავაც ფუნქციურია. ოლივერ შეფერდის მიერ შექმნილი ქუ ჰულანის ქანდაკება დუბლინში ცენტრალური ფოსტის შენობის წინ დგას, როგორც სააღდგომო ამბოხის მემორიალი.

ირლანდიური კულტურის სახე, რომელსაც ადრეული ხანის ირლანდიური ლიტერატურის თარგმანი ქმნის, ირლანდიას წარმოგვიდგენს როგორც ტრაგიკულ, ჰეროიკულ, მეომარ, კეთილშობილ და უმწიკვლო ერს; შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზნის მისაღწევად, თარგმანი ემორჩილებოდა როგორც კოლონიალიზმის, ისე ნაციონალიზმის ზეგავლენას.

ჯეიმს ჯოისი და პოსტკოლონიური ჰიბრიდი

მწერლის ორმაგი ენა

გასული საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი, ჯეიმს ჯოისი, ორმაგი ენის გამოყენების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. თანამედროვე ინგლისურ ლიტერატურაში ჯოისის შემოქმედება კანონიზებულია. ჯოისი პოსტკოლონიურ მწერლად მხოლოდ ახლახან სცნეს, მიუხედავად იმისა, რომ ირლანდია ინგლისის პირველი და ყველაზე დიდი ხნის მანძილზე შენარჩუნებული კოლონია გახლდათ, ხოლო ჯოისი მუდმივად და ღიად ახდენდა ირლანდიურ კულტურასთან თვითიდენტიფიცირებას და ირლანდიელ ნაციონალისტადაც წარმოაჩენდა ხოლმე თავს (Joyce, 1966, 2:187). იმისათვის, რომ განსაზღვრულიყო ჯოისის შემოქმედების ეს ასპექტი, შესაბამისი თეორიული დისკურსის წარმართვა იყო საჭირო, რაც მისი, როგორც მწერლის, კრედოს გაგებისათვის საფუძველს შექმნიდა. თუ ჯოისის კრედოს გაგება-განსაზღვრა გახანგრძლივდა, ეს დიდი მწერლის მიერ საკუთარი იმიჯის ჩამოყალიბების თავისებურების „ბრალი“ იყო. საზღვარგარეთელი, საერთაშორისოდ აღიარებული მოდერნისტების მხარდაჭერა რომ მოეპოვებინა და პროვინციელად არ შერაცხულიყო, ამასთან, საკუთარი წარმოსახვისთვის მეტი გასაქანი მიეცა, ჯოისი ყველა ნაწარმოებში დუმდა საკუთარი ირლანდიური წარმოშობის შესახებ. ჯოისის, როგორც პოსტკოლონიური მწერლის ანალიზის ტიპური სურათია ჯოისის დამოკიდებულების გაანალიზება პოლიტიკისადმი, ეკონომიკისადმი და იდეოლოგიისადმი. ნაცვლად ამისა, ჯოისის ანალიზი უნდა ხდებოდეს მისი კულტურული ჰიბრიდულობისა და ენაში ორმაგად კოდირებული ინფორმაციის მხრივ, თუნდაც იმიტომ, რომ ჯოისი უწინარესად მწერალია და თანაც წარმოშობით ირლანდიელი მწერალი, რაც ცხადად სჭვივის მის ენასა

და მხატერულ ფორმებში (Tymoczko 1994). ჯოისის ყველა დიდი ნაწარმოები, გარდა „ფინეგანის ქელეხისა", იმ დროს დაიწერა, როცა ირლანდია ინგლისის პოლიტიკურ და კულტურულ დომინაციას ებრძოდა და მათში სწორედ ეს პოლიტიკური ინტერაქციაა საძიებელი.

„ულისე" 1922 წლის თებერვალში გამოიცა, თითქმის იმავე დროს, როცა ირლანდიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. ირლანდიის დამოუკიდებლობა მხოლოდ ჯოისის ტექსტის შინაარსში არ ასახულა, ის აისახა ამ ტექსტების ფორმალურ მახასიათებლებში. წერდა რა როგორც ირლანდიელი, ისე საერთაშორისო აუდიტორიისთვის, ჯოისმა პირველმა შექმნა სხვადასხვა ლიტერატურული და ლინგვისტიკური ხერხი, რაც წინ უსწრებს შედარებით მოგვიანებით შექმნილ პოსტკოლონიურ სტრატეგიებს. ჯოისის ლოკალიზმი და მისი ინტერესი ყოველივე ირლანდიურისადმი მის შემოქმედებაში მრავალი წახნაგით აისახა, ერთ-ერთი მაგალითი კი ე. წ. ზეპირსამეტყველო ირლანდიური ინგლისურის სპეციფიკაა. ჯოისი მიმართავს ირლანდიურ ფონოლოგიას, ირლანდიურიდან ინგლისურში ნასესხებ სიტყვებს, არასტანდარტული ინგლისურისათვის დამახასიათებელ სემანტიკურ ველებს, ირლანდიურ იდიომატიკას და იმ სინტაქსურ კონსტრუქციებს, რაც ირლანდიაში დიალექტური ინგლისურისათვის იყო ტიპური. ჯოისი მიმართავდა იმ ჰიბერნო-ინგლისურ მარკერებს, რაც ფიქსირდება თანამედროვე ირლანდიურ გელურში. აღსანიშნავია, რომ ვერბალური საშუალებების, მაგალითად, დიალექტის აქტივიზება, გარდა იმისა რომ გვეელინება სოციოკულტურულ მარკერად ნებისმიერ რეალისტურ ლიტერატურულ ტექსტში, პოსტკოლონიური მწერლობის სტანდარტული თვისებაცაა. ჯოისის ტექსტებში ირლანდიურს უფრო სიმბოლური დატვირთვა აქვს ვიდრე ფუნქციური, ის გვიქმნის ქვეტექსტს, რომ ირლანდია ორენოვანი ქვეყანაა, ერთ-ერთი ენა კი პოლიტიკურ დომინანტს ეკუთვნის.

ზოგ შემთხვევაში, ლინგვისტური პოლივალენტობა მიიღწევა სხვა ენიდან, ან ენებიდან ნასესხობებით. მაგალითად, „დუბლინელებში“ ავტორს საკუთარი სახელები აქვს ირლანდიურიდან ნასესხები. ირლანდიურში, ინგლისური ენისაგან განსხვავებით, საკუთარ სახელებს სემანტიკური მნიშვნელობა აქვს; რადგან ნასესხები საკუთარი სახელები ანგლიფიცირებულია, მონოლინგვური ინგლისურენოვანი მკითხველისათვის მათი სემანტიკური დატვირთვა სრულებით ბუნდოვანია. ამდენად, კარგად ცნობილი ინგლისური ენის თემა მოთხრობაში “Paralysis” („დუბლინელები“) ორმაგად მძიმეა, თუ ვიცით, რომ საკუთარი სახელები სემანტიკური მნიშვნელობით უკავშირდებიან ისეთ კონცეპტებს, როგორიცაა სიბნელე, მრუმე გარემო და სიკვდილი. ჯოისის მითოლოგიური ფიგურები ასევე სიკვდილთან ასოცირდებიან· ჯოისის ერთ-ერთი პერსონაჟია Browne; ირლანდიურად donn, brown და Donn ირლანდიაში მიიჩნევა სიკვდილის ღმერთად). სახელები Dunn, Dunne, Downe, Donnelly, Doyle, Duffy, Duggan D’Arcy ყველა ირლანდიური ფესვებიდან მომდინარეობს და ნიშნავს „ყავისფერს“, „ბნელს“, „შავს“. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო სახელი თავად დუბლინია. “Dublin” ირლანდიურად ნიშნავს „შავ გუბეს“. რასაკვირველია, ჯოისმა კარგად უწყოდა სემანტიკური მნიშვნელობების შესახებ, რითაც პერსონაჟების საკუთარი სახელები და ტოპონიმები დატვირთა. ნელსონის თქმით, ჯოისს იმ დროინდელი ირლანდია წარმოდგენილი ჰქონდა როგორც შავი გუბე, რომელსაც დასტიროდნენ, მაგრამ ვერ შველოდნენ. ირლანდიური სიტყვების რეფერენცია სიკვდილთან და სიბნელესთან - ესაა „დუბლინელების“ ძირითადი ხაზი. ამავე დროს, ეს რეფერენცია დისოცირებული მეტაფორის ადრეული ნიმუშია მის შემოქმედებაში, რომლის გასაგებად აუცილებელია ირლანდიურის ცოდნა; ისეთი სახელების არჩევით, რომელთა სემანტიკური მნიშვნელობა ირლანდიურისაგან წარმოსდგება და მხოლოდ ირლანდიურ

კონტექსტშია გასაგები, ჯოისი საკუთარ თავს აიგივებს სამშობლოს პრეკოლონიურ კულტურასთან და საკუთარი მულტილინგვური კულტურის ირლანდიურ მხარეს წარმოაჩენს. ირლანდიურად თარგმნისა და ეტიმოლოგიურად შესწავლის შედეგად, ეს სახელები ფუნქციონირებენ როგორც ირლანდიურ-ენოვანი თემატური მეწყვილეები ინგლისური საკუთარი სახელებისათვის და წარმოადგენენ მნიშვნელობის მეორე, მონოლინგვური ინგლისურენოვანი მკითხველისათვის მიუწვდომელ შრეს. პოსტკოლონიური აეტორების უპირატესობა მონოლინგვურ მწერლებთან შედარებით სწორედ ისაა, რომ მათ შეუძლიათ თემატური მნიშვნელობის რამდენიმე პლასტი ერთდროულად გადმოსცენ, სიტყვის მნიშვნელობა არა ერთი, არამედ ორი ენისაგან მომდინარეობს.

ჯოისი ორმაგი ენის ეფექტს აღწევს „დუბლინელებში", რადგან ირლანდიურ სიტყვებს და სემანტიკური მნიშვნელობის მქონე, ე.წ. „მოლაპარაკე" სახელებს დაურთავს ინგლისურენოვან ტექსტს. მიუხედავად იმისა, რომ ეს მნიშვნელობები მიუწვდომელია ინგლისურენოვანი მკითხველის უმეტესობისათვის, რადგან ჯოისის მიერ „დუბლინელებში" კონსტრუირებული ორმაგი ენა ინგლისურ და ირლანდიურ მნიშვნელობებს თანადროულად გადმოსცემს. „დუბლინელებში" საკუთარ სახელებს გადმოაქვს ირლანდიური მნიშვნელობები, ჯოისი ონომასტიკისადმი იჩენს ინტერესს და გაორმაგებული მნიშვნელობით წერისათვის ისეთ საკუთარი სახელებს მიმართავს, რომლებსაც ირლანდიურ გელურში მკაფიო რეფერენტული მნიშვნელობა აქვთ. ამდენად, ერთი შეხედვით ინგლისურ ტექსტში სპეციფიკური სიტყვების ირლანდიური მნიშვნელობები ის სიგნალია, რითიც მკითხველი აღიქვამს ტექსტის ირლანდიურ წარმომავლობას. ეს ფარული, გაორმაგებული მნიშვნელობები გასაგები იყო მხოლოდ გელური ლიგის წევრებისათვის, ვინც რუდიმენტულად, როგორც

კოლონიზებულ ხალხს სჩვევია, მაგრამ იცოდა ირლანდიური ენა. პარადოქსია, რომ ჯოისი, მიუხედავად მისი მონაწილეობისა ირლანდიური ენის დასაცავად მიმდინარე მოძრაობაში, ვინც 22 წლის ასაკში, ქვეყნის დატოვებამდე, ირლანდიურის შესწავლაც კი დაიწყო, ინგლისური ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის შეცვლის წინააღმდეგ წავიდა. ჯოისისათვის ირლანდიური მეორე კი არა, მეხუთე თუ მეექვსე ენა იყო, ლათინურის, ფრანგულის, იტალიურისა და გერმანულის, ასევე დანიურ-ნორვეგიულის შემდეგ. უმეტეს შემთხვევებში, პოსტკოლონიური მწერლის შემოქმედებაში ინკორპორირებულია რადიკალური ბილინგვიზმი: პრეკოლონიური ენა მისი მშობლიური ენაა და იგი მეორე ენად არის დამკვიდრებული კოლონიზატორის ენის შემდეგ. ბილინგვური, ანუ ორენოვანი წერის სტრატეგია ბილინგვიზმისა და ბიკულტურიზმის ცხოვრებისეული გამოცდილებიდან ყალიბდება. ჯოისის შემთხვევაში უჩვეულო ის ფაქტია, რომ მან ირლანდიურის შესწავლა მოგვიანებით დაიწყო და თან საკმაოდ არასრულყოფილად ფლობდა ამ ენას. მიუხედავად ამისა, მისი შემოქმედება ირლანდიურისადმი მის რუდუნებას გვიჩვენებს. ჯოისის მხატვრულ ტექსტებში ირლანდიურისადმი ისეთი თავდადება გვესმის, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი მის პოლიტიკური განწყობას ავლენს: მის ტექსტებში ირლანდიური ენის გამოყენება ავტორის იდეოლოგიური არჩევანია, ასე წარმოადგინა მან ირლანდიის ცხოვრება კოლონიზებულის პერსპექტივიდან. ჯოისმა უარი თქვა აესახა საკუთარი ლიმინალური აზროვნება და მეტყველება, როგორც მისი ბუნებრივი ენობრივი რეფლექსი, რაც დაბადებიდან ხვდა წილად. ამ მხრივ იგი ფრიად განსხვავდება სხვა პოსტკოლონიური მწერლებისაგან, ვინც მთელი ცხოვრების განმავლობაში ორენოვნები იყვნენ, მათ მეტყველებისა და წერის მანერას კი ლინგვისტური და კულტურული ორფენოვნება განაპირობებდა. მიუხედავად მისი ქვეყნის ორენოვნებისა, ჯოისი აბსოლუტური ბოლინგვა არ გამხდარა, მან

ნებაყოფლობით აირჩია ჩაერთო თავის ნაწარმოებებში ირლანდიური. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ თავისი ნაწარმოებების საკვანძო მომენტებში ჯოისი აგებს ალტერნატიულ კოდს, რითაც იბრუნებს იმ ლინგვისტურ მემკვიდრეობას, რომელიც მას და მის ქვეყანას წაართვეს. ჯოისი გვახსენებს, რომ როგორი სტატუსიც არ უნდა მივანიჭოთ შესრულების ლინგვისტურ კომპეტენციას, ასეთ ბილინგვურ ნაწერს აქვს ფუნდამენტურად იდეოლოგიური სტრატეგია და ავტორი მას არ მიმართავს მხოლოდ ლინგვისტური შესაბამისობისათვის. ჯოისი გვევლინება იმ სამწერლო ნოვაციის პიონერად, რომელსაც პოსტკოლონიური მწერლები ხშირად მიმართავენ.

სადღეისოდ, თარგმანს უფრო მეტად განიხილავენ არა როგორც ეკვივალენტობის, არამედ როგორც დიფერენციაციის ლოკუსს. ჟაკ დერიდას "Des tours de Babel" ამის შესანიშნავი ნიმუშია. ასეთი კონვენციური მთარგმნელობითი ექვივალენტების კვლევისას არსებითია, რომ ის განსხვავებები ამოვიცნოთ, რაც იმპლიციტურია ასეთი სიტყვების კონვენციურ თარგმანებში, რათა დავინახოთ განსხვავებები იმ მნიშვნელობათა შორის, რაც ამ კონვენციური ეკვივალენტობის საზღვრებს მიღმა არსებობს.

რა თქმა უნდა, განსხვავებების ეფექტი იქმნება უფრო სიტყვათა სინქრონული ხატით, რომლებსაც განსხვავებული სემიოტიკური მნიშვნელობა აქვთ, განსხვავებულ სემანტიკურ ველს მიეკუთვნებიან. მაგალითად, ის ირლანდიური მნიშვნელობები, რომელთა ხატიც იქმნება ჯოისის მიერ არჩეული სიტყვებით, ინგლისურის უბრალო პერიფრაზი არ გახლავთ, ისინი აესებენ და ავრცობენ ინგლისურ მნიშვნელობას და თემატიკას და რეფერენტის ალტერნატიულ ფრეიმს აგებენ. ფაქტობრივად, ჯოისი ეყრდნობა დიფერენციაციის ლოკუსს, რათა რთული კონტრაპუნქტული მნიშვნელობა შექმნას. თარგმანის ისეთი

გაგება, სადაც იგი ლოკუს დიფერენციად მიიჩნევა, გვეხმარება გავაცნობიეროთ, რომ პოსტკოლონიურ ტექსტში მულტიენობრივი წერა მრავალპლასტიანი მნიშვნელობის შემქმნელია. მას შეუძლია მრავალი შეტყობინების გადმოცემა კოდირებული და ფარული ენით, რაც განკუთვნილია სპეციფიკური აუდიტორიისთვის. მას შეუძლია პრეკოლონიური ენის მობილიზება, რათა კოლონიური ძალის ენაში იმპლიციტურ ჰეგემონიურ ხაფანგს განერიდოს, იმ ენაში, რომელიც ზღუდავს დებატის პირობებს და კონფრონტაციის საზღვრებს. ყველა ეს საშუალება თავს იჩენს მაშინ, როცა პოსტკოლონიური ნაწარმოები საკუთრივ წარმოადგენს ტრანსლაციას. ტიმოჟკომ თარგმანის თეორიის კვლევა წარმართა პოსტკოლონიური ლიტერატურის ანალიზისა და გაგებისათვის, თუმცა კვლევის დასასრულს იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პოსტკოლონიური თეორია ფასდაუდებელია თარგმანის ფენომენის გასაგებად და თარგმანის საანალიზოდ.

„უცხოს“ ენა და ტრადიციული მთარგმნელობითი ექვივალენტები

მეჰრეზი მსგავს ფენომენს აკვირდება მეოცე საუკუნის ჩრდილო აფრიკულ პოსტკოლონიურ ფრანკოფონულ მხატვრულ ნაწარმოებებში. ის ასსია ჯებერისა და ტაჰარ ბენ ჯელუნის ნამუშევრებს იკვლევს და ასკვნის, რომ მათი თარგმანი არაბულ ენაზე ყურანის ალუზიას ქმნის, თუმცა ეს რეფერენცია სრულებით არ ჩანს ფრანგულენოვან ტექსტებში. მეჰრეზი წერს, რომ „უცხოს ენის გამოყენება ახდენს შეტყობინების კოდირებას, რომლის დეკოდირება იოლი არ არის მონოლინგვური მკითხველისათვის, რომლის

რეფერენციალური სამყარო გამორიცხავს, უგულებელყოფს ან უარყოფს სხვა რეფერენციალური სამყაროს არსებობას, რაც არსებითია ტექსტის უფრო გლობალური და არა „კოლონიალისტური“ წაკითხვისათვის (1992, 122). მეპრეზი წერს, რომ ასეთი ტექსტის წაკითხვა პრაქტიკულად უტოლდება ტექსტის განუწყვეტელ თარგმნას. კიდევ მეტიც, ასეთი პოსტკოლონიური ტექსტები უფრო მეტად სხვა ენაზე თარგმანში ავლენენ სრულ მნიშვნელობას და ავტორის პლურალისტურ ტრადიციებს. **პოსტკოლონიურ ტექსტებსა და თარგმანს შორის ფორმალური მსგავსებაა.**

ვნახოთ, როგორ ფუნქციონირებენ პოსტკოლონიურ ლიტერატურაში ჯოისის მოთხრობის: „მიცვალებულნი“ კონვენციური მთარგმნელობითი ექვივალენტები (კმე); მოთხრობის მთავარი გმირი, გებრიელი გააცნობიერებს, რომ **„დადგა დრო, როცა დასავლეთით უნდა გაემგზავროს“**; კონცეპტ „დასავლეთით გამგზავრებას“ რამდენიმე ინტერპრეტაცია აქვს: იგი აღნიშნავს 1) მოგზაურობას ირლანდიის იმ ნაწილში, სადაც ირლანდიურ ენაზე ლაპარაკობენ, ენის გარდა შემორჩენილია ტრადიცია და ადათი, ლიტერატურა; 2) დასავლეთით გამგზავრება, სიმბოლურად, ჩამავალი მზის მხარეში გამგზავრებასაც ნიშნავს, ანუ მიცვალებას. ეს უკანასკნელი ძალზე მრავლისმთქმელია, რადგან, ირლანდიური მითოლოგიის მიხედვით, დასავლეთი ასოცირდება სხვა სამყაროსთან და არაამქვეყნიურ კუნძულებთან, მათ შორის ის ასოცირებულია დონის (Donn) ანუ მიცვალებულთა ღვთაების სამფლობელოსთან. ამდენად, ამ მოთხრობის დასასრული ღიაა, მულტივალენტურია და ერთ ინტერპრეტაციით ვერ შემოიფარგლება. თუმცა კითხვა მაინც რჩება: რატომ westward და არა west? ტექსტის ერთ-ერთი ვალენტობა westward-ის ირლანდიურ მნიშვნელობაშია საძიებელი; ჯოისის სიგნალია ამ სიტყვის ირლანდიური შესატყვისია ლექსიკური ერთეული siar. ირლანდიურში

მიმართულების მაჩვენებელი სიტყვები სპეციფიკური თავისებურებებით გამოირჩევა: მათი მნიშვნელობა განისაზღვრება პირისახის მდებარეობით; ვთქვათ, პირისახით აღმოსავლეთისაკენ მდებარეობა ნიშნავს „რაღაცის წინ" მდებარეობას, სამხრეთით მდებარეობა ნიშნავს მარჯვნივ მდებარეობას, ჩრდილოეთით მარცხნივ, ხოლო დასავლეთით - უკან. ამდენად, „დასავლეთი" ნიშნავს უკან დაბრუნებას; სიტყვა siar ინგლისური westward-ის კონვენციური მთარგმნელობითი ექვივალენტია, რადგან **ირლანდიურში თანდებული გამოიყენება west-თან, ხოლო westward-ან არა.** ჯოისი შეგნებულად წერდა ინგლისურ ტექსტში სიტყვას westward და არა west, რათა ის ყოფილიყო ირლანდიურის სიგნალი ინგლისურენოვან ტექსტში, რადგან westward ნიშნავს „დასავლეთით მოგზაურობას". როდესაც „მიცვალებულნი" ირლანდიურად ითარგმნა, ისევე როგორც „დუბლინელების" სხვა მოთხრობები, ონომასტიკამ სრული ფუნქციური დატვირთვა მხოლოდ მაშინ შეიძინა, ყველა გაორმაგებული მნიშვნელობის ლექსიკურმა ერთეულმა თავი იჩინა. თუ სიტყვა westward-ს „დუბლინელებში" ირლანდიურ ენაზე გადავთარგმნით siar-ით და შემდეგ უკუთარგმნით ინგლისურად გადმოვიტანთ, ოღონდ ირლანდიური სემანტიკური ველის პარაფრაზით, ინგლისურენოვანი მკითხველისთვის საცნაური გახდება ამ ირლანდიური სიტყვის სპატიო-ტემპორალური თვისება და მისი იმპლიკაცია. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ჯოისი ტექსტებში არ მიმართავს ირლანდიურიდან ნასესხობებს ინგლისურში, როგორც კულტურული უცხოობის ნიშანს; ნაცვლად ამისა, იგი მიმართავს გაორმაგებული წერის მეთოდს და კონვენციურ მთარგმნელობით ეკვივალენტებს. წერის ასეთ ტექნიკას ორმაგი კულტურის რთული ნაზავი გამოაქვეთ და კომპლექსურ, გაორმაგებულ მნიშვნელობას იძენენ. სწორედ იგივე ტექნიკას მიმართავენ თარგმანშიც. ასეთი თარგმანი შეიძლება სიტყვების თამაშად, კალამბურად ჩავთვალოთ, კონვენციური

მთარგმნელობითი ეკვივალენტობის გამოყენება სამიზნე ენის ტექსტში ქმნის შინაარსის ზედაპირული გამჭვირვალობის ილუზიას.

ასეთი ეკვივალენტები წყარო ენის იმ მნიშვნელობების ტრანსფერენციას ახორციელებენ სამიზნე ენაზე, რაც ასოცირებულია წყარო ენის სიტყვებთან. ამ ტექნიკას კეტფორდი უწოდებს „ტრანსფერენციას“ და არა თარგმნას. „ჩვეულებრივ, თარგმანში, სამიზნე ენის ტექსტს აქვს სამიზნე ენის მნიშვნელობა. მაშასადამე, სამიზნე ენის საგანთა „ღირებულებები“ სწორედ ისაა, რაც დადგენილია მათი ფორმალური და კონტექსტური ურთიერთკავშირით თავად სამიზნე ენაზე. სამიზნე ენაზე არ გადმოდის საგანთა ის „ღირებულებები“, რაც დადგენილია დედნის ენაზე მათი ფორმალური და კონტექსტური ურთიერთკავშირით. თუმცა, შეიძლება განხორციელდეს ისეთი მთარგმნელობითი ოპერაცია, რომლის დროსაც, სამიზნე ენის ტექსტს, ან მისი ნაწილებს, ექნებათ ის ღირებულებები, რაც დედნის ენაზე აქვთ. ასეთ თარგმანს ჩვენ ტრანსფერენციას ვუწოდებთ“, წერს კეტფორდი (Catford,1965, ch. 6).

კეტფორდი აღწერს შემდეგ შემთხვევას: ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში ავტორებმა გამოაქვეყნეს სტატია, რომელის ნავაჰოს ინდიელების ტომის ფერების აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას შეეხებოდა. ავტორებმა შეთხზეს ორი ახალი ინგლისური სიტყვა ფერის აღმნიშვნელი ტერმინი yoo (რომელიც აღნიშნავს ყვითელს, ნარინჯისფერს) და bogop (რომელიც აღნიშნავს ლურჯს ან მწვანეს, ან მეწამულს). რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც მთარგმნელობითი ეკვივალენტები ორი ან სამი ტერმინის აღსანიშნავად, რაც ფერის ტერმინოლოგიის სისტემას ქმნის ნავაჰოს ტომის ინდიელების ენაში. ფონოლოგიურად და გრაფოლოგიურად ორივე სიტყვა ინგლისურია, მაგრამ რამდენადაც მათ აქვთ ფორმალური და კონტექსტური

მნიშვნელობა, ისინი ნავაჰოს ლექსიკური წყობიდან არიან წარმოებული. კეტფორდი ასეთ სიტყვებს ნეოლოგიზმებად არ თელის, რადგან ეს სიტყვა-სიგნიფიკანტები, მოდიფიცირებული ფორმით, მანამდე არსებობდნენ სამიზნე ენის ლინგვისტურ კოდში და ისინი ავლენენ ნაწილობრივ სემანტიკურ ეკვივალენტობას დედნის ენის ლინგვისტურ კოდის იმ ერთეულებთან, რომლებიც ზემოთ იყო ხსენებული.

ტრანსფერენცია ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში მიგრაციაა, სიმბოლოთა გადატანა ერთი განზომილებიდან მეორეში. თუ სიტყვა ორაზროვანია დედანში, შესაძლოა, ეს ორაზროვნება აირეკლოს სამიზნე ენის ტექსტშიც.

ორ ენას შორის კონვენციური მთარგმნელობითი ეკვივალენტების არსებობა უდევს საფუძვლად იმ მოსაზრებას, რომ პოსტკოლონიური ტექსტი წარმოადგენს საკუთრივ თარგმანს, ანუ იმ ტექსტების თარგმანს, რომლებიც არასოდეს შექმნილა მშობლიური კულტურის ენაზე. ამდენად, მხატვრულ ნაწარმოებში კონვენციური მთარგმნელობითი ეკვივალენტების არსებობა მიგვანიშნებს სხვა ენაზე არსებულ პრეტექსტზე. იმ მკითხველისათვის, ვინც ირლანდიურიც იცის და ინგლისურიც, პოსტკოლონიური ტექსტის წაკითხვა ჰგავს სხვა ბილინგვა ადამიანთან საუბარს, თუმცა ისინი არც ენა-1-ზე საუბრობენ, არც ენა-2-ზე, არამედ ენა-X-ზე, რადგან ორივე ენის მთელი ინფორმაციული რესურსი სწორედ ენა-X-ზეა, ვინაიდან მასში გაერთიანებულია ორივე ენა.

ასეთი ტექსტი, ცხადია, ჰიბრიდულია, რადგან შერეულ ენაზეა დაწერილი (ენა X) ბილინგვა / ბიკულტურული მწერლის მიერ. ჰიბრიდულობა ის ახალი, კულტურათშორისი ლიტერატურული ფორმებია, რაც კოლონიზაციის შედეგად, კონტრაქტის ზონაში იქმნება.

ჰიბრიდულობა გამოიხატება ენობრივად: თხრობისას, მეტაფორულად თუ ვიტყვით, მხატვრულ ტექსტში ერთის ნაცვლად გაისმის მრავალი ხმა, რასაც ბახტინი უწოდებს ლიტერატურულ კარნავალიზაციას.

პოსტკოლონიური თარგმანი, როგორც სამეცნიერო დისკურსი

სუზენ ბასნეტისა და ჰარიშ ტრივედის რედაქტირებით გამოცემული წიგნის, „პოსტკოლონიური თარგმანი: თეორია და პრაქტიკა“ შესავალში მითითებულია, რომ *თარგმანი არის პოსტკოლონიური კონტექსტის მაგალითი* და ბრძოლის ველი: არსებობს კავშირი ტრანსლაციურსა და ტრანსნაციონალურს შორის - პოსტკოლონიური გამოცდილების მქონე ერები სხვა ერებს შორის ემიგრატებივით ცხოვრობენ, როგორც ერთი კულტურიდან მეორეში „თარგმნილი“ (გარდაქმნილი, ჰიბრიდიზებული, ანუ ტრანსლირებული ხალხი). არსებობს პოსტკოლონიური თარგმანის ფენომენის არაერთი გაგება; მაგალითად, ინდოეთის პერსპექტივიდან მომდინარეობს ფრაზა, რომ „ინდური ლიტერატურის ტრადიციები ძირითადად თარგმანით დამკვიდრებული ტრადიციებია“ (Devi, 1999:187).

მიქაელა ვულფი წერს, რომ იდენტობის პრობლემა მუდმივად არის კამათისა და განხილვის საგანი, რადგან თარგმნის პროცესში, ტექსტში ასახვისათვის ერთმანეთს მუდმივად ებრძვის „საკუთარი“ და „უცხო“. დასავლურ სამყაროში ეთიკის ნორმების მოთხოვნაა, მიიღოს განსხვავებული თვისობრივი განსხვავებებით; თუ მოდერნმა დაგმო, მიუღებლად მიიჩნია და მარგინალად აქცია ყოველივე უცხო,

პოსტმოდერნულმა კულტურამ გაითავისა „უცხო“; 1989 წლიდან დაწყებული რევოლუციებისა და გლობალიზაციის ფონზე იდენტობის საკითხმა ხელახლა მიიპყრო ყურადღება; ეს პერიოდი ხასიათდება იდენტობების რღვევით, კულტურებს შორის შუალედური, გარდამავალი სივრცეების წარმოქმნით, კულტურათა დისლოკაციით და სოციალური დისკრიმინაციით. შედეგად, იდენტობის ძიებამ ახალ კონტექსტში გადაინაცვლა, თარგმანში მარკირებულმა ასიმეტრიულმა ურთიერთობებმა აკულტურიზაციის სხვადასხვა ფორმები წარმოშვა, სინკრეტიზმი და ჰიბრიდიზაცია განაპირობა. თარგმანი, როგორც კულტურული რეპრეზენტაცია, მუდმივად დგას „უცხო“-ს პრობლემის წინაშე.

თარგმანმცოდნეობის მთავარი ცნება ყოველთვის იყო იდენტობა. კულტურათმცოდნეობის კუთხით თარგმანის შესწავლა გულისხმობდა ისეთი დიქოტომიის რღვევას, როგორიცაა ცენტრი და პერიფერია, სადაც ცენტრი ასიმეტრიული უპირატესობით სარგებლობს, ხოლო პერიფერია კი ინფერიორის პოზიციას სჯერდება. დიქოტომიის რღვევის შემდეგ, თარგმანმცოდნეობის აქცენტი ინაცვლებს პლურიცენტრიზმზე, ანუ კულტურული განსხვავებების მუდმივი „მორიგება“ ხდება. თარგმანში ჰიბრიდულ ინდივიდს წარმოშობს რეპრეზენტაციის პროცესში ეთნიკური, გენდერული, კლასობრივი სპეციფიკის ტრანსგრესია. თარგმნის კონტექსტში ტრადიცია და იდენტობა ჰომოგენურობის გარანტი აღარ არის. თარგმნის კონტექსტი წარმოადგენს სხვადასხვა კულტურათა სიმბოლოებისა და მნიშვნელობების კომპლექსს, რომელშიც „საკუთარისა“ და „უცხოს“ ურთიერთ-ინტერპრეტაცია საჭიროებს „მორიგებას“. სხვადასხვა კულტურებისა და სოციალურ დისკურსებს შორის არსებული განსხვავებების გამო წარმოიშვება „კონფლიქტი“,

რომლის „დარეგულირების“ შედეგად, იდენტობის კონსტრუირება ხდება შესაძლებელი.

თარგმანში იდენტობის ჩამოყალიბების პერმანენტულობა ისეთი ფლუიდური კონცეპტის იმპლიკაციაა, როგორიცაა „მესამე განზომილება,“ ანუ სივრცე ორიგინალსა და თარგმანს შორის, სივრცე, რომელიც მუდმივად ქმნადია, რადგან სწორედ ამ სივრცეში ხორციელდება ერთი კულტურული იდენტობის გარდატეხა მეორეში, ეგრეთ წოდებული კულტურული „მიგრაცია“, როდესაც ერთი კულტურის ვირტუალური სივრცის საზღვრიდან მეორე კულტურის ვირტუალური სივრცის საზღვარზე მიგრირებს იდენტობა, ყველა იმ სახეცვლილებით, რაც „მესამე განზომილებაში“ გავლისას, ანუ ორ საზღვარს შორის შეიძინა. ამდენად, ტერმინი „კულტურათშორისი“ თავისთავად გულისხმობს მიგრანტს, ანუ გადათარგმნილს, რადგან ერთი კულტურიდან მეორეში გადასვლა, ანუ ტრანსლაცია გარდასახვის, „თარგმნის“ გარეშე შეუძლებელია.

თარგმანის მეტაფორა

თარგმანი ჩვეულებრივ აღიქმება პრაქტიკულ აქტივობად, რომლის შედეგად ერთი ენიდან ტექსტი მეორე ენაზე გარდაიქმნება. ამავე დროს, თარგმანი მეტაფორული ცნებაა. მაგალითად, მთარგმნელთა და თეორეტიკოსთა შორის გავრცელებულია ისეთი მეტაფორები, როგორიცაა *„დედნის მონობა“* (თარგმანის დედნისადმი ზედმეტად ერთგულების ნიშანი), *უზურპაცია*, გენდერული მარკერი: *„მოლალატე ქალი“* და ა. შ. თარგმანის ტექსტი თავად არის უცხოურ

ენაზე შექმნილი ტექსტის მეტაფორა; როგორც გ. რაბასა აღნიშნავს, „სიტყვა სხვა არაფერია, თუ არა საგნის ან სხვა სიტყვის მეტაფორა“ (Rabassa, 1989:1-2) თარგმანი არის ადაპტაციის ფორმა, რაც იმ ახალ მეტაფორას ქმნის, რომელიც ორიგინალის მეტაფორას შეესაბამება“ (ibid). რაბასა ამბობს, რომ თარგმანი არის მეტაფორათა ერთად აწყობა-დალაგება სხვა მეტაფორის კონსტრუირების მიზნით, რომელიც თავის მხრივ ასევე მეტაფორაა: მეტაფორა, როგორც თარგმანის მეტაფორა. თუმცა, ჯეროვანია, რომ განვასხვავოთ ის მეტაფორები, რასთანაც თარგმანის პრაგმატიკა ასოცირდება პრაქტიკოსებისა და თეორეტიკოსებისთვის და ამჟამად ფართოდ გავრცელებული დამოკიდებულება თარგმანის, როგორც მეტაფორის მიმართ: თარგმანის, როგორც მეტაფორის ცნება დამკვიდრებულია ისეთი საგნების შესახებ, რომელთაც ენასთან უშუალო შეხება არ აქვთ. მაგალითად, თეორეტიკოსები საუბრობენ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა „ერთი კულტურის თარგმნა მეორე კულტურისათვის გასაგები პირობებით“; გარდა ამისა, თანამედროვე პოსტკოლონიური კრიტიკოსები თარგმანს განიხილავენ როგორც მეტაფორას, რომელიც ასოცირდება არა თარგმანის პრაგმატიკულ მხარესთან, არამედ სოციალურ წყობასა და პოლიტიკურ განზომილებასთან. „თარგმანი ამ შემთხვევაში აღნიშნავს არა უბრალოდ არამშობლიურ ენაზე საუბრის უნარს, არამედ უნარს, რომ აღქმული აზრები და ქცევები მიღებული სტანდარტების მიხედვით გარდაქმნა; ესაა პროცესი, რომელიც მოიცავს სოციალური წყობის მიღებას, ანდა მისთვის თავის არიდებას.[7] რაფაელის, ნირანჯანას, ბჰაბას და ჩიფიტცის ნაშრომებში თარგმანი ჩამოყალიბებულია, როგორც ეთნიკური და კულტურული ტრანსფერის ანალიზის ცენტრალური პრობლემატიკა. ისინი არ იზიარებენ განმანათლებლობის ეპოქის მოსაზრებას „უცხოს“ („Other“) ცნების

გაგებისათვის. ნაცელად ამისა, ყალიბდება ცნება: „თარგმანის რთული პოლიტიკა“ და არა „თარგმანის პოლიტიკა, რომელიც ამ რთული პოლიტიკის რეპრესიას ახდენს“ (რაფაელი, 1988:210-21) რაფაელის შრომა ეძღვნება ესპანეთის მიერ ფილიპინების კოლონიზაციას, ქრისტიანულად მოქცევას და „თარგმნას“ ანუ ტრანსლაციას. ბჰაბასათვის თარგმანი არის ჰიბრიდული, ინტერკულტურული სივრცის აღმნიშვნელი, ხოლო ნირანჯანასა და ჩიფიტცისათვის თარგმნა არის ანგლო-ინდოელთა ურთიერთობებში არსებული ინგლისის კოლონიალური დომინაციის მნიშვნელოვანი ტექნოლოგია (ნირანჯანა 1992), ხოლო ჩიფიტცისათვის თარგმნა ესაა ანგლო-ამერიკული საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვანი ტექნოლოგია მე-16 საუკუნიდან დღემდე (ჩიფიტცი 1991). ყველა ზემოხსენებულ კრიტიკოსს „თარგმანი“ ესმის როგორც ძალთა ურთიერთობის ფორმა: ესაა ლინგვისტური ტრანსფერი იმპერიის სამსახურში. თუმცა, მათი ნაშრომებში უამრავი მეტაფორაა თარგმანის დასახასიათებლად, მაგ.: *ტრანსპორტაცია, ფიგურაცია, საკუთრების გასხვისება, ქრისტიანობის გავრცელების პროცესი* და ა. შ.

ზოგიერთი თეორეტიკოსის კონტრარგუმენტებით, თარგმანისადმი ამ მეტაფორების დამკვიდრება უმართებულოა, ვინაიდან არც ერთ მათგანი თარგმნის მეთოდოლოგიურ პრობლემებს არ შეეხება. ასეთი კონტრარგუმენტების ავტორები ძირითადად ისინი არიან, ვინც თარგმანმცოდნეობას ლინგვისტიკის ან კომპარატიული ლიტმცოდნეობის სფეროში მოიაზრებენ და ექვივალენტობის სტრუქტურების პრობლემებს სწავლობენ (რობინსონი, 1993:119). ეს წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება თარგმანმცოდნეობის შესწავლიდან ფოკუსის გადატანისადმი საკმაოდ საკვირველად აისახა ჯორჯ პუტენჰემის მიერ მეტაფორის განმარტებაში ჯერ კიდევ 1589 წელს: “Metaphora as a kind of wrestling of s single word from his own right signification, to another not so natural, but yet some affinitie or

convenience with it (Parker, 1987:38). პარადოქსია, მაგრამ თავად თარგმანის ტექსტი ტრადიციულად განიხილება, როგორც ადგილნაცვალი ნამუშევარი, ხოლო თარგმნა, როგორც მოქმედება, განიხილება როგორც ბუნებრივი და ჯეროვანი რამ, ხოლო ამ მოქმედებისათვის ფიგურული წოდების მინიჭება, მიუხედავად მოქმედებასა და ფუგურულ სახელდებას შორის არსებული მსგავსებისა, არაბუნებრივი და არაჯეროვანია. არისტოტელე „პოეტიკაში“ წერს, რომ **„მეტაფორა საგანს ანიჭებს სახელწოდებას, რომელიც სხვა რაიმეს ეკუთვნის, ტრანსფერი ანუ სახელთა გადანაცვლება ანალოგიის საფუძველზე ხდება, სახეობიდან სახეობაზე, საგნიდან სახეობაზე ან სახეობიდან საგანზე.** ტერმინი „თარგმანი“ მეტაფორასაც აღნიშნავს და კულტურის ტრანსპორტაციასაც ნაცნობიდან უცხო ადგილას, როცა ისეთი მსგავსება არსებობს, რომ ასეთი „ტრანსპორტაცია“ გარანტირებულად დაეინახოთ (ჩიფიტცი 1991:35). ამდენად, სახეზეა „თარგმნის“ სიგნიფიკაციის ორი ვარიანტი, პირდაპირი და ფიგურული მნიშვნელობა. სიტყვა „თარგმანის“ ეტიმოლოგიური და ისტორიული საფუძვლები განაპირობებს მის ფიგურულ კავშირ-ურთიერთობას ძალაუფლებასთან.

თარგმანი, როგორც მეტაფორა: ისტორია/ფიგურა/ეტიმოლოგია

ბერძნული სიტყვა metaphorein – *carry over* *გადატანა* მნიშვნელობით თანხვდება სიტყვას: translation *ტრანსლაცია, გადაცემა, გადატანა,* რაც ამ ორი ერთეულის ერთმანეთთან

ტრადიციული დაკავშირების საფუძველი გახდა. მათი მნიშვნელობა ტროპად ან მეტაფორად მიიჩნევა; ტროპი „ტოტალიზებას“ აღნიშნავს, ტროპს გადმოაქვს სრული მნიშვნელობა და ფიგურასა და მნიშვნელობას შორის სრული ადეკვატურობა მყარდება (Niranjana, 1992:89).

ვინაიდან სიტყვა *ტრანსლატიო,* ისე როგორც ბერძნული სიტყვა *მეტაფორა,* შეიძლება ნიშნავდეს ორიეს: მეტაფორასაც და თარგმნასაც, მათ მიმართ, როგორც იდენტური ცნებების მიმართ, ისტორიულად ჩამოყალიბდა თეორიები. ჩიფიტცის აღნიშნავს, რომ ზმნა metaphero (Cheyfitz, 97:35) ლიდელისა და სკოტის ბერძნულ-ინგლისური ლექსიკონის მიხედვით, სიტყვასიტყვით აღნიშნავს ერთი ადგილიდან მეორეზე რაიმეს გადატანას, მაგრამ, ამავე დროს, მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა ინტერლინგვური თარგმანიც ნიშნავს. თუმცა, მხოლოდ ეს არ არის, რაც მეტაფორის იდეას თარგმნის კონტექსტთან აკავშირებს. სწორედ არისტოტელეს რეფერენცია უცხო - ἀλλοτρίαν - allotrian - გვიჩვენებს სახელის გადატანას, ანუ ტრანსფერს, რაც მეტაფორის თვისებაა; ამავე დროს, ეს ის ტერიტორიული იმპერატივია, რომელიც უცხოსა და შინაურს შორის დგას. არისტოტელეს მეტაფორის თეორია დასაყელი მეცნიერების მიერ ენის გააზრების საწინდარი გახდა. *ფიგურულად ეს ნიშნავს, რომ* უცხოური, უცნობი ხვდება „შინაურ“ გარემოში, რის შემდეგაც ხდება *ჯეროვანი,* ანუ ნორმალური და ეროვნულიც კი, შუასაუკუნეების ისტორიოგრაფიაში ცნება *ტრანსლატიო* (ტრანსფერი, გადაცემა, გადატანა, გადასელა) შუასაუკუნოვანი იმპერიის ცნებას მიეწერა, სრულიად იდეოლოგიური პროექტის გამო: "translatio imperii et studii" (transferral of power from Rome. and of learning from Athens or Rome to Paris) რომიდან ძალაუფლების, ათენიდან და რომიდან განათლების „გადაცემა“ პარიზისათვის. როგორც ჩიფიტცი წერს, „დასაწყისში იმპერიალისტური მისია არის „მთარგმნელობითი“:

„სხვისი“ თარგმნა იმპერიის პირობებში“ შუასაუკუნოვანი თარგმანის სტრუქტურა მეტაფორად მიიჩნევა, რადგან translatio imperii et studii ნიშნავს იმპერიიდან ცოდნის გაერცელებას; translatio studii არის ახალი ენის შუამავლობით განხორციელებული პროექტი ანტიკურ სწავლებათა გადასაცემად. ინგლისურ ენაზე ზმნა translate (ყველაზე ადრეული რეგისტრაცია: 1300 წ. OED) და არსებითი სახელი“ (1340 წ.) translation ორი ძირითადი მნიშვნელობის მქონეა: ფიზიკური ტრანსფერი და ლინგვისტიკური სტრუქტურების ეკვივალენტობის მიღწევა. ისტორიული სემანტიკის თვალსაზრისით, თარგმანის გეიანდელი თეორიები უფრო ფართო სემანტიკური ველიდან ცდილობდნენ თარგმანის „ჯეროვანი“ მნიშვნელობების დამკვიდრებას. თარგმანის ცნება, როგორც „ტრანსლატიოს“ ცნება განვითარდა მისი ადრეული შუასაუკუნოვანი მნიშვნელობიდან; მოგვიანებით იგი „გარდაიქმნა“ ანუ „გადაითარგმნა“ რიტორიკულ ტერმინად, რომელმაც სრულიად გააფერმკრთალა მისი ცნების ადრეული პოლიტიკური მნიშვნელობა, პოლიტიკური ურთიერთობა ფიგურულ ენასა და თარგმნას შორის (არისტოტელეს „საგარეო პოლიტიკა“). ისეთმა კრიტიკოსებმა, როგორიცაა ნირანჯანა, რაფაელი, ბჰაბა და ჩიფიტცი რიტორიკის თეორიები ხელახლა დააკავშირეს ძალაუფლების ენასთან, თარგმანი კი პოლიტიკასთან.

„თარგმანის მეტაფორა შეიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა *ტრანსფერი, ტრანსპორტაცია, ტრანსგრესია, გაუცხოება (ალიენაცია), იდენტობა“. მთარგმნელის საქმე მეტაფორული არ არის, ის თარგმანის პრაგმატიკას, უთარგმნელობისა და ენის ცნებებს უკავშირდება. პოსტსტრუქტურალისტები ენას, მნიშვნელობასა და რეპრეზენტაციას აკრიტიკებდნენ. უთარგმნელობის ცნებას ბენჯამინი ასე აყალიბებს: „თვით იმ შემთხვევაშიც, როცა შინაარსს „დაიჭერენ,“ ზედაპირულად თარგმნიან, ნამდვილი მთარგმნელისათვის მოუხელთებელი რჩება მთავარი. ტრანსფერი სრული ვერასოდეს იქნება, რადგან ყოველთვის

იქნება ისეთი ელემენტი, რომელიც „თარგმანს არ დაექვემდებარება“. ორიგინალის სხვა სიტყვებისაგან განსხვავებით, ასეთი ელემენტები ვერ ითარგმნება, „ვინაიდან, დამოკიდებულება შინაარსსა და ენას შორის საკმაოდ განსხვავდება ორიგინალსა და თარგმანში“(ibid). პოსტკოლონიური თეორიის აუტორებისათვის, ეს ელემენტი ფუნქციონირებს როგორც კულტურული ტრანსფერის რთული პოლიტიკის მეტაფორა; ეს მეტაფორა გვხვდება მაგ.: რაფაელის ნაშრომში ფილიპინების ტაგალოგის კულტურის შესახებ, რომელიც ქრისტიანი ესპანელების მმართველობის ქვეშ მოექცა. რაფაელი წერს, რომ ეს ელემენტი შეიძლება ისე იყოს კონსტრუირებული, რომ მისიონერებს იმედი გაუცრუოს: „ტაგალოგები, რომლებიც ცდილობდნენ საკუთარ ენაზე წაეკითხათ და გაეთავისებინათ ქრისტიანულ-კოლონიალური დისკურსი, ტენდენციურად თარგმნიდნენ და ამდენად, მხოლოდ დისკურსს კი არ უცვლიდნენ მნიშვნელობას და ფორმას, არამედ თავად კოლონიალურ მემკვიდრეობას (Rafael, 1988:xii).

პოსტკოლონიური ტექსტები თავისი პოლიფონიით, პოლივალენტობითა და დიალოგიზმით ისეთ კონცეპტთან ავლენს მსგავსებას, როგორიცაა თარგმანი. ამდენად, პოსტკოლონიურ თეორიას პოტენციურად შეუძლია თარგმანის კვლევა წარმართოს ახალი მიმართულებით.

რასაკვირველია, თარგმანსა და პოსტკოლონიურ ლიტერატურულ ტექსტს შორის მკვეთრი განსხვავება არსებობს და მათი ურთიერთმსგავსებაც მხოლო ოდენ მეტაფორული ხასიათისაა, ამდენად, მტკიცება, რომ თარგმანი პოსტკოლონიური ნაწარმოებია და პოსტკოლონიური ტექსტი თარგმანია - მეტაფორას წარმოადგენს.

თარგმანის პოლიტიკური მეტაფორა და პოსტკოლონიური თარგმანი

Through the 1990s, alongside the rise of Translation Studies, we also saw interestingly the rise of a larger and more influential field of study, Cultural Studies, Translation Studies and Cultural Studies could together address, including an investigation of "the way in which different cultures construct their images of writers and texts," a tracking of "the ways in which texts become cultural capital across cultural boundaries," and an exploration of the politics of translation (Trivedi, p. 3. Bassnett and Lefevere 138).

ჩიფიტცი მიიჩნევს, რომ ანგლო-ამერიკულ იმპერიულ საგარეო პოლიტიკაში თარგმანს მთავარი ფუნქცია ეკისრებოდა. იმპერიულ საგარეო პოლიტიკასა და თარგმანს ჩიფიტცი ერთმანეთთან არისტოტელეს მეტაფორის თეორიით აკავშირებს. ამ შემთხვევაში, ტერმინი „ტრანსლაცია" არამარტო თარგმნას, არამედ გადატანას, გავრცელებას, ექსპანსიას გულისხმობს. საგარეო პოლიტიკა თავისთავად საშინაო პოლიტიკის დიქოტომიური ცნებაა, ამავე დროს, საგარეო პოლიტიკა გულისხმობს, რომ მისი არსებობის შემთხვევაში, არსებობს საშინაო პოლიტიკაც. თარგმნის ცნებაც ასევე გულისხმობს, რომ არსებობს ურთიერთკავშირი ორ ცნებას: „საგარეოს" და „საშინაოს" შორის. ეს ურთიერთკავშირი ერთდროულად სიტყვასიტყვითიცაა და ფიგურულიც, ანუ ცნება „თარგმანში" ურთიერთკავშირი ცნებებს: „საგარეოს" და „საშინაოს" შორის მატერიალურიცაა და იდეოლოგიურიც. „მატერიალური" და „იდეოლოგიური"

ერთმანეთს ფიგურულად /გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავენ და ამდენად, ერთი უკვე მეორის „თარგმანს“ წარმოადგენს, რადგან ერთი ცნების ტრანსლაცია ხდება მეორეში.

პოსტკოლონიური თარგმანი, როგორც მეტაფორა

ფილოსოფოს რიკიორის მოსაზრებით, „მეტაფორა არის ის რიტორიკული პროცესი, როდესაც დისკურსს ძალდატანების საშუალება აქვს ლიტერატურაზე, რათა მან არსებული რეალობის სახეცვლილება (რედისკრიპცია, სიტყვასიტყვით: „ხელახალი აღწერა“) მოახდინოს“ (რიკიორი, 1978:7). პოსტკოლონიალიზმის თეორეტიკოსები, რიტორიკულ პროცესებს და რედისკრიპციის მიზნით ძალდატანებას, პოლიტიკურ ფენომენად მიიჩნევენ. თარგმანის ყველაზე დიდი მეტაფორა თეორეტიკოს ბჰაბა ეკუთვნის; ეს მეტაფორა არც თარგმნილ ტექსტებს და არც მათ ფუნქციებს არ შეეხება, არამედ კულტურის ინტერარტიკულაციას მულტიკულტურალიზმის ლიბერალური ტრადიციების რადიკალურად განსხვავებული პირობებით. ბჰაბა ეთანხმება თეორეტიკოს ბენჯამინს, რომელიც წერს, რომ კულტურის ყველა ფორმა გარკვეულწილად კავშირშია, რადგან კულტურა არის სიგნიფიკატორული, ანუ სიმბოლური აქტივობა. მისთვის კულტურის არტიკულაცია შესაძლებელია არა შინაარსობრივი მსგავსების გამო (კულტურებს ექვივალენტური თემატიკა არა აქვთ), არამედ ყველა კულტურა აყალიბებს საკუთარ სიმბოლოს და ადგენს თემატიკას, ინტერპელაციური პრაქტიკით“ (Bhabha, 1990:209-10). ბჰაბა მეტაფორის სტრუქტურისაგან სესხულობს ცნებას “displacement of liminality” „საზღვრებს

შორისის ადგილმონაცვლეობა“, ცნებას, რომელიც აღნიშნავს კულტურის პრიორიტეტებისა და კულტურის სფეროში ნამოღვაწარის განსხვავებულად, შეუსაბამოდ ფორმულირების საშუალებას. მას მაგალითად მოჰყავს მაგალითად, სალმან რუშდის „სატანური ლექსების“ (1990:210-11) გამოქვეყნების თანმდევი სიტუაციები. ადგილმონაცვლეობის და ტრანსფორმაციების პროცესები ერთ კულტურაში, ან კულტურათა შორის წარმოქმნის ისეთ სივრცეს, რომელსაც ბჰაბა უწოდებს „მესამე სივრცეს“. ესაა იდენტიფიცირების პროცესი და არა (პიროვნული) იდენტობა. იდენტიფიცირების პროცესი ნიშნავს მუდმივად თარგმნიდე სხვა კულტურას შენს ენაზე, რათა ის გასაგები გახდეს ადგილშეცვლილი, სხვა კულტურაში მიგრირებულისთვის. მიგრანტისათვის არ არსებობს არც საგნებისა და არც კულტურის ფორმების სრული თარგმანის შესაძლებლობა. მიგრანტისათვის იქმნება ჰიბრიდი, რომელსაც, თარგმანის მსგავსად, ყოფილი მნიშვნელობების კვალი მოჰყვება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელობისა და მისი რეპრეზენტაციის ახალ გაგებას წარმოშობს. ჩიფიტცი და ნირანჯანა აღწერენ, თუ როგორ გარდაიქმნება თარგმანი კოლონიალიზმის, დომინაციის ინსტრუმენტად. ისინი ქუინის (ავტორი წიგნისა: „თარგმანი და ანალიტიკური ფილოსოფია“, 1960) ფილოსოფიური ტრადიციის კვალდაკვალ ეთნოგრაფიას სწავლობდნენ. ნირანჯანა ინდოეთის ინგლისელი კოლონიზატორების მიერ თარგმნილი წიგნების წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობას იკვლევდა. კვლევის შედეგად, მან თვალსაჩინოდ წარმოადგინა, თუ როგორ გამოიყენება მთარგმნელობითი პროექტი, რათა კოლონიური თემატიკა ისტორიაში შეიტანონ, - ისტორიაში, საიდანაც თავად მას, ავტორს, აძევებენ; ნირანჯანა წერს, რომ ეს ის ძალადობაა, რაც ყოველი კოლონიური თემის კონსტრუირებას თან ახლავს (1992:2). ნირანჯანა მიიჩნევს, რომ მთარგმნელობითი პრაქტიკა ესაა ინტერპრეტაციისა და კითხვის შუალედური პროცესი, თარგმანი ორივე ფენომენში

მონაწილეობს, თუმცა მთელი სისრულით არც ერთ მათგანს არ ეკუთვნის; ამდენად, ის ჰგავს მეტაფორას - ესაა გადაადგილების, გადატანის ფორმა. ამ კონტექსტში, პოსტკოლონიური თემის სიტუაცია არის „თარგმანის პროცესში მყოფი". ჩიფიტცი მიიჩნევს, რომ რენესანსის რიტორიკულ ტერმინი მეტაფორისათვის (*ტრანსლატიო - translatio*) სტილისტური ხერხია, რომელიც მკაფიო ასახავს კოლონიალისტურ ძალმომრეობას, მის მიერ საკუთარი წესრიგის დამყარებას ადგილობრივ კულტურულ „ქაოსზე", მოდელი, რომელიც ანგლო-ამერიკულ საგარეო და საშინაო პოლიტიკას თან ახლავს მე-16 საუკუნიდან.

ერიკ ჩიფიტცი ნაშრომში: „იმპერიალიზმის პოეტიკა: თარგმანი და კოლონიალიზაცია ტემპესტიდან ტარზანამდე" (1991) წერს მე-16 და მე-17 საუკუნეებში ევროპულ კოლონიზატორულ პოლიტიკაზე. ევროპის ექსპანსიაზე „ახალი სამყაროში", შეერთებულ შტატებში ადგილობრივ ინდიელ ამერიკელებთან ურთიერთობების პოლიტიკაზე. ის აანალიზებს ამ პერიოდის მხატვრულ ნაწარმოებებს (რომანებს, მონების შესახებ თხზულებებს, პიესებს, მათ შორის The Tempest-ს). ჩიფიტცისათვის, თარგმანი არის საგარეო პოლიტიკის მეტაფორა, ანუ მეტაფორა, რომელიც საგარეო პოლიტიკის აღმნიშვნელია, სწორედ ისე, როგორც არისტოტელე აყალიბებს საგარეო პოლიტიკის რაობას მეტაფორის დეფინიციაში. ნირანჯანა წერს, რომ „მეტაფორა აღნიშნავს საზღვარს „საშინაოსა" და „საგარეოს" შორის, და ამავე დროს ამ საზღვრებს უჩინარჰყოფს" (Niranjana, 1991:94).

ტერმინი „თარგმანის" როგორც ტრანსლაციის მნიშვნელობა ყოველ ავტორთან მეტ-ნაკლები სკრუპულოზურობით გამოირჩევა; ტერმინის როგორც სიტყვასიტყვითი, ისე მეტაფორული აქტივიზება

ავტორის მიერ „თარგმნის“, როგორც ტრანსლაციის გააზრებაზეა დამოკიდებული.

ანდრე ლეფევერი საკუთარ ნაშრომში „თარგმანი, ხელახლა წერა და მხატვრული სახელით მანიპულირება“ „გადაწერას“ ან „ხელახალ წერას“ (rewriting) უწოდებს მოვლენას, როცა ერთი კულტურის დამახასიათებელი მთავარი ტრადიციები „გადაითარგმნება“ მეორეზე. ს. ბასნეტი 1993 წელს, ნაშრომში „კომპარატიული ლიტერატურა: კრიტიკული შესავალი“ წერს: „წერის პროცესი ვაკუუმში არ მიმდინარეობს, ის კონტექსტში მიმდინარეობს და ტექსტის თარგმნა ერთი კულტურის სისტემიდან მეორეზე არ გახლავთ ნეიტრალური, უცოდველი, გამჭვირვალე საქმიანობა... თარგმანი არის უაღრესად მოტივირებული, ტრანსგრესული მოღვაწეობა“ (ბასნეტი 160-1). ევროპის ექსპანსია, კოლონიალიზმი და იმპერიალიზმი დამკვიდრდა ევროპული ძალაუფლების, სოციუმისა და იდეების „თარგმნით“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (ანუ „გარდაქმნით“) მთელი დანარჩენი მსოფლიოსათვის. მე-15 საუკუნიდან მე-19 საუკუნის ადრეულ წლების ჩათვლით ევროპული ლიტერატურა შთაგონების წყაროს ჰპოვებდა ევროპის მიერ მსოფლიოს დაპყრობაში და თაყად მონაწილეობდა ამ დაპყრობილი სამყაროს „თარგმნაში.“

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მცირე ერებს, ვისი ენაც, ბუნებრივია, არ არის დომინანტური, გაცილებით მეტად აინტერესებთ თარგმნა დომინანტურ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებენ იმ უდავოდ უარყოფით შედეგებს, რაც შეიძლება თარგმანში იდენტობის მცდარ რეპრეზენტაციას შეიძლება მოჰყვეს თან.

თარგმანში იდენტობის ქმნადობის პროცესი თავისუფალი ვერ იქნება პოლიტიზირებისაგან, სტერეოტიპებისა და იდეოლოგიისაგან. ჩიფიტცის აზრით, „ჩვენ ყველანი თარგმნის პროცესში ვართ“, ასე

ვთქვათ, კულტურათა შორის „ვითარგმნებით“. „თარგმანი ფუნქციონირებს სწორედ ისე, როგორც სტილისტური ხერხი მეტაფორა“, აცხადებენ თეორეტიკოსები, რადგან სულ უფრო მეტად საჭირო ხდება თარგმანმცოდნეობის კვლევების წარმართვა ინტერკულტურული ურთიერთობების კონტექსტში. თარგმანის, როგორც დისკურსის სფეროს მოდუსებსა და მეთოდებს, სხვა, უფრო ფართო დისკურსული სფეროები განსაზღვრავენ. თეორეტიკოსი იზერი აცხადებს, რომ ცნება „თარგმნადობა“ „კულტურული ჰეგემონიის“ ცნების საწინააღმდეგო ცნებაა (Iser, 1995:30). თარგმანის, როგორც მეტაფორასთან გაიგივებული ცნებისადმი კვლევით მიდგომაში თეორიული იზომორფულობა არ შეიმჩნევა დესკრიპტივისტებსა (მაგ. რობინსსა და იზერს) და პოსტკოლონიალიზმის თეორეტიკოსებს შორის. ტრადიციულად, მიიჩნევა, რომ თარგმნილი ტექსტები იმ კულტურის ფანჯარაა, საიდანაც მომდინარეობენ და შესაბამისად, კულტურათშორისი გაგებას უწყობენ ხელს. ნირანჯანა, ვენუტი და ბჰაბა განმანათლებლობის ეპოქის იდეოლოგიას ახსენებენ მკითხველს: რა როლს ასრულებდა თარგმნილი ტექსტი ჰეგემონიური კულტურის ღირებულებათა თავზე მოხვევაში? როგორ ნიღბავდა კოლონიურ ძალმომრეობას? ეს ყველაფერი რთულ მთარგმნელობით პოლიტიკას უკავშირდება, ხოლო პოლიტიკა კი ისტორიისა და თეორიის მოქმედებაში მოყვანაა (ჩიფიტცი 1991:xx).

თარგმანი და იდეოლოგია

იმისათვის, რომ თარგმანისა და იდეოლოგიის ურთიერთმიმართება გავიგოთ, თავდაპირველად დავაკვირდეთ მნიშვნელობასა და იდეოლოგიას შორის არსებულ ზღვარს. ბევრი ფიქრობს, რომ სიტყვებს ერთი ან რამდენიმე ფიქსირებული და განსაზღვრული მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად ისეთი, როგორც ლექსიკონშია. გარდა ამისა, სიტყვის მნიშვნელობა ადამიანის გონებაში „ცხოვრობს", ვთქვათ, ისეთი ფენომენის სახით, რასაც „ცნებას" ეუწოდებთ. დავაკვირდეთ, როგორ ხდება სიტყვის მნიშვნელობის აღქმა-გაგება. როდესაც ვკითხულობთ, ან აკუსტიკურად გვესმის სიტყვა, (ა) ვიცით მისი მზა „ცნებითი" არსი, (ბ) გავიხსენებთ და მოვიშველიებთ სალექსიკონო მნიშვნელობებს და ვფიქრობთ, რომ ვიცით კიდეც სიტყვის მნიშვნელობა. ვერბალური კომუნიკაცია რომ შედგეს, სიტყვას მართლაც უნდა ჰქონდეს ფიქსირებული ცნებითი მნიშვნელობა ან მნიშვნელობები, ხოლო თანამოსაუბრეებს მნიშვნელობების ჯამის საერთო, ზიარი ცოდნა.

მეორეს მხრივ, ლექსიკონში დაფიქსირებული სიტყვები შეიძლება ჰოლოგრამას შევადაროთ, რადგან ჩვენ მხოლოდ სიტყვების გამოსახულებას, ანუ მნიშვნელობას ვხედავთ და არა თავად სიტყვას, ან მასთან დაკავშირებულ მეტაფორებსა და ასოციაციებს, რომლებმაც შეიძლება სიტყვის მნიშვნელობის სრულიად შეცვალონ კონტექსტში; შესაბამისად, სიტყვა სალექსიკონო მნიშვნელობის მიღმა დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობს და მნიშვნელობის სხვადასხვა ვარიანტს იძენს სხვა სიტყვებთან თანამეზობლობაში, რადგან მათი ცნებითი განზომილება ცვალებადობს. მაგალითად, ლექსიკური ერთეული „coffee"-ს სალექსიკონო განმარტებებში ვერსად ნახავთ განმარტებას „ყავის მაგნატი", ან მის სინონიმებს, მაგრამ წინადადებაში: *„დიდი ყავა უპირისპირდება კანონმდებლობას"* ყავა მეტაფორულ

მნიშვნელობას იძენს და *„დიდი ყავის“* მნიშვნელობა შეიძლება გავიგოთ, როგორც *„ყავის მაგნატი“*, *„ყავის მსხვილი მწარმოებელი“* *„ბიზნესმენი, ვინც ყავით ვაჭრობს“*. სიტყვის ახალი, მეტაფორული მნიშვნელობები აღმოცენდება ახალ კონტექსტში. თუ ვიტყვით, *„ყავა დაიღვარა, ტილო მოიტანეთ“*, სიტყვა აღნიშნავს სითხეს. თუ ვიტყვით, *„ყავა დაიბნა, ცოცხი მოიტანეთ“*, სიტყვა აღნიშნავს ან მარცვალს, ან დაფქვილ ყავას. ხოლო თუ ვიტყვი *„ყავა გადმოცვივდა / გადმოიყარა, ისევ ერთად დააწყეთ“*, ეს ნიშნავს ყავის შემცველ კონტეინერებს. თუ ვიტყვით, *„ყავის პლანტატორები ექსპლუატაციას უწევენ მუშებს“*, სიტყვა აღნიშნავს ყავის ნაყოფის ხეს. ამრიგად, ზემოთმოყვანილ კონტექსტებში სიტყვა „ყავა“ არ უკავშირდება ერთ კონკრეტულ ცნებას.

კულტურული მოდელი შეიძლება გავიგოთ, როგორც სიტყვის მნიშვნელობების საერთო ცოდნის მეტაფორა, რის მეშვეობითაც ხალხი ცდილობს რთული რეალობა გაამარტივოს, რათა უკეთ ჩასწვდეს მის არსს. მაგალითისათვის დავუბრუნდეთ სიტყვას „უცოლო კაცი“, რომელსაც კონკრეტული დეფინიცია აქვს, მაგრამ, თუ ვიკითხავთ: „Is the Pope bacehlor?“ - "პაპი უცოლოა?" ამ შემთხვევაში „დიახ“ პასუხის გაცემა არცთუ სახარბიელოა. დეფინიცია აქ ვერ დაგვეხმარება. რასაკვირველია, კულტურული მოდელში არსებობს ტრადიციული შეთანხმება, თუ რას ნიშნავს ესა თუ ის სიტყვა ამა თუ იმ სიტუაციაში. ჩვენ ასეთ მნიშვნელობებს მზამზარეულად ვიღებთ, სანამ ვინმე არ შემოგვთავაზებს, რომ ეს მნიშვნელობა დაირღვეს ან შეუსაბამო გახდეს. ან, სანამ არ აღმოჩნდება ახალი სიტუაცია, რომელსაც არ მოიცავს ჩვენთვის ცნობილი სიტყვის მნიშვნელობას. ზოგადად, ხალხის თანაცხოვრება განსაზღვრავს სიტყვის ტრადიციული მნიშვნელობის გაზიარებას, რადგან საზიარო გვაქვს ისტორია, ინსტიტუციები, საზოგადოება. ეს საზიარო ერთეულები თითქოსდა იმისთვის

არსებობენ, რომ სტაბილური და ტრადიციული მნიშვნელობა შესძინონ სიტყვებს, რათა ადამიანებმა თავიანთი ინტერესების განხორციელება შეძლონ. თუ საკითხს ამგვარად შევხედავთ, ნათლად დავინახავთ იმ განცხადების მეორე მხარეს, რომ მნიშვნელობა არის სოციალური და კულტურული მოვლენა და არამხოლოდ ის, რაც ჩვენს გონებაშია ფიქსირებული.

იდეოლოგიის გამავრცელებელი დაწესებულებები უდიდეს სოციალურ სამუშაოს ასრულებენ, რათა სიტყვის მნიშვნელობას საკუთარი „პოლიტიკური რაკურსი" შესძინონ. ჩამოაყალიბონ სიტყვების მეტნაკლებად სტაბილური, ტრადიციული მნიშვნელობები, რასაც ყველა გაიზიარებს. მაგალითად, სამხედრო პირებს შეიძლება „თავისუფლებისთვის მებრძოლები" უწოდონ მოკავშირეებმა, თუმცა, იგივე მებრძოლებს მათი მოწინააღმდეგე „ტერორისტებად" მოიხსენიებს. სიტყვის ცნებითი გადათამაშების მიზეზი იდეოლოგიაშია საძიებელი; საკუთრივ იდეოლოგია ყოველთვის რაიმე მიზანს ემსახურება, რომლის მიღწევა ენის პოლიტიკის[8] მეშვეობით არის შესაძლებელი. ერთ-ერთი ვიდეო თამაში, რომელიც სირიაში გამოვიდა, "Under Ash" - წარმოგვიდგენს გმირს, ახალგაზრდა პალესტინელს, რომელიც ქვებს ესვრის და ებრძვის ებრაელ ჯარისკაცებს და ებრაულ მოსახლეობას. თამაში ისეთ კულტურულ მოდელში მოქმედებს, რომელშიც განსაზღვრულია, რომ „მოქალაქეები" არ უნდა დაზიანდნენ, ხოლო ებრაელი მოსახლეობა არ ითვლება მოქალაქეებად, ისინი წარმოდგენილი არიან როგორც „ოკუპაციური ძალების მეწინავე ჯარები". რა თქმა უნდა, ებრაული მოსახლეობა „მოდელირებულია",

---

[8] „რადგანაც თანამედროვე სამყარო გამჭოლობას პრეზენტირებს, აქედან ენაც ტოტალურად პოლიტიკურია, ანუ იგი გვაქვემდებარებს პოლიტიკის ყველა სემიოტიკურ კანონსა და კოდურ სისტემას, რომელიც ჩვენ მიერ კომუნიკაციის აქტში ცნობიერდება", მიუთითებს ნანა ტრაპაიძე. 2016:70

მაგრამ, თუ მათ განეიხილაეთ როგორც „მოქალაქეებს“ (და არა მებრძოლებს) მაშინ, ისინი, ვინც მათ ებრძვის „ტერორისტებია“. თუ ჩვენ მათ მებრძოლებად მივიჩნეეთ და არა მშვიდობიან მოქალაქეებად, მაშინ ის ხალხი, ვინც მათ ებრძვის „თაეისუფლებისთვის მებრძოლებად“ აღიქმებიან.

ცხადია, იდეოლოგია ცდილობს საკუთარი პოლიტიკური რაკურსის შესაბამისად დაამკვიდროს ის მნიშვნელობები, რასაც ვანიჭებთ სიტყვებს: „მოქალაქე“ და „ტერორისტი“. განსაკუთრებით იმ საზოგადოებაში რომ დაამკვიდროს, ვინც ამ მნიშვნელობებს სადავოდ მიიჩნევს. ეს არც მხოლოდ პოლიტიკის საკითხია, და მთლად პოლიტიკურ რიტორიკასაც ვერ მივაწერთ, რომლის წყალობითაც, ერთი მხარე მეორეზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობს. აქ ისაა საგულისხმო, თუ რა მნიშვნელობას მივანიჭებთ ჩვენ სიტყვას, ჩვენივე ცოდნიდან ან ჩვენივე არჩევანიდან გამომდინარე, რა ღირებულებებს ვიზიარებთ, რა რწმენას, ან ინტერესებს ვემსახურებით. ასეთ შემთხვევაში, სიტყვები მხოლოდ შედეგია ყოველივე ზემოთქმულისა. სიტყვები და სამყარო ერთმანეთს ემყარება. ამრიგად, მივიღეთ თეორია, რომ სიტყვების მნიშვნელობა:

1. შეიძლება იცვლებოდეს, კონტექსტში მათი გამოყენების მიხედვით;

2. ითხზვება სხვადასხვა ცოდნის, რწმენის, ამბის, ღირებულებების მიხედვით, მისი განსაზღვრება დამოკიდებულია არა დეფინიციაზე, არამედ კონკრეტულ კულტურულ მოდელებზე, რომლებშიცაა კაფსულირებული.

3. სოციალური მოლაპარაკების საგანია, რომელიც ამა თუ იმ კულტურას უდევს საფუძვლად;

4. ბევრი სიტყვისთვის სხვადასხვა ისტორიული პერიპეტიების დროს ჩამოყალიბდა მნიშვნელობის შედარებით სტაბილური განსაზღვრება, იმ ფაქტის წყალობით, რომ ადამიანები იზიარებენ მათ ტრადიციულ მნიშვნელობებს, მათ შორის სხვადასხვა კონტექსტში აქტივიზებისას მათ ცვალებად მნიშვნელობებსაც.

5. სიტყვის ტრადიციული განსაზღვრებები შეიძლება დაირღვეს, სადავო გახდეს ან შეიცვალოს;

6. დასკვნითად, სიტყვების მნიშვნელობების ძალით დამკვიდრებისა და მათი პოლიტიკური კურსით ფუნქციონირებაზე სოციალური მუშაობა მიმდინარეობს.

საკუთარი პოლიტიკური რაკურსის შესაბამისად სიტყვის მნიშვნელობის ნებისმიერი სახეცვლილება არის კონცეპტ იდეოლოგიური მანიპულაციის არსი. არაერთი ნათარგმნი მხატვრული ტექსტია იდეოლოგიური მანიპულაციის „მსხვერპლი“; პოსტკოლონიური მიდგომა თარგმანისადმი არის დედნის ტექსტში იდეოლოგიური ჩარევისა და მთარგმნელობითი პოლიტიკის, ანგაჟირებისა და აგენციის კვლევა.

თარგმანმცოდნეობაში მანიპულაციის იდეა არაერთი სწავლულის კვლევის საკითხი მას იკვლევდნენ როგორც ადრეული „მანიპულაციის სკოლების“ წარმომადგენლები (ს. ბასნეტი, თ. ჰერმენსი, ს. ჰოლმსი, ი. ზოჰარი, ა.ლეფეველრი და გ. თაური) ასევე თანამედროვე სწავლულებიც. მანიპულაციის საკითხს იკვლევენ არა მხოლოდ ლიტერატურის თარგმანში არამედ, მასმედიის, ფილმების თუ სპექტაკლების თარგმანში.

თარგმანში მანიპულაციას უმეტესწილად განსაზღვრავს სამიზნე ენის კულტურა. ა. ლეფეველი[9] აღნიშნავს, რომ მთარგმნელობით საქმიანობაში დომინანტური როლი იდეოლოგიას ეკუთვნის. შესაბამისად, ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ტექსტები სხვადასხვა მოთხოვნების შესაბამისად ითარგმნებოდა. მთავარი ის იყო, რომ თარგმანი სამიზნე ენის იმ პერიოდში არსებული იდეოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად გადათრგმნილიყო. არსებული იდეოლოგიის ზეგავლენა რამდენიმე ქვეყანაში დღესაც საგრძნობია მთარგმნელობით საქმიანობაზე. ჯემალ ალ–ქინაი (ქუეითი) ადასტურებს ფრანგულიდან არაბულად შესრულებულ თარგმანებში „არაბიზაციის“ და „ეგვიპტიზაციის“ შემთხვევებს (Al-Quinai, 2005), ჩინელი მკვლევარი შინჩუნ–ლინგი (Shih, Chung-ling, 2010) კი წერს დასავლური ენებიდან ჩინურ ენაზე თარგმნისას იდეოლოგიური გავლენის შესახებ. იდეოლოგიური მანიპულაციის გამო აკრიტიკებენ ჯინ ვებსტერის მოთხრობის, „გრძელფეხება მამას“ (Daddy Long Legs). სპარსულ ენაზე თარგმანს მოჰამედ რაჰბარი, ზაინაბ რანჯბარი და ბიჯან ბატენი...

ს. ბასნეტისა და ა. ლეფეველის მიხედვით, *გადაწერის სტრატეგიით თარგმნილი ყველა ტექსტი* ასახავს არსებულ იდეოლოგიას. გადაწერას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც. დადებით მხარეებად ითვლება ის, რომ გადაწერილი ტექსტი გვთავაზობს ახალ კონცეპტებს, ჟანრებს, მეთოდებს. რაღა თქმა უნდა, თარგმანის ისტორია არის სალიტერატურო ინოვაციების ისტორიაც, სადაც შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ იძენდა ახალ სახეს ერთი კულტურის იდეოლოგია და რა სახეცვლილებებით ხვდებოდა მეორე კულტურაში. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, გადაწერა აფერხებს ინოვაციას, ამახინჯებს დედანს და მანიპულირებს მისით.

ცენზურა, როგორც იდეოლოგიის ნაწილი და თარგმანი

იდეოლოგიის გასავრცელებლად ერთ-ერთი ნაცადი გზაა მეტყველებაზე ზედამხედველობის დაწესება. ასეთი რეჟიმის დროს, კომუნიკაციის ორი მოდუსი, ზეპირმეტყველება და წერილობითი მეტყველება ექვემდებარება ცენზურის რედაქტირება-კორექტირების მკაცრ სისტემას. *ცენზურამ შეიძლება გადაფაროს მწერლის ხმა დედანში, ან თარგმანში;* თარგმნილ მხატვრულ ლიტერატურაში, მეტაფორულად რომ ვთქვათ, შეიძლება ხანდახან სამი ხმა: მწერლის, მთარგმნელისა და ცენზორის ერთდროულად ისმოდეს.

იდეოლოგიური ჩარევისას, მწერლის ხმა თარგმანში ნაკლებად შთამბეჭდავია, იკარგება თხრობის ფილოსოფია, პატრიოტული მოტივები და რევოლუციური ტონი. თარგმანში იკითხება შიში, ტექსტი მოზომილი პოლიტიკური თუ იდეოლოგიური ფრაზებითაა გაფორმებული. ამდენად ცენზურა არის კულტურის პოლიტიკის იდეოლოგიური ბერკეტი.

საბჭოთა კავშირის პერიოდში შესრულებულ თარგმანებს უნდა გაეცნოთ ცენზურა, რის შედეგადაც თარგმანი გარდაუვლად იცვლებოდა და ერგებოდა იმ პერიოდისთვის დამახასიათებელ იდეოლოგიას. ხდებოდა ნაწარმოებების ზოგიერთი ნაწილის წაშლა, გამოტოვება, შეცვლა ან ჩანაცვლება.

ლექსიკური ერთეულების თარგმნა სხვა სემანტიკური ველის ლექსემებით, იდეოლოგიური მიზანმიმართებით, - ესაა მანიპულირება დედნის ტექსტის რეალური შინაარსის შესანიღბად. პოსტკოლონიური ლიტერატურის შემსწავლელები სულ უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან იდეოლოგიის ზეგავლენას ლიტერატურაზე,

აუდიტორიის მიერ მის მიღებასა და შეფასებას. მეცნიერები ტექსტის არაერთი მნიშვნელობის გასაღებს სწორედ კოდირებული ფარული კომუნიკაციის მნიშვნელობის გახსნითა და შენიღბული ფორმებით გამოხატულ კულტურული ჩაგვრის განმარტებით პოულობენ. ორმაგ მეტყველებას, მულტივალენტურ ენასა და პოლისემანტურ კომუნიკაციას აქვთ სუბვერსიული ზემოქმედების უნარი და საკვლევი სწორედ მათი მექანიზმებია. პოსტკოლონიური თეორია ასევე იკვლევს ორმაგი შეგნების ზეგავლენას ბილინგვა და ბიკულტურულ ინდივიდებზე, ლინგვისტური და კულტურული გარდამავალი ეტაპის (ტრანზიციის) პერიოდის მქონე ქვეყნებში კი კი კულტურული გამოჯანსაღებისა და რეზისტენციის სტრატეგიებს.

ნაიდა აღნიშნავს, რომ „სრული ტექსტის წარმატებული თარგმნისათვის ბიკულტურიზმი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბილინგვიზმი, ვინაიდან სიტყვებს მნიშვნელობას ის კულტურა ანიჭებს, რომელშიც ისინი ფუნქციონირებენ“ (Nida, 2001:82). „აკადემიური დაწესებულებებისა და თარგმანმცოდნეთა დაინტერესებამ დეკონსტრუქციითა და კულტურათმცოდნეობით წინ წამოსწია იდეოლოგიის თემა, უფრო კონკრეტულად იდეოლოგიისა და ძალაუფლებრივი ურთიერთობების საკითხი. პოსტკოლონიალიზმის მკვლევარი, ჰომი ბჰაბა წერს (Bhabha, 1985, Sommer 1992), რომ როგორც კოლონიალისტური. ისე რეზისტენციული კატეგორიის ტექსტებში გამოვლენილია ძალაუფლებისა და ძალმომრეობის ფორმები. ბჰაბა, ისეთი ფენომენის დეტალებს იკვლევს, როგორიცაა ჰიბრიდულობა.

მთარგმნელობითი პოლიტიკა

თარგმანს ხშირად უყურებენ ეჭვის თვალით, რადგან ის უცილობლად „აშინაურებს“ უცხოურ ტექსტს. იმ ენობრივ და კულტურულ თვისებებს სძენს, რომლითაც მკითხველს გასაგებად გადასცემს ამბავს. ამ პროცესს ეწოდება ინსკრიპცია და ის თარგმანის ყოველ საფეხურზე ხდება, თარგმნის დაწყებისას, დაბეჭდვისა და მიმოქცევაში გასვლისას, თარგმანის მიღებისას. თავად არჩევანიც პოლიტიკაა - ტექსტის სათარგმნად არჩევა, მისი გამორჩევა სხვებისგან და სხვა უცხოენოვანი მხატვრული ლიტერატურის გამორიცხვა გარკვეულ შიდა ინტერესს ემსახურება. არჩევანი უკვე პასუხია. ყალიბდება თარგმანის სტრატეგია, გადაიწერება უცხოური ტექსტის დისკურსი „შიდა დიალექტზე“, თანდართული შიდა ღირებულებებით, „გარე ფასეულობების“ გამორიცხვით.

1950-1960-იან წლებში ამერიკელმა გამომცემლებმა იაპონური ლიტერატურის თარგმნა დაიწყეს. ე. ფაულერი წერს (1992), რომ გამომცემლობებს მხოლოდ მხატვრული ღირებულება კი არ აინტერესებდათ, არამედ კომერციულიც. მათი არჩევანი რამდენიმე ავტორით შემოიფარგლა: ტანიზაკი იუნიჩირო, კავაბატა იასუნარი და მიშიმა იუკიო. ამერიკელი გამომცემლობების ეს შერჩევითი პოლიტიკა უკვე ჩამოყალიბებულ სტერეოტიპებს მხოლოდ იმიტომ დაეყრდნო, რომ მკითხველის მოლოდინი არ გაეწბილებინა და წიგნი გაეყიდა. ამ საგამომცემლო ფანდმა, თავის მხრივ, იაპონური ლიტერატურის კანონიზებული ვერსია წარმატებით დაამკვიდრა და უკვე არაერთი ათწლეულია, მკითხველს სთავაზობს იმას, რაც კარგად იყიდება და არა იმას, რასაც შეუძლია სტერეოტიპის დარღვევა და განსხვავებულ

იაპონიას ჩვენება. კულტურული სტერეოტიპების მკითხველისთვის შეთავაზება ნაცადი და უტყუარი კომერციული სქემაა, თუმცა იგი საშიშ და შეუქცევად პროცესადაც შეიძლება იქცეს: მოგვიანებით, ევროპულმა გამომცემლობებმა დაიწყეს იმ იაპონური ლიტერატურის თარგმნა ინგლისურიდან, რაც ამერიკელებმა თარგმნეს. ასე მოხდა იაპონური ლიტერატურის კანონიზება ამერიკული ზეგავლენით ევროპაში. ინგლისურენოვანი მკითხველის გემოვნება დასავლური სამყაროსთვის სტერეოტიპად იქცა.

დაკარგული წარსულისადმი ნოსტალგიით გამსჭვალული ხატებით გაფორმებული ტექსტები იქცა კანონიზებულ იაპონურ ლიტერატურად. თარგმნილი ტრადიციული იაპონური ლიტერატურა ძირითადად გადმოსცემდა იაპონელების უარყოფით განწყობას სამხედრო კონფლიქტებისადმი, დასავლური კულტურის დომინაციისადმი, სოციალური ცვლილებებისადმი... იაპონია ეგზოტიკურ, ესთეტიზებულ, კვინტესენციურად უცხო ქვეყნად წარმოადგინეს. იაპონიის ახლებური ხედვა ომამდელი იაპონიის ხატის საპირისპიროა, როდესაც კანონიზებული იყო საომრად განწყობილი, უხეში და მუდმივად საშიში ძალის ამსახველი ლიტერატურა.

იაპონური მხატვრული პროზის ინგლისურენოვანი მთარგმნელობითი კანონის დამკვიდრებაც პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. თარგმანის პოლიტიკური ფუნქცია და როლი ამერიკელი დიპლომატების იაპონიასთან ურთიერთობების ხელშეწყობა გახლდათ. ეს შორსგამიზნული სტრატეგია აღმოსავლეთით საბჭოთა ექსპანსიის შესასუსტებლად იყო დასახული.

გამომცემლობებს თარგმანის სტილისა და მანერის შესახებაც ჰქონდათ საკუთარი (კომერციული) მოსაზრებები: სავალდებულოდ იქცა თარგმანის „დატოლება" დედანთან, მათი ერთგვაროვნება, ამალგამა და ჰომოგენიზება, მიბაძვა... მაგრამ არა დედნის სტილისა და წერის ინდივიდუალურ მანერის შენარჩუნება. თარგმანის ენა მწერლის „ხმას"

არ ითვალისწინებდა. როგორც მილერი (Miller 1986: 219) წერს, თარგმნილი ტექსტი თანამედროვე, ზომიერად განათლებული და ლიტერატურული ნიჭით ზომიერად დაჯილდოვებული ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორის ნაწერს უნდა მგვანებოდა. საბოლოოდ, აკადემიური მთარგმნელებისა და მათი გამომცემლების ინტერესი ზოგადად იაპონიის, მისი ლიტერატურის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკის მიმართ მეორე მსოფლიოს ომის დროს იაპონიასთან კრიზისის შედეგად ჩამოყალიბდა,

ამერიკაში დამკვიდრებულია საგამომცემლო ინდუსტრიის თანამშრომლობა უნივერსიტეტებთან, რამაც შეიძლება მისაღები კონსენსუსიც ჩამოაყალიბა ქვეყანაში. ორივე მათგანს აკისრია კულტურული მისია, აქვს კულტურის სფეროში საკმაო ძალაუფლება, რომელიც, ამავე დროს, შეუძლია გამოიყენოს არაკანონიზებული ტექსტების მარგინალიზებისათვის. გარდა ამისა, მთარგმნელობითი პრაქტიკა შეიძლება იქცეს ადგილობრივი იდეოლოგიისა და ინსტიტუციებისთვის სუბვერსიულ ძალად - მთარგმნელობითი საქმის ერთ-ერთი მთავარი შტრიხი ხომ ეთნოცენტრული ღერძების ირგვლივ ტრიალი და კულტურული იდენტობის ფორმირებაა.

თარგმანის იდენტობა რეალურად ინტერკულტურულია, არა ორი კულტურის შენივთების თვალსაზრისით, უცხოურისა და შინაურის, არამედ შიდა აუდიტორიის კულტურული ბარიერის გადაკვეთის თვალსაზრისით.

„მთარგმნელი, რომელსაც არ აქვს ისტორიული შეგნება, ტყვედ ჰყავს ჩაგდებული მისეულ წარმოდგენას თარგმნაზე, და იმ წარმოდგენებს, რაც გადმოგვცემს იმ დროის სოციალურ დისკურსს“, წერს ბერმანი (Berman,1995:61).

პოსტკოლონიური საქართველო

ცარიზმის ეპოქაში

უცხოელის თვალით დანახული საქართველო 1830-იან წლებში


დღეს უკვე ანტიკვარული წიგნი, „მოგზაურობა დასავლეთ კავკასიაში, იმერეთი, სამეგრელო, თურქეთი, მოლდოვა, გალიცია, სილეზია და მორავია“ (“Travels in the Western Caucasus”) ორტომეულია, რომელიც 1836 და 1838 წლებში ლონდონში გამოიცა ბრიტანელი კაპიტანის, ედმუნდ სპენსერის ავტორობით. მოგვიანებით, საბჭოთა რუსეთმა იგი უცხოელ ჯაშუშად გამოაცხადა[10].

კაპიტანმა სპენსერმა საქართველოში იმოგზაურა გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერიდან (1783 წ. 24 ივლისი) ზუთი ათწლეულის შემდეგ, ანუ იმ დროს, როცა ქვეყანა უკვე რუსეთი იმპერიის ნაწილად იყო ქცეული. მისი დახასიათებიდან ჩანს, როგორი დაძაბუნებული იყო სახელმწიფოც და მოსახლეობაც ამ პერიოდში: „მთიელ კავკასიელებს გარეგნობითა და ფიზიკური ძალით ჩამორჩებიან იმ პროვინციის მაცხოვრებლები, რომლებიც ერთ დროს საქართველოს სამეფოს ნაწილი იყო, თუმცა, როგორც რასა, არაფრით ჩამოუვარდებიან


---

[10] Captain Edmund Spencer authored parallel accounts, and all these British travellers were branded "spies" by Russian/Soviet tradition. By contrast, Caucasia's first American guest, George Leighton Ditson, severely disappoints, questioning Spencer's (indeed all Englishmen's!) veracity and dedicating his book to Russia's Caucasian Viceroy, Prince Vorontsov. http://georgehewitt.net/articles/caucasus/275-western-travellers-to-the-caucasus


თურქეთისა და სპარსეთის მკვიდრთ, ხოლო რუს მბრძანებლებს განუზომლად აღემატებიან“, წერს სპენსერი.



სპენსერი საქართველოს მთიან კაეკასიაში მოგზაურობის შემდეგ ეწვია; იგი წერს, რომ იქაურები ვაკე-დაბლობებზე მოსახლე ქართველებს „მხდალებად“ მოიხსენიებდნენ, არა იმიტომ, რომ ბუნებით აკლდათ სიმამაცე ქართველებს, არამედ, რუსეთის ქვეშევრდომად ქცევას უწუნებდნენ.




„ქვეყნისგან, რომელსაც ბუნებრივად გარს არ აკრავს დასაცავად არაფერი, სიგიჟე იქნებოდა“, წერს სპენსერი, „სხვაგვარად მოქცეულიყო“.



epithet *coward*, which is applied by every Caucasian to a native of the plains of Georgia, too severe when used with reference to these people, who still exhibit some appearance of martial bearing, and whose fine eyes might yet sparkle with the fire of the soldier, were they guided by the military talents of a chief of their own choice. Indeed, this opprobrious term does not originate so much in any deficiency of natural courage as from the circumstance that the natives of Georgia and of these provinces have submitted to the rule of Russia, and continue her peaceable subjects; whereas any other line of conduct would have been madness in a people whose country is, for the most part, unprovided with any natural means

სპენსერი მიუთითებს, რომ შავი ზღვისპირეთის ქართველი მოსახლეობა არნახულ ჰუმანურობას იჩენდა უცხოელი მეზღვაურების მიმართ საზღვაო შემთხვევების დროს, უდანაკარგოდ უბრუნებდა ყველა ნივთს და ყოველმხრივ ეხმარებოდა.



68 MINGRELIA.

remained within reach of the talons of the Russian eagle; and no criminal who had escaped from the hands of justice ever felt more satisfaction than we did when, after crossing the insignificant stream, the Tschorak, we found ourselves within the Turkish frontier.

Perhaps there are no people whose character and conduct have been more traduced and misrepresented than the inhabitants of the Asiatic coast of the Euxine. They have been described as savages, banditti, and pirates, whereas I doubt if any country contains a more estimable population, when we consider their total ignorance of

MINGRELIA. 69

to the poor mariner, to whom they have uniformly rendered every kind office, cannot be too highly eulogized. The Turks, Greeks, Italians, and other trading people, can also testify to this fact. We must, however, make one exception, for should a Russian vessel fall into the hands of the mountaineers of the Caucasus, they consider it, and with justice, a lawful prize; while, on the contrary, the very name of an Englishman carries with it a charm that wins at once not only the sympathy of these people, but that of the natives of the ancient Cholchis and Turkey.

Can we extend the same commendation to

ასეთი პატიოსნება და მხარში დგომა სპენსერს უკვირდა იმ ხალხისაგან, რომელსაც, მისი თქმით, არათუ ევროპელებივით არ ჰქონდათ დაწესებული კანონები და მათი აღსრულების ორგანოები, არამედ წარმოდგენაც არ ჰქონდათ მათზე და ვერც განსწავლითა და ცივილურობით გამოირჩეოდნენ. სპენსერმა კოლხეთის დაბლობის ქართველების რამდენიმე თვისებას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი: სიკეთე, ჰუმანურობა და სტუმარმასპინძლობა.

ორიენტალური საქართველოს, როგორც აზიელი ქალის სიმბოლოს ლიტერატურული ხატი

(მომზადებულია ს. ლეიტონის მიხედვით)

რონალდ სანი წერს, რომ რუსულმა რომანტიზმმა არსებითად ფემინიზებული საქართველოს ხატი შექმნა, იმპერიის მშენებელი ძლიერი რუსი მამაკაცების ფონზე სრულიად საპირისპიროდ, უსუსურად და უუნაროდ არიან წარმოჩენილი ქრისტიანი ქართველი მამაკაცები. ამასვე ადასტურებენ სხვა მკვლევარებიც,

ევროპელი ავტორები ხშირად ასახავდნენ იმპერიულ ხელისუფლებას, რომელსაც, როგორც მამაკაცურ დომინანტს, ხელთ უპყრია ფემინიზებული კოლონია, როგორც სამფლობელო. ნიკოლოზ პირველის მეფობისას იგივე პოლიტიკური რიტორიკას მიმართეს რუსმა მწერლებმა. პუშკინის, ბესტუჟევ-მარლინსკის, ლერმონტოვის შემოქმედება კავკასიელების: ჩერქეზების, დაღესტნელებისა და ჩეჩნების დახასიათება უაღრესად სუბიექტური და ორაზროვანია, ისინი ყაჩაღებად, მტაცებლებად და ბოროტმოქმედებად გვეელინებიან:

პუშკინი	ლერმონტოვი
И вдруг пред ними на коне *Черкес. Он быстро на аркане* *Младого пленника влачил. «Вот* *русский!» — **хищник** возопил* *Лица врагов не видит он, Угроз* *и криков он не слышит;* ***Гнездо разбойничьих племен,*** ***Черкесской вольности ограда*** ***Беспечной смелости его*** ***Черкесы грозные дивились***	**Казак! казак! увы, несчастный! Зачем** **злодей тебя убил?** **Зачем же твой свинец опасный** **Его так быстро не сразил?..** **Меж тем черкес, с улыбкой злобной,** **Выходит из глуши дерев,** **И, волку хищному подобный,** **Бросает взор... стоит... без слов**

ეს ლიტერატურული ქმნილებები ერთის მხრივ ამხელს ცარისტული სახელმწიფოს წინააღმდეგ ამხედრებულ მწერალთა სულისკვეთებას, მაგრამ მეორეს მხრივ ასაზრდოებს გამოგონილი საქართველოს კულტურულ ხატს. კავკასიაში იძულებით გადასახლების მიუხედავად, სამშობლოში შერისხული რუსი მწერალები სამხედრო სამსახურსაც იხდიდნენ, ანუ კოლონიზატორის დაკვრობით ომებში მონაწილეობდნენ[11] და მათგან მხოლოდ ერთმა, ლერმონტოვმა დახატა ნახევარაზიური რუსეთი:

«Прощай, немытая Россия,
Страна рабов, страна господ,
И вы, мундиры голубые,
И ты, им преданный народ.
Быть может, за стеной Кавказа
Сокроюсь от твоих пашей,
От их всевидящего глаза,
От их всеслышащих ушей».

ეს ის დროა, როდესაც, წარჩინებული რუსი საზოგადოება რუსულ ენას მდაბიოთა ენად თელის და მასზე საუბარი ეთაკილება, მაღალი სოციალური წრიდან წარმომავლობას კი ფრანგულ ენაზე მეტყველებით ალნიშნავს. თუ პუშკინისა და გრიბოედოვის ფრანგულენოვან დიალოგს გავიხსენებთ, გასაგები ხდება, რომ არაოფიციალური კომუნიკაციაც კი ფრანგულენოვანია; მეგობრებსაც ბუნებრივად მიაჩნიათ არამშობლიურ ენაზე საკუთარი აზრის გაზიარება; გრიბოედოვი ფრანგულად ეტყვის პუშკინს: Vous ne connaissez pas ces gens-la: vous verrez qu'il faudra jouer des couteaux"[12] – „თქვენ არ იცნობთ იმ ხალხს, ნახავთ ეს

[11] https://www.youtube.com/watch?v=YthYfBepPWo

[12] წყარო: ПУТЕШЕСТВИЕ В АРЗРУМ ВО ВРЕМЯ ПОХОДА 1829 ГОДА - http://rvb.ru/pushkin/01text/06prose/01prose/0870.htm

ყველაფერი ხანჯლის ტრიალით დასრულდება". საყურადღებოა, რომ გრიბოედოვი რუსულსა და ფრანგულ ენებს შორის ესოდენ ხაზგასმულ სოციალურ უთანასწორობას საქართველოში ნინო ჭავჭავაძესთანაც ავლენს: "Venez avec moi, j'ai quelque chose a vous dire[13]" – „რაღაც უნდა გითხრათ, გამომყევით", ფრანგულად ეპატიჟება შეყვარებული გრიბოედოვი ნინოს.

რუსულ პოლიტიკურ დისკურსში საქართველოს ორი სიმბოლო განიცდის ტრანსლაციას არაერთ გეოპოლიტიკურ საზღვარს შორის: პირველი, ისტორიულად „რუსეთის მიერ შექმნილი საქართველოს მითი" (რემი 2007:63:89) რუსულად თარგმნილი ქართულ ლიტერატურით ახდენს *ფემინიზებული საქართველოს* ტრანსლაციას რუსული აუდიტორიისათვის.

თუ გადავხედავთ ცარიზმის ეპოქის ლიტერატურას, ურთიერთს ორი ნიშანი უპირისპირდება: *მასკულინური, დომინანტი, სუპერიორი* და *ფემინისტური, დომინირებული, ანუ ინფერიორი.*

---

[13] "Это было 16-го. В этот день я обедал у старой моей приятельницы, за столом сидел против Нины Чавчавадзевой, все на нее глядел, задумался, сердце забилось, не знаю, беспокойство ли другого рода, по службе, теперь необыкнбвенно важной, или что другое придало мне решительность необычайную, выходя из-за стола, я взял ее за руку и сказал ей: "Venez avec moi, j'ai quelque chose a vous dire (Пойдемте со мной, мне надо вам что-то сказать (фр.))". Она меня послушалась, как и всегда; верно, думала, что я ее усажу за фортепиано; вышло не то; дом ее матери возле, мы туда уклонились, взошли в комнату, щеки у меня разгорелись, дыхание занялось, я не помню, что я начал ей бормотать, и все живее и живее, она заплакала, засмеялась, я поцеловал ее, потом к матушке ее, к бабушке, к ее второй матери, Прас. Ник. Ахвердовой, нас благословили, я повис у нее на губах на всю ночь и весь день, отправил курьера к ее отцу в Эривань с письмами от нас обоих и от родных..." წყარო: http://dugward.ru/library/griboedov/hodasevich_gribojedov.html

მწერლებმა პირველი სოციალური როლი არგუნეს მონარქისტულ იმპერიას, ანუ მეტროპოლიას, ხოლო მეორე ამპლუა ერგოთ პერიფერიებს, სადაც რუსული სამხედრო ძალები იყო განლაგებული.

კოლონიის ფემინიზებას ვხედავთ როსტროპჩინის ლექსში „იძულებითი ქორწინება“ (1847), რომელიც პოლონეთში ცარისტული რეპრესიების ალეგორიული ასახვაა: ხანშიშესული ბარონი იძულებით ირთავს ახალგაზრდა, ბედის წინააღმდეგ ამბოხებულ ცოლს. სათაურიდანვე ჩანს, რომ გენდერულად მარკირებულია ალექსანდრე ოდოევსკის ლექსი „საქართველოსა და რუსეთის სამეფოს ქორწინება“ («Брак Грузии с Русским царством») ოდოევსკიმ ლექსი 1838 წელს დაწერა 12 აპრილს ტიფლისში დაწერა და მასში ფემინიზებული საქართველოს მასკულინური რუსეთისადმი დაუოკებელი ჟინის მეტაფორიზებული მითი შეთხზა:

Брак Грузии с Русским царством

Дева черноглазая! Дева чернобровая!
Грузия! дочь и зари, и огня!
Страсть и нега томная, прелесть вечно новая
Дышат в тебе, сожигая меня!
Не томит тебя кручина
Прежних, пасмурных годов!
Много было женихов,
Ты избрала — Исполина!
Вот он идет: по могучим плечам
Пышно бегут светлорусые волны;
Взоры подобны небесным звездам,
Весь он и жизни и крепости полный,
Гордо идет, без щита и меча;
Только с левого плеча,
Зыблясь, падает порфира;
Светл он, как снег; грудь, что степь, широка,

А железная рука
Твердо правит осью мира.
Вышла невеста навстречу; любовь
Зноем полудня зажгла ее кровь;
И, откинув покрывало
От стыдливого чела,
В даль всё глядела, всем звукам внимала,
Там, под Казбеком, в ущелье Дарьяла,
Жениха она ждала.
В сладостном восторге с ним повстречалась
И перстнями поменялась;
В пене Терека к нему
Бросилась бурно в объятья, припала
Нежно на грудь жениху своему.
Приняла думу, и вся — просияла.
Прошлых веков не тревожься печалью,
Вечно к России любовью гори,-
Слитая с нею, как с бранною сталью
Пурпур зари.[1][14]

---

14 [1]Брак Грузии с Русским царством . Впервые — изд. 1883 г., по неисправному списку из архива Вяземских (ЦГАЛИ, ф. 195, ед. хр. 5483). Печ. и датируется по автографу с пометой М. М. Нарышкина (ЦГАЛИ, ф. 368, оп. 1, ед. хр. 1, л. 6-7). Первоначальное заглавие: «Брак Грузии с Россией». А. Е. Розен называл это стихотворение «Сочетание Грузии с Россией» (см. письмо к М. А. Назимову — ИРЛИ, PI, оп. 24, ед. хр. 49, л. 108-109). А. В. Попов считает, опираясь на слова А. Е. Розена: «Часто хаживал он <О.> на могилу своего Грибоедова, воспел его память, воспел Грузию звучными стихами», что это стихотворение посвящено памяти А. С. Грибоедова. «Для Одоевского, как и для многих других декабристов, сосланных на Кавказ, брак Грибоедова и Нины, дочери известного грузинского поэта и общественного деятеля А. Г. Чавчавадзе, был символом нерушимой дружбы и братства русского и грузинского народов. Одоевский, конечно, знал, что на Кавказе Грибоедова называли зятем грузинского народа» (А. В. Попов. Одоевский на Кавказе. Материалы по изучению Ставропольского края. Вып. 4, 1952, стр. 232). Предположение это, на наш взгляд, мало обосновано. У А. Е. Розена речь идет, очевидно, о двух разных

აღსანიშნავია, რომ გამოჩენილი უკრაინელი პოეტი, ტარას შევჩენკო სამშობლოს წარმოსახავდა ქალად, რომელიც მასკულინიზებულმა რუსეთმა, პოლონეთმა ან საკუთარმა ორგულმა შვილებმა გაანადგურეს.

საქართველოს, როგორც აზიელი ქალის ლიტერატურული სიმბოლოს შექმნით, რუსეთი კავკასიასაც ფემინიზებულად წარმოაჩენს. ბესტუჟევ-მარლინკის ლექსების ციკლში *recits de voyage* მთელი კავკასია არამარტო ფემინიზებულია, არამედ, როგორც ს. ლეიტონი წერს, ეროტიულ ურთიერთმიმართებაშია წარმოდგენილი. ეს კრებული 1834-1836 წლებში გამოიცა და შემდგომ „კავკასიურ ესეების" ტომშიც შევიდა.

მთიელი ტომების „დაპყრობა-რომანტიზებაში" რუსმა ავტორებმა ცხადად გამოავლინეს რუსეთის კომპლექსი დასავლეთის განმანათლებლობის მიმართ, რომელსაც მუდამ სუპერიორის პოზიცია ეკავა. კავკასიის სამხედრო ანექსიის შემდეგ კი, იმპერიულ რუსეთს შესაძლებლობა მიეცა, ევროპის წინაშე თავადაც წარმოეჩინა განმანათლებლის სტატუს ქვო. თუმცა, როგორც ლეიტონი წერს, საქართველოში ამ მისიის განხორციელებისას, რუსებს პროტესტის გრძნობა და ინფერიორის კომპლექსიც კი გაუჩნდათ: უძველესი

стихотворениях. Идейный смысл стихотворения «Брак Грузии с Русским царством» значительно шире. Анализ стихотворения (к сожалению, по весьма неисправному тексту) см.: И. Л. Андроников. Лермонтов в Грузии в 1837 году. М., 1955, стр. 106-108, и В. С. Шадури. Декабристская литература и грузинская общественность. Тбилиси, 1958, стр. 336-338.

კულტურის მქონე და ევროპის ტრადიციისამებრ ქრისტიანული საქართველო ნაკლებად საჭიროებდა რუსიფიკატორულ განათლებას.

მე-19 საუკუნის რუსმა მწერლებმა და ლიტერატურული კანონის დამამკვიდრებლებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს კავკასიის შესახებ ურყევი, დიქოტომიური კულტურული მითოლოგიის ჩამოყალიბებაში. 1820-1950 წლების პერიოდში ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული კავკასია სამ საყურადღებო შტრიხს აერთიანებს: უპირველესად, დაკნინებულია საქართველოს, როგორც ძირძველი ქრისტიანული ქვეყნის სახე, ავტორები დაჟინებით ქმნიან მისგან აზიურ, კვაზი-ისლამურ კერპს. ამ მხრივ, პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედება განსაკუთრებით „შთამბეჭდავია“. ბესტუჟევ-მარლინსკი კი მხოლოდ ალაზნის ველის, როგორც მომხიბლავი საპატარძლოს სიმბოლიზებით შემოიფარგლება. ეს მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალია.

„ტიფლისის აბანოზე განცხრომის მომგვრელი სხვა არაფერი მინახავსო“, აღნიშნავს პუშკინი მოთხრობაში „მოგზაურობა ერზრუმში.“ მთავარი გმირი მიდის გოგირდის აბანოში, სამშაბათია, ქალთა დღე, ორმოცდაათამდე ქალი, მოხუციც და ახალგაზრდაც იხდის, იცვამს და მასლაათობს. „მამაკაცს დანახვაზე არც ერთი არ აჩქარებულა, რომ *ჩადრი შემოეხვია*, ბევრი მათგანი მართლაც მშვენიერია და თ. მურის წარმოსახვას ამართლებს“, წერს პუშკინი და მურის სტრიქონებს იხსენებს:

A lovely Georgian maid,
With all the bloom, the freshen'd glow
Of her own country maiden's looks,
When warm they rise from Teflis' brooks (*Lalla Rookh).*

თ. მურის სტრიქონებს კი იქვე ერთვის პუშკინის ქსენოფობიური, ღირსების შემლახავი დამოკიდებულება ასაკოვანი ქართველი ქალბატონებისადმი: «Зато не знаю ничего отвратительнее грузинских старух: это ведьмы».[15]

თბილისის აბანოებს ეტყობოდათ კიდეც აღმოსავლური არქიტექტურის ზეგავლენა, მაგრამ პუშკინისთვის რომ საქართველო კულტურული იეროგლიფია იმ ფაქტითაც ჩანს, რომ აჯიღას, ანუ თეთრ ლეჩაქს, იგი ჩადრთან აიგივებს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ასეთი გაიგივება მცდარია, რადგან, ჯერ კიდევ რუსთველი მოიხსენიებს აჯიღას და იგი არ განიმარტება, როგორც რელიგიური დანიშნულების თავსაბური:

აჯიღა (აჯიღისა) ძვ. „ქალთ მოსაფარებელი ზეწარი თეთრი“ (საბა), — ჩადრი. თვალთა, ვითა მარგალიტი, გადმოყარა ცრემლი ხშირი... მთხოვა, გარე აჯიღითა მოიბურა ტანი, პირი (რუსთაველი). აჯიღოსანი - აჯიღოსან-ი (აჯიღოსნისა) ძვ. აჯიღით მობურვილი, აჯიღაში გახვეული, — აჯიღიანი. მონა მოვიდა, მიამბო ამბავი მე მართალია: „თქვენსა ამბავსა იკითხავს აჯიღოსანი ქალია“ (რუსთაველი). [16]

აჯიღისა და ჩადრის ასეთივე მცდარ გაიგივებას ვხედავთ ანჩაბაძისა და ეოლკოვის მოსკოვში 1990 გამოცემულ წიგნში „ძველი თბილისი, ქალაქი და ქალაქელები“ (Анчабадзе Ю.Д., Волкова Н.Г.

---

[15] წყარო: http://pushkin.niv.ru/pushkin/text/arzrum/arzrum-2.htm

[16] http://ena.ge/explanatory-online - მადლობა ქ-ნ ანა ჭაბაშვილს დახმარებისთვის.

Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке. М.: Наука, 1990. - 273 с. ISBN: 5-02-008756-4):



«Наконец, завершающей деталью одежды тбилисской горожанки в первой половине XIX в. было большое коленкоровое покрывало белого цвета — **чадри (аджига)**, в которое женщина закутывалась с головы до ног, оставляя открытым только лицо, иногда — только глаза. Размеры чадри отражали социальные различия. У женщин из привилегированной верхушки оно обычно было больше, чем у представительниц низших социальных групп, что особенно наглядно

проявлялось, когда госпожа и служанка шли рядом».

თუმცა, ავტორები ერთ საინტერესო დეტალზე ამახვილებენ ყურადღებას: აბანოში სიარულისათვის ქართველი მანდილოსნები სპეციალურად ამ შემთხვევისათვის შეკერილი ტანსაცმლით, უსახელო პერანგითა და ხალათით იმოსებოდნენ, ფეხზე ქოშები ეცვათ, ტანზე მოსასხამად კი დღევანდელი პლედის მსგავს ქსოვილს იყენებდნენ, რომელიც აბრეშუმის ან ბამბისგან მზადდებოდა:

«Необходимо отметить существование у грузинок специальной одежды для бани, состоявшей из рубашки без рукавов, халата, банной обуви коши (у состоятельных инкрустированной перламутром), **покрывала пута**, которое богатые делали из шелковой ткани в полоску или в клетку, а бедные обычно шили из хлопчато бумажной ткани» (Анчабаязе, Н. Г. Волкова, 1990).

შესაძლებელია, პუშკინს, შეცდომით, სწორედ ეს მოსასხამი მიეჩნია ჩადრად.

ქართველი ქალის შემოსვის კულტურას ამ ეპოქაში მე-18-19 საუკუნეში მოღვაწე რუსი მხატვრის, ტროპინინის შესრულებული „უცნობი ქართველი ქალის პორტრეტიც“ ადასტურებს:



ლეიტონი მიიჩნევს, რომ რუსი ავტორების შემოქმედებაში მეორე საყურადღებო შტრიხია ადგილობრივი, ქართველი გმირების მიჩქმალვა: ავტორი ძიუთითებს, რომ რუს ავტორთა მხატვრული ნაწარმოებების ლიტერატურული გალერეა კავკასიელი ტომების სამახსოვრო პერსონაჟების სიუხვით გამოირჩევა: როგორებიცაა პუშკინის ჩერქეზები, ამალატ-ბეგი, ისმაილ-ბეი, კაზბიჩი, ჰაჯი მურატი და შამილი. ამ მხრივ მკვეთრ კონტრასტს ქმნის ის ფაქტორი, რომ ქართველი მამაკაცი პროტაგონისტები რუსულ ნაწარმოებებში თითქმის არ გვხვდება და თუ გვხვდება, ჩვეულებრივ, დაცინვის საგნად გვევლინება.

ლეიტონის მიხედვით, მესამე და მთავარი შტრიხია ლიტერატურული საქართველოს გენდერული წარმოჩენა: ამ მხრივ რუს ავტორთა ნაწარმოებები ძალზე ჩამოჰგავს აზიისა და ეგზოტიკური

„უცხო“ შესახებ ევროპელ კოლონიზატორთა ნაწარმოებებს. რუსული ლიტერატურის მამაკაცი ავტორები საქართველოსგან ქმნიან მომხიბლავი ქალის ხატებას: «*Мгновенный переход от грозного Кавказа к миловидной Грузии восхитителен*» - ასე მიაწერს პუშკინი საქართველოს ლამაზმანის პორტრეტის შტრიხებს 1835 წელს დაწერილ მოთხრობაში „მოგზაურობა ერზრუმში.“

საქართველოს შესახებ ლიტერატურაში ორი ხატი მონაცელეობს. რუსულ ლიტერატურა ქართული მიწის, როგორც ქალის მეტაფორულ ხატს გუთავაზობს: ქალი რომელსაც ძლიერი ხელით სჭირდება დაცვა, ასეთი კი საკუთარ ქვეყანაში არ გააჩნია და საჭიროებს დომინანტური ძალის შემოჭრას.

პოსტკოლონიურ რუსულ ლიტერატურაში ქართველი ქალი ორსახოვანია. მისი ორმაგი ხატის ერთი სახეა უმწიკვლო ქალწული და თავდადებული დედა, ხოლო მეორე დაუნდობელი მკვლელი. გრძნეული და მაქცია. ხატის მეტამორფოზა ალეგორიულად გვანიშნებს, რომ **„მდედრი ერი“** მოღალატე არსებაა და მუდმივი მეთვალყურე უნდა ჰყავდეს მიჩენილი, ეს „უფროსობის“ ფუნქცია კი უცილობლად **„მამრ ეროვნებას“** ეკუთვნის. ამგვარად, რუსი მწერლები ქმნიან ეროტიკულად დამუხტულ კულტურულ მითს საკუთარი ერის, როგორც მძლავრი და რაციონალური ევროპელების შესახებ, რომლებსაც უნარი შესწევთ ერთის მხრივ დაიცვან საქართველო - აზიურ კონტექსტში დანახული ქალი - და მეორეს მხრივ გასაქანი არ მისცენ მისი დაუნდობელი ბუნების გამოვლინებას. რუსული მითის კონტექსტში საერთოდ გაუჩინარებულია ქართველი მამაკაცი გმირი.

ლიტერატურა ეხმიანება რუსეთის იდეოლოგიის ამოსავალ წერტილს: ცივილიზატორის მისიას და აშიშვლებს მის რეალურ

ლტოლვას სექსუალურ კალაპოტში გადასული იმპერიული დომინაციისადმი.

ცარიზმის აპოლოგეტები საქართველოს ანექსიას ქრისტიანობის დაცვის სახელით ქადაგებდნენ და ამას ევროპული კულტურული ღირებულებების ისლამისტური სამყაროს მიერ ხელყოფისაგან ხსნით ამართლებდნენ. ბარბაროსულ სამყაროდ სპარსეთი, თურქეთი და დაღესტანი ითვლებოდა. რომ არა ალექსანდრე პირველის მიერ ცარისტულ იმპერიასთან მიერთება, საქართველო, რომელსაც სპარსეთის მხრივ უცილობელი აგრესია მოელოდა, შესაძლოა აღგვილიყო კიდეც პირისაგან მიწისა. ასეთი იყო გადარჩენის მძიმე საფასური. რუსეთის მიერ ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს ანექსიის შემდგომ, პირველი ოცწლეულს ახალ მებატონესა და ქვეშევრდომთა შორის განხეთქილებისა და უკმაყოფილების მეტი არაფერი მოუტანია. დარიალის ხეობით რუსი სამხედროების შემოსვლას თან მოჰყვა ეროვნული განწყობის გაღვივება და წინააღმდეგობის მოძრაობა, არაერთი შეთქმულება და აჯანყება. მეფის რუსეთის კორუმპირებული ოფიცრები არავითარ პატივს არ სცემდნენ ადგილობრივ ტრადიციებსა და კანონებს. რუსი ფუნქციონერები და ჯარისკაცები ნამუსს ხდიდნენ ადგილობრივ ქალებს, ხოლო 1820 წ. ქართულ ეკლესიაში კაზაკებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ქართველი არქიეპისკოპოსი.

ამ ფაქტმა დაასამარა ანექსიის ერთმორწმუნეობით გამართლების მცდელობა და ცხადყო იმპერიის მშენებელთა სიველურე.

რუსულ ლიტერატურაში ასახული საქართველოს ორიენტალიზაცია და ფემინიზაცია საინტერესოდ წარმოაჩენს, თუ რაოდენი „ღეთისმოსაობით“ ეწინააღმდეგებოდა რუსული

იმპერიალისტური იდეოლოგია საქართველოსთან ქრისტიანულ ნათესაობას.

ორიენტალურ ეგზოტიკას მოწყურებულმა რუსმა მწერლებმა საკუთარი მხატვრული შემოქმედებიდან გაფილტრეს საქართველოს ქრისტიანული კულტურა და სანაცვლოდ მუსლიმური პრიმატის მქონე ველურის, წარმართულის ხატი დაამკვიდრეს. ამ იდეოლოგიური საფუძველით მოახერხეს მათ საქართველოს აზიაში ტრანსლაცია და „უცხოდ“ ქცევა, ამ იდეოლოგიამ ხელი შეუწყო ყოფილი პროტექტორატის ულმობელი რუსული ძალის გავლენის ქვეშ მოქცევას.

როგორც ლეიტონი წერს, რუს იდეოლოგებს საქართველოს აზიასთან გაიგივება განსაკუთრებით ეძნელათ, ქვეყნის კულტურისა და რელიგიისადმი ისტორიული თავდადების გამო. ეს უძველესი ქრისტიანული კულტურის მიწაწყალი გახლდათ, კიევის რუსეთი მხოლოდ 988 წ. მოიქცა ქრისტეს სჯულზე, ქართველებს კი ქრისტიანობა მესამე საუკუნეში სირიელებმა უქადაგეს. ქვეყანამ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად დაახლოებით 330 წელს, ქართლ-კახეთის მეფე მირიანის დროს აღიარა; თუმცა, 640 წლიდან მოყოლებული, ქვეყანას არაერთგზის მოუხდა ისლამური ძალების მოგერიება. თითქმის ორასი წელი იბატონეს არაბებმა კავკასიაში, რამაც ქართულ კულტურასაც დაამჩნია წარუშლელი კვალი, ქრისტიანობა კი ვერ აღმოფხვრეს. ისლამური ძალების მეორე უდიდესი თავდასხმა საქართველოზე მე-16 საუკუნის შუახანებიდან დაიწყო და მე-18 საუკუნემდე გაგრძელდა, ქვეყანა საომარ ველად დაიქსაქსა, რომელსაც, გავლენის გაფართოების მიზნით ხან თურქები და ხან სპარსელები ეცილებოდნენ ერთმანეთს. არაერთი ქართველი მეფისწული სახელად მაინც მოიქცა ისლამის რჯულზე და მუსლიმი მბრძანებლების ნება-სურვილისამებრ მართავდა ქვეყანას, თუმცა

ქართველ გვაროვანთა ოჯახების უმრავლესობა არ თმობდა ქრისტიანულ მრწამსს. მე-17 საუკუნის შუახანის აღმოსავლეთ საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებას სპარსეთთან მჭიდრო ურთიერთობის კვალი დაეტყო: ერთმანეთს შერწყმული ქრისტიანული და მუსლიმური ელემენტები, ევროპულისა და აზიურის ეს თვალშისაცემი ნაზავი დედაქალაქში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისისთვისაც კი შენარჩუნდა. როდესაც რუსეთიდან ბევრმა მოაშურა საქართველოს.

რუსული პოლიტიკური იდეოლოგია, მიუხედავად კულტურული სხვადასხვაობისა, ეკატერინე II-ს ხანიდან რომანტიკულ ეპოქამდე ხაზგასმით აღნიშნავდა ქართული ქრისტიანული მემკვიდრეობის შესახებ. რომანტიზმის ერამ საქართველო მისტიური აღმოსავლეთის წარმოსახვითი არილით შებურა. ვისაც აღმოსავლეთში მოგზაურობა და ეგზოტიკური თავგადასავალი ეწადა, ბუნებრივია, ერჩიენა საქართველოს წარმოჩენა აზიურ სამყაროდ. სწორედ ამიტომ არ უნდოდათ დაენახათ მისი მსგავსება მართლმადიდებლურ რუსეთთან და მისი ანტაგონიზმი ისლამთან. ვასილი გრიგორიევიც, რუსი სამოქალაქო მოსამსახურისა და შეთავსებით პოეტის სწორედ ასეთი „რომანტიკოსია," ვინც 1820 წელს ტიფლისში სტატისტიკური მონაცემების შესაგროვებლად მოავლინეს.

ახალი დავალების შეტყობისას გრიგორიევმა აღტაცება ვერ დაფარა, რადგან საშუალება ეძლეოდა სანკტ პეტერბურგის მრუმე ერთფეროვნებისთვის თავი დაეღწია და მოგზაურობის სანუკვარი ოცნება აეხდინა: „პროფესიული საქმიანობის ახალი სფერო, ახალი მიწა გადაიშალა ჩემს წინ. აზია - ყოველად განსაცვიფრებელი მიწა, სადაც ადრე მრავალჯერ გადავუფრენივარ წარმოსახვას, მიწა, სადაც ახლა უნდა ვიხილო მთელი მისი პოეტური ხიბლი, მისი ბუნება და

ბინადრები“, წერდა იგი. საქართველოში ჩამოსული გრიგორიევი ქართულ რეალობას აზიურ კატეგორიას მიაკუთვნებს.

ტფილისში გრიგორიევმა ვარსკვლავიან ღამით ბანზე მოცეკვავე, ჭრელ კაბაში გამოწყობილი ქართველი ქალი დაინახა და ამ სცენამ არც მეტი არც ნაკლები, მასზე „ათას ერთი ღამის“ შთაბეჭდილება მოახდინა. ლერმონტოვის თბილისური ჩანახატებიდან ერთ-ერთია „ლეკური“, რომლის ისტორიული ღირებულება ბანზე მოცეკვავე ქალების იმდროინდელი იერსახისა და იმ დროის ქართულ თვითმყოფადობის დოკუმენტირებაა; თუ ამ ჩანახატით ვიმსჯელებთ, გრიგორიევის ფანტაზიის ესოდენ ორიენტალური მიმართებით გაღვივება იმპერიის კულტურის პოლიტიკას, შეგონებებსა და შთაგონებებს უნდა მივაწეროთ.

ზეთის საღებავით შესრულებულ ლერმონტოვის ჩანახატს ეწოდება „ლეკური“ (Лезгинка) და თარიღდება 1837 წლით:



სწორედ ასეთი შთაბეჭდილებებით აღვსილმა გრიგორიევმა დაწერა ლექსი „ქართველი ქალი“, რომელშიც ადგილობრივი ქალწულის ხვედრია გადმოცემული; ლექსის თემა გახლავთ ის, რომ *ლაღად მოცეკვავე ქალი მალე ქმრის მორჩილი მონა უნდა გახდეს...* აშკარაა, რომ საქართველოს, როგორც ქრისტიანული ქვეყნის სტატუსის წარმოჩენა გრიგორიევს გუმანშიც არ გაუვლია. ქრისტიანული ქვეყნის ხატი მთლიანად შთანთქა ეგზოტიკური, ორიენტალური მიწისადმი ლტოლვამ, სადაც პოეტს რუსეთის მოსაწყენი რეალობიდან გაქცევა შეეძლო. გრიგორიევი იმდროინდელ ტიპურ რუსულ ტენდენციას მისდევს, საქართველოს წარმოადგენს არა ძველ ქრისტიანულ, არამედ მუსლიმური კულტურის ქვეყნად.

გრიგორიევის მსგავსი „სტუმრების“ მონათხრობი ქართველ ქალს სტანდარტულად გვიხატავს „ჩადრით“, ნაცვლად იმისა, რომ ქართულ რეალიას თავისი სახელი, აჯიღა უწოდონ და ჩადრისაგან განასხვავოს, რომელსაც ტფილისში ქალები ჩვეულებრივ ატარებდნენ. ეს განმეორებული მოტივი მოწმობს, როგორ ცდილობდნენ რუსი მწერლები საქართველოს ეგზოტიზებას მუსლიმური შტრიხების ხაზგასმული წარმოჩენით. ჰარემის ციკლის აღზევება რუსულ ლიტერატურაში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იწყება. ოსმალური მონათვაჭრობისადმი რუსეთის ინტერესთან ერთად. მონათვაჭრობის შედეგად ჰარემში მოხვედრილი ქართველი ქალის თემა, ქართველი ქალის ამოგლეჯა მისი თანამედროვე სოციალური კონტექსტიდან და მისი გადაყვანა უცხო მიწაზე, ჰარემში, ისლამურ წარსულში, ცარისტული პოლიტიკური კულტურის ნარატივია.

პოსტკოლონიური პოლიტიკური კულტურის ნარატივის ადრესატი არის მონო და მულტიკულტურული სოციუმი, რომელსაც აქვს ან არა აქვს ფილოლოგიური და ფსიქოლოგიური მზაობა და განწყობა შეაფასოს ტექსტის პოლიტიკური პათოსი, ნარატივის ეთიკური მხარე და იდეოლოგიური შრე; შესაბამისად, პოსტკოლონიური პოლიტიკური კულტურის ნარატივს ადრესატი ჰყავს და არც ჰყავს. ამ შემთხვევაში ადრესატად ვერ ჩაითვლება მხოლოდ ნარატივის, როგორც ლინგვისტური ინფორმაციის მიმღები.

პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებაში ორიენტალიზებულია ქართველი ზარემა, პუშკინის ყირიმული პოემის, „ბახჩისარაის შადრევანის“ პერსონაჟი და ქართველი ტყვე ქალი ლერმონტოვის პოემიდან „ქართული სიმღერა“ (1829). პუშკინის ზარემას ტრაგიკულ ბედს იზიარებს ლერმონტოვის ქართველი ქალიც:

მას პატრიარქალური ძალდატანებით სომეხ ბატონს მიათხოვებენ, ვინც დაუნდობლად კლავს, რადგან ქალი სხვას ეტრფის.

„კალიშ-ბეი“ კამენსკის ჰარემული დრამაა, აფხაზეთიდან ლეკმა მონათვაჭრებმა პატარა ქართველი გოგონა მოიტაცეს. კამენსკის „კელიშ-ბეი“ ქალებით ვაჭრობას მეტად მჭახე ფერებით გვიხატავს, მის ნაწარმოებში ქართველი ქალის ბედი ტრაგიკულია, ხარჭადქცეული, იგი აზიური დაუნდობლობის მსხვერპლია. კამენსკი წერს, რომ მისთვის შურსაც კი ვერავინ იძიებს.

პუშკინმა „კავკასიის ტყვე“ მიიტანა მთარგმნელისა და გამომცემლის, გნედიჩის სტამბაში და პოემა იქ დაბეჭდეს. ავტორს 500 რუბლი გადაუხადეს და ერთი წიგნი გადასცეს: *«Кавказскій* Плѣнникъ» *вышелъ въ изданіи* Гнѣдича *[...] Пушкинъ за свой авторскій трудъ получилъ 500 р. ассигнаціями и одинъ печатный экземпляръ».*[17]

[17] 1. http://feb-web.ru/feb/pushkin/ltpworks-abc/ltp/ltp-2982.htm

КАВКАЗСКІЙ

ПЛѢННИКЪ,

ПОВѢСТЬ.

Соч. А. ПУШКИНА.



САНКТПЕТЕРБУРГЪ.

1822.

პუშკინი და მისი მეგობრები პოემით უკმაყოფილო გახლდნენ. პოეტმა აღიარა, რომ პოემის მთავარი გმირის პორტრეტი თავადაც არ მოსწონდა: «Каменскіе друзья поэта не считали поэму удачной, а Н. Раевскій даже находилъ ее «плохой». Самъ Пушкинъ признавалъ «К. П.» своимъ первымъ «неудачнымъ опытомъ характера» (Beridze, 2011).

წარუმატებლობის მიუხედავად, „კავკასიის ტყვის" სათაური და თემა აიტაცეს რუსმა მწერლებმა და ხელოვნებმა; ორი საუკუნეა, პოემის ფაბულა პოპულარობას არ კარგავს რუსულ კულტურაში. პუშკინის „წარუმატებელმა" პოემამ ცარიზმიდან პოსტკომუნისტურ ეპოქამდე ერცელი გზა განვლო და ინტერსემიოტიკური თარგმანიც განიცადა: პოემის მოტივებზე 1823 წელს პეტერბურგში დაიდგა საბალეტო წარმოდგენა: *«Въ январ 1823 г. на сцен петербургскаго театра съ большимъ усп_хомъ прошелъ, написанный на сюжетъ поэмы, балетъ «Кавказский пленник или тень невести». [ibid].*

კულტურის პოლიტიკის მთელი არსი კი ის იყო, რომ ამ ინტერსემიოტიკურ ნარატივში კავკასია აღიქმებოდა არა როგორც ტყვედმქნილი, არამედ ტყვედმქნელი ქვეყანა, აგრესორი - რუსეთის იმპერიული მისიით მებრძოლი კი რუსულ საზოგადოებას, ცხადია, ველური კავკასიის მიერ ჩაგრულად წარუდგებოდა.

პუშკინის პოემის მოტივებს ვხვდებით ლერმონტოვის, ტოლსტოის, ბიტოვის შემოქმედებაში; პოემის ინტერსემიოტიკური თარგმანის კიდევ ერთი მაგალითია ფილმი, რომელიც მწერალ ვლადიმერ მაკანინის სცენარის მიხედვით გადაიღო კინორეჟისორმა სერგეი ბოდროვმა. ფილმის რაკურსი გადატანილია კავკასიაში ტყვეჩავარდნილ პერსონაჟზე; მაყურებელი ტუსაღის მდგომარეობის

თანაზიარია, ადამიანურ განზომილებაში თანაგრძნობის დაბადება ბუნებრივია; აქცენტის ასეთი გადატანა უნებურად გვაიწყებს, რომ იგი კოლონიზატორი ქვეყნის სამხედრო აგრესორი გახლავთ კავკასიის სამხრეთში. კულტურის პოლიტიკის იდეოლოგიურმა მანიპულაციამ იმპერიული, მოძალადე ქვეყნის რეალური მოტივი ფილმის ფასადურ ატრიბუტად აქცია. მცირე პოემის ეს კოლოსალური ინტერსემიოტიკური თარგმანები კი პოსტკოლონიური ნარატივის ინტერტექსტებია.

პუშკინის „ბაღჩისარაის შადრევანი“ 1821—1823 წლებში „სამხრეთში გადასახლების“ წლებში შეიქმნა. გირეის ახალი გატაცების შესახებ მოგვითხრობს. პოლონელი ტყვე, კათოლიკე თავადის ასული მარია ზარემას ეჭვიანობის მიზეზი გამხდარა. ავტორმა ორი პერსონაჟი ქალი დაუპირისპირა ერთმანეთს: თავისუფლების მოყვარე ქართველი ზარემა, რომელიც ორიენტალური სამყაროს ნაწილია და თავდაჭერილი, ამაღლებულ სულიერებას ზიარებული ევროპელი კათოლიკე მარია.

შავგვრემანი და მგრძნობიარე, რჯულნაცვალი ხარჭა ზარემა ჰარემში საკუთარ პოზიციას თავგამეტებით იცავს: იგი გირეის ცოლებს შორის უპირველესია და ჰარემში ახლადმოყვანილ მარიაზე ეჭვიანობს. ამაყი, ქერათმიანი ქალწული მარია, გირეისადმი სრულებით გულგრილია. ზარემა მას პირობას ადებინებს, რომ განმარტოებულ სამყოფელში, სასთუმალთან ჯვრით, უცოდველად დაიძინოს. ჰარემის მრისხანე ქართველი დედოფალი თავად მონათვაჭრების მსხვერპლი გახლდათ. მარიასთან ვრცელ მონოლოგში ზარემა ბავშვობას იხსენებს: პატარა გოგონას დედა ქრისტეს სჯულს ასწავლიდა, როდესაც მოიტაცეს. ზარემამ დაკარგა სამშობლო, ოჯახი და სარწმუნოება, ახლა მისით დომინანტი მანიპულირებს. როგორც თავადვე აღიარებს,

ზარემას ეს ბავშვობის დროინდელი ხანმოკლე ზიარება ქრისტიანობასთან მასა და მარიას შორის მსგავსებას დაანახებს. უდავოა, რომ ორ ქალს ბევრი საერთო აღმოაჩნდა, რაც პოემაში ორი კულტურის საზღვრებს აახლოებს. აზიური ჰარემის ტყვედქცეული მარია ფიქრი და გონება კვლავ პატრიარქალურ პოლონეთში დარჩენილ მამისეულ სახლს დასტრიალებს. პუშკინის ევროპელი მარიას კდემამოსილება, ქალწულებრივი შიში, მშობლიური კერიდან მოშორების ტრავმა ზარემას საკუთარ ყმაწვილქალობას ახსენებს. მარიას წინაშე იგი უცოდველ ქრისტიანად წარდგება, რომელიც ჰარემის სამყაროს მსხვერპლად აქციეს. პუშკინის პოემის ტრაგიზმი ზარემა მსხვერპლიდან მკვლელად ქცევაა და ეს მისი თავზარდამცემი როლია. პოემის კვანძის გახსნისას, თუმცა თავად სცენა არ არის წარმოდგენილი, ზარემა კლავს მარიას, შემდეგ კი ხანი გირეი მისი სიკვდილით დასჯის ბრძანებას გასცემს. ორ პერსონაჟ ქალს შორის მონათესავე შტრიხების დახატვის შემდეგ, პუშკინი ფაბულის საკვანძო მომენტში გვაწვდის აზრს, რომ ზარემა მკვლელობის მიჯნაზე მძვინვარე ეჭვიანობას მიჰყავს და რომ ეს ცალსახად აზიური ფენომენია. ავტორი ზარემას წარმომავლობას უსვამს ხაზს და სწორედ ამ სიტყვებში გაისმის სასიკვდილო მუქარაც მარიასადმი: *„მე შემიძლია ხანჯლის ხმარება, მე კავკასიელი ვარ დაბადებით“*. მოძალადეობისკენ მიდრეკილება ზარემას თანშობილ თვისებად არის წარმოდგენილი, როგორც არაევროპელის, როგორც დედამიწის იმ კუთხეში შობილის, რომელიც უფრო ველურია, ვიდრე მარიას კათოლიკური პოლონეთი. პუშკინის პოემის ბოლოს ორიენ პერსონაჟი ძალადობრივი სიკვდილის მსხვერპლი ხდება, თუმცა, ყურადღების გამახვილება უდავოდ ღირს ავტორის მიერ წარმოდგენილ მათ არსობრივად ურთიერთ საწინააღმდეგო ბუნებაზე, რა შთაბეჭდილებას ახდენენ ისინი მკითხველზე? როგორ წარმოაჩენენ საკუთარ ქვეყანასა და კულტურას? „ბახჩისარაის შადრევანი“ ევროპელ მარიას პასიური უცოდველობის

სიმბოლოდ წარმოაჩენს. მის თავისუფლებას ჯერ მამა ზღუდავს, შემდეგ კი ყირიმელი დამატყვეებლები და გირეი, საბოლოოდ კი, მარია ვერც კი გაიბრძოლებს, როდესაც მას განრისხებული ზარემა კლავს. ამ სიმბოლოს საპირისპიროა ქართველი ქალი, რომელიც პუშკინის პოემაში მსხვერპლიცაა და მკვლელიც. ზოგადად, რუსული ინტერტექსტების ფაბულაში წარმოდგენილი ქართველი ქალის ორმაგი ხატის ერთი მხარეა უუფლებო, უსასოო და შეურაცხყოფილი ქართველი ქალი, როგორც მსხვერპლი და მეორე კი ქალი, რომელსაც მოკვდინების უნარი შესწევს.

იმ რუს მწერალთაგან, ვინც საქართველოს თემით დაინტერესდა, გრიბოედოვი ყველაზე უკეთ იყო გათვითცნობიერებული ქვეყნის კულტურისა და ისტორიის საკითხებში. ნინო ჭავჭავაძეზე ქორწინებით კი ქართულ ყოფას დაუახლოვდა.... მან შესანიშნავად იცოდა ის, რასაც ფრანსუა გამბა აღწერს მემუარებში: ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული ევროპულის ანალოგიური იყო, მათ შორის 1820 წელს დასრულებული ღვინის მეურნეობაც. მაგრამ, როგორც ჩანს, ორიენტალიზებისა და ეგზოტიზების იდეოლოგიური მიმართება გადამდები აღმოჩნდა და გრიბოედოვმა პუშკინის „ქართული ღამის“ მთავარ პერსონაჟს ზარემას მსგავსი როლი არგუნა. პოემას ხელნაწერის სახით მიაკვლიეს, მისგან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი,[18] ავტორი განრისხებული ქალწულის ნაცვლად

[18] წყარო: http://lib.pushkinskijdom.ru/Default.aspx?tabid=6479

Г. работал над трагедией в Грузии в 1826–1827 гг. Приехав в марте 1828 г. в Петербург, он привез «Грузинскую ночь» с собой и читал ее в различных домах.

Существует и свидетельство Д. Г. Эристави (в его предисловии к тифлисскому изданию Г.о.у. 1879 г.) о том, что Г. окончил свою трагедию: «Известно, что автограф <«Горя от ума»> Г. находился у князя Александра Церетели. Известный грузинский поэт Акакий Ростомович Церетели

თაედადებულ დედას წარმოგვიდგენს, რომელშიც ამჯერად არა მუსლიმური, არამედ წარმართული მოტივები სჭვიის. მიუხედავად იმისა, რომ პუშკინის „ბახჩისარაის შადრევანსა“ და გრიბოედოვის ტრაგედიას შორის თვალსაჩინო განსხვავება არსებობს, ორივე მათგანის საერთო იდეაა ქართველი ქალის მსხვერპლიდან მკვლელად ქცევა.

გრიბოედოვის პიესა მოგვითხრობს ქართველი თავადისა (პიესაში სახელის ნაცვლად მხოლოდ მისი ინიციალია მოხსენიებული: „კ“ და მისი გამძელის (ასევე ინიციალით მოხსენიებული „თ“) ამბავს; პიესა მოგვითხრობს, რომ თავადი, რომელსაც მეზობელმა ჯიშიანი ცხენი მოსტაცა, აპირებს ერთ-ერთი ყმა გაყიდოს და ცხენის გამოსასყიდი გადაიხადოს. ეს ყმა კი „თ“-ს ყმაწვილი ვაჟია. გამძელი თავადს შვილის დაბრუნებას ავედრებს, თავადი კი მას „ცოფიანს“ უწოდებს და ყვედრებით აძლევს სიტყვას, რომ ყმას გამოისყიდის, თუმცა მიცემულ სიტყვასაც ივიწყებს და დედაშვილურ გრძნობასაც. პიესის კვანძის გახსნა გვიჩვენებს, რომ მზრუნველი გამძელი შურისმაძიებელ ფურიად ქცეულა და მოკავშირედ ალს გაუჩენია. „თ“ ქართული წარმართული მითოსის პერსონაჟს მოაჯადოვებინებს თავადის ქალს, შეაყვარებს რუს ოფიცერს და მამის სახლიდან გააქცევს. განრისხებული თავადი შეყვარებულებს დაედევნება და მთის მწვერვალზე დაეწევა, იგი ცდილობს რუსს ესროლოს, მაგრამ ნაცვლად ამისა, ავსულები საკუთარ ქალიშვილს მოაკლევინებენ. გამზრდელი

передал нам, что он сам видел эту рукопись у князя А<лександра> Церетели вместе с оконченной поэмой „Грузинская ночь“». К сожалению, трагедия эта до нас не дошла целиком и мы можем судить об этом произведении лишь по фрагментам и по булгаринскому пересказу содержания…»

„თ“ კი საკუთარ ვაჟს კლავს (რომელიც, გაუგებარია, რატომ და როგორ გაჩნდა დატრიალებული ტრაგედიის ადგილას). თაეადი მის თავს დატრიალებული ამოუხსნელი საბედისწერო მოვლენიდან გამოერკვეეა და ხვდება, რომ თავად დაარღვია მშობლისა და შვილის წმიდათაწმიდა კავშირი. გრიბოედოვის პიესაში ქართველი პერსონაჟი ქალის შურისმაძიებელი ბუნება უკიდეგანოა, ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარ შვილსაც იმეტებს, განგმირავს იმას, ვინც ყველაზე მეტად უყვარს ამქვეყნად, სწორედ ისეეე, როგორც „ბაღჩისარაის შადრევანშია“, სადაც ზარემას აგრესია მისი წარმომაელობიდან მომდინარეობს, „ქართულ ღამეშიც“ იგრძნობა მინიშნება, რომ „თ“-ს შურისძიების წყურვილი კვინტესენციურად აზიური ფენომენია.

გრიბოედოვიც, ტიპურად, არად დაგიდევთ საქართველოს, როგორც ძველქრისტიანული მიწის სტატუსს, აქ ვერაფერს ამჩნევს ევროპულს და მაინცა და მაინც ადგილობრივი წარმართული რწმენის ეგზოტირებას ახდენს. წამებული დედა შეიძლება დაეხატათ მორწმუნე ქრისტიანად, რომელიც შვებას ლოცვაში ჰპოვებს. ნაცვლად ამისა, ის კერპთაყვანისმცემელ ქურუმად წარმოგვიდგინეს, ვინც უკეთური წყევლითა და ჯადოქრობით არღვევს ცივილიზებული ქცევის წესებს და საზოგადოების რისხვას იმსახურებს.

ასახა რა აზიური საფრთხე და დაუნდობლობა, გრიბოედოვმა ეს ნიშან-თვისებები განსაკუთრებით ქალებს მიაწერა. ეს ტრაგედია უნებურად გვახსენებს მედეას ლეგენდას გრიბოედოვის შემოქმედებაშიც, რომელმაც „თ“ „დააჯილდოვა“ ბერძნული მითოლოგიის ყველაზე ცნობილი „აზიელი ჯადოქრისა და ბავშვების მკვლელის“ შესაშური შურისმაძიებლობით. მედეას მსგავსად, „ქართული ღამის“ გმირიც ფლობს შავი მაგიის ხელოვნებას და საკუთარ პირმშოს კლავს მამაკაცის გასანადგურებლად.

რასაკვირველია, პარალელის გავლება მედეასა და იაზონის ამბავთან არასახარბიელოა, რადგან გრიბოედოვის „თ“ გახლავთ დედა, გამზრდელი და არა მეუღლე[19]. თუმცა, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ორი პროტაგონისტის ურთიერთობაში ეროტიული ელემენტის არარსებობა *ალის* მეშვეობით ანაზღაურდა. ქართულ დემონოლოგიაში ველურ ავსულებს, როგორც წესი, მშვენიერი, დაუნდობელი ქალები განასახიერებდნენ[20].

რაოდენობრივად ყველაზე მეტი ლიტერატურული ნაწარმოები საქართველოს ლერმონტოვმა მიუძღვნა, რომელსაც იგი 1837 წელს ეწვია. ლერმონტოვი განაგრძობს პუშკინისა და გრიბოედოვის შეთხზული მითის საკუთარ შემოქმედებაში ასახვას. სწორედ ქართველი ქალის ორბუნებოვნების მითი კრავს სამივე მწერლის შემოქმედებას. თუმცა, მათგან განსხვავებით, ლერმონტოვს მხედველობიდან არ გაჰპარვია ქართველი ქალწულის მიმზიდველ უმანკოების გასაოცარი მსგავსება მისი სამშობლოს უნაკლო სილამაზესთან[21].


---

[19] *В первом из дошедших до нас фрагментов, судя по плану трагедии, пересказанному Ф. В. Булгариным, участвуют Князь и Кормилица. Литера К. очевидно, обозначает у Грибоедова слово «Князь», а Т — какое-либо грузинское женское имя (например, Тамара или Тинатин).*

[20] Две сохранившиеся сцены содержат диалог кормилицы с князем и ее обращение к духам мести, Али, которые фигурируют во многих грузинских народных преданиях. Сцена духов исследователями сближается со сценой ведьм в «Макбете» (см.: ПССП. Т. I. С. 303) и заклинаний Жанны д'Арк в «Генрихе VI» Шекспира (см.: Шекспир и русская культура. М.; Л., 1965. С. 137–138). Отмечена и связь «Грузинской ночи» с «Фаустом» Гёте. http://lib.pushkinskijdom.ru/Default.aspx?tabid=6479

[21] ძველი თბილისი, მტკვრის პირი, ზეთის საღებავი, ავტორი მ. ლერმონტოვი.

სურ. 1



სურ. 2



ლერმონტოვი ,,თამარას'' არქმევს თავის ორიეე, ყველაზე ცნობილ ქართველ ქალ პერსონაჟს. ერთი მათგანი საქართველოს პასტორალურ მომხიბვლელობას განასახირებს, ხოლო მეორე აზიურ ხიფათს. ეს პერსონაჟი ლერმონტოვმა 1841 აღწერა 12 ტაეპიან ლექსში ,,თამარა'' მშვენიერ, გრძნეულ დედოფალს დარიალთან სიახლოვეს, კოშკში დაუდია ბინა და შიშის ზარს სცემს ამ მხარეს. ვერაგი და სატანასავით ბოროტი, სირინოზის ტკბილხმოვანებით იზიდავს კაცებს, აცდუნებს და შემდეგ კლავს... ლერმონტოვი წამოგვიდგენს აღმოსავლური აღვირახსნილობისა და საფრთხის ნაზავს. თამარას სასახლე ჰარამხანას

მოგვაგონებს, რადგან საჭურისი იცავს; ოთახი გაწყობილია ბუმბულის ქვეშაგებითა და მდიდრული ქსოვილებით; ლერმონტოვის ალის მსგავსი თამარა ღამით ნადიმებს უმართავს თაყვანისმცემლებს, დილით კი მათ თაემოჭრილ სხეულებს თერგში ყრის. შეიძლება ითქვას, ლერმონტოვი პუშკინის პოემას, „ეგვიპტური ღამეებს“ მოტიეებსაც დასესხებია: ერთერთ ფრაგმენტში იგი კლეოპატრას ორგიებს აღწერს, თუ როგორ იტყუებს მამაკაცებს ღამით, დილით კი სიცოცხლეს ასალმებს. ლერმონტოვის წარმოსახვის ნაყოფი, ულამაზესი ქართველი თამარა თავისი თავაშეებული სიძვითა და მკვლელობებით იმ აზიურ გარყვნილებასა და ძალადობასთან ასოცირდება, რომელიც ევროცენტრულ საზოგადოებას თავზარს სცემს. **უცხოელის მხრივ ეს „ცუდუბრალო კალმის მონასმი' არ უნდა იყოს, ლერმონტოვის „თამარა“ მეხსიერებაში აცოცხლებს თამარ მეფის ლეგენდარულ დიდებასა და მის სახელთან ლერმონტოვის ფოლკლორული პერსონაჟების ასოცირებამ საქართველოს ხატის მისტიფიკაცია მოახერხა მართლმადიდებლობიდან წარმართობამდე.**

ТАМАРА
В глубокой теснине Дарьяла,
Где роется Терек во мгле,
Старинная башня стояла,
Чернея на черной скале.
В той башне высокой и тесной
Царица Тамара жила:
Прекрасна, как ангел небесный,
Как демон, коварна и зла.
И там сквозь туман полуночи
Блистал огонек золотой,
Кидался он путнику в очи,
Манил он на отдых ночной.
И слышался голос Тамары:
Он весь был желанье и страсть.


В нем были всесильные чары,
Была непонятная власть.
На голос невидимой пери
Шел воин, купец и пастух;
Пред ним отворялися двери,
Встречал его мрачный евнух.
На мягкой пуховой постели,
В парчу и жемчу г убрана,
Ждала она гостя... Шипели
Пред нею два кубка вина.
Сплетались горячие руки,
Уста прилипали к устам,
И странные, **дикие звуки**
Всю ночь раздавалися там.
Как будто в ту башню пустую
Сто юношей пылких и жен
Сошлися на свадьбу ночную,
На тризну больших похорон.
Но только что утра сиянье
Кидало свой луч по горам,
Мгновенно и мрак и молчанье
Опять воцарялися там.
Лишь Терек в теснине Дарьяла,
Гремя, нарушал тишину;
Волна на волну набегала,
Волна погоняла волну;
И с плачем безгласное тело
Спешили они унести;
В окне тогда что-то белело,
Звучало оттуда: прости.
И было так нежно прощанье,
Так сладко тот голос звучал,
Как будто восторги свиданья
И ласки любви обещал[22].

---

[22] http://ilibrary.ru/text/1154/p.1/index.html

ლერმონტოვის იდეოლოგიური განწყობისა და ინდივიდუალური კულტურული პოლიტიკის საილუსტრაციოდ მოგვყავს ლერმონტოვის ხელით დახატული სურათი[23] „დარიალის ხეობა და თამარის ციხე“; სურათი ნათელჰყოფს, რომ რუსი პოეტი აცნობიერებდა სახელი *თამარის* მეტაფორიზებას ქართულ ცივილიზაციასთან. გადაწყვიტა თუ არა ლერმონტოვმა თამარ მეფის იდეალი მის ალტერ ეგოს ჩაენაცვლებინა სოციუმის ცნობიერებაში? მან ორი ქართველი ქალი გამოძერწა- ორივე თამარა, ერთი ბოროტი, გრძნეული, დარიალის უღელტეხილთან ჩასაფრებული მკვლელია, მეორე კი დემონის მიერ ცდუნებული ქალწული.

[23] Дарьяльское ущелье и «Замок Тамары». 1837 Рисунок подписан Лермонтовым.



მე 19 საუკუნეში შემორჩენილი წარმართული საკულტო ტრადიციის მიხედვით, თამარი იყო სასწაულმოქმედი მკურნალი–დედოფალი, მას ღვთისმშობლის თვისებებსაც მიაწერდნენ ზეპირსიტყვიერებაში. არსებობს მოსაზრება, რომ კი ტფილისში საფრანგეთის კონსულის[24], ჟაკ-ფრანგუა გამბას მემუარების (Gamba, 1820) წყალობით, ლერმონტოვი გაეცნო თქმულებას, რომლის მთავარ გმირს „დარია“ ერქვა. პროტოტექსტზე დაყრდნობით, ლერმონტოვი თხზავს „დემონს“, სადაც მთავარი გმირი ისევ თამარაა. ისიც უნდა ითქვას, რომ შესაძლოა, პოეტის შთაგონების წყარო სათაეფი იღებდეს კიდეც რომელიმე ქართული თქმულებიდან, მაგრამ არც ერთი

[24] ფრანსუა გამბა ტფილისში გარდაიცვალა 1833 წ.

ფოლკლორული ამბავი, რომელიც მშვენიერი მოკვდავისადმი ღვთიური არსების სიყვარულზე მოგვითხრობს არ პგავს ლერმონტოვის „დემონის“ პროტოტექსტს. პოემის მეშვიდე და მერვე თავები ლერმონტოვს თამარის თვალწარმტაცი გარეგნობისთვის მიუძღვნია, ყურადღებას იქცევს ასულის ტანკენარობა და გრაციოზული მიხვრა-მოხვრა: «И были все ее движенья / Так стройны, полны выраженья», მომდევნო სტრიქონში კი ავტორი პერსონაჟის ხატს მოულოდნელად აუბრალოებს: «Так полны милой простоты»[25]. ის ფაქტი, რომ ლერმონტოვი არ საუბრობს უბრალოებაზე, როგორც კდემისა და სათნოების ნიშნებზე; სიტყვის ლინგვისტური კოდირება ლექსიკური ერთეულის «простой» ცნებითი ღირებულებებითა და სემანტიკური პოლივალენტობითაც იოლად დგინდება: რუსულ ენაში მის მნიშვნელობებია *ჩვეულებრივი, მარტივი, გასაგები, ადვილად ხელმისაწვდომი, უეშმაკო*. რაც ცხადყოფს, რომ სიტყვას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი კონოტაციები. ადამიანის დახასიათებისას, სიგნიფიკანტების: *გამჭრიახისა* და *გონიერის* ანტონიმური კონოტაციები მკვეთრად უარყოფითია და *გულუბრყვილობის, ზედმეტად მიმნდობის, გაუთლელობის, სიბრიყვის* ასოციაციები ახლავს. **ლერმონტოვი ქართველ ქალს ანიჭებს მომხიბლაობასა და სულიერებას, მაგრამ აკლებს სიბრძნესა და გონიერებას.** ქართველი ქალის, თამარის ეს უარყოფითი ხატი რუსეთში დამკვიდრდა, მაგრამ განგებისა და მთარგმნელის წყალობით ინგლისურენოვანი საზოგადოების წინაშე ეს პერსონაჟი მეტი ღირსებით წარდგა. **მთარგმნელობითი პოლიტიკა ისევეა კულტურული პოლიტიკის ნაწილი, როგორც ნებისმიერი ლიტერატურა** და ეს შესანიშნავად ჩანს ინგლისურ სტრიქონებში:

“And, with her, every single motion

[25] წყარო: http://ilibrary.ru/text/1149/p.1/index.html

Was so compact of inner notion,
full of such sweet and simple grace" (Johnson,1979: 112).

როგორც ვხედავთ, მთარგმნელმა რუსულ კოლოკაციას: «милой простоты» ინგლისურ ენაზე კოლოკაცია simple grace დაუპირისპირა, რითიც სრულიად განსხვავებული კონოტაცია ჩნდება, ვინაიდან ამ კოლოკაციების ცნებითი ღირებულებები და მნიშვნელობები უაღრესად განსხვავდება ინგლისურ და რუსულ ენებზე. ინგლისურ ენაზე grace-ის მნიშვნელობებია *ადამიანთა ღვთიური დახმარება, სათნოება-უბიწოება, განწმენდა-ღვთისმოწყალება;* მისი, როგორც საზღვრულის შინაარსი კიდევ უფრო მეტ დადებით კონოტაციას იძენს მსაზღვრელი *simple*-ის ლინგვისტურ გარემოში; თავად მსაზღვრელიც, საზღვრულთან კონტაქტში ახდენს გარდასხვას სალექსიკონო მნიშვნელობებიდან რომელიმე კონკრეტულ ერთში, ამ შემთხვევაში მისი მნიშვნელობებია: *უბრალო - როგორც წმინდა, წმინდაწყლის, მხოლოოდენი,* ყოველ მათგანს აქვს დადებითი თანამნიშვნელობა; თუ რუსული *«милой простоты»* ასოცირდება *მომხიბლავ, მაგრამ უბრალო, გულუბრყვილო გოგოსთან,* ინგლისური კოლოკაცია *simple grace* -ის დეკოდირება შეიძლება შემდეგ ვარიანტებად:

ა) *უბრალო / როგორც წმიდაწყლის ღვთისწყალობა,* ან:

ბ) *მხოლოოდენ / თვით სათნოება.*

თუ ლერმონტოვის ქართველი ქალი გულუბრიყვილო ლამაზმანია, ჯონსონის ქართველი ქალი სათნოებასა და ღვთის წყალობასთან ასოცირდება. ამ სტრიქონებში ჩარლზ ჯონსონის ინგლისური თარგმანის სუბიექტური პოლიტიკა ერთჯერადი ფენომენი არ გახლავთ. ინგლისურენოვან მთარგმნელს პოემა „დემონის" ყველაზე სამარცხვინო ფრაზა *„ლაჩარი ქართველების"* ბრძოლის ველიდან გაქცევის თაობაზე «бежали робкие грузини» შემდეგნაირად უთარგმნია:

"Another shot! A screaming man –

Then from the valley dull groans rended
The still of night:
The Georgians ran,
The battle all too soon was ended!" (p. 115).

როგორც ამ ნიმუშებში ვხედავთ, მთარგმნელმა ჯერ პერსონაჟისადმი პოეტის იდეოლოგიურ დამოკიდებულებას შეუცვალა მიმართება, შემდეგ კი საერთოდ გამოტოვა მსაზღვრელი ***«робкие»,*** რამაც ინგლისურ თარგმანში ასევე გააბათილა ქართველთა სიმხდალის ლერმონტოვისეული ლეგენდა. ბრიტანელი მთარგმნელის „ქართველების ადეკატირებას“ უკან კი იდგა მისი მეულლე, მამით ქართველი სამეფო დიდგვაროვანი ნატალია ბაგრატიონ-მუხრანსკი. თავად მთარგმნელი, სერ ჩარლზ ჯონსონი ბრიტანელი უმაღლესი რანგის დიპლომატი გახლდათ, ის იაპონიაში, ჩინეთში, კორეაში, ავსტრალიაში, ესპანეთსა და გერმანიაში მსახურობდა. ნატალია, დედის მხრივ, რომანოვების სამეფო კარის წევრი იყო; მამა, კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანსკი ასევე ითვლებოდა რუსეთის იმპერიის ოჯახის წევრად, მაგრამ მომავალი სასიმამრო მათ ქორწინებას მეზალიანსად თვლიდა და კარგა ხანს ეწინააღმდეგებოდა. პირველ მსოფლიო ომში გამოჩენილი სამხედრო მამაცობისათვის კონსტანტინეს ოქროს ხმალი და სიკვდილის შემდეგ უმაღლესი სამხედრო ჯილდო, წმ. გიორგის ორდენი გადაეცა. იგი სრულიად ახალგაზრდა, 26 წლისა დაიღუპა. ნატალიას დედა, ტატიანა, ხანში შესვლის შემდეგ მონაზვნად აღიკვეცა. სიმბოლურია, რომ იგი *დედა თამარას სახელით* მოღვაწეობდა იერუსალიმში. ასეთია ლერმონტოვის „დემონის“ ინგლისური თარგმანის პოლიტიკის ისტორია.

ლერმონტოვი პოემაში გმირ ქალზე პატრიარქალური სამყაროს დომინირებას ვხედავთ: ქალის ბედს წყვეტს პატრიარქალური სამყარო წყვეტს - მამა გათხოვებას უპირებს, ქმრის ხელში კი მონობა ელის. დემონი მოგვაგონებს ინკუბუსს, ლერმონტოვის ზებუნებრივი გმირი

ძრწოლისმომგვრელი, ფრთოსანი არსებაა, რომელიც ცაში ნაყარდის დროს, მთელ ქვეყნიერებას გადმოჰყურებს. სიუჟეტის მიხედვით, ის თამარას ფიქრს დაეუფლა და მის მფარველი ანგელოზსაც სძლია. ხიბლში ჩავარდნილი თამარა სრულიად დაუცველია და ლერმონტოვი მის სიკვდილს ეეფემისტურად მიაწერს დემონის კოცნის „სასიკვდილო შხამს“, დასასრულს კი გვეცნობება მფარველი ანგელოზი, რომელიც ამარცხებს დემონს და იხსნის თამარის სულს, მიუტევებს ცოდვას და ნეტართა საუფლოში მიაფრენს, რადგან მას უყვარდა, ხოლო სამოთხის კარი ღიაა სიყვარულისთვის. თამარას შინაგან დიდებულებოვნებას ლერმონტოვი მისი სამშობლოს უზადო სილამაზეს უკავშირებს. თუ გავიხსენებთ გრიბოედოვის ლექსს, რომელიც ხოტბას ასხამს ალაზნის ველსა და „მეწამული მტევნის ძღვენს“, აქ რუსმა ლირიკოსმა პოეტმა საქართველო წარმოაჩინა ნაყოფიერ ქვეყნდა, ეს ხატი კი არაერთხელ გააიგივეს აქაურ ენებიან ქალწულებთან. **ამ პასტორალური ტრადიციის გაგრძელებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ლერმონტოვის ლექსების, „დემონისა“ და „მწირის“ პერსონაჟები, ქართველი ქალწულები, მათი სამშობლოს სიმბოლოებად იქცნენ და ასეც აღიბეჭდნენ რუსი მკითხველის მეხსიერებაში.** ქართველი ქალი დახატულია აყვავებული მიწა-წყლის ფონზე. ლექსის პასტორალური იდილია ხაზგასმით აღნიშნავს მიწასა და ქალს შორის კავშირს, თუმცა, აქ არსად ჩანს მამაკაცი პერსონაჟი. „მწირში“ ახალგაზრდა ქართველი ქალი აღწერილია როგორც „ალვისტანა და მოხდენილი“, იგი მარტო ჩანს აყვავებული ლანდშაფტის ფონზე, თითქოს ამ ადგილის ერთადერთი ბინადარი იყოს. სწორედ ეს ლექსია ის ტექსტი, რომელშიც ქართული მიწა სქესს იძენს: პოეტი არაგვსა და მტკვარს გეიხასიათებს როგორც „ორ დას“. მართალია ლერმონტოვის დახასიათება ბესტუჟევ–მარლინსკის მიერ საპატარძლოდ სიმბოლიზებულ მდინარე ალაზანს ვერ შეედრება, მაგრამ თავის მხრივ, ბესტუჟევ–მარლინსკიმ ლერმონტოვის პოეზიაში ასახული ქართველი ქალწულები გადაიღო

ქართული ბუნების მშვენიერების ხატად. ასე შეიძინა ქართულმა მიწამ ქალური იერსახე მის შემოქმედებაში.

პუშკინმა ქართველი ქალის ჩადრით შემოსა, კულტურული მითი შეთხზა და ლერმონტოვს გადასცა; ლერმონტოვმა მითი გაიმეორა „დემონში“: ***Не придут сестры с матерями / Покрыты длинными чадрами*** და საკუთარ პოემასთან ერთად გაავრცელა რუსეთში, რითიც, ორიენტალიზაცია, ფაქტობრივად კულტურულ პოლიტიკად აქცია. მეცხრამეტე საუკუნის თბილისის ჩაცმულობით თუ ვიმსჯელებთ, ჩადრს არავინ ატარებდა, მრავალეთნიკურ მოსახლეობაშიც კი მანდილოსნები აჯილით, ლეჩაქით, ჩიხტი-კოპით იმოსებოდნენ.

ალექსანდრე შიშკოვის „ქეთევანა“ ამ პერიოდის ლიტერატურაში მაღალმხატვრულობით არ გამოირჩევა, თუმცა მასში ყველაზე ცხადად იგრძნობა საქართველოს, როგორც ეროტიკული, მაცდური ქალის ხატის შექმნის სურვილი. ამ დაუმთავრებელ რომანში აღწერილია კახეთის 1812 წლის მოვლენები, როდესაც ადგილობრივი გლეხები მოულოდნელად აუჯანყდნენ იმპერიულ რეჟიმს და ცარისტული რეჟიმის ჯარისკაცების რამდენიმე რაზმი გაანადგურეს. შიშკოვი წინამორბედი რუსი მწერლების ლიტერატურულ ტრადიციას არ არღვევს, საქართველოზე შექმნილ რომანში ქართველი ქალწული, თვალწარმტაცი და გონიერი ქეთევანა ერთი ნახვით შეიყვარებს გმირ ლონსკოის, ღირსებით სავსე რუს სამხედრო მოსამსახურეს.

მთავარი გმირების ხელის შემშლელად გვევლინებიან უძლური, ბრიყვი და მოღალატე თავად-აზნაურები, რომლებიც საკუთარი მიზნების მისაღწევად გულფიცხ გლეხობას აბუნტებდნენ და რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ სპარსეთს შეეკრნენ. შიშკოვს რომანში ავტობიოგრაფიული ეპიზოდი ჩაურთავს, რომელშიც საქართველოში

პირველ მოგზაურობას იხსენებს: მან პირველად იხილა მზიანი, სიმწვანეში ჩაფლული ქვეყანა, მას თვალწინ „მომხიბლავი ასული წარმოუდგა, ლაღად რომ მიწოლილიყო ფერადოვან ხალიჩაზე, თავი თოვლიან კავკასიაზე მიეყრდნია, თითქოს თეთრი ბალიშიაო, ბუნება კი მის ფერხთით აყვავებულა. მოგზაურობის შესახებ დაწერილ რუსულ ლიტერატურაშიც სწორედ ეს გენდერული მეტაფორაა გამოყენებული საქართველოს შესახებ, ქართული მიწაწყალი დახატულია როგორც უცხო მამაკაცს აღფრთოვანებული თვალის წინ წამოწოლილი თვალისმომჭრელი ოდალისკი. შიშკოვის გმირი ლონსკოიც შენიღბულ, მაცდურ ქალად აღიქვამს საქართველოს; მთებში ცხენით დამღლელი მოგზაურობის შემდეგ, თბილისში ჩამოსული ლონსკოი აქაურ სიოს პატარძლის იმ ამბორს ადარებს, ლაქრობიდან შინ დაბრუნებულ საქმროს რომ უძღვნის (432). პასიური ოდალისკის და ენებიანი საქმროს ეს რიტორიკული ფიგურები, სიუჟეტში უპირისპირდება ვნებიან, მგზნებარე ქეთევანას, (ასევე, პერიფერულ პერსონაჟს, ქართველ ნინას, თუმცა, ნაკლები ძალით, რადგან ნინა უფრო მორჩილი, საყვარელი ქალის ხატს ქმნის, რომელიც დაჩაჩანაკებულ ადგილობრივ თავადს მისთხოვებია). ქეთევანა მოხიბლულია დახვეწილი ლონსკოით, იგი ხომ მოწინავე ცივილიზაციის შვილია. ამიტომ, ქეთევანა ზურგს აქცევს მამის არჩეულ ქართველ თაყვანისმცემელს, თუმცა ამაოდ: მისი „აზიური“ ხასიათი რუსი ოფიცრის ცივ გონებას ვერ დაბინდავს: შავი თვალები გზნების ცეცხლით უელავდა ქეთევანას, მაგრამ რუსი ოფიცრის გულს ეს ვერ ათბობს. შიშკოვის რომანი თვალსაჩინოდ აღგვიწერს საქართველოს, როგორც გზნებით სავსე აზიელი ქალის ხატს, მასში მრავალმნიშვნელოვნად სჭვივის მდედრის ლტოლვა, ადგილობრივ მამაკაცებს რომ არ დანებდა და ვნებისგან დნება; გენდერულად გაპიროვნებული საქართველოს ინკარნაცია მდედრად, რომელიც რუსეთს ელოდება, მას კი მამრის სახით წარმოადგენენ

ლონსკოი, მოგზაური აეტორი და ცარისტული რუსეთის ჩინოვნიკები, მათ შორის ის მამაკაციც, ვინც ნინას გაიტაცებს).

პუშკინის წამოწყებულმა კულტურულმა ტრანსლაციამ იდეოლოგიის როლი ითამაშა, რასაც რუსმა ლიტერატორებმა მხარი უყოფმანოდ აუბეს; ეროტიკული მნიშვნელობით დატვირთული მეტაფორები კი რუსეთის იმპერიისათვის იქცნენ საქართველოში გაბატონების მოსაწვევ ბარათად (Gammer, 1994). პუშკინის „კავკასიის ტყვის" ეპილოგის სიტყვები: ***Поникни снежною главой, / Смирись, Кавказ: идет Ермолов!*** ის მეტაფორაა, რომელმაც იდეოლოგიის კულტურულ პოლიტიკად ქცევა შეძლო.

შიშკოვი მოგვითხრობს ცარისტული ადმინისტრაციის წინააღმდეგ აჯანყების შესახებ, საქართველოს სექსუალურად დინამიკურმა მეტაფორამ კი ის როლი შეასრულა, რომ ყველა დააჯერა, თითქოს რუსეთს სრული უფლება ჰქონდა, დაემორჩილებინა საქართველოს მთელი მოსახლეობა, დაწყებული დამხობილი სამეფო ოჯახიდან, აბუნტებული გლეხობის ჩათვლით.

ამავე დროს, ღვთისგან სილამაზით გულუხვად დაჯილდოებული ქვეყნის შესახებ შიშკოვის რიტორიკა მიუთითებს იმ ეკონომიკურ მიზნებზე, რაც რუსეთის იმპერიას „ქალწულ" კავკასიაში ჰქონდა.

ქეთევანა ადგილობრივ მამაკაცებს უარყოფს და არჩევანს ცარისტული რეჟიმის ოფიცერზე აჩერებს; სწორედ ეს გახლავთ რუსული ლიტერატურული ტენდენციის კიდევ ერთი ნიმუში, დააკნინოს ქართველი კაცი, რომელიც ვერც სამიჯნურო პაექრობაში გაუტოლდება რუსს. გავიხსენოთ ლექსები: გრიბოედოვის „ქართული ღამე", ლერმონტოვის რანდე–ვუ" (1841) - ჩნდება აზრი, რომ რუსმა

მამამაკაცებმა ქართველ მანდილოსნებში უდიდესი წარმატება მოიპოვეს, თუმცა, რუს მწერლებს სცენაზე სომეხი (კამენსკის „მაიკო“) და „თათარი“ მეტოქეებიც შემოჰყავთ („რანდე–ვუ“). ზოგჯერ რუსი მამაკაცი მწერლის შემოქმედებაში მის თანამემამულე მამაკაცზე გამიჯნურებული უცხოელი ქალის კაეშნით საავე ხმა გაისმის. ეს რიტორიკული სვლა განსაკუთრებით თვალშისაცემია იაკობ პოლონსკის პოემაში „ნინა გრიბოედოვა“, სადაც ახალგაზრდა ქართველი ქვრივი ქალი წარმოჩნდება, როგორც რუსი ქმრის ხსოვნისადმი სამარადჟამო ერთგულების ჯეშმარიტი ხატი.

ქართველი მამაკაცის სახე რუსულ მწერლობაში

სუზან ლეიტონი ქართულ თემებზე შექმნილი რუსული ლიტერატურის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ, მივიდა დასკვნამდე, რომ რუსი ავტორების მხატვრულ შემოქმედებაში ვერც ერთი ქართველი მამაკაცი პერსონაჟი ვერ იმსახურებს ქალის ტრფიალს.

კულტურათშორისი ეროტიკული ალიანსის აპოთეოზს ალექსანდრე ოდოევსკის ლექსი „საქართველოსა და რუსეთის სამეფოს ქორწინება“[26] აღწევს. ოდოევსკის ალეგორია საქართველოს პერსონიფიცირებას ახდენს. ავტორი მკითხველს საქართველოს წარუდგენს როგორც ფიცხ, შავგვრემან ქალწულს, რუსეთს კი ხატავს ღია წაბლისფერთმიან გოლიათად, ვისაც რკინისებრი სიმტკიცით უპყრია მსოფლიოს ღერძი. რუსი სატრფოს გამო ქალწული უარით

[26] ციტირებულია თაეის ეპიგრაფი, A. Odoevskii, "Brak Gruzii s russkim tsartsvom," *Polnoe sobraniesochinenii* (Leningrad: Sovetskii pisatel', 1958, pp. 178—80. 183.

ისტუმრებს ყველა სხვა „ხელის მთხოვნელს“. აქ ოდოევსკი მეტოქე ქვეყნებს შორის გულისხმობს ირანსა და თურქეთს,

რუსული მწერლობის ეს ნიმუში მიანიშნებს, რომ საქართველო არამხოლოდ რუსეთისთვისაა ფემინიზებული სიმბოლო, არამედ ირანისა და თურქეთისთვისაც, რაც აშკარად გეოპოლიტიკური გამოწვევაა და საინტერესოა, რამდენად შეიძლება თანზომადი იყოს თურქულ და ირანულ ლიტერატურაში საქართველოს შესახებ. ამ პოემაში საქმრო ხელდახელ ამარცხებს ქალის ორ ადგილობრივ მუსლიმ მთხოვნელს, ალეგორია არ გვიხატავს ქართველ მამაკაცებს, რაც მიანიშნებს, რომ ფემინიზებულ ტერიტირიას „შინ“ არ გააჩნია შესაფერისი მეწყვილე, რის გამოც იგი ნებდება რუსულ კოლოსს. რუსულ ლიტერატურაში ქართველი საქმროს არარსებობა საუკეთესოდ მეტყველებს იმ უბადრუკ სტატუსზე, რაც ადგილობრივ მამაკაცს მიენიჭა. რუს მწერალთა არც ერთი ნაწარმოები არ წარმოგვიდგენს ქართველ მამაკაც გმირობას. ამ ფონზე აღსანიშნავია, რომ კავკასიელი მუსლიმი ტომები მეტ პატივს იმსახურებენ რუსულ ლიტერატურაში: ბესტუჟევ-მარლინსკი გვიხატავს „ამალატ-ბეკს“ ამავე სახელწოდების ნაწარმოებში, ლერმონტოვი „ისმაილ-ბეის“ და ლევ ტოლსტოი „ჰაჯი მურატს“. ქართველი მამაკაცს კი საგმირო და მთავარი როლები არ ერგოთ. ზოგადი ნორმაა ქართველი მამაკაცის წარმოდგენა როგორც სასმელის მოყვარულის, კეთილგონიერებას მოკლებულისა და ბრიყვის, მხდალის, უკეთურის და ყაჩაღის, უღონობის ინკარნაციის. რუსული ლიტერატურის სცენაზე უმთავრესად სწორედ ამ „მთავარი როლებით“ „დააბიჯებენ“ ქართველი მამაკაცები.

ლეიტონის ლიტერატურულ კვლევა მიუთითებს, რომ რუსული მწერლობა საქართველოს შესახებ მეორე სტანდარტულ იდეად აყალიბებს მითს „ვენახებით უხვი ქვეყნის“ შესახებ, რაც საფუძვლად

დაედო ლოთის კულტის ჩამოყალიბებას ლიტერატურაში. ლერმონტოვის პოემა „კამათი“ თითქოსდა აზიური კატალოგია, რომელშიც ქართველი კაცის ტიპაჟი „ტკბილი ღვინის მსმელი, ხის ჩრდილქვეშ მონებიერეა“.

პოლონსკის ლექსი „კახელისადმი“ ასევე მაღალი საზოგადოების იოლი ცხოვრების მანერას აღგვიწერს. იოლი და ღვინით გახალისებული ცხოვრება ღვინის ქვეყნის მთავარ მახასიათებელ თვისებად არის წარმოდგენილი.

კამენსკის „მაიკოც“ ქართულ ღრეობას გვისურათხატებს; ავტორს თუ ვენდობით, ნებისმიერი ანტიკური ხანის თუ თანამედროვე ორგია გორის სიახლოვეს გამართულ ქართულ სუფრობასთან შედარებით ბავშვური გართობაა. ამავე ავტორის „ლხინი კავკასიაში“ ქართველთა მოლხენას „აზიურ“ ექსცესებს მიაწერს სმის დროს, რასაც ლხინის შემსწრე რუსი სტუმრის, მთხრობელის „ევროპულ, მოკრძალებულ სტილს“ ადარებს.

ქართველი მამაკაცი, როგორც მხდალი

გარდა წრეგადასული სმისა, მე-19 ს-ის რუსულ მწერლობაში ქართველ მამაკაცის ხატის ილუსტრირება ხდება ისეთი თვისებებითაც, როგორიცაა არაკეთილგონიერება, განსჯას მოკლებული ქცევა, ქურდ-ბაცაცობა. ლერმონტოვის „დემონი“ თამარის საქმროს არაკეთილგონიერ პირად გვიხატავს: მიუვალ მთებში დემონის მიერ შეტყუებული საქმროს ტრაგიკული აღსასრული მის გამჭრიახობაზე არ მეტყველებს, მით უფრო არც სიმამაცეზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი იქ ხმლით საბრძოლველად გაეშურა - ასეთია ავტორის მინიშნება.

ლერმონტოვისეული დრამატული სცენა ქართველთა სიმხდალეს უკვე არა მინიშნებით გადმოსცემს, არამედ ეპითეტით ამკობს: «бежали робкие грузини» რომელიც ქართული საზოგადოების მიერ მეტნაკლებად უკვე გაკრიტიკებული რუსული „ნაკალმარია". ეს ფრაზა დემონთან საბრძოლოდ მიმავალი თამარის საქმროს დამფრთხალ ანტურაჟს აღწერს, რომლებიც დემონს დაუშინდნენ. ქართველი პერსონაჟის მუდმივად უსუსურად და მხდალად დახასიათება მხოლოდ იმ რუსი მკითხველებისათვის არ აღმოჩნდა იოლად დასაჯერებელი, ვისაც საკუთარი გამოცდილება ჰქონდა; ცნობილია, რომ ასეთი იყო თვით ლერმონტოვის ნათესავი, მან გააპროტესტა პოემა „დემონში" ქართული ამალის, საქმროს თანმხლებთა „მხდალებად" დახასიათება[27]:

«И дикий крик и стон глухой
Промчались в глубине долины —
Недолго продолжался бой:
Бежали робкие грузины!»

იგი წერდა, რომ ოფიცრის ჩინის მქონე პოეტის კავკასიის არმიაში სამსახურიც, უდავოდ, საწინააღმდეგო ფაქტს ადასტურებდა.

ეს მცირე ეპიზოდი ერთადერთი როდია, რუსულ ლიტერატურაში მუდმივად ვაწყდებით ქართველი კაცისადმი აგდებულ დამოკიდებულებას. ქართველკაცობის გაუფასურებით და რუს მამაკაცთა გმირად შერაცხვით ლიტერატურამ დიადი, იმპერიის მშენებელი ერის თვითკმაყოფილი ხატი დაამკვიდრა; ამით ცდილობდნენ „საკუთარი, „ევროპული" ბატონობის დამკვიდრებას, თითქოსდა ძილბურანში გახვეულ, აზიურ მიწაწყალზე".

[27] http://ilibrary.ru/text/1149/p.1/index.html

მხდალ, უძლურ და უსუსურ მამაკაცად არის წარმოდგენილი ასევე თამარის მამაც, გუდალი, რომელმაც ვერ დაიცვა საკუთარი ქალიშვილი სექსუალური აგრესიისა და სიკვდილისაგან.

გუდალს „დემონში“ ნაკლები ყურადღება ეთმობა, იგი ენათესავება პოლონსკისეულ ქართველ გმირს. პოლონსკის გულწრფელი მობოდიშება იმპერიალიზმისადმი ლექსში „იმერელი“; რომელიც ტიფლისში გენერალ-გუბერნატორად მსახურებისას დაწერა. ლექსში ქართველთა სამადლობელი ისმის იმ სიკეთისადმი, რაც რუსულმა დომინაციამ მოუტანა ქვეყანას. სანამ ერთმორწმუნე ერი მოვიდა დასახსნელად, საქართველოს მუდმივად ომი უწევდა, ხშირად უშედეგოდაც.

ლექსში გვესმის ქართველი პერსონაჟის ხმა, რომელიც საკუთარ თავს დამნაშაულედ მიიჩნევს, რადგან ვერ შეძლო ქართველი მანდილოსნები ოსმალეთის მონების ბაზარზე გაყიდვისა და დეგრადირებისაგან დაეხსნა. პოლონსკის ამ დახასიათებაში იმერელი მამაკაცი უსუსურია პოლიტიკური, სამხედრო და ეროტიკული თვალსაზრისით, რის გამოც, ქართველი მანდილოსნები ბარბაროსმა მუსლიმებმა „წაჰგვარეს“.

ამ ფონზე, ძლევამოსილი რუსი მხსნელები არამხოლოდ „სიყვარულის მონების“ სამარცხვინო გატაცებას უდებს სამანს, არამედ საქართველოს ეკონომიკურ აღორძინებასაც იწყებს.

კულტურული მითის შექმნის რუსულ ლიტერატურაში ხშირად ისტორიული ფაქტების დარღვევითა და საინტერესო ეპიზოდების მიჩქმალვის ხარჯზე ხდებოდა. მაინც რად უნდა დასჭირებოდა ეს რუს მწერლობას? რატომ უთხრეს ცივი უარი ქართველ მამაკაცს ისტორიული, გმირული იერსახის მინიჭებაზე? რუს მწერლებს

შთაგონების წყაროდ შეეძლოთ ქართული საგმირო ეპოსიდან, ან რუსთველის ვეფხისტყაოსნიდან აეღოთ, თუმცა, როგორც ლეიტონი წერს, მათ არჩიეს ქართველთა მამაკაცური იდენტიფიცირება უშუალოდ და მხოლოდ ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფესთან, გიორგი მე-12-სთან მოეხდინათ, რომელიც ასოცირდებოდა არა სამხედრო ხელოვნებასთან, არამედ ქეიფსა და დროსტარებასთან; ბოლოს კი, ლოგინად ჩავარდნილი, რუსეთის მეფეს ავედრებდა საკუთარი ქვეყნის მფარველობას.

რუსული ცნობიერება ხანგრძლივი დროის განმავლობაში იკვებებოდა სწორედ მასთან გაიგივებული ქართველი მამაკაცის პერსონაჟით, ქართველი გმირი მამაკაცი ლიტერატურაში არ არსებობდა. არადა, ისტორია წარმოსახვისათვის ფართო არჩევანს გვთავაზობს.

ქართველი მამაკაცის სიმხნევისა და საბრძოლო შემართების უამრავი მაგალითი კი მიჩქმალული, უგულებელყოფილი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ანექსიის შემდეგ, 1820-იანი წლების ბოლოს მრავალი ქართველი შევიდა მეფის რუსეთის სამხედრო სამსახურში, რუსმა საზოგადოებამ უფრო ახლოს გაიცნო ქართველი მამაკაცები, ისინი რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცების გვერდიგვერდ იბრძოდნენ ნაპოლეონის, თურქეთის, ირანისა და კავკასიელი მუსლიმი ტომების წინააღმდეგ.

გრიგოლ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გარდა იმისა, რომ იმპერიის ადმინისტრაციაში მსახურებდნენ, რუს მაღალჩინოსნებს შორის ცნობილი იყვნენ მასპინძლობის მაღალი კულტურით, და საღამოებით, რომლებიც ხშირად ლიტერატურულ საუბრებს ეძღვნებოდა. თუმცა, ვერც ამ ფაქტორმა შეძლო ის, რომ რუსულ ლიტერატურაში ქართველი დადებითი პერსონაჟი გამოჩენილიყო.

კავკასიელ მუსლიმთა წინააღმდეგ რუსეთის ბრძოლა რომ მთლად სამართლიანი არ გახლდათ ლერმონტოვს ეჭვი არ ეპარებოდა, რაც არაერთგზის გამოხატა კიდეც საკუთარ შემოქმედებაში; სრულიად სხვა დამოკიდებულება იგრძნობა საქართველოს მიმართ: „მწირის“ შესავალ ნაწილში ლერმონტოვი ღიად უწოდებს ცარისტულ რეჟიმის საქართველოში ბატონობას „ღვთის განგებას“, ეს პატარა ქვეყანამ მშვიდობიანად რომ ეითარდება, მისი "მეგობრის ხმალი იცავს."

თუ რუსული რომანტიკული მწერლობა მუსლიმი ტომების ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებებში ძირითადად „აზიელ სიყვარულის მონა ქალებს“ აღწერდა, საქართველოსადმი „მიძღვნილი“ მხატვრული ლიტერატურის თემები სახასიათო ხელწერით ასახავდა ეროვნულ და სექსუალურ დამორჩილებას. ლიტერატურული კავკასია ასე დაიყო: ქართველი ჯაბანი მამაკაცის აბუჩად აგდება და საშიშროების მომასწავებელი ქართველი ქალის შემართების დაძლევა ნებისყოფის ფასად.

რუსი ავტორები დროდადრო ქართველ მამაკაცებს ველურ ქცევაში „ამხელენ“ (აღწერენ მათ თრობასა და აყალმაყალის ატეხვას, უმსგავსო ძარცვა-გლეჯას, „ბარბაროს ირანელებთან“ ულირს შეთქმულებას). თუმცა, რუსი მწერლების წარმოსახვის ნაყოფი, პრიმიტიული, განუვითარებელი აზიის შვილის, ქართველი მამაკაცის უმთავრეს ნიშნად მაინც უსუსურობა რჩება.

რუსულ ლიტერატურაში არ ჩანს მამაცი ქართველი მამაკაცი, როგორც უშიშარი რუსი ჯარისკაცის მხარდამხარ ებრძვის ისლამურ ძალებს ქრისტიანული ცივილიზაციის დასაცავად.

თითქოსდა ქართველი მამაკაცისთვის სასიცოცხლო ძალა ნაბახუსევს გამოეცალა; ქანციც გაეწყვიტა და კაცობის ღონეც

წაერთმია (რაც თვალშისაცემია ენებამოჭარბებული მუსლიმი თემის წარმომადგენელთა ამალათ-ბეგისა და ისმაილ-ბეის ფონზე). ადგილობრივი, უძლური მამაკაცის გამოგონებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ერის შესახებ შექმნილ კულტურულ მითოლოგიაში, რუსმა მწერლებმა უარყვეს ევროპული იდენტობის ძიება და მორგება საქართველოსთვის, მისი ტოპოსი აზიელი ქალის მეტაფორად იქცა.

ცალკერძად, რუსი მამაკაცების ავტორობით შექმნილი მთელი ლიტერატურული კორპუსი მომართულია იქით, რომ კავკასიური ქვეყნის განსხვავება მაინც და მაინც გენდერული კუთხით დავინახოთ. ქალებს მთავარი როლი ერგოთ მხატვრულ ლიტერატურაში, სწორედ ისინი იქცნენ საქართველოს სიმბოლოდ; ითხზვებოდა ზღაპრები ვნებიანი რუსი მამაკაცის სიყვარულით გათანგულ ქართველ ქალებზე (თუ რუსი მამაკაცის სიყვარულით არ იწვოდა, მაშინ მისი რჩეული გახლდათ მოძალადე და მაშასადამე „არააზიელი" დემონი); და მათი ბედნიერი შეუღლება იმპერიული მპყრობელობის მთავარ მეტაფორად იქცა. დაქორწინება-დანათესავებამ გადაფარა წარსული დაპირისპირებები და შეულღი, ხოლო ნინო ჭავჭავაძეზე გრიბოედოვის დაქორწინებით გაჩნდა ამ მეტაფორის ისტორიულად დამაგვირგვინებელი მაგალითიც. თუმცა, ალბათ სწორედ იმიტომ, რომ რუსმა მწერლებმა კარგად უწყოდნენ, ანექსიას თან მოჰყვებოდა წინააღმდეგობა და ბრძოლა, მათ ქართველი ქალს მომხიბლელობასთან ერთად მიაწერეს მძვინვარე ბუნებაც: მას შეეძლო სამაგიეროს მიზღვა იმპერიის მშენებელთა მიერ ჩადენილი სისასტიკის გამო. ისტორიამ ამ როლისთვისაც მისცა მათ პროტოტიპი - ტახტიდან ჩამოგდებული და შეურაცხყოფილი ქართველი დედოფლის, მარიამის სახით. 1803 წელს დედოფალმა ხანჯლით განგმირა გადასახლების ბრძანების ფრიალით მის სამყოფელში დაუკითხავად შეჭრილი რუსეთის მეფის გენერალი ი. პ. ლაზარევი.

ქართველი მამაკაცის სახის შექმნით რუსულმა ლიტერატურამ ცარისტული სახელმწიფოს იმპერიალისტურ ჩანაფიქრს უერთგულა. ასე შეითხზა არსობრივად უძლური ორიენტალური „უცხო“, მის ისტორიულ პროტოტიპად კი გიორგი XII აქციეს უძლური მეფის სტატუსით, რომელიც ნამდვილად დაჩრდილა მირიამ დედოფალმა, ვინც ერის ღირსების დასაცავად იარაღი შემართა. იქნებ სწორედ აქედან მომდინარეობს რუს მწერალთა შიში ქართველი ქალისადმი? რუს მწერლებს შურისმაძიებელი დედოფლის შესახებ არაფერი დაუწერიათ, მაგრამ მან აქაც იძია შური: დედოფლის თანმდევი ხატება მათ მხატვრულ წარმოსახვაში მის „ქალიშვილებად“ მოგვევლინენ (პუშკინის ზარემა, გრიბოედოვის „თ“ ანუ მედეას „სუროგატი“ და ლერმონტოვის ჯოჯოხეთური თამარა). მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში ტაბუ ედო ქართველი ქალის რუსი მამაკაცისადმი მტრობის აშსახველ ფაბულას. პირიქით, მწერლები კულტურათა შორის ეროტიკულ კავშირზე დაბეჯითებით წერენ, ქმნიან რა საქართველოს გაორმაგებულ ხატს: ერთის მხრივ რუსეთის მოყვარეს, მეორეს მხრივ - მოსათვინიერებელს. რუსეთის ფსიქოსექსუალურმა დამოკიდებულებამ საკუთარი პროტექტორატის მიმართ, ანუ მუდმივად მტრის ალყაში მოქცეული საქართველოსადმი, თანდათან გააღვივა ამ იმპერიული მითოლოგიის დაუოკებელი სწრაფვა ევროცენტრიზმისაკენ. იმ პერიოდში, რუსეთის გამუდმებული ლანძღვით ფრანგები გამოირჩეოდნენ. რუსებს „ბარბაროსების ერად“ მოიხსენიებდნენ. კულტურა-შეურაცხყოფილი რუსი მწერლები კი, თავის მხრივ, საკუთარ ლიტერატურულ ტექსტებში კავკასიაზე ანთხევდნენ ბოღმას კავკასიელები არასაკმარისად ევროპელები არიანო. თუ კამენსკის მსგავს „პატარა ორიენტალისტებს“ განურჩევლად ყველა კავკასიელისადმი ეჭირათ ევროცენტრული პოზა; პუშკინმა, ბესტუჟევ-მარლინსკიმ და ლერმონტოვმა რუსეთ-დასავლეთის განსხვავებულობა სრული ფერადოვნებითა და

ურთიერთსაპირისპირო ემოციებით წარმოაჩინეს. ასე მოახერხეს საკუთარი რუსული მეობის დამაკმაყოფილებელ ელფერში წარმოდგენა აზიელების ფონზე, ანუ, მაჩო მუსლიმი გმირების ფონზე, რომლებიც თავადვე მონათლეს აზიელებად.

რუსეთის კულტურული პოლიტიკის ნაწილი იყო საკუთარი „ევროპულობით“ ორიენტალურ კავკასიასთან შედარების ფონი შეექმნათ და ამით გადაეფარათ, თუ რამდენად ბევრი აკლდა რუსეთს ევროპამდე. კულტურული პოლიტიკა ქვეყნის პოლიტიკის მძლავრი იდეოლოგიური იარაღია. რადგან რიგი მიზეზების გამო საქართველო ასეთი კულტურული პოლიტიკისათვის ხელსაყრელი ქვეყანა არ იყო, რუსმა მწერლებმა გამოიგონეს საკუთარი საქართველო, რომელიც უფრო ველურია, ვიდრე ცივილიზებული, უფრო აზიურია, ვიდრე ევროპული და ამ სიმულაკრუმით შექმნეს კოლონიზატორი-კოლონიზებულის სტატუსის გამამყარებელი არგუმენტი.

საქართველოს - მამაკაცობა ჩამორთმეულსა და ქალის ხატებით წარმოდგენილს, განცალკევებულს მამაკაცური, ტომებად მცხოვრები კავკასიელების იერარქიებისაგან, პრივილეგირებული, მბრძანებლებისაგან, იმპერიის მშენებელი რუსეთისათვის ისევე უნდა ეცა თაყვანი, როგორც ინდოეთმა აღიარა ბრიტანეთი.

მედეა: სიმბოლო, მეტაფორა, პოსტკოლონიური ტრანსლაცია

(პროფ. მარინე გიორგაძის თანაავტორობით)

ლ. ულიცკაიას პოსტსტრუქტურალისტურ ტექსტში ,,მედეა და მისი შვილები'' ავტორის ინტენციის რაციონალური გააზრებისათვის ყველაზე რელევანტურია პოსტკოლონიური თეორიის პარადიგმა, რომელსაც ანთროპოლოგია განმარტავს, როგორც ერთ დროს კოლონიზებული ერებისა და ტერიტორიებისადმი დამოკიდებულებას და პირიქით, კოლონიზებულის დამოკიდებულებას კოლონიზატორისადმი. ანთროპოლოგთა აღნიშნული პარადიგმის გარდა, ემპირიული კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდა პოსტკოლონიური ლიტერატურისა და პოსტკოლონიური თარგმანის / ტრანსლაციის პარადიგმები.

პოსტკოლონიური ლიტერატურა, როგორც ლიტერატურული ფენომენი, გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ლიტერატურა ყოფილი კოლონიის შესახებ, ანდა მხატვრული ტექსტი, რომელიც ყოფილი კოლონიის მოქალაქემ დაწერა. როგორც მ. ტიმოჟკო აღნიშნავს, მხატვრული თარგმანი პოსტკოლონიური ლიტერატურისა და კულტურული უმცირესობის ლიტერატურის ანალოგიურია, რადგან სწორედ მათსავით, ინტერკულტურული წერის ფორმაა.

ამდენად, *პოსტკოლონიური ტრანსლაციისა და პოსტკოლონიური ლიტერატურის პარადიგმებს* ახასიათებთ *ანალოგიური ნიშნები.* გარდა ზემოთჩამოთვლილისა, მათი კიდევ ერთი საერთო თვისობრივი ნიშანია *მითიური ალუზიები.* თუ ლიტერატურულ ტექსტში მოხმობილია ალუზია ისეთი მითიდან, რომელიც კულტურულ უმცირესობას ეკუთვნის, მას შეეხება, ან მის წიაღშია წარმოშობილი, ამ მითს, შესაძლოა, ისევე დასჭირდეს

განმარტებების დართვა ან სქოლიო, რათა მკითხველს მითის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიეწოდოს, სწორედ ისე, როგორც ეს თარგმანში ხდება საჭირო, სადაც ეს მითიური ალუზიები, ჩვეულებისამებრ, განმარტებულია ხოლმე).

„მედეა და მისი შვილების" ანალიზი პოსტკოლონიურ პარადიგმაში

ულიცკაიას რომანი პოსტკოლონიურად მიჩნეულ ლიტერატურაში, ე. საიდის ტერმინს თუ ვისესხებთ, კიდევ ერთი *ორიენტალური ზღაპარია*, მაგრამ ამავე დროს, ის არის ტრიქსტერი[28].

განსხვავებით იმ რუსულენოვანი ლიტერატურისაგან, რასაც ამაეე პარადიგმას მიეკუთვნებთ[29] და რაც კავკასიასა და კერძოდ საქართველოს შეეხება ალნიშნული ტექსტი აგებულია *მითიურ ალუზიაზე*.

საანალიზო ტექსტში საყურადღებოა მითიური მედეას კულტურული იდენტობის ტრანსლაცია და ანტიკური სამყაროდან მისი მიგრაცია ავტორისეულ სუბიექტურ რეალობაში. მედეა, როგორც მითიური პერსონა, მრავალი წლის შემდეგ, ბრუნდება, უფრო სწორედ, მას ავტორი აბრუნებს დიდი, მითიური სამყაროდან თანამედროვე სოციუმის ყოფით რეალობაში. რომანის სათაური: „მედეა და მისი შვილები" მკითხველში კლასიკურ ძველბერძნულ მითთან კოგნიტური ასოციაციას ქმნის, რითიც მასში პირველ რეფლექსიას იწვევს.

ამდენად, ულიცკაია სათაურშივე ახდენს მედეას კანონიკური მითის იმპლიკაციას: «Итак, «читательские ожидания» в

---

[28] ტრიქსტერი ტიპიური სიმულაკრაა, თავისი დემონური და ,,არასახიერი" სისტემით. სწორედ ამ ორი უმთავრესი დიალექტიკური ასპექტით ისინი სრულ იდენტობაში მოდიან ერთმანეთთან:

1. ტრიქსტერი, ისევე როგორც სიმულაკრა არის სისტემა ,,არასახიერი"(უსახო) სტრუქტურით.

2 .ტრიქსტერი, ისევე როგორც სიმულაკრა არის სისტემა დემონური სტრუქტურით (ხათუნა თავდგირიძე, ,,ტრიქსტერი და სიმულაკრა")

[29] იხ. რ. სანის, ს. ლეიტონის, ჯ. რემის კვლევები.

данном случае связаны с древнегреческим мифом о Медее. Однако с первых же страниц романа становится ясно, что этим «ожиданиям» не суждено сбыться» (Бабич, 2011:133).

„მედეა და მისი შვილების“ სუბლიმაციური დისკურსი

დისკურსი, როგორც ე. საიდი მიიჩნევს, არის რეგულირებული სისტემა, რომელშიც ცოდნას კონკრეტულ საზღვრებში ვიყენებთ. რასაკვირველია, დისკურსში ცოდნის საზღვრულად გამოყენების მიუხედავად, ავტორის ავტონომია განუსაზღვრელია, მას შეუძლია გასცდეს დისკურსის დადგენილ საზღვრებსა და ნორმებს საკუთარ ნარატივში. ან, დისკურსის საზღვრულ პარადიგმაში საკუთარი, სუბიექტური მსოფლაღქმის რაკურსით წარმოაჩინოს ამბავი. ბუნებრივია, თუ დავძენთ, რომ სუბიექტივიზმი ანგაჟირებული დამოკიდებულების პარადიგმატული ნიშანია. აანალიზებს რა ანგაჟირების ცნებას, პოსტკოლონიალიზმის თეორია მიუთითებს, რომ ყოველი კოლონისტური ქვეყნის ნარატივი იმთავითვე იდეოლოგიურად მოტივირებული და ანგაჟირებულია: ვინაიდან კოლონიზატორს სჭირდება კოლონიზაციის არგუმენტი, იგი დისკურსის მანიპულაციით თხზავს და პროპაგანდისტული პრაქტიკით ცდილობს დაამკვიდროს დიქოტომია: სუპერიორი-ინფერიორი; (მაგ.: განმანათლებელი - ჩამორჩენილი ქვეყანა, სუბალტერნი) იმიჯების ასეთი ვერტიკალი არის ის ხელსაყრელი იდეოლოგიური ინსტრუმენტი, რომელსაც კოლონიზატორი მიმართავს საკუთარი როლის გასამართლებლად. ფუკოს შრომებში აღნიშნულია, რომ ძალაუფლება კომუნიკაციის ყველა ფორმაში იჭრება, რის გამოც, რეალურად არ არსებობს ნეიტრალური ან პოლიტიკისაგან თავისუფალი დიალოგი.

ულიცკაიას თხზულება გვაცნობს ჰელიოსის შვილიშვილის მცირე ანარეკლს, თითქოსდა გაკეთილშობილებულს, ტოლერანტს, როგორც მითოსური ავბედითი არსების კეთილშობილ ანტიპოდს.

ულიცკაია მითიური მედეასაგან დისტანცირებული სუბალტერნის იმიჯს ქმნის და სწორედ ამით ცხადყოფს, რომ მათ პოზიციას იზიარებს, ვინც მითიური არსის „ადამიანური თვისებების“ პლანში გააზრებას ცდილობს. მითიური არსების გენდერული მარკირება „ქალად“ ი. ბაბიჩის ნაშრომშიც გვხვდება: «Это, по-сути, анти-Медея, какой может стать любая женщина, живущая в Высшей воле, а не в своеволии, как мифологическая Медея» (Бабич, 2011:135).

ასეთად ხედავს ულიცკასეულ მედეას მკვლევარი და სწორედ ამიტომ განიცდის მითოსური მედეა იდენტობის ტრანსლაციას, განძარცვას და ულიცკაიასეულ, ნახევრად კოლხ მედეაში გარდასახვას. მედეა, რომლის არსიც მითიურ სამყაროს ეკუთვნის, ავტორის ცნობიერებაში სუბლიმირებულია რიგით მოკვდავად. საზოგადოდ, მედეას ფენომენის შეცნობის არაერთი მოსურნის მსჯელობა ნიშანდებულია მედეას სუბლიმაციის მცდელობით: როგორც წესი, შემფასებლებს აქვთ წინასწარ ჩამოყალიბებული გენდერული განწყობა მედეასადმი: მედეა მათთვის ქალია. წესისამებრ, მედეას გენდერული შემფასებლების მსჯელობა, მათივე თვალსაწიერის ფარგლებში, მედეას მითიურ არსს ანაცვლებს მიწიერში, ვინაიდან მედეაზე მსჯელობა ამ რაკურსში უფრო ეადვილებათ. ასეთი ნარატივის ინვარიანტებია: სამშობლოს მოღალატე ქალი, გრძნეული, ჯადოქარი (და არა, ვთქვათ, მკურნალი), ქალი, რომელმაც უღალატა (ნაკლები აქცენტით იმ ფაქტორზე, რომ მასაც უღალატეს), შვილების მკვლელი და შურისმაძიებელი (აქ მედეას „ქომაგები“ ევრიპიდეს ხუთ ტალანტად მოსყიდვის ამბავსაც იხსენებენ) ბუნებრივია, მედეაზე ამ პარადიგმაში მსჯელობა გულუბრყვილობის ტოლფასია. მითიური სამყაროს ხდომილებებისა და პერსონალიების ანალიზისას ჩვენ ვერ გადავინაცვლებთ მითიურ სამყაროში, ხოლო მითის პერსონაჟთა ჩვენეულ სამყაროში

გადმონაცვლებით მათ ვწყვეტთ საკუთარ კონტექსტს და მათ მიერ „ჩადენილი“ ყოველი ქმედების ჩვენეული ცოდნით აღქმასა და დოგმატური საზომებით გააზრებას ვცდილობთ. ეს ერთ-ერთი ქაოსია მედეასთან მიმართებაში და ზოგადად მითთან მიმართებაში. ადამიანურ-მიწიერი ახსნის ძიებისას, გვავიწყდება, რომ ჩვენ, მითიდან, როგორც ერთი განზომილებიდან, პერსონაჟთა მიგრაციას ვახდენთ მეორეში, ანუ რეალურში და ამ პროცესში ძალადობრივად ვცდილობთ ირეალურის შეფასებას რეალისტური კრიტერიუმებით.

ბრაუნდი მიუთითებს: „ძველი სამყარო თავისი მითების რაციონალიზაციას ამჯობინებდა. დიკეარქოსი ამ მიდგომას მოკლედ ასე აყალიბებს: „გონივრული განსჯით ზღაპრულისათვის ზედმეტობის მოცილების შედეგად მისი მნიშვნელობა ბუნებრივამდე დაიყვანება“. ოქროს საწმისის რაციონალური ახსნის მცდელობები ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც არადამაჯერებელი და უკიდურესად გაუბრალოებული.“ (Braund,1994: 34).

დერიდას ტერმინებს თუ ვისესხებთ, ულიცკაია ახდენს დუბლიკაციას და დიფერანსს, ანუ ერთ-ერთი მედეა, როგორც დუბლირებული, ხდება „უცხო“: «Все в героини Улицкой – полная противоположность древнегреческой Медеи» (Бабич, 2011:133).[30]

რამდენად არის ავტორის ცნობიერებაში მედეა სუბლიმირებული რიგით მოკვდავად იმავე მიზეზებით, რა მიზეზებითაც დღემდე ცდილობდნენ მედეას გამიწიერებას მისი გენდერულად ანგაჟირებული კრიტიკოსები? ამის გარკვევა შეიძლება ინვარიანტების შეპირისპირებითი შესწავლით, ულიცკაისთან კი

[30] http://www.irbis-nbuv.gov.ua/cgi (Collected papers on Philology) Випуск L Херсон 2011 Видавництво ХДУ

სუბლიმაციას განიცდის ყველა ინვარიანტი. პარადოქსული დიქოტომიებით თამაშში ავტორისეული ინტენცია მედეას წარმოშობით მანიპულირებაა: დარღვეულია სივრცის ქრონოტოპი: თუ მითოსური კოლხი მედეასათვის საბერძნეთი ის ქვეყანაა, რომელმაც ყველაფერი წაართვა, ავტორის ირონიით, ის მედეას სამშობლოდ იქცა:

I დიქოტომია:

სამშობლოს მოღალატე ქალი - სამშობლოდანაა მიგრირებული;

დამაკნინებელი კონოტაციების შემცველი ლექსიკითაა მედეა დახასიათებული, როგორც ყირიმის ადგილობრივი პეიზაჟის ნაწილი:

«Для местных жителей Медея Мендес давно уже была **частью пейзажа**. Если не сидела она в белой раме регистратурного окна, то непременно **маячила** ее темная фигура либо в Восточных холмах, либо на каменистых склонах гор к западу от Поселка».

რომანისეულ მედეას კანონიკურ მითთან ღრმა კავშირს ავტორი ალუზიებით ამყარებს:

«**Таврические греки**, ровесники Медеи, либо вымерли, либо были выселены, а она осталась в Крыму, как сама считала, по Божьей милости, но отчасти благодаря своей вдовьей испанской фамилии, которую унаследовала от покойного мужа, веселого еврея-дантиста, человека с мелкими, но заметными недостатками и большими, но глубоко скрытыми достоинствами».

მითის მიხედვით, ტავრების მეფე პერსეესი, აიეტის ძმა გახლდათ, ამდენად, ქრონოტოპი Таврические - კიდევ ერთი ალუზიაა რომანის მედეას მითოსურ მედეასთან:

„კოლხებს შეუძლიათ თავის მოწონება მითიური კავშირებით, რომლებიც მთელ შავიზღვისპირეთს მოიცავდა. ჩრდილოეთით, როგორც ამბობდნენ, კირკე ცოლად გაჰყვა სარმატთა მეფეს....ყირიმში აიეტის ძმა პერსევსი ტავრების[31] მეფე იყო. ითვლებოდა, რომ ქალაქი პანტიკაპეონი აიეტის ძემ დააარსა. ამაზე უდავოდ იყო მოთხრობილი ამჟამად დაკარგულ ფართო კომენტარში, რომელიც ბოსფორისა და კოლხეთის მეფეთა წარმომავლობასა და საქმეების შესახებ იყო დაწერილი პომპეუს ტროგუსის მიერ. (გვ. 48, საქართველო ანტიკურ ხანაში, კოლხეთისა და ამიერკავკასიის იბერიის ისტორია ძვ. წ. 550 ახ. წ. 562 წლები, დევიდ ბრაუნდი).

სარკაზმით სავსე ტონალობითაა დახასიათებული მედეას ებრაელი მეუღლეც: როგორც ავტორი წერს, მისი ღირსებები ღრმადაა დაფარული (ადამიანისათვის შეუმჩნეველია) ხოლო წერილმანი ნაკლოვანებები თვალში გეხვდება...

---

[31] Taurus - ხარი, - იასონის მიერ ულელში შებმული ცეცხლისმფქვეველი ხარები, რომლებიც ერთ-ერთი მითის თანახმად ტაურისის ქერსონესოსიდან იყვნენ და საწმისის მცველებად ითვლებოდნენ.

II დიქოტომია:

კოლხეთის მეფის აიეტის ასული - სკანდალური ბათუმელი ქალის ქორწინებამდე უკანონოდ ჩასახული შვილი: «А может быть, многоплодие его сына шло от тощей рыжей невестки Матильды, привезенной им из Батума, **вошедшей в дом скандально непорожней**».

ამერიკელი მკვლევარი მ. ჩაილდსი ყურადღებას ამახვილებს მედეას ქართველი დედის დახასიათებაზე: "Further, Medea's Georgian mother is described as kind, but unworldly and close-minded" (Childes, 2012: 230) ამ დიქოტომიას კიდევ უფრო აღრმავებს მატილდას პორტრეტის ისეთი შტრიხები, როგორიცაა გულუბრყვილო და გონებაშეზღუდული;

საგულისხმოა, რომ რომანში ერთ ანტიქართულ არასახარბიელო შტრიხს მეორე ემატება: ეროვნებით ქართველი სოფიას ქართველ შვილებს ულიცკაია გონჯებად ხატავს. დაკვირვებული მკითხველი გაიხსენებს, რომ ეს უშნო გოგონები ბათუმელებია, მედეას დედის დის, ქართველი სოფიას ქალიშვილები: «образовавшийся со временем из розничной торговли восточными сладостями, в частности пахлавой, тесто для которой так ловко растягивали ее проворные **некрасивые дочери**».

რა ღირსებებით შეიძლება გამოირჩევა ულიცკაიას მხატვრული ტექსტი? მითიური მედეას ამბავს რამდენიმე თემა კრავს, ისეთი ცნებების ურთიერთდაპირისპირებით, როგორიც სიყვარული, სიძულვილი, ერთგულება, ღალატი და ტრაგედია. ულიცკაიამ კი შექმნა მითიური პერსონაჟების სუბკულტურულ-მიკროკოლონიური პანთეონი. მისი ფსევდო-გლობალისტური პათოსის მყიფე შრეებში,

მითიური ენებების საპირისპიროდ, მკაფიოდ ისმის ექს-კოლონიზატორის ხმა და წარმოდგენილია მითის პაროდირება.

III დიქოტომია:

სამეფო გულუხვობა - მდაბალი სიძუნწე

ტრადიციული მითის სივრციდან მთავარი პერსონაჟი ინაცვლებს რეალისტურ დროში; ეს მიგრაცია მის პიროვნებას სასიკეთოს ვერაფერს მატებს, პირიქით. თუ მითოლოგიური მედეა სიყვარულის გამო უშურველად გაიღებს ოქროს საწმისს, ულიცკაიას მედეა იმდენად ძუნწია, რომ შეუძლია მშვიდად უთხრას უარი სტუმარ ბავშვს საკვების დამატებაზე:

«Широта ее натуры забавным образом сочеталась у нее со скупостью, порции ее всегда были чуть меньше, чем хотелось бы, но она могла спокойно отказать ребенку в добавке».

IV დიქოტომია:

კოლხეთი ახალგაზრდა, ულამაზესი მეფის ასული უსახური, ხანდაზმული ქალი

ულიცკაია წერს: «Когда она в белом хирургическом халате с застежкой сзади сидела в крашеной раме регистрационного окна поселковой больнички, то выглядела словно какой-то неизвестный портрет Гойи».

მედეა არ არის წარმოშობით ესპანელი, ის ესპანურ გვარს „მენდესს“ ატარებს, მაგრამ გვარი მეუღლისაა. ამდენად, რა ასოციაციური ჯაჭვი შეიძლება გაჩნდეს მკითხველის გონებაში? დაფიქრდეს მედეას წარმომავლობაზე და გაიხსენოს, რომ იგი ესპანელი არ არის და ამდენად ნაკლებ სავარაუდოა, არაგონელი მხატვრის შთაგონება გამხდარიყო.... ეს ასოციაცია, უნებლიეთ, გოიას, შემოქმედებიდან „ქალის“, „ქალბატონის „Portrait of Doña Isabel de Porcel -ის ულამაზეს პორტრეტებს ამოატივტივებს და

პარადოქსულ-ოდიოზურ კონტრასტს ქმნის მედეას პორტრეტის ულიცკაისეულ შტრიხებთან: «морщинистую шею“, „ясно-коричневыми и сухими, и темная кожа лица тоже была в мелких сухих складках» .

ულიცკაიასათვის გოიას ნახატთან მედეას მიმსგავსება სხვა არაფერია, თუ არა კონფლიქტი კონსტატირებულსა და იმპლიცირებულს შორის; კონსტატირებულია მედეას გარეგნული იერსახე - სილამაზე და მისი მსგავსება გოიას პორტრეტთან, მაგ.: выглядела словно какой-то неизвестный портрет Гойи. ხოლო იმპლიცირებული რეპრეზენტაცია იქმნება მედეას გარეგნული იერსახის შემდგომი დახასიათებისას: კერძოდ, ავტორი მედეას სახეს ადარებს ლამაზი *„ცხენის სიფათს“:* Ее лицо напоминало красивую лошадиную морду. უნდა აღინიშნოს, რომ ზოოსემიოტიკის შინაარსობრივი გაგება თავსებადია მხოლოდ ეროვნულ-კულტურული სისტემის შიგნით არსებულ მათ თვისობრივ გაგებასთან. ქართულ, ფრანგულ, ამერიკულ ზოოსემიოტიკურ სისტემაში ცხენის სახე არ არის გაიგივებული სილამაზესთან. ხოლო თვით რუსულ სიტყვას - морда უარყოფითი კონოტაცია აქვს: შდრ.: ნეიტრალური კონოტაციის ლექსიკური ერთეული лицо. თუ თაედაპირველად მკითხველის ცნობიერებაში მედეა ასოცირდება გოიას მხატვრულ ტილოებთან, ეს ხატი მომდევნო პასაჟში ინგრევა და მედეას გარეგნობის პაროდიას ვიღებთ. მედეას, როგორც უსახური ქალის რეპრეზენტაცია იმპლიცირებულიდან კონსტატირებულში ინაცვლებს: «В отрочестве она много страдала от своей внешности: рыжие волосы, чрезмерный рост и чрезмерный рот; она стеснялась больших рук и мужского размера обуви, который носила».

რომანის ავტორი დიქოტომიებს აგებს ორი გზით: იგი ან პაროდირებას მიმართავს, ან პარადოქსს ეფუძნება და რომანის პერსონაჟი მითიური პერსონაჟისაგან სრულიად საპირისპიროდაა ნიშანდებული, მაგალითად, მითიური მედეას სილამაზე და მიწიერი მედეას უსახური ხატის რეპრეზენტაცია.

V დიქოტომია:

მითიური შურისმაძიებელი - „უცხო" ქვრივი

რომანში ავტორი შავის, როგორც გლოვის სიმბოლიკას, აიგივებს სამოსთან, რომელიც შეიძლება მოიხდინო, ან გიხდებოდეს და ამიტომ ატარო, რითიც ირიბადაა მინიშნებული გლოვის გაუფასურება, ან მედეას თვალთმაქცური, ყალბი ერთგულება ტრადიციისადმი: «Овдовела она давно и больше не выходила замуж, храня верность образу вдовы в черных одеждах, который очень ей пришелся».

ულიცკაიას მედეას სამგლოვიარო თავსაბურიც კი „არარუსულად" („не по-русски") ახურავს: «Черная шаль не по-русски и не по-деревенски обвивала ей голову и была завязана двумя длинными узлами, один из которых плоско лежал на правом виске». ლიტერატურულ ტექსტში მედეას უცხო წარმომავლობა არაერთხელაა საგანგებოდ აღნიშნული, რაც რომანის სტილს, მხატვრულობასა და მით უფრო ინფორმაციულ მხარეს არაფერს მატებს; მედეას, როგორც „უცხოს" ხაზგასმით ავტორი საკუთარი იდეოლოგიური მიზანმიმართების დამკვიდრებას ცდილობს.

კრიტიკოსები სულ უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან იდეოლოგიის ზეგავლენას ლიტერატურის შექმნასა და აუდიტორიის მიერ მის მიღებაზე. მულტივალენტურ ენას და პოლისემანტურ კომუნიკაციას სუბვერსიული ზემოქმედების უნარი აქვთ. ასეთი კომუნიკაცია განაპირობებს, როგორც ცნობილია, კულტურული სტერეოტიპების ჩამოყალიბება-დამკვიდრებას. პოსტკოლონიური

ლიტერატურისა და პოსტკოლონიური თარგმანის / ტრანსლაციის პარადიგმების მკვლევრები აღნიშნავენ, რომ კოლონიზატორისათვის კოლონიზებული წარმოადგენს „უცხოს“. ჩიფიტცისათვის „უცხოს“ ცნება ასოცირდებოდა ამერიკულ საზოგადოებაში ინდიელების, მექსიკელების, ებრაელებისა და სხვა ეთნიკური ჯგუფების ყოფასთან, რადგან ისინი ჯიუტად ცდილობდნენ იმ ძირძველი ტრადიციებისა და ჩვეულების შენარჩუნებას, რაც ძველი სამშობლოდან მოჰყვებოდათ; მათგან განსხვავებით, ე.წ. „მეინსტრიმი“, ანუ თეთრი და შაქკანიანი ამერიკელები ინტეგრაციონალისტურ ფილოსოფიას იზიარებდნენ. ხოლო ს. ლეიტონისათვის, ჰ. რემისა და ს. ჯოუნსისათვის საქართველოა რუსეთის ორიენტი. ლეიტონი წერს, და უხვადაც მოჰყავს ემპირიული მასალა, რომ თუ ევროპისათვის აზია იყო ორიენტალური, უცხო სამყარო, რუსეთმა კავკასია აღიქვა საკუთარ ორიენტალურ ტერიტორიად...

ტერმინი „უცხო“ იქცა ზოგადად არაცივილიზებულისა და ორიენტალური სამყაროს წარმომადგენლის აღმნიშნელად; ცხადია, „უცხოს“ ეს კონცეპტუალური გაგება იმპერიული სულისკვეთებით დაამკვიდრეს: „უცხო“ არის ის ინფერიორი, რომელზეც სუპერიორის კულტურის, განათლებისა და პოლიტიკის ექსპანსია უნდა მოხდეს, ხოლო ასეთი ექსპანსიის გასამართლებლად „უცხოობა“ (otherness) მზა არგუმენტია.

VI დიქოტომია:

მედეა მკურნალი და გრძნეული - მედეა ეშმაკთან წილნაყარი:

ულიცკაიას თხრობა მედეას შესახებ ქმნის ნიშანთა (და არა სიმბოლოთა) უწყვეტ ასოციაციათა ეელს ანტიკურ მითთან: სიტყვა მედიცინის ეტიმოლოგიას მითიური მედეას სახელთან მივყავართ, რადგან მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილიშვილს ბალახისა თუ შხამისაგან წამლის მიღება შეეძლო. მედეას (და კირკეს), კოლხეთსა და არგონავტებთან დაკავშირებულ ყველა მითში გრძნეულების,

ჯადოსნობის საიდუმლოს ფლობა, სამკურნალო ბალახის ცნობა და მათგან წამლის დამზადება ხელეწიფება:

„კოლხეთი განსაკუთრებული საფრთხისა და სიმდიდრეთა შემცველ ქვეყნადაა წარმოდგენილი. ამ სიმდიდრეთაგან კი ოქროს საწმისი მეფის უმნიშვნელოვანესი კუთვნილებაა, აქ მაგია ზეიმობს. ეს მიწა ძვირფასია ჰეკატესათვის, რომელიც ზოგჯერ აიეტის თანამეცხედრედ გვევლინება. ამავე დროს, ეს არის აიეტის მამის, ჰელიოსის სამშობლო. ამრიგად, ეს მზის ქვეყანაც იყო და მთვარისაც. ამ შესანიშნავ ქვეყანაში მედეასა და კირკესნაირებს უცხო მაგიური მცენარეების, მათ შორის პრომეთეს სისხლიდან ამოზრდილი ბალახის შეგროვება და მათი ამოქმედება შეეძლოთ. კოლხეთის სახელი მაგიის, განსაკუთრებით კი ჯადოქრობის ასოციაციას იწვევდა, უპირატესად - აიეტის ოჯახის მიმართ, რომ ისინი ჯადოსნობას მისდევდნენ და არა მარტო მედეა და კირკე, არამედ თვით ჰეკატეც. ეს ძირხვნეულობის შემგროვებელი ქვეყანა იყო: ჯადოსნობა კიდევ ერთი საერთო ნიშან-თვისება იყო, რაც კოლხეთს ეგვიპტესთან აკავშირებდა“ (Braund, 1994:31).

ამდენად, მედეასთან მიმართებით, არც ერთი მითი არ მიუთითებს მის სატანურობაზე. რომანში კი მედეას არაამქვეყნიური, მითიური წარმომავლობა მინიშნებულია დროის განზომილებისა და აღქმის სპექტრში: ულიცკაიას ნაწარმოებში არსებობს მედეას დრო, და სწორედ იგი მიუთითებს არაორაზროვნად იმ დიქოტომიაზე, რაც ავტორის ინტენციით, მიწიერ მედეას განასხვავებს მითიური მედეასაგან. მივყვეთ რომანში არსებულ რამდენიმე ქრონოტოპს:

1. 1906 წელი, მედეა 6 წლისაა - ულიცკაიას ცდილობს რომანს მისტიკური ტექსტის ჟანრობრივი ელემენტები შესძინოს. ერთერთ ასეთ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ ექვსი წლის მედეას მიერ კუდიანის ბეჭდის პოვნა. ახლა მას მითოსურ არსებასთან მხოლოდ სახელი კი აღარ აერთიანებს, არამედ ჯადოქრობის უნარიც:

«начиная от первого июля девятьсот шестого года, когда маленькой девочкой посреди заброшенной дороги возле Ак-Мечети **она обнаружила ведьмино кольцо** из девятнадцати некрупных, совершенно одинаковых по размеру грибов с бледновато-зелеными шляпками, местной разновидности белого».

2. 1916 წელს მედეა 16 წლისაა თექვსმეტი წლის მედეას დაბადების დღეზე ზღვამ აქვამარინის თვლიანი ბეჭედი „საჩუქრად" გამოურიყა: სიმბოლური დატვირთვა აქვს ზღვის მიერ ოქროს ბეჭდის გამორიყვასაც, როგორც ავტორი წერს:

«Венцом же ее находок, не имеющих пищевой ценности, был плоский золотой перстень с помутившимся аквамарином, выброшенный к ее ногам утихающим после шторма морем на маленьком пляже возле Коктебеля двадцатого августа **шестнадцатого года, в день ее шестнадцатилетия**».

მედეა ბეჭედს მრავალი წლის განმავლობაში ატარებს, მაგრამ ეს დრო მისთვის იმდენად მცირე მონაკვეთს წარმოადგენს, რომ ბეჭედი თითიდან არ მოუხსნია:

«Кольцо это носила она и по сей день, оно глубоко вросло в палец и лет тридцать уже и не снималось».

3. 26 წლის მედეა 1926 წელს - მედეა სიზმრად ხედავს სამ არსებას: მამას და დედას და სამიოდე წლის „ვარდისფერთავიან" გოგონას:

«На этом самом месте, в тени дикой оливы, посаженной над могилой Харлампия, **в двадцать шестом году**, в октябрьские дни, задремав среди дня на лавочке, Медея увидела троих: Матильду в нимбе рыжих волос, не собранных в пучок, как при жизни, а празднично стоявших над ее головой, с голенькой розовоголовой девочкой на

руках, но не новорожденной, а почему-то трехлетней, и отца, седоволосого, с совершенно белой бородой и выглядевшего гораздо старше, чем помнила его Медея».

მიწიერი მედეას რეპრეზენტაციისათვის ავტორი ირჩევს ციფრ „ექვსს“, რომელიც მედეას ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ქრონოტოპია და რომელიც რომანის ქარგას იდუმალი მინიშნებასავით მიჰყვება. კიდევ ერთი მაგალითია დროის მომდევნო ქრონოტოპი:

«Своими подошвами она чувствовала благосклонность здешних мест, ни на какие другие края не променяла бы этой приходящей в упадок земли и выезжала из Крыма за всю свою жизнь дважды, в общей сложности на **шесть недель**».

ექვსის, როგორც დროის დისპერსირებული ქრონოტოპის რეცეფცია მკითხველის ცნობიერებას „მიმართავს“ მითოსური მედეას ამ ციფრთან იდენტიფიცირების, სატანურთან ასოცირებისა და პაროდირების მიზნით.

VII დიქოტომია:

ვნებათაღელვის სიმბოლო - ვნებებისაგან დაცლილი მოხუცი.

თუ მითიური მედეა ვნებათაღელვის სიმბოლოა, მიწიერი მედეა ვნებაგამოცლილი არსებაა. იგი სიყვარულისა და შვილიერების უნარს მოკლებულია. ეს არის სტერილიზებული მედეა:

მიწიერი მედეას პორტრეტის პარადოქსულ-პაროდირებული რეპრეზენტაციის კიდევ ერთი ნიმუშია ულიცკაიას მედეას კმაყოფილება იმ ამბით, რომ თავად ვნებიანი სიყვარულის სტიქიისადმი სრულიად ბრმა იყო:

«Медея не знала, что Бутонов уже уехал, и с огорчением думала, что опять ей придется видеть чужие ночные дела, свидания, обманы.— **Как хорошо, что сама я была**

совершенно слепа к этой стихии, когда это касалось меня. И тридцать лет прошло уже, слава Богу, с того лета»...

ავტორმა გვერდი ვერ აუარა მითიური იასონის ღალატის თემასაც: ავტორი საკუთარ ინტერტექსტურ ნარატივში დროისა და სივრცის ქრონოტოპების გადანაცვლების ხერხს იყენებს, რითაც ირონიის ეფექტს ქმნის, მითიური ტრაგიზმის ექო დროში გადმოინაცვლებს და მედეას დაქვრივების შემდეგ წამოეწევა: ღალატი გაცილებით მდაბალი და შეურაცხმყოფელია: მიწიერი მედეა გარდაცვლილი მეუღლისა და საკუთარი დის რომანისა და მათი საერთო შვილის შესახებ მხოლოდ პოსტ ფაქტუმ შეიტყობს. ულიცკასეული ამორფული, უსუსური მედეა მითიური, სასტიკი შურისძიებით სახელგანთქმული მედეას ირონიული დიქოტომიაა. თუ მითში იასონის ღალატს მედეა შურისძიებით უპასუხებს, მამხილებელი წერილის წაკითხვის შემდეგ, მედეას იქამდე უცნობი კაეშანი შემოაწვება:

«Медея читала письмо стоя, очень медленно, прочла дважды. Потом села в кресло. Неведомая никогда душевная тьма накатилась на нее».

ავტორის ნებით, მედეა მითიური სამყაროდან მიგრირებულია პოსტკოლონიურ დროში, რომელშიც იგი პროტოტიპული გმირის უსახური სუბალტერნია; მედეას ისტორია ხელახლა გადაწერილია, იდენტობა დაკარგულია, მითიური სამოსელი შემოძარცეულია და ირონიული იმპლიკაციების სამიზნედ ქცეულია.

ულიცკაიას რომანში სრულიდან დაკარგულია მითის პოეტიკა, სანაცვლოდ კი პოსტკოლონიური რიტორიკა ისმის: როგორც **ბახტინი წერს**, პოლემიკა, **პაროდია** და **ირონია** ჩვეულებრივ კლასიფიცირებულია სწორედ როგორც რიტორიკის კომპონენტი და არავითარ შემთხვევაში როგორც პოეტიკის, წარმოადგენს რა დიალოგური სტილის ყველაზე მახვილ, მარკირებულ მანიფესტაციას.

უდაოა, რომ დიქოტომიებით თამაში ულიცკაიას რომანში გააზრებული და მიზანმიმართულია, თხრობის ეს მეთოდი ეპიზოდური და სპორადულია, თუმცა მათი ინტეგრაცია საბოლოოდ აყალიბებს პოსტკოლონიალური რიტორიკის თავისებურ სახეს: **ირონიის ესთეტიკას.** ერთ-ერთი ირონიის ესთეტიკაა დიქოტომიად *'სისუფთავე - ფეხისადგილი'* კიდევ ერთი შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ: სინდისის სისუფთავე ის ცნებაა, რომელიც ასოცირებულია ფეხისადგილთან და მის სისუფთავესთან:

«Георгий поднялся на самый верх теткиных угодий, где, как сторожевая башня, еще покойным Мендесом была водружена деревянная будка уборной, вошел в нее и, сев без малейшей надобности на отскобленное добела деревянное сиденье, огляделся. Стояло ведерко с золой, поломанный ковшик при нем, висела на стене выцветшая картонка с инструкцией по пользованию уборной, написанная еще Мендесом, со свойственным ему простодушным остроумием. Заканчивалась она словами: ***уходя, оглянись, чиста ли твоя совесть»...***

ირონიის ესთეტიკის ერთ-ერთი რადიკალური ნიმუშია სამყაროს ის ხედვა, რომელსაც ულიცკაია გვთავაზობს. რამდენადაც დიქოტომიური ცნებებია **ფეხისადგილი და სამყაროს საუკეთესო ხედი,** იმდენად იწვევს მკითხველში პროტესტის გრძნობას მათი ასოცირება: სამყაროს საუკეთესო ხედი მედეას „სორტირიდან" იშლება:

«Среди племянников давно уже было установлено: **лучший на свете вид открывается из Медеиного сортира».**

სწორედ ეს მსოფლაღქმა აქცევს სიმულაციად ულიცკაიას „ტოლერანტულ" ღირებულებებს და ამძაფრებს შეგრძნებას, რომ

მთელი რომანი მკითხველის ცნობიერებასთან თამაშია, სადაც მითისა და ძველი აღთქმის დიქოტომიასაც კი ვხვდებით: არგონავტების მითის სიუჟეტში მოულოდნელად შემოჭრილია ულიცკაიას კიდევ ერთი ალუზია ძველი აღთქმიდან: კალათაში ჩაწვენილი და მდინარეს მიცემული მოსეს პოვნა ფარაონის ასულის მიერ:

«В корзине выплыло дитя, без имени, в песке прибрежном лежит, и, белые одежды надевши, фараона дочь спешит судьбе его помочь».

მითისა და ძველი აღთქმის დიქოტომია, რომელსაც ავტორი გვთავაზობს, რელიგიის დეკლასიფიკაცია და რელიგიის მითის პრიზმაში განხილვის პრეცედენტია. უამრავი რემინესცენციური ეპიზოდის გამო, თავად ნაწარმოებს შეიძლება თავიდან ბოლომდე პრეცედენტული ტექსტი ეწოდოს. ნაწარმოებში კიდევ უფრო მძაფრდება პარადოქსულ ასოციაციათა ჭიდილი, ხდება მითისა და რელიგიის ურთიერთაღრევა და ზღვრების წაშლა - ზღვრებისა, რომელიც არსებობს ერთი მხრივ, რელიგიას, როგორც მორალის მქადაგებელ, კონცეპტუალურ-ფილოსოფიურ განზომილებასა და მეორე მხრივ, მითოსურ კოსმოგონიასა და პანთეიზმს შორის; რელიგიაცა და მითიც ლიმინალურ სივრცეში ინაცვლებს, ქრება მათი განსხვავებული თავისთავადობა, იქმნება ალტერნატიული ხედვა, გაურკვეველი კულტურული ფასეულობებითა და ლიტერატურული ღირებულებით:

«Попалась рыбка на уду, по берегу хвостом забила, я все забыла, все забыла, я имя вспомнить не могу, и я на этом берегу песок сквозь пальцы просыпаю, под жарким солнцем засыпаю и, просыпаясь, снова жду. Чего я жду, сама не знаю».

თამაშის დეკოდირება არცთუ რთულია: საჭიროა მხოლოდ კოდირებული, მეტალინგვისტური ინფორმაციის ანალიზი, რითიც

რომანის ლინგვისტური ინფორმაციისთვის საპირისპირო, პარადოქსულ კონცეპტებსა და ხატებს მივიღებთ, სადაც მშვენიერი მახინჯია, გრძნეული სატანისეული, სიყვარულისთვის თაეგანწირული ქმედება - უსუსურებით არის ჩანაცვლებული; მეფური სიუხვე - მდაბალი სიძუნწით. ასე ლაგდება თანმიმდევრულად ის დიქოტომიები, რომელთა ფასადზე წარმოჩენილი ავტორის ღირებულებები საგანგებოდ შეთხზული ცრუ მითი და სუბლიმაციის სიმულაციაა. ერთადერთი, რაც სიმულირებული არ არის, ესაა ევრიპიდეს ტრაგედიის ცენტრალური ხაზი - უცხოელი (ბარბაროსი - ნახევრად ბარბაროსი) ცოლი, რომელსაც უღალატეს.

როგორ შეგვიძლია წავიკითხოთ „მედეა და მისი შვილები?“ რომანში დეკონსტრუირებულია მითი, სიმულირებულია მედეას სუბლიმაცია: რომანის ეპილოგში ულიცკაია წერს, რომ მედეას შთამომავლების მრავალეთნიკური ოჯახი, საბჭოთა ეპოქის შემდეგ, ექსპანსიის გეზს დასავლეთით იღებს, და რომ მათი გენეალოგიური ხე კიდე უფრო დაიტოტა. ავტორი საუბრობს არამხოლოდ ეთნიკურ, არამედ რასობრივ გამრავალფეროვნებაზე. რომანის ზედაპირული ანალიზისას, სწორედ ტოლერანტის ეს სიმულირებული სუბლიმაცია უქმნის არაერთ მკვლევარს იმ შთაბეჭდილებას და საერთაშორისო აღიარებას სძენს ავტორს, თითქოსდა ულიცკაიას მკითხველისათვის მართლაც წარედგინოს მითიური, ბარბაროსი, გრძნეული და ღალატთან გაიგივებული მედეას ნაცვლად, მრავალეთნიკურობის შემწყნარებლის შარავანდედით მოსილი, კეთილშობილი არსება: რ. მაფი იმ მოტივით აკრიტიკებს ქ. ედლემს[32], რომ მან საკუთარ

---

[32] ქეროლ ედლემი (Carol Adlam) ექსეტერის უნივერსიტეტის რუსული ენის ლექტორია, 1996 წ. შესრულებული მისი სადისერტაციო ნაშრომია *Contemporary Russian women* writers, მისივე ავტორობით გამოიცა 2005 წ. „ქალები რუსულ

ფილოლოგიურ შრომაში თანამედროვე რუს მწერალ ქალთა შესახებ ულიცკაიას რომანი „გამოტოვა", არ გაითვალისწინა რა, რომ მისი რომანი ოჯახს, ფემინიზმს, დედობასა და ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობის ტრაქტატია (Rebecca A. Muff, 2008:47):

'In her work, Adlam has also ignored the novels Medea and Her Children (1996), which one might certainly consider a full-length treatise on family, femininity, motherhood, and male-female relations'.

რამდენადაც ულიცკაიას რომანი დეკონსტრუირების პრინციპით შეიქმნა, ხოლო თავად ეს პრინციპი პაროდირებას ემყარება, რასაკვირველია, რომანის მეტალინგვისტური ფუნქციის დეკოდირების გასაღებიც სწორედ აქ დევს: პოსტმოდერნისტმა ავტორმა მასში მითის საკუთარი, პაროდირებული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა და არა რაიმე „ტრაქტატი". ტოლერანტობის პაროდირება კი ახდენს ავტორის, როგორც შემწყნარებლობის მქადაგებლის ნიღბის დესტრუქციას.

ულიცკაიას რომანის პოსტკოლონიური რიტორიკა.

ტოლერანტობის პაროდირებისადმი კრიტიკულ განწყობას წარმოშობს ის, რომ საგრძნობი ხდება თავად ავტორის ღრმა ირონია მედეას ოჯახის მრავალეთნიკურობისადმი. რასაკვირველია, ავტორი თავისუფალია საკუთარი კრედო იმ შუქჩრდილში წარმოაჩინოს, რომელშიც ფარული დარჩება მისი არსი; თუმცა, სინანულის, ნოსტალგიის, სევდანარევი თხრობის სუბსტრატში აღრეული ხმა მაინც გასცემს მას: ნარატორი გვიამბობს, რომ მას და მის მეუღლეს,

---

ლიტერატურაში გლასნოსტის შემდეგ (*Women in Russian Literature after Glasnost.* London: Legenda, 2005).

მომავალ ზაფხულს სათანადო თანხის შეგროვება და შვილიშვილის წაყვანა სურთ მედეას ბიძის, გიორგის ოჯახში. შვილიშვილის, რომელიც წარმოშობით „ჰაიტელი, შავი ამერიკელის რძლისგან“ ჰყავთ:

«Мой муж мечтает, что в будущем году, если будут деньги, мы привезем сюда нашу **маленькую внучку, родившуюся от нашей старшей невестки, черной американки родом с Гаити**».

შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რაოდენ საგანგებოდ არის ხაზგასმული რასის აღმნიშვნელი კანის ფერი. ჩნდება კითხვა: რამდენად ნეიტრალურია რასობრივი იდენტობის ამგვარი სპეციფიკაცია? რამდენად ანტირასისტულია ეს აქცენტი, ყურადღების ეს გამახვილება კანის ფერზე და „უცხოს“ რეპრეზენტაცია? - ფრაზა *от черной американки* რასისტულად მარკირებული ლინგვისტიკური პრესუპოზიციაა. რომანის ზედა პლასტზე „განფენილი“ ფსევდოტოლერანტული პათოსი, თვით კანის ფერების „დამატება“, რჩება რომანის ფასადურ ღირებულებებად, თუმცა თხრობა იმგვარადაა კონსტრუირებული, რომ მორგებულია დასავლური სოციუმის კოლექტიურ წარმოსახვას მორალურ ღირებულებათა შესახებ...

ულიცკაიას რომანში დეროგაციული სიგნიფიკანტების სიჭარბე იგრძნობა; ისინი, რომანის მთელს მატრიცაზეა მიმოფანტული, თუმცა, ერთ მთლიან, კოლონიურ კომპოზიციაში აერთიანებს ქალაქებს, ქვეყნებს, ერებს, ცალკეულ პერსონაჟებსა და მათ იდენტობას.

განვიხილოთ დეროგაციულად სიგნიფიცირებული ქრონოტოპები:

(1) «Бутонов пожаловался, что назавтра ему надо ехать в дурацкую поездку — **в никому не нужный город Кишинев**».

(2) «Дальше шел канонический текст «идише маме»: я всю жизнь на тебя положила, а ты, неблагодарный... **этот проклятый Израиль**, от него у нас всю жизнь неприятности... эта **проклятая Америка**, чтоб она провалилась».

დეროგაციის მარკერებს: „არაფრის მაქნის კიშინიოვსა“ და „წყეულ ისრაელს“ და „წყეულ, დასაქცევ ამერიკას“ თუ განვაზოგადებთ, ცხადია, ყოველგვარი ნარატივი ავტორის ტოლერანტობის შესახებ ნაჩქარევია და ნაწარმოების კრიტიკული გაუაზრებლობისაკენ მიგვითითებს.

ამასვე აღნიშნავს მართებულად ამერიკელი მკვლევარი, მ. ჩაილდსი, წერს რა, რომ რომანში, ბევრი უარყოფითი შტრიხია პერსონაჟთა დასახასიათებლად, თუმცა ამ შტრიხებს ავტორი მოხერხებულად ნიღბავს, ზერელე ტონალობით, უარყოფით ამბებსაც ობიექტური მთხრობელივით გვიამბობს, მაგრამ ასეთი დეტალები ერთმანეთს ემატება და არათუ არ გვაგრძნობინებს სხვა ეთნოსისადმი იმ დადებით დამოკიდებულებას, რაც საბჭოთა ქვეყნების ხალხთა შორის არსებობდა, არამედ ჩირქს სცხებს მას:

„While these negative traits are narrated in a cursory fashion, scattered in the novel like breezy tidbits of history, they build upon each other, and rather than creating a sense of positive tolerance for ethnic differences that existed in pre-Soviet and Soviet Russia, seem to denigrate them“.

მედეას დედა წარმოშობით ბათუმიდანაა, რაც ამერიკელ მკვლევარს აფიქრებინებს, რომ იგი ქართველია, (ციტატა), მაგრამ არც სახელი და არც გვარი - მატილდა ცირული - არ მოწმობს მის ეთნიკურ ქართველობას.

«Впрочем, тайны попали в надежные руки и сохранялись, насколько это от Медеи зависело, довольно тщательно, по

крайней мере первая из имеющихся. Она содержалась в письме, на имя **Матильды Цырули**, которое было помечено февралем тысяча восемьсот девяносто второго года».

თუმცა, ავტორს ვერ დაეწამებთ, რომ ქართულ-გვარ-სახელებში ვერ ერკვევა:

«Пришло письмо из **Батума**, написано оно было на очень плохом русском языке и подписано грузинским именем Манана. Медея предполагала, что Манана была женой старшего брата Матильды, которого звали, кажется, Сидором. Письмо, с **выправленной орфографией**, следующее:

«Матильда дорогая подруга, на той неделе еще говорили, что они утопли, твой Тересий и братья Кармаки. А позавчера в Кобулетах вынесло его на берег. Узнавали его свидетели Вартанян и Курсуа-фуражка. Похоронили и Царствие Небесное, больше ничего не могу сказать. Когда ты сбежала, он стал еще злей, побил дядю Платона, с Никосом всегда дрался. Тебя Бог отпустил. У меня очень болят ноги. Ту зиму почти не могла ходить. Исидор мне помогает. Ему будет большая награда. Венчайся сразу теперь. Любовь мою тебе посылаю и Бог с тобой. Манана».

ვინმე მანანა, (როგორც მედეა ვარაუდობდა, მატილდას უფროსი ძმის მეუღლე), რომლის წერილიც მატილდასადმი 1892 წლით დაუთარიღებია ავტორს, მატილდას შესახებ სამარცხვინო ფაქტს ააშკარავებს; მშობლების გარდაცვალების შემდეგ, მედეა პოულობს ამ წერილს და და-ძმას უმალავს, რათა მშობლის „ღირსება დაიცვას“:

«Медея нашла это письмо спустя несколько лет после смерти родителей и скрыла его от братьев и сестер».

ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ, მედეა, „თავგადასავლების მოყვარულ“ სანდროჩკას „პედაგოგიური მიზნით“ უყვება მატილდას ამბავს, რათა ამ უკანასკნელმა „მისი მწარე სვე-ბედი არ გაიზიაროს“:
«Когда юная Сандрочка начала свои первые похождения, Медея рассказала ей эту историю с какой-то смутной педагогической целью. Она как будто пыталась заклясть Сандрочкину судьбу, предупредить неудачи и трудный поиск участи, через который, как следовало из этого письма, прошла их мать Матильда».

თავად მედეა, რომელმაც არ იცოდა რა იყო თავდავიწყება, კაპრიზი, სურვილიც კი, ხანშიშესული კი დედის ქცევას ქარაფშუტობად მიიჩნევს:
«Медея была глубоко убеждена, что легкомыслие приводит к несчастью, и никак не догадывалась, что легкомыслие с равным успехом может привести и к счастью, и вообще никуда не привести».

მითიურმა მედეამ პიროვნების სასტიკი დეპრივაცია განიცადა ულიცკაიას რომანში... პორტრეტის მგზნებარება, სიყვარულის უნარი და უპატიებლობა ღალატისა - რადგან რომანს მართლაც აქვს ორი ფენა, ორი შრე და ორი განზომილება; კორელი სიძის არსებობა სიმბოლოა აღმოსავლეთით, ამომავალი მზის ქვეყნებისკენ ექსპანსიის, რაც ძირითადად საბჭოთა დროში ხდებოდა; ხოლო დასავლური ექსპანსია და ამერიკელი რძალი - ეს პოსტსაბჭოთა დროის შეხსენებაა. რომელს ანიჭებს უპირატესობას თავად ავტორი? დასკვნა ალბათ მისი ფსევდო-ნეიტრალური ბინარული ოპოზიციით „წარსული და არაწარსულით“ უნდა გამოვიტანოთ: «Это удивительно

приятное чувство — принадлежать к семье Медеи, к такой большой семье, что всех ее членов даже не знаешь в лицо и они теряются в перспективе бывшего, небывшего и будущего».

„წარსულისა და არაწარსულის“ დიქოტომია ხდომილების დროით აღქმასაც ავტორისეული სუბიექტივიზმით აღბეჭდავს: მისთვის „წარსული“ მედეას წინაპრების სიგნიფიკანტია, „არაწარსული“ - მითოსური დროისა, რომელიც რეალურად ვერ დააკავშირებს მათ ულიცკაიას მედეას შთამომავლებთან; როგორი ინტერპრეტაციაც არ უნდა დავუძებნოთ რეპრეზენტირებულ დიქოტომიას, აღრეულია არარეალური და რეალური დროები, მითოსური და პოსტმითოსური პერსონაჟები და მათი პროტოტიპები, პოსტკოლონიალურია დისკურსი, რომელშიც მედეას, როგორც კოლხი მითიური პერსონაჟის ქართველთა შესახებ და პაროდირებულია დასაელური ფასეულობები.

დაბოლოს, ულიცკაიას რომანში ისმის ექო პუშკინის „ბახჩისარაის შადრევნიდან“, პოემიდან, რომელიც მოგვითხრობს ქართველი ზარემას ტრაგიკული მიგრაციაზე ჰარემში... გვახსენებს თუ არა ბახჩისარაის ბაღის ალუზია იმ პირველ ლიტერატურულ ტექსტს, რომელშიც ქართველი ქალი იდეოლოგიურად კოლონიზატორულ შუქჩრდილშია წარმოჩენილი?

«Помнишь ли, Еленочка, каков был Восточный Крым при татарах! А Внутренний! Какие в Бахчисарае были сады, а сейчас по дороге в Бахчисарай ни деревца, все свели, все уничтожили».

ცნობილი ნაშრომის: „რუსული ლიტერატურა და იმპერია“ ავტორი, ინგლისელი მეცნიერი ს. ლეიტონი წერს: „საქართველოს აზიად ქცევის კიდევ ერთი მეთოდი იყო ქართველი ქალის ამოგლეჯა მისი თანამედროვე სოციალური კონტექსტიდან და მისი გადაყვანა

უცხო მიწაზე, ჰარემში, ისლამურ წარსულში. ამის ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშია ზარემა, ხან გირეის ჰარემიდან, რომელსაც პუშკინის ყირიმული პოემის, „ბახჩისარაის შადრევანი“ (ლეიტონი, 196: 1994)[33]

მსგავსად ლეიტონის მიერ გაანალიზებული პერსონაჟებისა, რომელთაც მკვლევარი „უუფლებოდ და შეურაცხყოფილებად“ (ლეიტონი, 197:1994) მიიჩნევს, ულიცკაიას პოსტკოლონიურ ნარატივშიც, მითოსური სამყაროდან ამოგლეჯილი და ავტორის სიმულაციაში მიგრირებული მედეაც უუფლებო და პაროდირებულია. ლიტერატურა ასახავდა და ასახავს იდეოლოგიურ კოლონიალიზმს. ულიცკაიას ინტერკულტურული თხზულება „მედეა და მისი შვილები“ მ. ტიმოჟკოს ტერმინებს თუ მივმართავთ, ულიცკაიას ასიმილაციური კანიბალიზმის სოფისტიკაციური ფორმაა.

ციმორი და საქართველო

ვ. ასტაფიევის მოთხრობის -„ციმორის ჭერა საქართველოში“ ის რომანია, რომელიც პოსტკოლონიალურ სწავლებათა თვალსაზრისით არის აქტუალური. წიგნის ავტორისა და მოთხრობის შეფასების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ასიმეტრია იგრძნობა ინგლისურ და

[33] ლეიტონის ციტატა ინგლისურ ენაზე: „Another means of orientalization was to remove the Georgian woman from her contemporary social context and place her in the Islamic past or in a harem in another land. The most famous example is Zarema, the concubine of Khan Girei in Pushkin's Crimean poem "The Fountain of Bakhchisarai."

ქართულ წყაროებს შორის; რაოდენობრიობის თვალსაზრისით, ჭარბობს ინგლისურენოვანი კვლევები, ავტორის შესახებ აკადემიურად დამუშავებული ინფორმაციით და ამავე დროს, აღნიშნული მოთხრობის ზოგადი შეფასებაცაა მოცემული, მეორე მხრივ, ქართული წყაროები ცოტა და არაკადემიურია; ეს უკანასკნელი ვითარება კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ერთია სუბიექტური დამოკიდებულება და პოპულარულ დონეზე დამკვიდრებული ბინარული ოპოზიცია: „მომწონს -არ მომწონს“ ხოლო მეორე, ობიექტური, მეთოდოლოგიური მიდგომა და მეცნიერული განსჯა.

ამავე დროს, არსებულ ვითარებაში, როდესაც კვლევა არ არის შემდგარი, ლინგვო-კულტურულოგიური შესწავლის საფუძველზე არ არის ჩამოყალიბებული დასკვნა, მიღებულ უტყუარ შედეგებზე დაყრდნობით, იდეოლოგიური ზიანის მოტანა შეუძლია ამ საკითხის ირგვლივ ლიტერატორთა არაკადემიურ არენაზე ენაწყლიანობას, რადგან ეს საჯარო სივრცეა, ხოლო აუდიტორია არ არის ვალდებული ფლობდეს უკუ-მამტკიცებელ სამეცნიერო არგუმენტებს იმ „მსუბუქი“ სუბიექტური იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც არ ემყარება დისკურსის „მძიმე“ და კრიტიკულ ანალიზსა და პოსტკოლონიალიზმის თეორიებს. დ. ფანჯიკიძე წერდა 1995 წელს ისეთ მიუღებელ ფენომენზე, როგორიცაა თარგმანის შეფასება შემდეგი მიდგომით: „კარგი, ძარღვიანი ქართულით არის შესრულებულიო“ და მისი ეს კრიტიკა კარგი მეტაფორაა არამარტო თარგმანის, არამედ ნებისმიერი ტექსტის ზედაპირული შეფასებისათვის. დღესაც საჭირბოროტოა საკითხია კრიტიკული დისკურსის ანალიზის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური სისტემის დახვეწა. თავდაპირველად, განვსაზღვროთ ზოგადად, *საბჭოთა ავტორისა და მოქალაქის ვიქტორ ასტაფიევის* მსოფლმხედველობა, მრწამსი და პოზიცია, რომელსაც მნიშვნელოვანია მისი სამწერლობო ინტენციის გაანალიზებისთვის; ამ მიზნით, საინტერესოა, გავეცნოთ არსებულ წყაროებს აღნიშნული

მოთხრობის ირგელივ. ეს პოლიტიკურ-იდეოლოგიური ნარატივი, ფაქტია, რომ არ გახლავთ მხატვრული პროზა.

როგორც კ. პარტე წერს ნაშრომში „რუსული სოფლური პროზა" – (Parthé 1992) 1985 წლის შემდეგ შექმნილ ლიტერატურულ ტექსტების აეტორებმა ბრაზი და სიძულვილი არამარტო მასონებთან შეთქმული" ებრაელების წინააღმდეგ მიმართეს, არამედ ქართველებისკენაც (ასტაფიევის „ციმორის ჭერა საქართველოში") ასევე, სხვა არარუსი ხალხებისკენ. მათი რისხვა დასავლეთის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ქალაქელ ინტელიგენციასა და დასავლურ მასკულტურასაც გადასწვდა.

The anger and resentment found in many of the post-1985 works are directed not only toward Jews and their Masonic co-conspirators, but also towards Georgians (in Astafiev's :Fishing for Gudgeon in Georgia") and other non-Russians, as well as the Western-influenced urban intelligentsia and Western mass culture.

ასტაფიევის ოდიოზური წარსულიდან ირკვევა, რომ იგი რუსოფილური მოძრაობის ისეთი წამყვანი ფიგურების გვერდით იდგა, როგორიც ბონდარევი და რასპუტინია, ისინი გაცხარებით გმობდნენ როკს (იხ. რუს მწერალთა კონგრესზე სიტყვით გამოსელის ჩანაწერები, 1985 წ. დეკემბრის არქივში, რომელშიც 3 როკის „ძირგამომთხრელი" სტატია იძებნება)[34].

---

[34] leading figures in the Russophile movement such as Iuri Bondarev, Rasputin, Astafiev, and other preoccupied with the denunciation of rock music (see the speeches at the Congress of Russian Writers in December 1985; Bondarev 1987 a; Rasputin 1988 a; p. 171; NS, no 10, 1988, with three articles against rock music – "Soviet Intellectuals and Political Power: The Post-Stalin Era By Vladimir Shlapentokh, 1990 I.B.Tauris

პერესტროიკის პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ლიბერალების აქტიურობა დასავლეთთან თანამშრომლობის მიზნით, საბჭოთა თავდაცვის სისტემის დაფინანსების ხარჯების შემცირება. ზოგადად, საგარეო პოლიტიკური კურსის რეორიენტაცია მილიტარიზაციისა და კონფრონტაციის შემცირების მოთხოვნით. მეორე მხრივ, კონსერვატორებმა მკვეთრად ანტიდასავლური კურსი აიღეს...მტრულად განწყობილი ბონდარევი და პროსკურინი წერდნენ, რომ დასავლური კულტურა საძირკველს უთხრიდა რუსულ სახელმწიფოებრიობას. ბონდარევი, რასპუტინი და ასტაფიევი თავს იმიტომ ესხმოდნენ როკ მუსიკას, რომ ის მათთვის დასავლური კულტურის გამოხატულება იყო, რომელიც, მათი აზრით, უცხო იყო რუსული ხელოვნებისთვის.

(„...started to drift into an even stronger anti-Western direction, assuming, what Schlapentock calls an 'increasingly radical and hostile stance towards the West. Bondarev and Proskurin derided Western culture as undermining the foundations of the Russian state. Bondarev, Rasputin and Astafiev attacked rock music as another manifestation of the Western culture, alien, in their view, to the Russian canons. (ავტორი - By Ernest Andrews Legacies of Totalitarian Language in the Discourse Culture of the Post" ...).

ასტაფიევი ასევე იყო ცნობილი ქსენოფობი, იგი ორგანიზაცია „პამიატში" „იღვწოდა" და ანტისემიტიზმით „გაითქვა" სახელი.

როგორც ე. ენდრიუსი წერს ნაშრომში: „ტოტალიტარული ენების მემკვიდრეობა პოსტ-ტოტალიტარული ეპოქის დისკურსის კულტურაში", „...ლიბერალები თავს ესხმოდნენ საბჭოთა პოლიტიკურ კულტურაში გამეფებულ ანტისემიტიზმს, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში, დაარსდა უაღრესად ქსენოფობიური მოძრაობა „პამიატი", ხოლო ცენტრალური ხელისუფლება „ტოლერანტულ" განწყობას აელენდა

კონსერვატიულად და ანტისემიტურად განწყობილი ნაციონალისტი ოპონენტების, განსაკუთრებით კი ასტაფიევისადმი").

' *The liberals also attacked the persistent anti-Semitism of the Soviet political culture, which, in the late Soviet period, manifested itself in the official toleration of virulently xenophobic Pamyat. In general, they exhibited tolerance and universalism, as opposed to the increasing anti-Semitism and xenophobia of their conservative and nationalist opponents, especially Astafiev. (ibid: p. 168, (ავტორი - Legacies of Totalitarian Language in the Discourse Culture of the Post-Totalitarian Era" ... By Ernest Andrews).*

პოსტკოლონიალიზმის თეორია საფუძველს გვაძლევს **განვსაზღვროთ კრიტერიუმები და პოსტსაბჭოთა პარადიგმაზე მათი განზოგადების საზომები.** საკმაოდ დუნედ, ნელი ტემპითა და უწადინოდ ხდებოდა შეგუება ტერმინ ***პოსტკოლონიურთან;*** ამიტომ, სანამ საზოგადოება ეცნობოდა პოსტკოლონიურ სწავლებებს, აკვირდებოდა და აანალიზებდა მსგავსება-განსხვავებებს, იშვა კიდევ ერთი, შუალედური ტერმინი „პოსტსაბჭოთა პარადიგმა", თუმცა, ის, რაც ამ ტერმინით აღინიშნება, არ ავლენს რადიკალურად განმასხვავებელ ნიშნებს სტანდარტული პოსტკოლონიალიზმისთვის დამახასიათებელ ნიშნებისაგან.

ე. დრაიტსერის წიგნში „პინგვინების წაყვანა კინოთეატრში: ეთნიკური იუმორი რუსეთში" *(Taking Penguins to the Movies, Ethnic Humor in Russia" – Emil A. Draitser, 1998, Waine State University Press)* წერს, რომ პოსტ-სტალინისტურ ეპოქაში, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა რუსეთი „ცე" ვიტამინის შემცველი ციტრუსითა და ყვავილებით უზრუნველეყო, სამხრეთელმა ქართველებმა ხელიდან არ გაუშვეს შანსი და ბაზრის მომარაგება დაიწყეს; სტერეოტიპულად ჩამოყალიბდა მათი გარეგნობა: შავგვრემანი და ულვაშიანი. ჩვენ არ ვიცით, როდის დაიწყეს რუსეთის

მოქალაქეებმა ყველა შავგვრემანის და ულვაშიანის იდენტიფიცირება ქართველად, მაგრამ, ფაქტია, რომ სუბიექტური მიდგომა გამოიჩინეს - ქართველების გვერდით ბაზარზე სავაჭროდ დადგნენ სხვა ერის წარმომადგენლებიც, როგორც ამიერკავკასიიდან, ისე შუა აზიიდან:
The stereotypical assumption was that Georgia was where the people with money lived. Signifying this perception of Georgians as "fat cats" is the title of a sampling of jokes in L. A. Barsky's (190) collection. "Georgia, a Country of Millionaires'.

ავტორი ასკვნის, რომ ქართველთა მიმართ გამოვლენილი ქსენოფობიური დამოკიდებულება რუსეთის მოქალაქეებში გამოიწვია მათმა ფინანსურმა კეთილდღეობამ: 'What represented a material dream for the average Russian was portrayed as a more trifle for a Georgian' (გვ. 40). ხშირად ამბობდნენ: „den'gi chemodanami zagrebaiut", - they rake in the shekels by the suitcase (p. 40). ამავე დროს, რუსეთში გამდიდრებულები საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 1 პროცენტს შეადგენენ.

როგორც ეშკროფტი, გრიფიტსი და ტიფინი წერენ, ტერმინი პოსტკოლონიური იმპერიული პროცესების ზეგავლენის ქვეშ მყოფ კულტურას აღნიშნავს, დღიდან კოლონიზაციისა, მიმდინარე პროცესების ჩათვლით. ...იგი კულტურათშორისი კრიტიკული დისკურსის მიერ ყველაზე მისაღებ ტერმინად არის აღიარებული[35]:

---

[35] We use the term 'post-colonial'... to cover all the culture affected by the imperial process from the moment of colonization to the present day. This is because there is a continuity of preoccupations throughout the historical process initiated by European imperial aggression. We also suggest that it is most appropriate as the term for the new cross-cultural criticism which has emerged in recent years and for the discourse through which this is constituted. In this sense this book is concerned with the world as it exists during and after the period of European imperial domination and the

დასავლეთ ევროპის ყოფილი კოლონიებისაგან განსხვავებით, რომლებიც საკუთარ კოლონიზატორებსა და 'მბრძანებლებს" მუდმივად ეპასუხებოდნენ და ამით პასუხს სთხოვდნენ მათ, რუსეთის კოლონიები დუმილს განაგრძობენ. ამას განაპირობებს დასავლეთში განათლებამიღებული ეროვნული ელიტის დეფიციტი; მათ არც დასავლური აკადემიისგან აქვთ შესაბამისი მხარდაჭერა საკითხების პანორამულად/თვალსაჩინოდ გაშუქებისათვის. ისინი კვლავაც რუსეთისათვის ხელსაყრელ პარადიგმაში აღიქმებიან, კვლავაც რუსეთის ქვეშევრდომებად მოიაზრებიან და არა იმ სუბიექტებად, ვინც საკუთარ ისტორიას, მსოფლმხედველობასა და ინტერესებს იცავს:

> "Unlike Western colonies, which have increasingly talked back to their former masters, Russia's colonies have by and large remained mute, sometimes lacking Western-educated national elites and always lacking the encouragement of Western academia that foregrounding issues relevant to them would afford. They continue to be perceived within the paradigms relevant to Russia, the objects of Russian perception rather than subjects responding to their own histories, perceptions, and interests".[36]

---

effects of this on contemporary literatures. http://www.postcolonialweb.org/poldiscourse/ashcroft3a.html

[36] http://www.postcolonialweb.org/poldiscourse/ewt/1.html

პოსტკოლონიური ქართველი ინტელიგენციის დისკურსი შეიცავდა და შეიცავს ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „ჩვენ ხმა არა გვაქვს ამოსაღები, როგორც ერს, ჩვენ კოლონია როგორ ვიყავით? ყველაზე კარგად ქართველები ვცხოვრობდით სხვა ქვეყნებთან შედარებით და საკუთარი ენა სახელმწიფო ენა იყო, განსხვავებით სხვა რესპუბლიკებისაგან“.
თუკი ტერმინი „პოსტსაბჭოთა პარადიგმა“ მისაღებია იმ პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის აღსაწერად, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დადგა ქვეყანაში, მაშინ, მხედველობის მიღმა რჩება საქართველო-რუსეთის გასაბჭოებამდელი ისტორია, ანუ, რუსეთის იმპერიის სტრატეგიული გეგმა, რაც განხორციელდა კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში. ამ პერიოდის პოლიტიკურად კორექტული შესაფასებლად კონცეპტი „კოლონიზაცია“ უპრიანია, რადგან, მეფის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი სისხლისღვრა, უდავოდ, კოლონიური მმართველობისაგან თავის დაღწევის ისეთივე ბრძოლაა, როგორიც დასავლეთ ევროპული იმპერიების წინააღმდეგ მიმართული ანტიკოლონიური გამოსვლები. განსხვავება მხოლოდ იმპერიის პოლიტიკის სისასტიკის ზღერული დონეებია, რაც დამოკიდებულია მის ტერიტორიულ სიდიდესა და სამხედრო ძლიერებაზე კოლონიზებულ ქვეყანასთან შეფარდებით, გეოგრაფიულ მდებარეობაზე და ა. შ. მაგალითად, ბრიტანეთის იმპერიის შიდა პოლიტიკა ინდოეთთან მიმართებით იგივე ვერ იქნებოდა და რაც რუსეთისა საქართველოსთან, ან საფრანგეთისა და ბრიტანეთის იმპერიებისა აფრიკისადმი. მონათესაობა დღესაც რჩება კოლონიალიზმთან გაიგივებული ერთადერთ ცნებად ბევრი ქართველი ინტელიგენტის კოგნიტურ ველში, თუმცა, ადამიანებით ვაჭრობა დღესდღეობითაც უაღრესად აქტუალური თემაა და საიმისოდ, რომ მსოფლიოში იარაღითა და ნარკოტიკით ვაჭრობით მიღებული შემოსავლების შემდეგ რიგით მესამე საქმიანობაში იყო ჩართული, სულაც არ არის აუცილებელი პირობა. რომ იმპერია იყო. ამდენად, ეს

მოცემულობაც მიუთითებს, რომ ცნება „მონათვაჭრობა“ არ არის კოლონიალიზმის განმსაზღვრელი ერთადერთი ნიშანი. კოლონიალიზმის მასშტაბურობა დამოკიდებულია იმპერიის კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებზე, რაც განსაზღვრავს მის შიდა პოლიტიკას სამიზნე ქვეყანაში, როგორიცაა მმართველობა, განათლება, კულტურა, ეკონომიკა, სოციალური და თვით გართობის სფეროები და ა. შ. რაც, საბოლოოდ, აზროვნების კურსის ჩამოყალიბებით სრულდება. აზროვნების ფილოსოფიის ერთგვარობის მიღწევა, მსოფლმხედველობათა დაახლოება, მსგავსი ფსიქო-ემოციური განწყობებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, სოციალური ფენების დაახლოება, საერთო პრობლემებზე ყურადღების გადატანა, ეროვნული კულტურული ველიდან კოლონიზატორის, როგორც „უცხოს“ ამოშლა და ხანგრძლივი ურთიერთობების ფონზე „თვისტომის“ ილუზიის შექმნა, საერთო რელიგიური ღირებულებების წარმოჩენა და პატიებისცემის გამომუშავება ის რიტუალებია, რომელიც კოლონიზატორთა ზოგად პოლიტიკაში ტარდება, რაც მიზნობრივად და თანმიმდევრულად შლის ბარიერს კოლონიზებულ და იმპერიულ ხალხებს შორის, შედეგად კი ბადებს ანტიიმპერიულ ენას, საპასუხო ლიტერატურას, რომლის ენაც თავისთავად უკვე პოლიტიკურია. ანტიიმპერიული, ანუ პოსტკოლონიური ენა ორ განზომილებაში ვლინდება: ღია ტექსტით, ან ე. წ. ეზოპეს ენით.

ასტაფიევის თხზულება არ შეიძლება განვიხილოთ კონსტრუქციული კრიტიკის ჟანრულ ვარიანტად: რომელსაც ისეთ ახალ ცნებით განზომილებაში გადავყავართ. კოლონიური მწერლობა ქმნიდა *რასობრივ სტერეოტიპებს,* რითიც კიდევ უფრო აღრმავებდა *სოციალურ იერარქიებს, წარმოაჩენდა იმ კულტურულ თუ ტექნოლოგიურ უპირატესობას,* რითაც ამართლებდა საკუთარი ქვეყნის კოლონიზატორულ ძალაუფლებას „უცხო,“ „ეგზოტიკურ“ ქვეყანაში. ტექსტის პოსტკოლონიალისტური ინტერპრეტაცია კრიტიკული

ანალიზის პარადიგმაა, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა:

1. სტერეოტიპების შექმნა რეალობის მანიპულაციის მიზნით; სტერეოტიპებია ეგზალტირებული კოლონიზატორი და დამამცირებელი შუქჩრდილებით წარმოდგენილი კოლონიზებული.
2. იმპერიული რეალობის წარმოჩენა როგორც სწორი ღირებულებების, მიზანმიმართებების, მაღალი კულტურისა და პრიორიტეტების მქონე წყობის; [37] მეორეს მხრივ, კოლონიზებულის აღწერა როგორც „უცხოს", „ველურის," მისი განივთებული ხედვა და მისი ადამიანური გრძნობების აბუჩად აგდება - დეჰუმანიზება.

ამ კონტექსტში, ასტაფიევის მოთხრობის თემა, იდეა, ტონი, სტილისტური გაფორმება, დისკურსის სოციოლინგვისტიკური და პრაგმატიკული ასპექტების კრიტიკული ანალიზით დასტურდება, რომ ტექსტი თანხვდება პოსტკოლონიური მწერლობის ყველა პარამეტრს, რაც მკაფიოდ მიუთითებს ავტორის მიზანმიმართებისკენ იგი, როგორც სუპერიორი, აპელირებს ველიკოდერჟავული იმპლიკაციების შემცველი ჩანართებით, დიდაქტიკით, ყოველი წინადადება, რომელმაც ყოველივე რუსულის უპირატესობა უნდა დაანახოს მკითხველს ქართულთან შედარებით, შეიცავს შეფასებითი სემების მქონე ლექსიკას. როგორც ჩანს, ავტორის განწყობაა, როგორც სუპერიორმა, ნაკლოვანებათა შესახებ თანმდევი კრიტიკულ-დიდაქტიკური ტონით, სოციალური იერარქიის „მაღალი კვარცხლბეკიდან" მიუთითოს

---

[37] The Imperial Curriculum: Racial Images and Education in the British Colonial Experience,, edited by J.A. Mangan, Routledge, 2012.

ინფერიორს (რაც ყველა ეპიზოდში გაისმის). შედარებისთვის, თუ სუპერიორის უპირატესობა დისკურსში იმპლიცირებულია, ხოლო მისი ინფერენცია კი იოლია, მეორეს მხრივ, ინფერიორის პოზიცია სოციალური იერარქიის დაბალ საფეხურზე ღია ტექსტით, ლოკუციური ტიპის წინადადებებით არის გადმოცემული. კრიტიკის დრამატული ტონალობა, ზეაწეული და კრიტიკული ტონი, დეროგაციულად მარკირებული ლექსიკური ერთეულების სიჭარბე ერთიანობაში განისაზღვრება ინგლისურ ენაში არსებული ტერმინით inflammatory - რომლის ზუსტი ეკვივალენტი ქართულად შეიძლება „პროვოკაციული“ იყოს, რადგან ასეთი შინაარსის ნაწერზე ითქმის „გამაღიზიანებელი“, „ემოციური აშლის გამომწვევი“. რომელზეც ადამიანის ქვეცნობიერი მყისიერად რეაგირებს, ხოლო მისი კოგნიტური სისტემა გამომწვევი მიზეზის შეფასება-გაანალიზებას უფრო მოგვიანებით ახდენს.

პრიორიტეტული ენის მითის გავრცელებას მწერლობამ ფრიად შეუწყო ხელი ენის ისეთი იდეოლოგიური შეფასებებით, როგორიცაა, მაგალითად ასტაფიევის მოთხრობაში წარმოჩენილი ენობრივი პოლიტიკის პროპაგანდა: из кладезя нашего великого языка და ქვემოთმოყვანილი დიდაქტიკური დასკვნა:

«Смотри на этот Грузыя, на этот грузын. Народ по рукам надо знать, которые держат мотыгу, а не по тем, что хватают рубли на рынку».

ასტაფიევისეული „ბინარული ოპოზიცია“ ქართველს სახნისსა (мотыгу) და ბაზარს (рынку) შორის უტოვებს ლიმიტირებულ ზონას, სახნისზე დამოკიდებული ქართველი ხომ გაცილებით საყვარელია იმპერიის მშენებლისთვის: სახნისი = განათლების, მაშასადამე ინტელექტის ნაკლებობას = ეკონომიკურ სიმწირესა და სიდუხჭირეს = იმპერიის მორჩილებას და მამულის

დამოუკიდებლობის, თავისუფლების ცნების დავიწყებას. ბაზარი ასოცირებულია შემოსავლის ზრდასთან და სიმდიდრესთან, გამდიდრებული ქართველი კი იმპერიას არ სჭირდება - ის ეგზომ ადვილად სამართავი ვერ იქნება.

ატსაფიევი მოხერხებულად ქმნის იდეოლოგიურ სამანს - ლექსიკურ ერთეულს мотыгу დადებითი, ხოლო рынку უარყოფითი თანამნიშვნელობა აქვს - თუ სახნის-გუთანი სასიქადულოა, მისი ბინარული ოპოზიცია - ბაზარი - სამარცხვინოა ქართველისთვის;

> «Тут есть генацвале, которые с гор спускаются на рынок, чтоб с народом повидаться, -- два-три пучка зелени положит перед носом, чтоб видно было, не напрасно шел. Цц-элый дэн просидит, выпит маленько з друззами, поговорит, на зэлэн свою лицом поспит, потом бросит ее козам и отправится за тридцать километров обратно и „ц-цэлый год будет вспоминать, как он хорошо провел время на рынку»...

ასტაფიევის მიერ გაიდეალებული ბუკოლიკური იდილია - ეროვნული ტრაგიკომედიაა, რომლისკენ მოწოდებაც სცადა ავტორმა.

სიმბოლიკა და სემიოტიკა მოთხრობაში „ციმორის ჭერა საქართველოში“

რა თვისებებით ხასიათდება თევზი ციმორი და რა ნიშნების მიხედვით შეაჩერა სწორედ ამ თევზზე ყურადღება ავტორმა და არა, მაგალითად კალმახზე? რასაკვირველია ეს არ იყო შემთხვევითი და უნებლიე არჩევანი, იგი ავტორის დისკურსულ ინტენციას გამოხატავდა და ენობრივ პოლიტიკას განსაზღვრავდა. ამიტომ, საინტერესოა ციმორის ფიზიკურ დახასიათებას გავეცნოთ:

ციმორის თვისებები ციმორს რუსეთში დამწყები მეთევზეობის მოყვარულებიც კი არ ეტანებიან დასაჭერად და ტრადიციული „უხის“ მოსამზადებლად. იგი გემრიელია, თუმცა მასში **იმდენი ფხაა, მადას დაგიკარგავთ.** მეორე თვისებაა მეთევზის მოტყუებისა და ანკესიდან თაევის დაძვრენის უნარი, სიცოცხლისუნარიანობა და ფსკერზე თავდაყირა, ლაყუჩებით ჩაფლობა.

რა საერთო ნიშნები აღმოაჩინა ავტორმა ციმორსა და საქართველოს შორის? საკუთარი ნიშნისმიერი ინტერპრეტაციით შეეცადა საქართველოს ხატად ექცია ციმორის იპოსტასი.

სემიოტიკური ნიშნები, რაც კონსტატირებული არ არის და იმპლიციტირებულია:

უმაღლესი საბჭოს არჩევნები:

(1) რუსეთის საბჭოთა იმპერიის არჩევნების დღე ზეიმია ქართველი ხალხისთვის: ისინი დასეირნობენ, მღერიან და დროს ხალისიანად ატარებენ;

(2) საბჭოთა არჩევნებით აღფრთოვანებული ქართველი ხალხი homo sovieticus-ის იმპლიკატურაა, ავტორისეული დადებითი

განწყობა ჩანს რეჟიმისადმი. გაუგებარია, თუ რომელ სოციალურ წრეს მიეკუთვნებიან ეს ქართველები: აქ უნებურად გვახსნდება „პლემია კომუნისტიჩესკოე“[38] რომელიც ტიპური

[38] მწერალი გ. ალხაზიშვილი წერს: „ეს ციტატა ეკუთვნის მელორ სტურუას: Я снова склонился над книгой. Имя, фамилия. Все в порядке. Адрес — Москва. Племя. Племя? Я задумался, водя ладонью по шершавой бумаге. Затем написал — коммунистическое...მაგრამ ჯერ ორიოდ სიტყვით იმას ვიტყვი, რას ეძღვნებოდა მელორ სტურუას ეს წერილი. წერილში საუბარია ამერიკის შეერთებული შტატების განთქმულ ფედერალურ ციხეზე, ალკატრაზზე. როგორც ცნობილია, ალკატრაზის კედლებში გაიარა განგსტერთა მთელმა გალერეამ ლეგენდარული ალ კაპონედან დაწყებული და მკელელთა კორპორაციის შეფად, ბულვალტრად წოდებული ლუი ლეპკეთი დამთავრებული... ოცდაცხრა წელი ფუნქციონირებდა ეს მართლაც ციხეთა ციხე – ალკატრაზი! ამ საშინელი ციხე-კუნძულის დასახასიათებლად მარტო იმის თქმაც კმარა, რომ იქ, როგორც ბატონი მელორ სტურუა ბრძანებს, მხოლოდ თოთხმეტჯერ ცდილან გაქცევას. სულ 39 ტუსაღს უცდია ბედი. აქედან 26 დაცვას დაუჭერია, 7 მოუკლავთ, დანარჩენი 6 კი დამხრჩვალა... 1963 წელს ეს ძვირადღირებული ციხე, სადაც პატიმრის შენახვა ჯდებოდა გაცილებით მეტი, ვინემ ყველაზე ძვირადღირებული ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტების შენახვა, მიაკეტეს! სანამ ალკატრაზს ახალი პატრონი გაუჩნდებოდა, მანამდე, 1969 წელს, მოხუკების წარმომადგენელი რიჩარდ ნოსკი პირაგუებითა და ჯონკებით მიადგა ალკატრაზს. `ეს მიწა ჩვენი მიწაა!~ – დაწერეს ინდიელებმა ალკატრაზის კედლებს. და ასე დაეპატრონენ ინდიელთა 25 ტომის წარმომადგენლები ალკატრაზს!...ალკატრაზი იქცა ინდიელთა მექად. ყოველი ინდიელი თავს მოვალედ თვლის, მოიხილოს და მოილოცოს მათი თაყვანისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეს სიმბოლო! ალკატრაზზე – ინდიელთა ამ მექაში – დევს საგანგებო წიგნი, რომელშიაც იქ ჩასული ინდიელი ტოვებს თავის ხელმოწერას – იმის ნიშნად, რომ მან მოილოცა ეს წმინდა ადგილი. ეს პატივი – წიგნში ხელმოწერის დატოვებისა – ალკატრაზის სტუმარს, ბატონ მელორ სტურუასაც არგუნეს. დანარჩენს თავად მელორ სტურუას წერილიდან მოვიტან აეტორის მშობლიურ ენაზე: „...Я снова склонился над книгой. Имя. Фамилия. Все в порядке. Адрес – Москва. Племя. Племя? Задумался, водя ладонью по шершавой бумаге. Затем написал – коммунистическое...“ გესმით? დაფიქრდა. დიდხანს ფიქრობდა, თუ რა იყო მისი `პლემია~. დიდხანს იფიქრა, დაეწერა თუ არა, რომ ქართველია! არ დაწერა, ვერ დაწერა. დასასრულს, როგორც იქნა `დაიძვრინა თავი~ უხერხული სიტუაციიდან: პლემია – კომუნისტიჩესკოე! ასე თქვა უარი ბატონმა მელორ სტურუამ ქართველობაზე! მანამდე მას, როგორც ცნობილია, ნათქვამი ჰქონდა უარი მშობლიურ ენაზე“.

ნიმუშია იმ ფენომენისა, რასაც პოსტკოლონიურ თეორიაში ეწოდება ტერმინი „The empire writes back." **იმპერიის ქართველი შვილები, ივიწყებენ რა საკუთარ მშობლიურ ენას, განმანათლებელი იმპერიის ენაზე ეუფლებიან ცოდნას, ხოლო შემდეგ იმპერიის ენაზე იწყებენ მწერლობას.** ამის ერთ-ერთი საბჭოთა მაგალითია - კ. ბუაჩიძე წიგნით: „ასეთი გრძელი, ერცელი წერილი ვიქტორ ასტაფიევს და სხვა გზავნილები შავ-თეთრი სურათებით", რომელიც რუსულ ენაზე თბილისში, გამომცემლობა „განათლებამ" 1989 წელს დასტამბა. ამ წიგნში ბევრი რამაა საგულისხმო; უპირველესად, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ 1989 წელი გარდამტეხი წელია საქართველოს სსრკ-საგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში, ესაა სისხლიანი 9 აპრილის წელი; მეორე ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ავტორს სათაურის ქვემოთ საკუთარი მისამართი აქვს მითითებული: „კ. ბუაჩიძისაგან, მცხოვრები ქ. თბილისში, 79, ბარნოვის ქ. 102" - რაც, მხოლოდ პოლემიკაში გამოწვევას კი არა, არავერბალური პაექრობისათვის მზადყოფნას გვაგონებს.

(3) ცუდია: ***ქართველი, რომელიც ბაზარზე დგას*** (ვაჭარი ზოგადად, კომუნისტების დროს ინვექტიურ ლექსიკას მიეკუთვნებოდა) კ. ბუაჩიძე წერს - „ქართველი გლეხების უმეტესობას კოლექტივიზაციამდე! უაღრესი გაჭირვების დროსაც კი, ეთაკილებოდა ბაზარზე ვაჭრობა. ცხვარი, ხარი, ძროხა - ამას არა უშავდა, ვაშლი, მსხალი და ტყემალი კი - ოოო...". საოცარი ის არის, რომ ბუაჩიძე ასტაფიევს ესაუბრება როგორც ინფერიორი სუპერიორს, იმპერიის წარმომადგენელს

პერიფერიის / კოლონიის წარმომადგენელი; სოციოლინგვისტიკური იერარქიის თვალსაზრისით, ბუაჩიძის მეტყველება უნდა შეეფასოთ ორგანზომილებიანი სოციალური ასიმეტრიის შკალით: „ძალაუფლება **საპირისპიროდ** სოლიდარობისა“, სადაც, იმპერიას, ამ შემთხვევაში კომუნისტურ რუსეთს, გადანაწილებული აქვს განმანათლებელი - გაუნათლებელის სოციალური სტატუსები; რუსი ერი (ასტაფიევისა და მრავალი მისი მსგავსი თანამოკალმის სახით) ღრმად არის დარწმუნებული საკუთარ უპირატესობაში „მოძმე ერების“ მიმართ და თავს სრულ უფლებას აძლევს ველოკოდერჟავული მანერით აკრიტიკოს „უცხო“, ანუ ინფერიორი. *შეურაცხყოფილი ავტორი ვერ აცნობიერებს საკუთარ თავს იდეოლოგიურ-პოლიტიკური კოლონიალიზმის მსხვერპლად, კომუნისტური ნიღბის მიღმა მის სამშობლოს ვერ ამოიქვამს კოლონიად, ხოლო საკუთარი ერის როლს კოლონიზებულად. იგი, როგორც ინფერიორი, საკუთარ მსოფლაღქმას გაუცნობიერებლად ავლენს, როცა ვრცელი ეპისტოლარული ანგარიშით, ასტაფიევისვე მშობლიურ, რუსულ ენაზე სასჯუხო წიგნით წარსდგება, რასაც პოსტკოლონიური თეორიის ტერმინით, „იმპერია პასუხს გვცემს“ ეწოდება.* მიუხედავად იმისა, ბუაჩიძე აცნობიერებს საკუთარი იდენტობის მეტამორფოზას.

ქართველი გასაკიცხად თავად იმ წყობამ აქცია, რომელიც რუსეთმა მოახვია თავს. ბუაჩიძე ასტაფიევს სწერს როგორც სოციალური ინფერიორი: „როგორც არ უნდა ვეცადოთ, ფაქტი ფაქტად რჩება - სიტყვა „ქართველი“, როგორც თქვენ (ასტაფიევი) წერთ, იქცა სალანძღავ წოდებად. რომ სწორედ რუსული იმპერიული სსრკ-ს დროს, კომუნისტების ეპოქაში არაეის ჰყოფნიდა ხელფასი, თუმცა ამის თქმა ხმამაღლა ციხეს

ნიშნავდა; სოციალური რეალიზმი კრძალავდა ისეთი ფრაზების წერასა და ლაპარაკს, განსაკუთრებით ეკრანიდან, როგორიცაა „ხელფასი არ მყოფნის“, „ჩემი ხელფასით ორ ცოცხალ ბატს ვერ იყიდი“, „გთხოვ ხუთი მანეთი მასესხო ხელფასამდე“, „ოქროც გაძვირდა, რკინაც გაძვირდა“. ასეთ ვითარებაში ვაჭრობას ხელი არამარტო გლეხმა, არამედ ექიმმა და მასწავლებელმაც („მათ, ვისაც ხალხი ნახევრად ღმერთებად რაცხდა“, კ. ბ. გვ.182) მოჰკიდა, ქართული მენტალიტეტის ასეთ ცვლილებას და რუსეთში ხილით ვაჭრობის ამ ფენომენს მწერალი „საბაზრო დრამას“ უწოდებს; ბუაჩიძე მიიჩნევს, რომ რუსეთის ბაზრებზე ხილით მოვაჭრე ქართველების სახელის გატეხვა ნაწილობრივ იმის ბრალიცაა, რომ მონღოლოიდური „ხილით მოვაჭრეებიც“ (ფრუქტოვშიკები) ქართველებად ასაღებდნენ თავს, საკუთარი ერისათვის რომ სირცხვილი აერიდებინათ“ (თარგმანი ხ..ბ.)

ასტაფიევის მონათხრობში *ქართველი, რომელიც შემოქმედებით საწლებში* ხვდება ავტორს - ანუ, ინტელიგენტი ქართველი ისეთივე უარყოფითი ტიპაჟია, როგორც *ქართველი, რომელიც ძვირადღირებულ ლუდხანებში და სასტუმროებში* ხვდება ავტორს. ყურადღებას იმსახურებს სიგნიფიკატორი, *ძვირადღირებული,* სწორედ იგი აქვს ტაბუირებული ქართველისთვის ავტორს - ანუ, ქართველი, რომელსაც ფული აქვს, ასევე უარყოფითად არის შეფასებული.

ცნობილია, რომ სიტყვის ორიგინალურმა მნიშვნელობამ შეიძლება ცვლილება განიცადოს. დისკურსის პრაგმატიკის ანალიტიკოსმა, ჰერბერტ გრაისმა, 1957-69 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში პირველად წამოაყენა თეორია სიტყვის ორიგინალური მნიშვნელობის ცვალებადობის შესახებ, იმის მიხედვით, თუ რა ნაგულისხმევობაა

მასში ჩადებული წარმომთქმელის მიერ: What a particular speaker or writer means by a sign or a particular occasion...may well diverge from the standard meaning of the sign (1957).

დისკურსის ავტორის კოდირებული გზავნილები გრაისისეულ იმპლიკატურის თეორიას მიჰყვება, ყველა ირიბი მინიშნება საქართველოსა და ქართველების ანტისაბჭოთა განწყობას ასახავს, რის მიმართ ასტაფიევის, პროსაბჭოთა, პროიმპერიული მწერლის რეაქციული დამოკიდებულება ჩანს. ანტისაბჭოურ განწყობას ავტორი სუბიექტურად აღიქვამს როგორც ანტირუსულს, რაც მისთვის ქვეცნობიერად ასოცირდება, როგორც ანტიიმპერიული, ანტიველიკოდერჟავული. სწორედ ეს ფარული პოლიტიკური უკმაყოფილება არის კოდირებული ლექსიკო-სემანტიკური დონეზეც, მაგ.:

ავტორი „გესლიანად" თვლის ქართულ ანტისაბჭოთა ანეგდოტს:

«Дорогой Филипп. Колхоз такой хороший, а мы, грузины, такие плохие, что друг другу не подходим»...

და საპასუხოდ, იქვე თხზავს დეფორმირებულ ანეგდოტს ირონიული ობერტონით:

«Дорогой Отар! Кутаиси город такой богатый и такой роскошный, а мы, русские гости, такие бедные и неловкие, что друг другу не подходим» რომელიც საწყისი ანეგდოტის კალკირებული, ენობრივად პრიმიტიული ვარიანტია, არ ახასიათებს ანეგდოტის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება - აზრობრივი სისხარტე და მით უფრო, არც ეროვნული განწყობის იუმორისტული გამოხატულებაა; ავტორის ღვარძლნარევი ტონალობა ვლინდება საბჭოური იმპერიის უკბილო დაცვისას: ასტაფიევის ეპითეტი *богатый* ქუთაისზე, რომლის ბინარულ ოპოზიციაშიც გეევლინება მომდევნო წინადადება - *Вокруг городища и оно само -- все-все почти истлело, обратилось*

белым и серым прахом; ძნელი წარმოსადგენია, ავტორი რეალურად თვლიდეს მინაველული, მოთეთრო-ნაცრისფრად ჩაფერფლილი ქალაქს მდიდრად - *Кутаиси -- город такой богатый* ... ამდენად, სიერცის დიქოტომიური აღწერაც ავლენს ავტორის გულისწყრომას. ასტაფიევის დისკურსში უარყოფითი კონოტაციის შემცველი ლექსიკის სიჭარბე საგრძნობია: ლექსიკური ერთეული „ველური“ ტექსტში 6-ჯერ გვხვდება, მათგან 5 შემთხვევაში უშუალოდ საქართველოსთან მიმართებით: **Дикие мотоциклы, диковинные одежды, обложенного диким, обомшелым камнем, диких костров, дикого камня, дикоплеменных обитателей.**

(1) Меж ними, разрывая живую, грохотом оглушающую, чудовищную гусеницу, еще гуще, выше подняв тучу пыли, хрипели и рвались куда-то **дикие** мотоциклы с дикими молодцами за рулем, одетые в **диковинные** одежды из кожзаменителей, в огромные краги, в очки, изготовленные а-ля "мафиози",

(2) Более Отар ничего не говорил до самой ночи, до остановки возле горного ключа, обложенного **диким**, обомшелым камнем и полустертыми надписями на нем и стаканом на каменном гладком припечке. По велению царя Давида меж кровлями собора была налита прослойка свинца.

(3) От жара **диких костров** свинец расплавился, и горячие потоки металла обрушились карающим дождем на головы завоевателей. Они бежали из Гелати в панике, побросав награбленное имущество, оружие, коней, рабынь, считая, что какой-то

всесильный, неведомый им Бог покарал их за нечестивость...

(4) С опущенной головой, с приглушенно работающим, благодарным сердцем покинул я осквернённый, но не убитый храм, у выхода из которого, точнее, у входа, лежала громадная плита, грубо тесанная из **дикого камня**, и на ней виднелась полустертая ступнями людей вязь грузинского причудливого письма.

(5) Я воткнул в берег удочку, пошел к кукану, поднял его над водой и чуть не умер от разрыва сердца: весь мой кукан, вся рыба были облеплены присосавшимися, пилящими, раздирающими на части рыбин раками, ухватками и цветом точь-в-точь похожими на **дикоплеменных обитателей** каких-нибудь темных, непролазных джунглей.

ასევე ღირსსაცნაურია ავტორის ენობრივი პოლიტიკა ადგილის ქრონოტოპის აღწერისას: გურიის შესახებ ავტორი წერს: „...где главными и самыми ловкими персонажами выступали гурийцы, **густо населяющие грузинскую землю, как бы после вселенской катастрофы окутанную пылью**“.

ავტორის მიერ გურიის სუბიექტური „აღქმა“ ემოციურ-დრამატული ლექსიკით არის გაწყობილი, წინადადება: „სამყაროს კატასტროფის შემდეგ მტვერში გახვეული ქართული მიწა“, მკითხველის წარმოსახვას სთავაზობს ამ რეალურად მშვენიერი მიწა-წყლის მიკერძოებულ ხედვას, რომელიც დამახინჯებულ სურათს, ან მრუდე სარკეს მოგვაგონებს. უარყოფითი მნიშვნელობების ლექსიკა

საქართველოსთან კონტექსტში იძენს დამატებით თანაძნიშნელობას: ის ქვეყნის ერთგვარი დესკრიპტორი, საეზიტო ბარათი ხდება გაუთვითცნობიერებელი აუდიტორიისათვის. გელათის ტაძრის აღწერისას მწერალი უარყოფითი კონოტაციის შემცველი ლექსიკას მიმართავს, საგრძნობია იდეოლოგიური ზეგავლენაც:

> «Ничего не тревожило слепящим зноем окутанную горную вершину с выгоревшей травкой, обнажившей колючки, потрескавшийся камешник, скорлупки от белеющих древних строений из ракушечника. Ослепшее от времени, молчаливое городище с полуобвалившимися каменными стенами рассыпалось по горе и срасталось с горами, с естеством их. Вокруг городища и оно само -- все-все почти истлело, обратилось белым и серым прахом».

1. выгоревшей травкой
2. обнажившей колючки
3. потрескавшийся камешник
4. Ослепшее от времени, молчаливое городище с полуобвалившимися каменными стенами рассыпалось по горе и срасталось с горами
5. Вокруг городища и оно само -- все-все почти истлело, обратилось белым и серым прахом

ავტორის იდეოლოგიური მოტივაციის ამოკითხვა ქრონოტოპის აღწერისას დამაკნინებელი სემების შემცველ ლექსემათა საშუალებით შეიძლება, თვით მცირედ ტექსტურ ფორმატზეც კი:

«Возле домов **ворошились** и сидели в пыли куры, **злобно** дергали головами и болтали **блеклыми, вислыми гребнями и подбородками,** напоминающими **порченое сырое мясо, индюки»**.

ავტორის მტრული ტონალობა გაისმის საბჭოთა იმპერიის მეტოქის, ამერიკის მისამართით:

1. Амэриканский подарок! ...**заокеанский паразит не дает себя истребить,** плодится, щупальцами своими, которые изруби на куски – и кусочки все равно отрастут, ползет во тьме земли, куда растению хочется.
2. Н-да, подарочек! То цветочек с овсом, то колорадский жук с картошкой, то варроатоз на пчел, то кинокартиночка с голыми бабами-вампирками, то наклепка на форменные штаны переучившемуся волосатому полудурку с надписью отдельного батальона, спалившего живьем детей в Сонгми.

ასტაფიევის **იდეოლოგიური დისკურსი** მკითხველის განწყობის ჩამოყალიბებაზეა ორიენტირებული: - **«буржуи ничего нам даром не дают, все с умыслом»**. მკითხველის აღქმის რეაქციაზე ზემოქმედების მიზნით, ავტორი იყენებს ქრონოტოპის მყისიერი

გადანაცვლების ეფექტს - *იდეოლოგიური სტრატეგია* - მტრის თემიდან - ანუ, უარყოფითი, დასაგმობი ქრონოტოპიდან - დადებით, სასიქადულო ქრონოტოპამდე:

«А по Грузии катил праздник. Был день выборов в Верховный Совет»

ავტორი საბჭოთა ქრონოტოპს - **день выборов в Верховный Совет** მიმართავს დადებითი სიგნიფიკატორის - **праздник** - *ზეიმი* - თანდართვით, ხოლო საქართველო მკითხველის კოგნიტურ ველში საბჭოეთთან და ზეიმთან უნდა იყოს ასოციაციურად დაკავშირებული.

> «и по всем дорогам, приплясывая, **шли, пели, веселились грузины**, совсем не такие каких я привык видеть **на базарах, в домах творчества** или **в дорогих пивнушках и столичных гостиницах**».

ასტაფიევი იმპლიცირებულად აყენებს, რომ მისთვის სასურველი ქართველობა ე.წ. *პროსტალიუძინა*, ნაკლებ საშიში, ნაკლებ განათლებული, გაურკვეველი ხელობის, მცირედითაც კმაყოფილი ხალხი, რომელიც არასოდეს აუბუნტდება რეჟიმს.

საბჭოეთში არსებული სოციო-კულტურული ვითარების სურათი ასეთი იყო: რადგან საერთო საბჭოთა ენა ქართველისთვისაც, რუსისთვისაც და დანარჩენი 13 რესპუბლიკის ხალხებისთვისაც რუსული იყო, ამ ერების წარმომადგენლებს იძულებული იყვნენ, ან რუსული უნდა შეესწავლათ რუსზე უკეთ, ან აპრიორი, მუდმივად მეორეხარისხოვანი სტატუსი უნდა ჰქონოდათ „საბჭოთა სოციუმში:“ სოციოლინგვისტიკა მეტყველების სტრატიფიკაციულ ვარიანტულობას დაბალი რეპუტაციის კატეგორიად განიხილავს, რომელიც პირდაპირ მიუთითებს მოსაუბრის დაბალ

განათლებასა და მისი დაბალი სოციალური წრიდან წარმომავლობაზე - სწორედ ეს ფაქტორი გახლდათ ასტაფიევის ოპუსის ეთიკური არგუმენტიც - მეორეხარისხოვნებაზე მიეთითებინა ქართველებისათვის, რომლებმაც არ დათმეს დედაენა და რუსულ ენას იმპერიასთან „თავის მოსაწონებლად ვერ დაეუფლნენ“.

ეროვნების ფსიქო-კულტურული აღქმა მიმღები სუბიექტის კოგნიტურ სისტემას, ანუ შეტყობინების ადრესანტს საქართველოსთან მიმართებაში მკვეთრად უარყოფითი ინფორმაცია ეგზავნება, განვიხილოთ მაგალითი:

> «ядовитых анекдотов, услышанных в Грузии, (...где главными и самыми ловкими персонажами выступали гурийцы, густо населяющие грузинскую землю, как бы после вселенской катастрофы окутанную пылью)».

ეროვნების მიმართ ირონიული დამოკიდებულება თვალსაჩინოა, როდესაც უარყოფითი ინფორმაცია კოდირებულია მთელ რიგ ლექსიკურ ერთეულებში, როგორც ეპითეტებში:

«грузинскую землю, как бы после вселенской катастрофы окутанную пылью».

თარგმანი სიტყვასიტყვით:

„ქართულ მიწაზე, რომელიც თითქოს სამყაროს კატასტროფის შემდეგაა მტვერში გახვეული“.

1. Ядовитых აღნიშნავს საქართველოში მოსმენილ ანეგდოტებს.
2. окутанную пылью - შეეხება ქართულ მიწას:

ცივილიზებულ ერსა და უძველეს კულტურას, რასაკვირველია, ლექსიკური ერთეული „ტომი“ არ გამოხატავს. ამ ლექსიკური ერთეულის პრესუპოზიციული მნიშვნელობა მოითხოვს, რომ სელექციური შეზღუდვის მიხედვით, მას წინ უსწრებდეს სიტყვა „ველური“. როგორც ტერმინი, იგი ხასიათდება უარყოფითი თანამნიშვნელობით; ნებისმიერი ავტორის მიერ მისი გამოყენება ცივილიზებული სოციუმის მიმართ შეფასებითი ხასიათისაა და განსაზღვრავს მის ენობრივ პოლიტიკას, ინდივიდუალურ აგენციასა და იდეოლოგიურ ანგაჟირებას. ანალოგიურად, ეპითეტი „ტომის“ გამოყენებას გურულების მიმართ ასევე ახლავს თან იმ ენობრივი პოლიტიკის წილი, რაც ავტორის აგენციას ახლავს თან.

ქართული ლექსის რუსული თარგმანი:

ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურის“ ოთხი რუსულენოვანი და ერთი ინგლისურენოვანი თარგმანი

ქართველ ლიტერატორთა მიერ ქართველ ბაირონად, ვ. გაფრინდაშვილის მიერ ქართველ ჰამლეტად აღიარებული პოეტის ლექსის თარგმნა არაერთხელ სცადეს რუსულ ენაზე; განვიხილოთ მთარგმნელობითი პარტიტურა, რომელიც „საყურის“ ოთხი რუსულენოვანი და ერთი ინგლისური თარგმანისგან შედგება. თითოეული თარგმანი დედნის ემოციურ-აზრობრივი დომინანტის, ხატების სისტემის მეტაფორული გააზრების, სილამაზის

ავტორისეული აღქმის, ლინგვისტური გაფორმების, ლექსის განწყობის, რიტმიკის გაგებისა და გადმოცემის უნარით ფასდება.

ბარათაშვილის ლექსის პანორამული სურათი ასეთია:

პეპელასთან მეტაფორიზებულია საყურე
შროშანასთან მეტაფორიზებულია და ასოცირებულია „კატინა“
უკვდავებასთან მეტაფორიზებული ამბორი

პეპლისა და შროშანის ტრფიალი უმთავრესი ხატია, ლექსის კომპოზიციაში სწორედ ის ქმნის მსუბუქ განწყობას, ხოლო ლექსის მომდევნო, ემოციურ ტონალობაში გადაწყვეტილი, რეფერენციულ-აღწერილობითი ტაეპებია, რომელიც იწყება საყურის აჩრდილის თამაშით მონუსხული პოეტის უნებლიე შენატრებით:

ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!

განვიხილოთ თარგმანები:

„საყურე“ დუდინას თარგმანი	„საყურე“ ვ. გაფრინდაშვილის თარგმანი	„საყურე“ გ. ცაგარელის თარგმანი

Вот мотылек Садится на цветок, И рад нарцисс его прикосновенью .	Как легкокрылый мотылек Качает ландыша цветок,	Как мотылек Клонит цветок, Его коснувшис ь на мгновенье,

თარგმანს სამივე ვარიანტი შეიძლება შეფასდეს დედნის არასწორ ინტერპრეტაციად, ლექსის იმიტაციურ ვარიანტად[39]. სამივე მთარგმნელი ჯვარედინი რითმის ძიებაში мотылек - цветок -ის მარცელედებს ანიჭებს უპირატესობას. ეს უგულებელყოფს ცნებათა ნავიგაციის პრინციპს: ენის ფილოსოფიისა და სემიოტიკის შესახებ ეკოს ნააზრევი - aliquid star pro aliquo[40], „რაღაცა რაღაცის ნაცვლად“, სემიოტიკის ფუნდამენტური დეფინიციაა. ნიშანი რომ გახდეს, ეს „რაღაც“, თავადაც ნიშანიეით უნდა ფუნქციონირებდეს, თუნდაც პოტენციურად უნდა შეიძლებოდეს მისი ინტერპრეტაცია. თარგმანში ყველაზე უკეთ წარმოჩნდება ნიშნის სემიოტიკური

[39] *Interpretation.* Under this heading, Lefevere discusses what he calls *versions* where the substance of the SL text is retained but the form is changed, and *imitations* where the translator produces a poem of his own which has 'only title and point of departure, if those, in common with the source text', ს. ბ ა ს ნ ე ტ ი , 2002, 87.

[40] უ. ეკო, (1984a:46)

ინტერპრეტაციის მარცხიცა და წარმატებაც; რამდენად მართებულია პეპლის - ფარვანად, შროშანის ყვავილად ინტერპრეტაცია ისე, რომ ბარათაშვილის „საყურის“ ანალოგიური ვიზუალური ეფექტი მივიღოთ?

შროშანის ნატიფ ხატს თარგმანებში ენაცვლება:

შროშანის კოპიპონიმი - ნარცისი და შროშანის ჰიპერონიმი - *ყვავილი (2 თარგმანში);*

პეპლის ხატს კი სამ მთარგმნელთან *ფარვანის* ხატი ჩანაცვლებია; მთარგმნელი, როგორც სემიოტიკური ნიშნის ინტერპრეტატორი, უნდა ითვალისწინებდეს, რომ ლექსს მეტრული საზომის გარდა, ლინგვო-სტილისტური მარკირებით განსაზღვრული ესთეტიკური „საზომიც“ აქვს და ამ ესთეტიკის ხარისხი მდაბლდება ნიშნის არაადეკვატური ინტერპრეტაციით; *პეპლის* შეფასებითი კონოტაცია უსასრულოდ აღემატება *ფარვანისას;* მეორეც, კონცეპტუალურად ადეკვატური ხატი არ გახლავთ ფარვანისა და ყვავილის შეწყვილება: ფარვანა, ალამოსა და ღამის მწერია, პეპლისაგან განსხვავებით, მას ყვავილი კი არა, ხელოვნური განათება იზიდავს.

ნოქტურნული განწყობა და რუხი ფერები მოკლებულია დედნისეულ ფერადოვნებას,

სამივე თარგმანი დედნის მიბაძვით ცდილობს საკუთარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზოს; ასეთი პრეცედენტი, ლიტერატურული ფიქციის მთარგმნელობით ფიქციად ქცევად უნდა შევაფასოთ.

ლიტერატორულ-ისტორიული ცნობებით, ნიკოლოზ ბარათაშვილმა „საყურე“ 1839 წელს დაწერა, პოეტის მუზა, ეკატერინე ჭავჭავაძე კი ლექსიდან თვით შროშანის სინატიფით შემოგცქერით. შროშანისებრი, თეთრი მშვენება პასტერნაკის რუსულ თარგმანს შეუნარჩუნებია; *Головку ландыша / Качает бабочка;* ტანკენარი ასულის სიმბოლო - ლამაზად ახრილი შროშანი - თარგმანში „ყვავილის მოძრაობასთან:“

- *Цветок в движенье* - რაც რასაკვირველია, სხვა სახეა, თუმცა, მეტნაკლებად მისაღები, რადგან თან ახლავს ნარნარი მიხრა-მოხრის თანმხლები ეფექტი. *უცხო საყურის* სემანტიკური მნიშვნელობაა *საუცხო, ოშვიათი სილამაზის*, რომლის სინონიმებია *თვალწარმტაცი, თვალისმომჭრელი, სწორუპოვარი.* ეს საყურე თავად ადრესატთან - ეკატერინესთან არის გაიგივებული; რუსულ ლექსში კი გაჩნდა ქვა, გაუბრალოვდა ხატი... მთარგმნელის ვერსია, *ქვაჩასმული საყურე* - ***Сережка с камушком*** როგორც პოეტის აღტაცება, რაც ლექსში ისმის თითქოსდა სულმოუთქმელად, ორჯერ გამეორებული სიტყვით - *ასე საყურე, / უცხო საყურე* - რომლის მკვირცხლი რიტმი თვალწინ აცოცხლებს, როგორი გატაცებით უყვება ტატო მგობარს, ლევან მელიქიშვილს: „გავგიჟდი, მეტი აღარა ვარ! კატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესს“, რაც იონა მეუნარგიას ჩაუწერია. რუსული თარგმანი კი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მასში გაჩნდა *ქვისთვლიანი საყურე,* რომელიც *ჩაჩუტულ ღაწვს ეფინება ჩრდილად:* ***На щеку с ямочкой / Сережка с камушком / Ложится тенью.*** ამასთან, *ტატოს კრძალული ნატრა თარგმანში „გაბმოვანებულია“ და ეს ენების გაცხადება სულაც არ შეენის ლექსს:* ***Кто губы жадные/Серьгой прохладною / Чуть-чуть остудит...*** ტატოს არისტოკრატული მანერით გადმოცემული სათუთი გრძნობა არსად ჩანს სტრიქონებში; მეტიც, ცნება „სიხარბე“ და „ხარბი ტუჩები“ მთარგმნელის არასახარბიელო „მიგნებაა“, მითური ალუზია „სილფიდიც“ მთარგმნელის შემოტანილი ცნებაა; „სილფიდის ქვაჩასმულ საყურეზე ხარბი ტუჩით დაწაფება“ არის თარგმანის შედეგად მიღებული მეორეული ტექსტი; დედნისა და თარგმანის ვიზუალურ ხატებს შორის განხეთქილება იგრძნობა. მთარგმნელის ეს ხატი ვერ ითავისებს *სწორუპოვარი მშვენიერების* მნიშვნელობას, რაც გამიჯნურებულ ტატოს დაუნუკებია თავის სიტყვებში...

ნიკოლოზ ბარათაშვილი	Переводы Б. Пастернака
საყურე	Серьга
ვითა ჰეპელა არხევს ნელნელა სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს, ასე საყურე, უცხო საყურე, ეთამაშება თავისსა ახრდილს. ნეტავი იმას, ვინც თავისს სუნთქვას შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს! შენის შერხევით, სიო-მობერვით გულისა სიცხეს განიგრილებდეს! ჰოი, საყურეო, გრძნებით ამრევო, ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს? მუნ უკვდავების შარბათი ვინ სვის? ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?	Головку ландыша Качает бабочка. Цветок в движенье. На щеку с ямочкой Сережка с камушком Ложится тенью. Я вам завидую, Серьга с сильфидою! Счастливец будет, Кто губы жадные Серьгой прохладною Чуть-чуть остудит. Богов блаженнее, Он на мгновение Бессмертье купит, И мир безгрозия В парах амброзии Его обступит.

ცალკე აღსანიშნია, რომ ბარათაშვილის სტილისმიერი არქაიზმები - (*ჰოი, მუნ, თვისი, შენის, შენსა, გრძნებით)* პასტერნაკის თარგმანში მინიშნებული არ არის ეპოქისთვის დამახასიათებელი სამეტყველო სტილის ეს ნიშანი, თუმცა, მხატვრული ტექსტი, განსხვავებით დოკუმენტური ტექსტისაგან, ამას მოითხოვს.

საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს ლექსის ვ. ურუშაძისეული ინგლისური თარგმანი, როგორც მეტრის, ისე მეტაფორების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით მას დედნის ტოლფასი მხატვრულ ეფექტი აქვს.

„საყურე“

ვენერა ურუშაძის თარგმანი

A butterfly gay -
Like a wing - spread fay -
Sways a flower in white array; -
Thus fairy light
Two earrings bright
With curtsying shadows play.

O happy the mind
That calm may find
And solace in that shade.
The earring'a sway -
Like winds in May
Makes cares and thoubles fade.

O earring fair,
That passions snare,
Whose lips thy shade will kiss?
Who'll guaff fore'er
Gods' nectar rare?
Who'll cling to thee in bliss?

შედარებითი შეფასებისათვის შეიძლება ითქვას, რომ ლექსის სემიოტიკური განზომილება სრულყოფილად არის გაგებული და გადმოცემული; თუმცა თარგმანში თავად ცნება *შროშანი* არ ასახულა, მას ჩაენაცვლა **სითეთრის ცნება, flower in white array - *თეთრი ყვავილების მწკრივით;*** ურუშაძის თარგმანის პოეტური კომპოზიცია აელენს მაღალ ენობრივ და მხატვრული აზროვნების პოტენციალს.

ილია ჭავჭავაძე პოსტკოლონიური ტრანსლაციის პარადიგმაში

ქართულ სამეცნიერო დისკურსში არ გვხვდება კონცეპტი - „ილიას პოლიტიკური მეტყველება“, ან „ილიას პოლიტიკური დისკურსი“. პოლიტიკურ დისკურსს პროფ. ჯ. ვილსონი განმარტავს, როგორც ამბივალენტურ და ორმაგი ცნებითი შინაარსის მქონე კონცეპტს:

ა) დისკურსი, რომელიც თავისთავად პოლიტიკურია;

ბ) პოლიტიკური დისკურსის ანალიზი, როგორც რიგითი დისკურსის ნიმუში, რომელშიც, შესაძლოა, ღიად არ იყოს

მითითებული პოლიტიკური შინაარსი, ან პოლიტიკური კონტექსტი, (Wilson, 2001:398)

ილიას შემოქმედებითი მანერისათვის დამახასიათებელია ვილსონისეული პოლიტიკური დისკურსის განმარტების მეორე ვარიანტი: ილია გამოხატავს *ანტიცარისტულ განწყობას და პოლიტიკური დამოუკიდებლობის სურვილს, თუმცა, ეს არ გამოიხატება ლია ტექსტებით.*[41]

მეტიც, ილია ჭავჭავაძე ფსევდონიმსაც მიმართავდა: „1887 წელს "ივერია" საერთო სათაურით "დამაკვირდი" ბეჭდავს ცალკე წიგნს, რომელშიც, სხვა ავტორთა ლექსების გვერდით, ერთადაა დაბეჭდილი ზემოხსენებულ ნომრებში ცალ-ცალკე გამოქვეყნებული ლარიძის ლექსები და სათაურის მაგიერ თავზე აწერია: ("თქმული ლარიძისა"). მკვლევართა მიერ დადასტურებულია, რომ ლარიძე ი. ჭავჭავაძის ფსევდონიმი გახლდათ. [42]

ამავე დროს, *ილია ჭავჭავაძის დისკურსი უდავოდ კრიტიკული* დისკურსის ჟანრს მიეკუთვნება: ლინგვისტი ვან დეიკი განმარტავს, რომ კრიტიკული დისკურსის კვლევითი ამოცანა სოციალური პრობლემები და პოლიტიკური საკითხებია, ვინაიდან კრიტიკული დისკურსი ტექსტურ ფორმატში გადატანილი მეტყველებაა სოციალური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, დომინაციისა და უთანასწორობის წინააღმდეგ.

ისტორიული ფაქტია, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ილია ჭავჭავაძისეული „მამული, ენა, სარწმუნოება" ეროვნული მოძრაობის ლოზუნგად და ქართული იდენტობის

---

[41]წყარო: „ყვარლის მთებს".

[42]წყარო: http://178.32.143.54/bibliola/ca702f6216e772941a79d30f317ce88f.pdf

ფორმულად იქცა. ილიას ტრიადა იმდენად ქართული იდენტობის ფორმულას არ წარმოადგენს, რამდენადაც სიუჟეტურ ბირთვს, რომელიც ილიას პირველ ნაწარმოებებში ჩაისახა, შემდეგ კი მის პოლიტიკურ თეორიაში გაიშალა.[43]

მხატვრულ დისკურსში ილია ალეგორიასა და მეტაფორას მიმართავს, მისი რიტორიკა თავისუფლებისთვის საბრძოლო შემართებისკენ მოწოდებებსაც შეიცავს, მაგრამ მისი ტექსტები არ გახლავთ ღიად პროპაგანდისტული. დისკურსის ასეთ სახეობას მეცნიერები ეზოპეს ენას[44] უწოდებენ, რაც სათქმელის გადმოცემის კოდირებული, შენიღბული ფორმაა.

ამერიკელი მკვლევრის, ლ. ლოსეფის მიხედვით, ლიტერატურაში ეზოპეს ენის გამოყენება იდეოლოგიური ცენზურის არსებობამ განაპირობა.[45] ავტორს გათვითცნობიერებული აქვს პოლიტიკური ტაბუს სისტემა, წინასწარ განჭვრეტს ცენზორის ჩარევას თავის შემოქმედებაში, ამიტომ რეალური ცხოვრების დეტალებს ანაცვლებს მინიშნებით, არაპირდაპირი მეტყველებითა და ლიტერატურული ტროპებით[46],– ფიგურული მეტყველების ხერხებით.

---

[43]წყარო: ზაალ ანდრონიკაშვილი-მამულის დაბადება ლიტერატურის სულიდან (ენის რეფორმა როგორც სეკულარიზაციული პროექტი) რიტორიკაში სწერია: ილია ჭავჭავაძე, „კაცია ადამიანი?!"http://literaturatmcodneoba.tsu.ge/jlia-170.pdf

[44] ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნის ბერძენ მეიგავეს, ეზოპეს, რომელსაც, როგორც მონას, უფლება არ ჰქონდა ადამიანის ნაკლოვანებებზე ესაუბრა და მან აზრის გადმოცემის იგავური ფორმა აირჩია.

[45]წყარო: Lev Loseff -On the Beneficence of Censorship- A9esopian Language in Modern Russian Literaturehttp://repository.kubon-sagner.de/vosoa/pdfx2/nts31_9783954794355.pdf(1984)

[46]წყარო: STEFANIE LETHBRIDGE AND JARMILA MILDORF: Basics of English Studies: An introductory course for students of literary studies in English.Pg:23

ამ ხერხებს აეტორი მიმართავს მაშინ, როდესაც სიტყვას ან ფრაზას მათ სემანტიკურ მნიშვნელობაზე დაყრდნობით, პრაგმატიკული მნიშვნელობით იყენებს. „ეზოპეს ენა“ როგორც ტერმინი, პირველად რუსმა სატირიკოსმა მიხეილ სალტიკოვ–შჩედრინმა გამოიყენა თავის ნაწარმოებში[47] „წერილები დეიდას“ (1881-1882). იმ დროებაში, როდესაც ლიტერატურა სახელმწიფოს კონტროლს ექვემდებარებოდა, სალტიკოვ–შჩედრინი ეზოპეს ენითა და შენიღბული ტექსტით იწყებს რეალობის აღწერასა და შენიღბულ კრიტიკას. ეზოპეს ენა კრიტიკული დისკურსის მეტაფორაა. ფილოსოფოსმა აივორ რიჩარდსმა სიტყვას, რომელიც მეტაფორულ მნიშვნელობაზე მიუთითებს, „გამოთქმის გადამტანი საშუალება“ უწოდა, ხოლო ნაგულისხმევ იდეას / მნიშვნელობას “მეტაფორის თემა,“ ძილის, ღამის, დღის, გაღვიძების, თერგის ალეგორიები ილიას პოლიტიკური მეტყველების დოქტრომიური მეტაფორებია.

ინგოროყვა აღნიშნავს (1957:86-87), რომ 1861 წელს, ყოველგვარი „დიპლომატიური“ საფარის გარეშე დაწერილი ილიას „მგზავრის წერილები“ ცენზურამ აკრძალა და 1892 წლამდე, ანუ 31 წლის განმავლობაში ელოდა დღის შუქს. მანამდე, 1871 წელს, ცენზურამ მოთხრობის შემოკლებული ვერსიის ბეჭდვის ნებართვა გასცა.

მოთხრობის ანტიიმპერიული კოდირებული გზავნილების თარგმანური რეფლექსია ეყრდნობა ელენე ღოღობერიძის რუსულ თარგმანს, რომელიც ითარგმნა და 1937 წელს გამოქვეყნდა

[47] As a term, ‘Aesopian language’ was first used by Russian satirist M.E. Saltykov-Shchedrin in his Letters to Auntie (1881-1882), in order to designate a ‘figurative language of slavery’, an ‘ability to speak between the lines [...] at a time when literature was in a state of bondage`. [47] (ა.თერიანი 2012:75)

თარგმანების კრებულში სახელწოდებით: „‘Записки проезжего от Владикавказа до Тифлиса’ და ინგლისურ თარგმანს. მარჯორი უორდროპის მიერ სათაურით: Notes of a Journey from Vladikavkaz to Tiflis’[48] მარჯორი უორდროპის მოთხრობის თარგმანი, სახელწოდებით ჭავჭავაძე, მისი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ ოქსფორდის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს, მაგრამ როგორც ლ. ურუშაძე-თაქთაქიშვილი წერს (1965:74), თარგმანის თარიღის შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოიძებნა.

„მგზავრის წერილებში“ ილია წერს:

„კვამლი ფრიად სასიამოვნოა, - პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთ“[49] (ი.ჭავჭავაძე 2012:117).

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ითარგმნებოდა ინგლისურ და რუსულ ენებზე კოლონიზების ეპოქაში. ბუნებრივი და მართებულია, თარგმანის თეორიის პოსტკოლონიურ პარადიგმაში ილიას პოლიტიკურად მოტივირებული მეტყველების მთარგმნელობითი სტრატეგიების გაანალიზება:

დავაკვირდეთ რუსულ თარგმანს:

---

[48] ეს სათაური უორდროპს გადმოღებული აქვს „მგზავრის წერილების“ 1892 წლის ვერსიიდან, (ურუშაძე-თაქთაქიშვილი, ლეილა. 1965. მარჯორი უორდროპი. (თბილისი: „ლიტერატურა და ხელოვნება“).

[49] წყარო“ ილია ჭავჭავაძე-„მგზავრის წერილები“ თბილისი 2012

„Насчет сладости дыма я ничего не имею вам доложить, относительно его приятности замечу только, что дым особенно приятен тогда, когда от него из глаз льются слезы.

როგორც ეხედავთ, რუსულენოვანი თარგმანი აზრნაცვალია, ცარისტული იმპერიის რეჟიმით დამძიმებული საქართველოს მდგომარეობის ჭავჭავაძისეული შეფასება რუს მკითხველამდე არ მისულა. ეს გასაკვირი არაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თარგმანი 1937 წელს მოსკოვში, გამომცემლობა „მხატერულ ლიტერატურაში“ დაისტამბა. მთარგმნელი, ელენე ღოღობერიძე-ლუნდბერგი, თუ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მონაცემებს დავეყრდნობით, 1917-1920-იან წლებში პეტროგრადსა და მოსკოვში მუშაობდა, ხოლო 1932 წლიდან მოსკოვში ცხოვრობდა.[50] იქმნება საფუძველი, დავასკვნათ, რომ რუსეთის, როგორც ცარისტული კოლონიზატორის წინააღმდეგ მიმართული ილიას პოლიტიკურად მოტივირებული მეტყველება მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის, როგორც საბჭოური კოლონიზატორისთვისაც. ამას ადასტურებს ელენე ღოღობერიძე-ლუნდბერგის მთარგმნელობითი სტრატეგია: უკვე არა მონარქიული, არამედ საბჭოთა პოლიტიკური წყობის პირობებშიც, თუნდაც რეჟიმის უმძვინვარეს, 1937 წლის რეპრესიების ეპოქაში. რეალურად, იმპერიული რუსეთი არასოდეს გამიჯვნია კოლონიზატორულ პოლიტიკას, მას არც კომუნისტური წყობის დროს სურდა მოესმინა მის მიერვე დამხობილი მეფის რუსეთის კრიტიკული შეფასება პერიფერიიდან.

[50] ტ.10-თბ., 1986.-გვ.598.

მთარგმნელი მანიპულაციას მიმართავს, პოლიტიკური ალეგორიის იდეოლოგიურ საზრისს უგულებელყოფს, რაც თარგმნილ ტექსტს პოლიტიკურ ეკვივალენტობას აკარგვინებს; აღსანიშნავია გამოტოვებაც, როგორც ტექსტის ტრანსფორმაციის სახეობა. მთარგმნელობითი პარადოქსი შეიძლება ეწოდოს ამგვარი მანიპულაციიის შედეგად მიღებულ არაბუნებრივ განცდას, თითქოს კვამლით ცრემლდენა სასიამოვნო რამ იყოს, როგორც ეს რუსულ თარგმანშია: **...дым особенно приятен тогда, когда от него из глаз льются слезы.**

ილიას პოლიტიკური ალეგორიზების შიდაენობრივი თარგმანია:

კვამლი, როგორც ბილეადობის ხელშემშლელი და ამავე დროს წარმავალი ფასეულობა, არის *რუსეთისაგან* მიღებული ის სასიამოვნო პატივი, ჩინი და სხვა ყალბი ღირებულება, რაც *„თვალს უბამს“* „ჩინოსნებს,“ ხელს უშლის *სამშობლოს უბედურების / კოლონიზების მართლჭვრეტას; მათი საერთო კუთვნილების, მამულისადმი ერთგულების ნაცვლად, იმპერიისგან მოელიან კეთილდღეობას განკერძოებით, იმ დროს, როდესაც თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ენის, სარწმუნოებისა და მამულის ბედი სხვა სახელმწიფოს ხელშია. რუსეთის კოლონიზატორული როლის არდანახვა და ვერშეფასება ის სასჯელია, რომელსაც მთლიანად ერი იღებს* - „კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს“.

რაისნერი წერს, რომ ცარისტულმა რუსეთმა თავადაზნაურებისათვის გახსნა სკოლები და დააწესა სტიპენდიები, რათა კვალიფიცირებული სახელმწიფო მუშაკები დაესაქმებინა. ეს *უცბო სახელმწიფო* მათ სთავაზობდა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობებს (O. Reisner, 2009:40). თუმცა ეს თავისთავად

რუსიფიკაციას, ქართული ენისა და კულტურის რუსულთან ასიმილაციას გულისხმობდა. სწორედ ეს გაორებული დამოკიდებულება წარმოგვიდგინა ილიამ სიტყვა „კვამლის“ ორი სხვადასხვა განზომილების გამოყენებით.

ქართველი ხალხის უმოქმედობის მეტაფორა „ძილია“ - ილია ელოდება დღეს, როდესაც მისი სამშობლო ამ ღრმა ძილისგან გამოიღვიძებს, ამოქმედდება, ცოდნით შეიარაღდება და შეძლებს თვითმყოფადობისთვის ბრძოლას. რაისნერს თავის ნაშრომში მოჰყავს 1881 წელს თერგდალეულების მიერ გამოქვეყნებული პრინციპების ჩამონათვალი. ერთ-ერთ მათგანში იკითხება: „ახალგაზრდა თაობამ სრულყოფილი განათლება უნდა მიიღოს, შეისწავლოს ევროპული მეცნიერებანი და განათლებით შეიარაღებულმა წინ წაიყვანოს ქვეყანა (O. Resiner, 2009:44). ილია ჭავჭავაძე კი მამათა და შვილთა ბრძოლას იწყებს... განათლებამიღებულთაგან იგი ქვეყნის სამსახურში ჩადგომას ელის და გმობს იმპერიაში განათლების მიღების შემდეგ იმპერიის ჩინებისთვის სამსახურს... ჩინიანთა მეტაფორიზებულ, რუსეთისკენ პირნაქცევი თერგის მეტაფორიზებული სახე და ადამიანური თვისებები: თვალთმაქცობა, ორპირობა, თვინიერება და სიწყნარე რუსულ თარგმანშიც გაკილულია, მაგრამ ის ექსტრალინგვისტური, კულტურული ინფორმაცია, რაც კოდირებულია ქართულ ტექსტში და ქართველი მკითხველისთვის იოლად ასოცირდება ალეგორიულ ხატებად, მიუწვდომელი რჩება რუსი მკითხველის მასისათვის:

> Ах, этот погибельный Терек! И двуличен же он оказывается! Гляди, как притаился и замер! Стоило ему повернуться к нам спиною и лицом к России, стоило только вступить в луга и долины, как его богатырский голос тотчас же оборвался. Тут, у Владикавказа, наш

неистовый Терек уже не тот, о котором сказал поэт:

Терек мчится. Терек ревет. Вторят ему скалы.

Тут он такой кроткий, такой тихий, словно его высекли или дали высокий чин. Возможно, однако, что он умолкает здесь потому, что вокруг него уже не толпятся свитою вторящие ему скалы...

ილია ძილის კონცეპტს „მგზავრის წერილებშიც“ იყენებს, სადაც ეკითხულობთ:

„არა, წაიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვით, წვალებით, ბრძოლით და ვაი-ვაგლახით.“[51] მარჯორი უორდროპისეული ინგლისური თარგმანი სიტყვასიტყვით ახერხებს გაიმეოროს დედნის ტექსტი, გადმოსცეს რიტმული სურათი და შეინარჩუნოს მხატვრული სტილი. ამავე დროს, არ კარგავს არც ავტორის შემართებასა და განწყობას:

„არა, წაიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და	No, take away this dark and peaceful night with its slumber and its dreams and give me light

[51]წყარო“ ილია ჭავჭავაძე-„მგზავრის წერილები“ , 2012:134

მომეცით ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვით, წვალებითა, ბრძოლით და ვაი-ვაგლახითა.”	and restless day with its sufferings, its tortures, its struggles and its lamentations.

უორდროპმა ძილის მეტაფორისა და რიტორიკული პოლიტიკის თარგმნას „ელეგიაშიც“ ბრწყინვალედ გაართვა თავი:

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

Still sleep O God! Sleep, always sleep, When shalt thou deem us worthy to awake?

ძილის უმოქმედობას უპირისპირებს თერგის, როგორც „გამოღვიძებული ადამიანის“ მეტაფორას, რაც ინგლისურ ენაზე შესანიშნავად არის თარგმნილი:

„თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღლებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“

“Terek is the image of human awakened life, it is a face mobile and worth knowing; in its muddy waters can be found the lye to wash a whole world's woe”.

წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, რომ მთარგმნელმა შეინარჩუნა ყველა მეტაფორა, რომელიც ავტორის პოლიტიკური ერწამსის, ან დამოკიდებულების გამომხატველია.

შდრ. რუს. თარგმანი:

«Терек - это образ пробуждающейся человеческой жизни, это образ, вольнуюший и достойный признания: в его мутных водах пепел скорбей всей страны».

ილიას დამახასიათებელი პოლიტიკური მეტყველების ერთ-ერთი ნიმუში, ცნება *„გაღვიძება“*, როგორც თავისუფლებისათვის ბრძოლის დასაწყისი, თარგმანში მეტაფორიზებულია როგორც „ადამიანური ცხოერების გაღვიძება, ანუ დასაწყისი“ (**пробуждающейся** - Начало в ней пробуждаться сознание. Чернышевский), რაც, ერთგვარად დედნის ტოლფასი შინაარსია, მაგრამ სრულიად განსხვაეებულია ქართულ ლექსის მეტყველება ასოციაციების დონეზე; იგი თანზომიერია ავტორისა და მკითხველისათვის, საერთო დანაკარგის - სამშობლოს თავისუფლების ცნებებით, ისევე, როგორც თანზიარობის განცდა აქვთ მათ საერთო - *გაღვიძება, სწორედ დაკარგულის დასაბრუნებლად ბრძოლისათვის. აი, სწორედ ეს იდეოლოგია და განწყობა რჩება უთარგმნელი, ეს ნაგულისხმევი ინფორმაცია ვერ აისახება რუსულ თარგმანში.*

კიდევ ერთი მეტაფორა ილიას „მგზავრის წერილებში“ გახლავთ „ეტლი“. ილიას ირონიული ტონალობა რუსეთის მიმართ საფრანგეთის და ზოგადად ევროპის მიმართ დამოკიდებულებას ირონიის გამოყენებით აბერხებს.: „- **მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!..**“ რუსეთის მფარველობაში ყოფნას ფრანგი მეტაფორულად ადარებს ფიზიკურ და გონებრივ დაუძლურებას:

“- ეგ ეტლი ვისი მოგონილია? - მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არ	Who invented this vehicle? He asked pointing to the postcart on which the sleepy"yamshtchik"was stupidly nodding.

გამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა. - რუსისა, - ვუპასუხე მე. - მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღეებინოთ გულ-მუცელი. - არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშაედეს რამე. - მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!..“ „ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი ფანჯრიდამ უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს? - მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა! - ხითხითებდა იგი, - ვიღა დაეწევა!“	-The Russians, I answered. -I imagine nobody is likely to dispute the honour with them. I pity you to be forced to addle your brain and shake up your stomach on a thing like that. -What's to be done? If the whole of Russia travels in this manner why should I complain? -That's why Russia doesn't advance more rapidly.[52] (მ. უორდროპი, ო.უორდროპი 1987:8)

თარგმანში შენარჩუნებულია „ეტლის“ მნიშვნელობა და ტექსტს ისევე გასდევს ფრანგის დამცინავი დამოკიდებულება, როგორც დედანში, გარდა ერთი ფაქტისა:

[52]წყარო: Ilia Chavchavadze works TRANSLATED BY MARJORY AND OLIVER WARDROPS.

როგორც ზეით აღინიშნა, დედნის ტექსტში იგრძნობა ირონია, რომელსაც „ფრანსიელი“ გამოხატავს რუსეთის მიმართ, მაგრამ იგივე ირონია არ იგრძნობა ინგლისურ თარგმანში:

„მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!..“

„That's why Russia doesn't advance more rapidly.“

დედნის დამცინავი ტონალობა და ირონია საცნაურია ფრაზაში: „იმიტომაც შორს არის წასული!“ თარგმანში ანტონიმიზაციის სტრატეგიით არის გადატანილი და უფრო დიდაქტიკურ დასკვნას მოგვაგონებს.

შეგვიძლია დასკვნათ, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ინგლისურ ენაზე შესრულებულ თარგმანებში, განსხვავებით რუსულისაგან, პოლიტიკურად მოტივირებული მეტყველება რელეევანტურად ითარგმნა.

თუ ილიას პოლიტიკური დისკურსი ფორმალურად არ გახლდათ რუსეთისადმი ღია კრიტიკა, იგივე არ ითქმის მის აღიარებულ კრიტიკულ წერილზე „ქვათა ღაღადი“, სადაც არგუმენტირებული პასუხი გასცა სამშობლოს კულტურულ- ისტორიულ სიწმინდეებზე კალმით თავდამსხმელთა ჯგუფს.

ბედის ირონიით, არასასურველი ისტორიული ფაქტები ხანდახან მეორდება. 2014 წელს, სოხუმში არგუნ შანავას ავტორობით გამოიცა წიგნი „ა. პატკანოვი და მისი შეხედულებები საქართველოს ძველ ისტორიაზე, სერიიდან კრიტიკული შენიშვნები“. ავტორი წერს, რომ პატკანოვის (1833 – 1889), როგორც ორიენტალისტის წვლილი შეუფასებელია კავკასიის ისტორიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განვითარებაში. პატკანოვის კვლევა, „ვანის წარწერები და მისი მნიშვნელობა წინა აზიისთვის „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში“ 1874, 1875, 1881 და 1883 წლებში დაიბეჭდა. შანავა

ხაზგასმით აღნიშნავს, თუ როგორ „გადმოანთხია წიგნის საპასუხოდ ქართველმა პოეტმა და პუბლიცისტმა, თავადმა ი. ჭავჭავაძემ უსაფუძვლო კრიტიკა“ თავის წიგნში: „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“. შანავა მიუთითებს, რომ ილიამ ეს კრიტიკა ნაწილ-ნაწილ დაბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, 1902 წელს კი ტფილისში ალექსეევ-მესხიევის რუსული თარგმანი გამოიცა. „ილია ჭავჭავაძე ბრალად სდებს სომეხ სწავლულებს, რომ საქართველოს ისტორია გააყალბეს მთელი ცივილიზებული სამყაროს თვალში. აღნიშნავთ, რომ გაუგებარი მიზეზებით, სომეხ სწავლულებს ჭავჭავაძე მიაკუთვნებს ო. სენკოვსკის, ვ. გოლმსტრემს, ფრანგ კორესპონდენტს, გვარად კუტულას, აკად. ნ. მარს და ვ. ლანგლუას“, წერს ავტორი. შანავას ზემოხსენებული გამოცემა იმდენად არააკადემიურია, რომ ავტორს ილიას ერცელი წერილი წიგნად ჩაუთვლია (Аргун, Шанава, 2014: 55), რაც თავისთავად ინფორმაციის გაზვიადებულად წარმოდგენის მცდელობაა, ხოლო ვახტანგ გორგასალის სახელის დამახინჯება არღვევს საკუთარი სახელის დედნიდან უცხო ენაზე გადატანის ორიენ პრინციპს, ტრანსკრიპციასა და ტრანსლიტერაციასაც, იხ. ქვემოთ „გორგოსალი“.

будет говорить К. Патканов, мы лишь отметим, что рассматривая древнюю и средневековую историю Грузии, от Ноя и до 1125 г., в первую очередь необходимо ознакомится с Армянской Хроникой, т.к. этот источник, по нашему мнению, является протографом если не всех, то большей части последующих списков «Картлис Цховреба».

Очень ценны сообщения К. Патканова, о такой личности грузинской историографии, как Вахтанг Горгосал. Эта личность, представлена нам, как одна из значимых фигур в истории Грузии. Вахтанг Горгосал, не только великий полководец и мудрый правитель, но и немыслимой славы завоеватель. Его героическим подвигам, позавидовали бы герои греческой и римской мифологии. К. Патканов дает нам возможность взглянуть на



ილია ჭავჭავაძის პატრიოტული ლირიკა რუსულ თარგმანებში

ილიას პატრიოტული ლირიკის ქრონოლოგია 1857-1860 წლებს, ილიას რუსეთში გატარებულ სტუდენტობის პერიოდს მოიცავს[53].

[53] იხ.სამეცნიერო პროექტი „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე" - ახალი ტექსტოლოგიური კვლევები (ორენოვანი გამოცემა)" (FR/317/1-20/13)

ილია ჭავჭავაძის პოეზიას რუსულად მ. ზაბოლოცკი თარგმნიდა. მათ შორისაა პოემა „აჩრდილის“ უკვდავი სტრიქონები **- მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!.. განსხეულებული** ქართველის გულსა და გონებაში, მართლაც თანმდევი სულიერით მოსდევს ერს, როგორც ფიცი და ერთგულების პირობა. ილია სამშობლოს სვებედს იზიარებს, ახსოვს წარსულის დიდებაც და ამ დიდების მზის ჩასვენებაც; პოეტის მწუხარე ტონალობას აგვირგვინებს აღსარება, რომ მას წარსულიცა და აწმყოც თანაბრად *„უწყლულებს გულს“*. ეს შთამბეჭდავი მეტაფორა, როგორც პოეტური მეტყველების სახე ზაბოლოცკის თარგმანში არ აუსახავს. გარდა ამისა, თარგმანში სწორედ აწმყოსადმი უნუგეშო განწყობაა დაკარგული; იგი ჩანაცვლებულია ფრაზით: *Как для тебя искал опоры и защиты!* (ინგლ. *How I sought for you support and protection!*) რომლის სიტყვასიტყვითი თარგმანია: *„როგორ ვეძებდი შენთვის (სამშობლოსთვის) საყრდენს და მფარველს“*. ზაბოლოცკისეულ თარგმანში პოლიტიკური აქცენტი მრავლისმთქმელია, განსაკუთრებული მინიშნება იგრძნობა გეორგიევსკის ტრაქტატზე; აღსანიშნავია, რომ თარგმანში პოლიტიკურად მოტივირებული სიტყვათა თამაში სრულიად განსხვაებულ ასოციაციებს ბადებს; ავტორი განზოგადებულია ქართველ ერად; ხოლო წარსული დროის გამომხატველი ზმნა *искал* - კონტრასტს ქმნის სინტაგმასთან - *შენის აწმყოთი*; თითქოს ავტორი წარსულზე წერდეს და არა ტრაგიკულ

განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს. https://core.ac.uk/download/pdf/83906797.pdf

აწმყოზე. დედნის ტექსტის იდეოლოგიის სახეცვლილება თარგმანში, განპირობებულია მთარგმნელის იდეოლოგიის თვითნებური გახმოვანებით, მთარგმნელის პირადი შეხედულებისა და დამოკიდებულების, პოლიტიკური მოტივის გამო, ან ცენზურის პოლიტიკით.

დედნისა და თარგმანის მაგალითი:

აჩრდილი ი. ჭავჭავაძე	Видение *Перевод Н. Заболоцкого*
- მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!.. მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული. შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა, ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული. მეცა ეტანჯულვარ, ჰე, ბედკრულო, შენის ტანჯვითა, შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია, მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა, შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია.	"Повсюду и всегда я, Грузия, с тобой! Я - твой бессмертный дух, я - спутник твой скорбящий. И сердце я омыл в крови твоей живой, И в жребий твой проник - былой и настоящий. Твоим томлением, несчастная, томим, Потоком слез твоих я орошал ланиты. О, как я тосковал по дням твоим былым, **Как для тебя искал** **опоры и защиты!**

ბუნებრივია, დედანსა და თარგმანში ერთმანეთს უპირისპირება ასოციაციები - თარგმანს გადავყავართ წარსულში და წარმოგვისახავს მფარველის მძებნელი ერის ხატს; იგი დუმილს ამჯობინებს აწმყოს იმ ავბედითობაზე, რაც პროტექტორატს მოჰყვა შედეგად. თარგმანის მკითხველს კი რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორს სამდურავი არ ეთქმის აწმყოზე.

ზაბოლოცკი პოლიტიკურ-იდეოლოგიურ „ოტსებიატინას“ ისევე ავლენს თარგმანებში, როგორც მისი თაობისა და ეპოქის ბევრი სხვა პოეტი-მთარგმნელი. ქართულიდან რუსულად თარგმნილი ლექსების კრებულს „ამშვენებს“ თანმდევი კონცეპტი „ველური“. ლექსში „ყვარლის მთებს“ ილია მშობლიურ მთებთან გამომშვიდობების განცდებს გადმოგვცემს; მთების სიახლოვე მათთან სულიერ ნათესაობად ქცეულა; ილიას ამაყი ტონალობა ისმის გარემოს აღწერისას: „აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი“, იმ ბუნებისა, რომელსაც ახასიათებს გრიგალი, მეხი და ქუხილი; არანაკლები სიამაყე იგრძნობა ეროვნულობის წარმოჩენით: „ქართველად გაზრდილი“. ზოგადად, საქართველოსთვის მიძღვნილ რუსულ პოეზიაშიც და ქართული მხატვრული ტექსტის რუსულ თარგმანებშიც დომინირებს ცნება „ველური“; რუსულ თარგმანში ილია ჭავჭავაძე თავს იწონებს ველურ ბუნებაში დაბადებით... Ныне горжусь я, что, сын этой / **дикой** природы, /
Вырос я в бурях и рано узнал про невзгоды.

дикой природы - წერს ზაბოლოცკი

ილია ჭავჭავაძე - ყვარლის მთებს	Горам Кварели. *Перевод Н. Заболоцкого*

აწ მომწ:ონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება თქვენს შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი, გრიგალთა, <u>მეხთა, ქუხილთ</u> (გამოტოვებულია) შორის **ქართვლად გაზრდილი.** (გამოტოვებულია) როს ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს სჩაგრაედა ხოლმე, თქვენ-წინ ვლერიდი ჩემ ცრემლთ ნაკადულს, თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს, როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს...	Ныне горжусь я, что, сын этой дикой природы, **Вырос я в бурях** и рано узнал про невзгоды. Горы, свидетели детских моих огорчений, Как я взывал к вам в порыве сердечных мучений, Как я от вас утешения ждал и привета, Но, как всегда, не давали вы, горы, ответа.

ლექსის ასოციაციებს მიეყავართ მრავალხმიან და მზეაობარ გარემოსთან, მშობლიურია ჭექა-ქუხილის მრისხანება, ზათქი და გრიგალის ქროლვაც.. თარგმანში ეს ხატიც იკარგება და ბუნებაც ერთფეროვანია: **Вырос я в бурях** აუფერულებს დედნის უმშვენიერეს პეიზაჟს. თავისთავად ცხადია, ეს თარგმანის ნაკლოვანებაა; თუმცა ლექსიკური და სტილისტური სიმწირის გარდა, საყურადღებოა ის ფესვგამდგარი დამოკიდებულებაც საქართველოსადმი, რაც მთარგმნელს მემკვიდრეობად მიულია წინამორბედ ლიტერატორთაგან. რუსულ თარგმანში ყვარლის მთების სიზვიადეცა და დიდებული ბუნებაც ველურად არის შერაცხული: ***Ныне горжусь я, что, сын***

этой дикой природы, წერს საბჭოთა იმპერიის ეპოქაში ზაბოლოცკი და აცოცხლებს იმ ცნებას, რომელიც ცარისტული იმპერიის დროს მოღვაწე მწერლებმა და პოეტებმა გაავრცელეს და დაამკვიდრეს რუსეთში საქართველოსა და ზოგადად კავკასიის შესახებ. ცხადია, რუსულენოვანი მკითხველისთვის ამ ველურ გარემოსთან ასოცირდება აქ დაბადებული პერსონაჟიც... „ველურის" თანმდევი ხატი დაუნდობლად აუფერულებს ყველა ეროვნულ თვისებას: მკვირცხლ ჭკუა-გონებას, განათლებას, სიჩაუქეს, სიმამაცესა სამაგალითო სტუმარ-მასპინძლობას, ბუნებრივ მშვენიერებასა და დახვეწილ იერსახეს.

ლექსი „ქართველ სტუდენტების სიმღერა" ილიამ 1860 წლის 18 აგვისტოს პაულოვსკში დაწერა. ლექსის ზაბოლოცკისეული თარგმანი ზედმიწევნით მიჰყვება დედანს, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პწკარედში სიტყვასიტყვით, „ერთგულად" უნდა ყოფილიყო გადათარგმნილი სტრიქონი: „დაობლებულს ჩვენს მამულსა"; ამიტომ იწვევს გაკვირვებას, ზაბოლოცკის მიერ რუსულად თარგმნილი სტრიქონები: **«Чтоб во имя светлой жизни Нашей родине помочь»** - სადაც მხოლოდ სიტყვა „დაობლებულს" კი არ არის გამოტოვებული, არამედ ის იდეაც, რასაც მკითხველის კოგნიტურ ველში წარმოშობს ამ სიტყვის ასოციაციური ხატს; დაიკარგა პოეტური რიტორიკა ქვეყნის გეოპოლიტიკურ აწმყოსა და ისტორიაზე; ამ სიტყვასთან ერთად დაიკარგა პოეტის პატრიოტული შემართება და სამშობლოს ობლად ყოფნის განცდა.

ცალკე აღსანიშნავია მხატვრულ თარგმანში პწკარედის მაგნე და უარსაყოფი როლის შესახებ: „არ არსებობს უფრო დიდი ანტილიტერატურული მოვლენა, ვიდრე პწკარედია. პწკარედი ჰკლავს მხატვრულ ნაწარმოებს და მთარგმნელს წინ მიცვალებული უსვენია. მთარგმნელი უყურებს გვამს და ფიქრობს, როგორ გააცოცხლოს იგი", წერს ბაქრაძე. ილიას შემოქმედებაში არსად გეხვდება რუსეთის,

როგორც საქართველოს მფარველის როლის განდიდება; მას რუსეთი არც მოწინავე იდეების ქვეყნად შეურაცხავს და არც მაღალკულტურული ქვეყნის წაბაძვის სურვილი განუცხადებია, არსად გაისმის რუსეთის, როგორც განმანათლებლის ქებათაქება; პირიქით, „მგზავრის წერილებში“ რუსეთის ირონიზებული სიმბოლოები: ლოთი ოფიცერი და „პოეზია“ იმ განათლებისა და პროგრესის მეტაფორული აღმნიშვნელებია, რასაც საქართველო მიიღებდა თვითმპყრობელი რუსეთისაგან. ილიას შემოქმედების ქვაკუთხედია ერის გაღვიძებისა და ლელთ ღუნიას გახმოვანებული თავისუფლებისაკენ სწრაფვის იდეა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ უკვე საქართველოს პოლიტიკური სიტუაციის პოსტკოლონიური შეფასებაა, სახელმწიფო დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალობის მწვავე აღქმაა, ეპითეტები: „დაობლებული“, „უკან რჩომილი“, „უღონო და დავრდომილი“ ილიას პოლიტიკური განაცხადია, პოლიტიკური შემართება და მოწოდება: „რომ ოდესმე გამოვადგეთ“ (სამშობლოს) კი, იმ დროის გათვალისწინებით, როდესაც წარმოუდგენელი იყო მეფის რუსეთის წინააღმდეგ ღია მანიფესტაცია, აქცია და დემონსტრაცია საქრათველოში, კოლონიური რეჟიმის საპროტესტო აქციის ფორმაა.

თუ ილიას ლექსის საზრისი სამშობლოს თემას შეუკრავს და ყველა ეპითეტი ქვეყნის დახსნის შეგონებაა, ზაბოლოცკის ეს საზრისიცა და პატრიოტული ლირიკაც ისე განუზოგადებია, რომ რუსული თარგმანის მკითხველისთვის მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო იდეებია საცნაური, მასში ვერაფრით ამოიცნობთ ქართველის სულისკვეთებას, შეუძლებელია მიხვედრა, რომ ლექსი ქართველის დაწერილია; სათაური **Песня грузинских студентов** ერთადერთი ნიშანია, რაც ამ თარგმნილ ლექსს ქართველობასთან აკავშირებს:

ქართველ სტუდენტების სიმღერა ილია ჭავჭავაძე	**Песня грузинских студентов.** ***Перевод Н. Заболоцкого***
დედამ რომ შვილი გაზარდოს, ემაგრე ჩვენისთანაო, - ძმურად გამოსადეგნი ვართ ყველგან და ყველასთანაო. ლხინში მოლხინეს მოვულხენთ, ჭირში მოჭირნეს ვუშველით; ფიქრის, საქმის, შრომის დროსა ბრძენსაც არ დავუვარდებით. დიდს არ გაეექელვინებით და მხარს მივსცემთ პატარასა; ძალას გულდაგულ დავხვდებით და თაყვანს ვსცემთ სამართალსა. წინ წასელაში არ დაეიხევთ, არ გავწირავთ უკან რჩომილს: ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა უღონოსა და დავრდომილს. უანგაროდ მივალთ წინა, მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად, რომ წინანი უკანასთვის უნდა იქმნენ გზად და ხიდად.	Мать, воспитывая сына, Нас в пример пускай берет, Ибо мы — семья едина, Возлюбившая народ. В поздний час мы пляшем смело, И веселье нам к лицу, В час труда, в минуту дела Не уступим мудрецу. Не игрушка мы вельможам, Гнет студенту нетерпим, В горе слабому поможем, Справедливого почтим. Мы, шагая по дороге, Вечно движемся вперед. Снова ставим мы на ноги Тех, кто сзади упадет. Нет у нас иных стремлений, Лишь бы вечно нам идти, Чтоб для новых поколений Стать тропинкой на пути. Дети юные отчизны, Мы мечтаем день и ночь, Чтоб во имя светлой жизни Нашей родине помочь.

მამულისა შვილნი ჩვენც ვართ და მისთვის ვზრდით ჭაბუკს სულსა რომ ოდესმე გამოვადგეთ დაობლებულს ჩვენს მამულსა. მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით სხვას არც ჩვენ დავუვარდებით; ეხლაც რომ მამულმა გვიხმოს, ეხლაც კი გამოვადგებით. ეგერე გამოსადეგნი ვართ ყველგან და ყველასთანაო, - თუ დედამ შვილი გაზარდოს, ემაგრე ჩვენისთანაო!	Молодое братство наше Держит первенство свое. В день, когда страна прикажет,— Встанем грудью за нее, Ибо мы — семья едина, Возлюбившая народ. Мать, воспитывая сына, Нас в пример пускай берет!

როგორც ჩანს, ზაბოლოცკისთვის მიუღებელი და გაუგებარი აღმოჩნდა ისეთი ცნება, როგორიცაა საქართველოს „ობლობა“ რუსეთის შემადგენლობაში. მთარგმნელს საკუთარი მსოფლაღქმა და შეხედულებები თარგმანისთვის მოურგია. სწორედ ასეთ თარგმანს ვუწოდებთ „მისაკუთრებას“ (Appropriation), რადგან, მეტაფორულად თარგმანი ისევე იპყრობს დედანს, როგორც როგორც იმპერია კოლონიას.

ყურადღებას იმსახურებს ილიას კიდევ ერთი ლექსის რუსულად თარგმანი, რომელიც ასევე ზაბოლოცკის ეკუთვნის:

ი. ჭავჭავაძე, ელეგია	Элегия. Перевод Н. Заболоцкого http://www.rulit.me/books/stihotvoreniya-i-poemy-read-396934-25.html
მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა და თეთრი ზოლი შორის მთებისა ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა. არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!.. მშობელი შობილს არრას მეტყოდა, ზოგჯერ-კი ტანჯვით ამოძახილი ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა! ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება... ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?!	В туманном блеске лунного сиянья, В глубоком сне лежит мой край родной. **Кавказских гор седые изваянья** **Стоят вдали, одеты синей мглой.** Какая тишь! Ни шелеста, ни зова... Безмолвно спит моя отчизна-мать. Лишь слабый стон средь сумрака ночного Прорвется вдруг, и стихнет всё опять... Стою один... И тень от горных кряжей **Лежит внизу, печальна и темна.** О господи! Всё сон да сон... Когда же, Когда же мы воспрянем ото сна?

ზაბოლოცკისეულ თარგმანში ადგილი ვერ უპოვია ვერ ქართველს, ვერც მის ტანჯვას და ტანჯვით ამოძახილს, რაც დედანში დრამატიზებულია პოლიტიკური ალეგორიით: „ქართვლის ძილშია კვნესა ისმოდა!“ თუ ილია უშუალოდ არსებულ მძიმე პოლიტიკურ ვითარებასა და ძილშიც მშფოთვარე ქართველზე წერს და პოეტურ ქარგაზე მისიეე ფსიქოლოგიური სიმძიმილია ასახული, თარგმანი უაღრესად მსუბუქი ტონალობით გადმოგცემს პოლიტიკურ იდილიასთან ასოცირებულ ხატს. ბუნებრივია, რუსული თარგმანის მკითხველი სულ სხვა დასკვნამდე მიდის: მთვარის შუქით განათებულ, გარინდებულ ქვეყანას ასაღელვებელი არაფერი აქვს, მშვიდი ძილით სძინავს საქართველოს; ალაგ-ალაგ კი სიამოვნებისაგან მისივე ფშვინვის (слабый стон) ხმა გაისმის...

საყურადღებოა, რომ საბჭოთა მთარგმნელი ისე ავლენს „ველოკოდერჟაულ“ მგრძნობელობას ლექსში მეფის რუსეთის საწინააღმდეგო განწყობისადმი, როგორც კომუნისტური რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გალაშქრებზე, მეტიც, იგი შლის ანტიკოლონიური განწყობის კვალსაც კი, ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსი მთარგმნელის პოლიტიკაა თავზე ცენზორის როლის აღება.

ვაჟა-ფშაველა რუსულ და ინგლისურ თარგმანებში

ვაჟა-ფშაველას „არწივის“ ა. ტარკოვსკისა და ნ. ზაბოლოცკის რუსული თარგმანების კითხვისას უნებლიეთ გვახსენდება ა. ბაქრაძის სიტყვები: „ქართული წიგნი რუსულად მაშინ აჟღერდება მთელი

ძალით, როცა მთარგმნელი ჭეშმარიტი რუსი მწერალი იქნება, რომელმაც ქართული იცის. სხვანაირად ვერ შევძლებთ ჩვენ ქართული მწერლობისათვის ნამდვილი ძალა ვაგრძნობინოთ არაქართველ მკითხველს. „ამიტომ, დღეს უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ქართული მწერლობის ნიმუშებს თარგმნიდეს ის, ვინც იცის ქართული ენა“ (ბაქრაძე, 2005:291).

ქართული ენის არცოდნასთან ერთად, ა. ტარკოვსკისეული თარგმანი ავტორის იდიოლექტის არცოდნასაც ავლენს და არც საკუთარი აზრის ჩართვას ერიდება. თარგმანი გვთავაზობს, რომ არწივი „დაჭრილი ფრთოსანია“ - «подранок». ამ რუსული ლექსიკური ერთეულის სემანტიკას ნადირობის კონოტაციასთან მიეყავართ, ქრება დედანში ასახული ომის განცდა. სწორედ ეს ომია ლექსის საყრდენი ღერძი, ამ ემფაზის გადანაცვლება ნიშნავს საწყისი სიმბოლოს უგულებელყოფას, რაც, ცხადია, ლექსს სიდიადეს უკარგავს. თარგმანში ასევე წაშლილია ის ეფექტი, რაც დედანში არწივის დრამატიზმით სავსე „ხმაში“ ისმის: ვაჟა-ფშაველას პერსონიფიცირებული არწივი სამეფო ღირსების, სიამაყისა და დიდებულების სიმბოლოა. სწორედ ამ „ხმას“ „ახშობს“ რუსული თარგმანი: არწივის ნაცვლად, გვესმის რუსი მთარგმნელის „ხმა“, რომელიც, სიერცულ გადაადგილებასაც ახერხებს, მოვლენათა ეპიცენტრში „აღმოჩენასაც“, მომრიგებლის როლსაც ითავსებს და ადგილიდან რეპორტაჟიც მიჰყავს... „ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო“ - ტარკოვსკის წყვეულა-კრულვად უთარგმნია:

„არწივი“ ვაჟა-ფშაველა	«Орёл» Андрей Тарковский ა. ტარკოვსკი	«Орёл» Николай Заболотский ნ. ზაბოლოცკი

არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა, ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდა, ცალს მხარს მიწაზე მიითრევს, გულისპირს სისხლი სცხებოდა. ვაჰ, დედას თქვენსა, ყოვებო, ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა, თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს გაშლილს, გაფანტულს ველადა!	Видел я: орёл-подранок Бился насмерть с вороньем И, уже взлететь не в силах, Землю мел одним крылом; Из груди его струилась Кровь слабеющим ручьем. **Чтоб вам сгинуть! Он попался** **В час недобрый вам живьем** А не то ваш пух по ветру Долго вился бы кругом.	Я видел: окруженный вороньем, Упал орел, не в силах **отбиваться.** Еще хотел бедняга приподняться, Да уж не мог, и лишь одним крылом Уперся в землю, и потоком крови Весь обагрился, А то бы я сегодня **без пощады** Все ваши перья по ветру пустил.

ტარკოვსკის რუსული თარგმანის ქართული უკუთარგმანია: „გაწყდით, დაიხოცეთ“, რაც, რასაკვირველია, სრულებით შეუფერებელი ლექსიკაცაა არწივის მზვაობარი ბუნებისათვის და მის ხატსაც აკნინებს.

„ომის თემა“ არც ზაბოლოცკის თარგმანში გეხედება; მთარგმნელს ლექსიკური ერთეული «отбиваться» შეუტანია რუსულ ვარიანტში, რომელიც, თავის სემანტიკური ველში „ომის“ ცნებას მოიცავს და ნაწილობრივ კონტექსტურ ეკვივალენტად შეგვეძლო მიგვეჩნია, თუმცა, დედნის ზვიად განწყობას ვერ ინარჩუნებს. ზედმეტია მთარგმნელის დამატებული, ზმნით გადმოცემული მნიშვნელობის გამაძლიერებელი, მუქარის შემცველი «без пощады», რომელიც სრულიად ასხვაფერებს არწივის ხატს და მთლიანობაში ლექსის ემოციასა და ხასიათს.

ვაჟა-ფშაველას „არწივის“ დ. რეიფილდისა და ჯ. ჰიუიტის თარგმანები:

The Eagle Donald Rayfield	The Eagle George Hewitt
In haughty pride, though wounded sore,	I saw a wounded eagle, It was warring with crows and ravens,

An eagle fought the raven-crow. The bird in desperation strove To rise but fell in frenzied woe. His right wing swept the blood-stained ground; His bosom shone in crimson glow. "Alas! you smite, O ravens wild, When I am wounded, fallen low. Were I not struck, your feathers black Would surely deck the plains below!"	The poor thing yearned to get up, But it could no longer get up, It drags one of its wings along the ground, Blood had been smeared on its breast. Ah, a curse on your mother, crows, At a bad moment you must have seized it in claws Otherwise yours is the down I would have seen, Spread about and scattered in the meadow!

რიცხვის გრამატიკული კატეგორიის როლი "გულის" ცნების გაგებაში: ვაჟა-ფშაველა წერს, რომ მთებს ერთი გული აქვთ, მოლოდინი „უსაზღვრო ზღვადა დგას იმათ გულში". „გული" ქართულ ენაში მხოლოობითი რიცხვის ფორმაა, მისი მრავლობითი რიცხვის ფორმაა „გულები"; დედანში გვხედება ლექსიკური ერთეული „გული", რაც ავტორის ინტენციაზე მიუთითებს და რისი ნიველირებაც ხდება რუსულენოვან თარგმანში აღნიშნული არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმის აქტივიზებით. ერთი გული საინტერესო კონოტაციებს შეიცავს; ქართულში ლექსიკური

ერთეულები: *ერთი, საერთო, ერთობა, ერთგულება*[54]. ამაღლებულ, კეთილშობილურ დამოკიდებულების კონოტაციას შეიცავს. შევადაროთ შესაბამისი ნიმუშები დედნიდან თარგმანს:

მაგ. მოთხრობაში „მთანი მაღალნი“ ვაჟა-ფშაველა წერს:

„მოლოდინი უსაზღვრო ზღვადა დგას იმათ გულში“:

რუსულ თარგმანში კი ვკითხულობთ:

«Ожидание переполняет их сердца словно безбрежное море».

შედარება ცხადყოფს ავტორისეული პრაგმატიკული ინტენციის უგულებელყოფას მთარგმნელის მიერ, რის საფუძვლადაც კვლავ ცენზურის ზეგავლენა მიგვაჩნია: როგორც თარგმანის თეორიული ნაწილი მიგვითითებს, თუ გრამატიკულ დონეზე ლინგვისტური არაეკვივალენტურობის მიზეზი თარგმანის ენაში რიცხვის კატეგორიის არარსებობაა, მთარგმნელობითი სტრატეგია შემდეგნაირი უნდა იყოს: მთარგმნელმა ორიგინალისეული რიცხვის კატეგორია შესაძლოა საერთოდ გამოტოვოს, ან ლექსიკურ დონეზე მოახდინოს ინფორმაციის ინკოდირება. რუსულ ენაში კი რიცხვის კატეგორიის პრობლემა არ დგას.

ანალიზისას ყურადღებას იმსახურებს სტილისტური ხერხების, გამეორებისა და მეტაფორის ტრანსფორმაციები: ვაჟა-ფშაველა არამარტო ბუნების უბადლო მგოსანი, არამედ ალეგორიის

დიდოსტატია, ვინც თავისუფლებადაკარგული და თავისუფლების მომლოდინე სამშობლოს სევე-ბედზე წერს.

„მოლოდინი უსაზღვრო ზღვადა დგას იმათ (მთების, აეტ.) გულში“, მთებს მოლოდინი „წითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში“. ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში მოლოდინი ფერს იძენს, ავტორი იმეორებს მოლოდინის ფერებს: „წითლად და სისხლისფრად“. სტილისტური მეთოდი ქმნის ასოციაციური ჯაჭვს და ალუზიურ მეტაფორას, რითიც ავტორი მოლოდინს ტკივილთან აიგივებს; ასეთი ტკივილიანი იყო მის წარმოდგენაში თავისუფლების მომლოდინე სამშობლოს გული; ნაწარმოების ეს ცენტრალური პრობლემა თარგმანში მარტივად გადაუწყვეტიათ: ერთი გულის ნაცვლად, რუსულ ტექსტში მთებს მრავალი „გული“ აქვთ; ვაჟას ალუზიური მეტაფორა კი შედარებით შეუცვლიათ, რომელიც ისე ანეიტრალებს ნაწარმოებში გადმოცემულ მძაფრ სურათს, რომ ორიგინალის მუქი საღებავებიდან მხოლოდ მისი გახუნებული ასლია დარჩენილი: «ожидание переполняет их сердца словно безбрежное море» - უკუთარგმანი: „მოლოდინს მათი გულები თითქოსდა უკიდეგანო ზღვასავით აუვსიათ“.

პოლიტიკურად მოტივირებული მეტყველების რაობა და მისი თარგმნის სტრატეგიები

თუკი ტერმინი „პოსტსაბჭოთა პარადიგმა“ მისაღებია იმ პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის აღსაწერად, რაც საბჭოთა კაუშირის დაშლის შემდეგ დადგა ქვეყანაში, მაშინ,

მხედველობის მიღმა რჩება საქართველო-რუსეთის გასაბჭოებამდელი ისტორია, ანუ, რუსეთის იმპერიის სტრატეგიული გეგმა, რაც განხორციელდა კავკასიასა და კერძოდ, საქართველოში. ამ პერიოდის პოლიტიკურად კორექტული შესაფასებლად კონცეპტი „კოლონიზაცია“ უპრიანია, რადგან, მეფის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი სისხლისღვრა, უდავოდ, კოლონიური მმართველობისაგან თავის დაღწევის ისეთივე ბრძოლაა, როგორიც დასაელეთ ეეროპული იმპერიების წინააღმდეგ მიმართული ანტიკოლონიური გამოსვლები. განსხვავება მხოლოდ იმპერიის პოლიტიკის სისასტიკის ზღვრული დონეებია, რაც დამოკიდებულია მის ტერიტორიულ სიდიდესა და სამხედრო ძლიერებაზე კოლონიზებულ ქვეყანასთან შეფარდებით, გეოგრაფიულ მდებარეობაზე და ა. შ. მაგალითად, ბრიტანეთის იმპერიის შიდა პოლიტიკა ინდოეთთან მიმართებით იგივე ვერ იქნებოდა და რაც რუსეთისა საქართველოსთან, ან საფრანგეთისა და ბრიტანეთის იმპერიებისა აფრიკისადმი. მონათვაჭრობა დღესაც რჩება კოლონიალიზმთან გაიგივებული ერთადერთ ცნებად ბევრი ქართველი ინტელიგენტის კოგნიტურ ველში, თუმცა, ადამიანებით ვაჭრობა დღესდღეობითაც უაღრესად აქტუალური თემაა და საიმისოდ, რომ მსოფლიოში იარაღითა და ნარკოტიკით ვაჭრობით მიღებული შემოსავლების შემდეგ რიგით მესამე საქმიანობაში იყო ჩართული, სულაც არ არის აუცილებელი პირობა. რომ იმპერია იყო. ამდენად, ეს მოცემულობაც მიუთითებს, რომ ცნება „მონათვაჭრობა“ არ არის კოლონიალიზმის განმსაზღვრელი ერთადერთი ნიშანი. კოლონიალიზმის მასშტაბურობა დამოკიდებულია იმპერიის კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებზე, რაც განსაზღვრავს მის შიდა პოლიტიკას ***სამიზნე ქვეყანაში,*** როგორიცაა მმართველობა, განათლება, კულტურა, ეკონომიკა, სოციალური და თვით გართობის სფეროები და ა. შ. რაც საბოლოოდ აზროვნების კურსის ჩამოყალიბებით სრულდება.

აზროვნების ფილოსოფიის ერთგვარობის მიღწევა, მსოფლმხედველობათა დაახლოება, მსგავსი ფსიქო-ემოციური განწყობებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, სოციალური ფენების დაახლოება, საერთო პრობლემებზე ყურადღების გადატანა, ეროვნული კულტურული ველიდან კოლონიზატორის, როგორც „უცხოს“ ამოშლა და ხანგრძლივი ურთიერთობების ფონზე „თვისტომის“ ილუზიის შექმნა, საერთო რელიგიური ღირებულებების წარმოჩენა და პატივისცემის გამომუშავება ის რიტუალებია, რომელიც კოლონიზატორთა ზოგად პოლიტიკაში ტარდება, რაც მიზნობრივად და თანმიმდევრულად შლის ბარიერს კოლონიზებულ და იმპერიულ ხალხებს შორის, შედეგად კი ბადებს ანტი-იმპერიულ ენას, საპასუხო ლიტერატურას, რომლის ენაც თავისთავად უკვე პოლიტიკურია. ანტიიმპერიული, ანუ პოსტკოლონიური ენა ორ განზომილებაში ვლინდება: ღია ტექსტით, ან ე. წ. ეზოპეს ენით.

ცარიზმისა და საბჭოეთის გასაყარზე - გარდამავალი ეპოქა

ცრურწმენა, რაც პუშკინმა, ლერმონტოვმა, მათმა თანამედროვეებმა დანერგეს, მომდევნო თაობის პოეტებს, ლიტერატორებს, ზოგადად კულტურის სფეროს მოღვაწეებს მემკვიდრეობად ერგო. ისტორიული ურთიერთობებით ჩამოყალიბებული გრძნობების ასიმეტრია თანდათან დაბალანსდა საერთო მტრის ხატის მონარქიული წყობისა და ბატონყმობის გადავარდნის შედეგად, საერთო -კულტურულ რეალობაში ხანგრძლივი თანაცხოვრების შედეგად, გაჩნდა საერთო მონაპოვრის განცდა, თავისუფალი მისელა-მოსელა კი პირადი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და დამეგობრებას უწყობდა ხელს. სერგეი ესენინი 1924 წელს მეგობარ ქართველ პოეტებს ლექსს უძღვნის, რომელშიც რამდენიმე პარადოქსია - ქართული მიწა „შორეულია“, ხოლო ქვეყანა „უცხო“, რაც ტერმინ "Otherness"- ის პოსტკოლონიური გაგების ალუზიას უდავოდ იწვევს. უცხო მიწაზე პოეტს ცისფერყანწელი მეგობრები ჰყავს, ვისაც ლირიულ შედარებაში ვხედავთ: «В глаза струит луна / *В глаза глубокие/ Как голубые роги»* .

ესენინის ცისფერყანწელებისადმი მეგობრობისა და მეტიც, ძმობის გაცხადება პოეტებს შორის კულტურათშორისი ურთიერთგაგების სიმბოლოდაც შეიძლებოდა გეელიარებინა, რომ არა რამდენიმე კითხვის ნიშანი: **1. რა არის ესენინისთვის „უცხოს“ გაგება? 2. არის თუ არა აზია სუბალტერნი ესენინის ლექსში?**


ესენინის უცხო ქვეყანა აზიაა. აზია, რომელიც არ იყო ევროპა. ევროპა, რომელსაც რუსეთი მუდამ ბაძავდა, მაგრამ ყოველთვის ჩამორჩებოდა:

I. Golovin: Russia is half an ape and half a bear. She apes Europe in foreign kingdoms, but

at home her bear's paw is felt everywhere. "The Russian Government," said another traveler, "reigns like a bear in a forest, who breaks trees merely for the sake of breaking them". In fact, it blindly crushes every germ of development. If you rub off the surface of the ape, you will find the bear underneath.

გოლოვინი წერდა, „რუსეთი სანახევროდ მაიმუნია და სანახევროდ კი დათვი, მაიმუნივით იმანჭება, რომ ევროპას მიბაძოს, შინ კი დათვის ტორს ყველგან და ყველაფერში ყოფს; მაიმუნს რომ კანი კარგად მოუხილო, დათვი შეგრჩებაო" – აღნიშნავდა იგი.

სურ. გოლოვინის „კავკასია", 1854 წ.



რუსი ინტელიგენცია არასოდეს აიგივებდა თავს აზიასთან. აზიასთან გაიგივება მათთვის შეურაცხმყოფელი იყო, როგორც რეგრესულთან გაიგივება; სწორედ ამიტომ გაჭრეს ფანჯარა-პეტერბურგი ევროპისკენ და მათივე კოლონიზატორულ პოლიტიკას მიბაძეს. ცნება კავკასიელობა რუსი ინტელიგენციისათვის აზიად აღიქმება, კავკასიელი აზიელად მონათლეს, ხოლო ესენინს სწორედ რუსულმა კულტურულმა პოლიტიკამ შთააგონა ქართველის აზიელად აღქმა.

სწორედ ეს არის სემიოტიკური ნიშნის: „კულტურული თარგმანის“ არსი, როდესაც ერთ ერს მეორის სამყაროში პოლიტიკა და იდეოლოგია ისე სუბიექტურად წარადგენს, რომ საუკუნოვანმა იდეოლოგიამ დროთა განმავლობაში, ახალ თაობებში, პოლიტიკური წყობის ცვლილებების შემთხვევაშიც კი არ დაკარგოს ზემოქმედების

უნარი და არ დაბადოს კითხვები: ქართველი რეალურად აზიელია, თუ რუსზე უფრო ევროპელი? ესენინი პოეტების მეგობრობას რუსული სიტყვით არ აღნიშნავს, მას შემოაქვს სიტყვა „ყონაღი“ (**кунак**), თურქული წარმომაელობის, კავკასიაში გავრცელებული ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა ესმის ქართველსაც, ეს გაგება სიმბოლოა კავკასიელ ხალხებებთან, კავკასიური ადათთან მისი ისტორიულ ნათესაობისა და სიახლოვისა. ჩრდილოელ ესენინს რუსეთ-საქართველოს შორის არსებული კავკასიის მაღალმთიანეთის „გაევლა“ უწევს და ამ „მენტალური საზღვრის გადმოლახვა“, „თავისიანობის“ თანაგანცდა სურს საქართველომდე ამ ყველა კავკასიელისათვის გასაგები სიტყვით მოიტანოს. ეს არის **кунак** -ის პრაგმატიკული დატვირთვა; რაც შეეხება კულტურულ ნიშნადობას, სიტყვის აზიურ ეტიმოლოგიას ასოციაციურად გადავყავართ ორიენტალურ სამყაროში.

რუსი ინტელიგენციის გაუცნობიერებელი პოსტკოლონიური კეთილგანწყობა[55]:

«Я - северный ваш друг
И брат!
Поэты - все единой крови.
И сам я тоже азиат
Писали раньше
Ямбом и октавой.
Классическая форма

[55] Convergence of Georgian and Russian poets and friendship bridges were built during a very short period of Georgia's independence which lasted from 1918 to 1921. Since May 26 1918 when Georgian declared independence, Russian poets flocked to the capital Tbilisi. It started an era of translation Georgian lyrics into Russian (ნაწყვეტი საჯარო ლექციიდან, ხათუნა ბერიძე, ილინოისის სახელმწიფო უნიერსიტეტი, ურბანა-ჩემპეინი, 2009 წ. ლუსი-ელისის დარბაზი).

Умерла,
Но ныне, в век наш
Величавый,
Я вновь ей вздернул
Удила.
Земля далекая!
Чужая сторона!
Грузинские кремнистые дороги.
Вино янтарное
В глаза струит луна,
В глаза глубокие,
Как голубые роги.
Поэты Грузии!
Я ныне вспомнил вас.
Приятный вечер вам,
Хороший, добрый час!
Товарищи по чувстам,
По перу,
Словесных рек кипение
И шорох,
Я вас люблю,
Как шумную Куру,
Люблю в пирах и в разговорах.
Я - северный ваш друг
И брат!
Поэты - все единой крови.
И сам я тоже азиат
В поступках, в помыслах

И слове.
И потому в чужой
Стране
Вы близки
И приятны мне.
Века все смелют,
Дни пройдут,
Людская речь
В один язык сольется.
Историк, сочиняя труд,
Над нашей рознью улыбнется.
Он скажет:
В пропасти времен
Есть изысканья и приметы...
Дрались сонмища племен,
Зато не ссорились поэты.
Свидетельствует
Вещий знак:
Поэт поэту
Есть кунак.
Самодержавный
Русский гнет
Сжимал все лучшее за горло,
Его мы кончили -
И вот
Свобода крылья распростерла.
И каждый в племени своем
Своим мотивом и наречьем,
Мы всяк

По-своему поем,
Поддавшись чувствам
Человечьим...
Свершился дивный
Рок судьбы:
Уже мы больше
Не рабы.
Поэты Грузии,
Я ныне вспомнил вас,
Приятный вечер вам,
Хороший, добрый час!..
Товарищи по чувствам,
По перу,
Словесных рек кипение
И шорох,
Я вас люблю,
Как шумную Куру,
Люблю в пирах и в разговорах».

როგორც ლექსიდან ირკვევა, პუშკინმა, ბესტუჟევ-მარლინსკიმ და ლერმონტოვმა სხვადასხვა დოზით „შეიტანეს წვლილი“ საქართველოს, როგორც „აზიელი უცხოს“ ხატის შექმნაში. რუს პოეტს გულწრფელად გამოუხატავს სოციალური სოლიდარობა „აზიელი ცისფერყანწელებისადმი“ და ფრაზაში: **„И сам я тоже азиат В поступках, в помыслах И слове“**, ანუ ბევრ კრიტიკოსს, ისე როგორც ესენინს, ეს ფრაზა დიდბუნებოვან ჟესტად მიაჩნდა ქართველებისადმი; თუმცა პოსტკოლონიური გაგებით, ესენინისთვის, ქვეცნობიერად, უცხო ისევე ნიშნავს ორიენტალურ ეგზოტიკურს (ანუ, მეტაფორულად „დასაპყრობს“) როგორც მისი წინამორბედებისა და


როგორც მისი სამშობლოს ნებისმიერი შვილისთვის. ეს ქვეცნობიერში იდეოლოგია, დალექილი მანამ იარსებებს, ვიდრე ცნობიერი მის ამოშლას არ შეძლებს, ვიდრე საქართველოს (და კავკასიის) ფენომენის ახალი გააზრება, გონებრივი დეკოლონიზაცია და კონცეფტი ორიენტალურის დემეტაფორიზაცია არ მოხდება.

გეოპოლიტიკურად ორიენტალური სამყარო კულტურულად არცთუ წინწასულია, სადაც ევროპას „მისიონერულად" შეჰქონდა განათლება; ევროპული **რუსეთისთვის კი, რომელსაც ევროპელემა მეზობლებმა აზიაში ადგილი აღარ დაუტოვეს კოლონიისათვის, კავკასიაში „აღმოაჩინა" საკუთარი ორიენტალური და მაშასადამე, კულტურულად უცხო და დასაპყრობი სამყარო. ამდენად, „უცხო" იქცა ეგზოტიკურის, კულტურულად ჩამორჩენილი აზიის, აღმოსავლური სამყაროსა და მაშასადამე, დასაპყრობის მეტაფორად.** რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ გიწოდებს უცხოს. მას არანაირი მეტაფორული დატვირთვა არა აქვს პოლიტიკურად ნეიტრალური ქვეყნის წარმომადგენლის მეტყველებაში. იმპერიის ენობრივი პოლიტიკის მიზანი იყო კულტურული პოლიტიკის დანერგვა, რომელიც პოლიტიკური ამოცანების შესაბამის იდეოლოგიას გაავრცელებდა. ამ კულტურული პოლიტიკის ნაწილი იყო „კავკასიის ტყვის" ინტერსემიოტიკური ტრანსლაცია, ანუ საბალეტო წარმოდგენა და ფილმი პოემით მანიპულაციაა,

საბჭოთა იმპერია -


ეპოქალური რეტროსპექტივა

1929-30 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ კავკასიაში ლათინური ანბანი შემოიღო. ხოლო 1939 წელს იგი გააუქმეს და სლაური ანბანით შეცვალეს. სწორედ ეს ფაქტია მიჩნეული რუსიფიკაციის მცდელობად. სლაური ანბანის დამკვიდრება ხდებოდა ლოზუნგების ფრიალით: ეს არის ოქტომბრის (რევოლუციის) ენა, ეს არის დიადი რუსი ხალხის ენა. ეს იმავე წლებში არ მოძხდარა საქართველოში, თუმცა 6-7 წელიწადში ხელისუფლებამ სლაური ანბანი საქართველოშიც შემოიტანა:



revolution in Dagestan and other wars; purged in 1937 as a bourgeois nationalist.
d) Sadula Magomed, wrote the fold epic, Dargatag
e) Kubaty, an Caucasian

VII. The language problem
From 1929-31, the latin alphabet was introduced into the Caucasus. In Karachay it was introduced earlier than in some of the other areas because Kalaykov wanted to show himself to be a good party member. In Dagestan there was more opposition. There was a long polemic carried on on the pages of the newspaper Krassny Dagestan and other papers.
In 1939, the Latin alphabet was thrown out and the Slavonic script was introduced. This was considered russification. It was adopted under such slogans as being the language of October, the language of the Great Russian people. It was done in the mountain areas but not in Georgia because Georgia is more compact while were were more split up. Also, Georgian is an historic language while ours was a new script. But in 6-7 years, Georgia too will have the Ъ in slavic alphabet.

კომუნისტმა ქართველები სრულიად დაკარგეს ეროვნული თვისებები, შეიცვალეს იდენტობა „ჰომო სოვიეტიკუსად“ და მათი თვით-შეცნობა ჰიბრიდულია, ხოლო ეროვნული ცნობიერება გაუფასურებული. ეროვნული ფსიქოლოგიის სავალალო რღვევას კი კოსმოპოლიტიზმის ნაცვლად ეერო-ამერიკული ქსენოფობია მოჰყვა. კომუნისტური დიქტატურის გასაბატონებლად საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი საკითხი იყო; **კომუნისტების „გმირებად შერაცხვას“ საბჭოთა აგენტურა „ინფორმატორებით“ ახდენდა, რომლებსაც შეთხზული ინფორმაციის გავრცელება ევალებოდათ. პოეტებს ავალებდნენ აღფრთოვანება ლექსად გამოეთქვათ, მწერლებს კი ედიდებინათ რეჟიმი და დაეგმოთ განსხვავებული აზრი.**



ამიერკავკასიის სეიმი:



"ოქტეპელის" პერიოდიდან, საბჭოთა რესპუბლიკებში მწერლები იწყებენ ეროვნულ თემებზე წერას. ეს ლიტერატურული შემართება კი, ცხადია, მოსკოვის შეშფოთებას იწვევს. პოლიტკური ელიტა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კვლევით ცენტრს ამ "მწვავე საკითხის" საგანგებო შესწავლას ავალებს:

Brezhnev, speaking prior to the ratification of the new constitution, made two

declarations which sounded paradoxical to each other, since declaration *b* was exclusive of the statement made in the declaration:

a : "The soviet people's social and political unity does not in the least imply the disappearance of national distinctions..."

b:" To introduce into the constitution the concept of one Soviet nation, to abolish the union and autonomous republics, or to limit drastically the sovereignty of union republics by depriving them of the right of secession from the USSR and of the right to enter foreign relations. The proposal to liquidate the Council of Nationalities and to establish a one – house Supreme Soviet would have moved in the same direction".

ცენტრი, შესაძლოა, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ზოგიერთი რესპუბლიკის ასიმილაციის არანაირი იმედი აღარ არსებობდა; ამიტომ, გადაწყდა, რომ მხოლოდ მათ შენარჩუნებაზე უნდა ეზრუნათ.

კვლევითი ცენტრის დასკვნების საფუძველზე, იმდროინდელი რუსეთი შევარდნაძესთან მნიშვნელოვან დათმობაზე წავიდა: საქართველოს შედარებით თავისუფალი ასპარეზობის უფლება მიენიჭა კულტურის სფეროში. თუმცა, ეს მოხდა ეკონომიკის დარგში კონფორმისტული პოლიტიკის გატარების ხარჯზე. "დათმობების" მიუხედავად, კვლავაც იკრძალებოდა 60-იანი წლების მსგავსი "იდეოლოგიური გადახრები", მაგრამ სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა

ეროვნული ალუზიების მატარებელი ისტორიული რომანები, ხოლო პოეზიაში ენისა და ეროვნულობის ქებათაქება გაისმა.

1970-იან წლებამდე საქართველოში წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გამოცემის ტირაჟი და რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა, თუმცა, 1970 წლის შემდეგ ორივე იკლებს და ამ ფაქტს საბჭოთა იმპერია ქალალდის მარაგის კონსერვაცია-ეკონომიით ხსნის.

თუმცა, ქართულ ენაზე გამოქვეყნებული ლიტერატურის ხვედრითი წილი ამით დიდად მაინც არ შემცირებულა. მომდევნო ათწლეულის განმავლობაში გამოცემული ლიტერატურის 80% ქართულენოვანი იყო; საგულისხმოა, რომ ეს მაჩვენებელი რესპუბლიკაში ქართული მოსახლეობის ხვედრით წილზე გაცილებით მაღალია. 1980 წელს რესპუბლიკაში 81 ჟურნალი იბეჭდებოდა, აქედან ქართულენოვანი 97-98% გახლდათ. გამოიცემოდა 141 დასახელების გაზეთი, ხოლო მათი წლიური ტირაჟი 740 მილიონს აღწევდა. მათგან ქართულენოვანი 83-89 % იყო. რუსულენოვანი ბეჭდვითი სიტყვის რაოდენობამ კი იკლო.

ამდენად, ქართულმა კულტურამ წარმატებით გადალახა რუსიფიკაციის საშიშროება და ეროვნული თვითშეგნების აღმავლობის გზას დაადგა. ეროვნული თვითმყოფადობისაკენ სწრაფვა ყველაზე მეტად ლიტერატურაზე, თეატრსა და ტრადიციონალიზმისაკენ მიდრეკილებაზე აისახა. თვით სიტყვა "ამხანაგოსაც" კი, რაც არამარტო პარტიული კომიტეტის სხდომებზე იყო დამკვიდრებული, ტრადიციული წოდებითი ფორმა, "ბატონო" ჩაენაცვლა.

1972 წელს, როდესაც შევარდნაძე კომპარტიის გენერალურ მდივნად დაინიშნა, მან ერთერთ მიზნად დაისახა ქვეყნის იდეოლოგიური "გამოსწორება". ხელოვნების მუშაკებს, მწერლებსა და

კონემატოგრაფებს კრიტიკის ტალღა დაატყდათ თავს ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული შემოქმედებისათვის.

1976 წელს მწერალ რევაზ ჯაფარიძემ მწერალთა კავშირის სხდომაზე დაგმო მოსკოვიდან წამოსული დირექტივები, რომლებიც რუსიფიკატორულ მიზნებს ემსახურებოდა; მის გამოსვლას მხარი აპლოდისმენტებით დაუჭირეს; ენობრივი ასიმილაციის რუსული ძალისხმევა მთელი სიმძაფრით 1978 წლის აპრილში გამოვლინდა; რეჟიმმა სცადა კონსტიტუციიდან ამოეღო ის მუხლი, რომლის მიხედვითაც ქართული ენა სახელმწიფო ენად იყო აღიარებული, პასუხად კი 30.000 მოქალაქის საპროტესტო დემონსტრაცია მიიღო. ეს იყო პასუხი კითხვაზე, შეძლებდა თუ არა რუსეთი საქართველოს აკულტურიზაციას და რუსიფიკაციას. ამავე წლიდან დაიწყო ზრუნვა ქართული ენის სწავლების სტანდარტის ამაღლებაზე, მომზადდა სრულიად ახალი სახელმძღვანელოები ყველა კლასისათვის.

1978 წლის მკვეთრი კონფრონტაციის ფონზე, რუსეთმა პრაგმატული მიდგომა გამოიჩინა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ უკან დაიხია. რასაკვირველია, რუსეთი აცნობიერებდა, რომ ნაციონალიზმი რესპუბლიკის სტაბილურობის პოტენციური საფრთხე გახლდათ, მაგრამ, რამდენადაც მოსახლეობა ეროვნული თვითმყოფადობის საფრთხეს აღარ დაინახავდა, იმდენად ეყოლებოდა "მიძინებულ" მდგომარეობაში.

80-იან წლებში გააქტიურდა მოძრაობა ენის სიწმინდის დაცვისათვის, დადგა მოთხოვნა, რომ ქართული ენა, რომელიც რუსიფიკაციას გადაურჩა, გაწმენდილიყო ნასესხები ლექსიკური ერთეულებისაგან.

1981 წელს ქართულ ენას კიდევ ერთხელ შეექმნა საფრთხე, რასაც ორი დემონსტრაცია მოჰყვა. საპროტესტო აქციებზე გაისმა მოთხოვნა, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს ისტორიის სწავლება დაეწყოთ. ენის ნორმების დასადგენად ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კომისია, რომელიც პრესისა და რადიოს ენის სტანდარტების გაუმჯობესებასაც ისახავდა მიზნად.

რუსეთი, თავის მხრივ, კარგად აცნობიერებს საქართველოს როლს იმპერიის შენარჩუნებაში და გარკვეულწილადვე პრივილეგირებულ მდგომარეობასაც უქმნის... ასე, მაგალითად, საქართველოში, ერთ სულ მოსახლეზე უმაღლესი განათლების პროცენტული მაჩვენებელი მეზობელ თურქეთსა და ირანზე გაცილებით მაღლა იდგა.

დასავლეთი, თავის მხრივ, საბჭოთა იმპერიას კოლონიზატორად განიხილავდა, ხოლო მის მიერ ეროვნული ასიმილაციის მცდელობას კრახით დასრულებას უწინასწარმეტყველებდა. ჯ. პარსონსს ამონარიდი მოჰყავს წიგნიდან L'Empire Eclate ავტორი, ელენ კარე დენკოსი, წარმოშობით ქართველი ელენ ზურაბიშვილი,[56] წერს, რომ იმპერიის აღსასრული გარდაუვალია, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს აღარ ძალუძს გამოსვლა ეროვნული პრობლემების ჩიხიდან.

„არაერთი დასავლელი ანალიტიკოსი მიუთითებს, რომ საქართველოში მნიშვნელობა მხოლოდ ისტორიას და ეროვნულ იდენტობას აქვს“, წერს სტივენ ჯოუნსი და მით უფრო საკვირველია ის ფაქტი, რომ ის, რაც ესოდენ მნიშვნელოვნად მიგვიჩნევია, სრულებით უგულისყუროდ

[56] ელენ კარე დენკოსი საფრანგეთის აკადემიის მუდმივი მდივნის პოსტზე 1999 წელს აირჩიეს; უაღრესად საპატიო პოსტი 1634 წლიდან არსებობს.

მიგვიტოვებია როგორც კი ეროვნულ საზღვრებს გასცდენია. ეს არის ეროვნული იდენტობის წარმოჩენა თარგმნილ ლიტერატურაში. რეფლექსია, რომელიც, ბუნებრივია, უნდა იყოს სარკისებური, საზღვრებშორის მონაცვლეობს და ეროვნული იდენტობის ამსახველი ორიგინალური ხატი თარგმნისას არამხოლოდ მიმღები კულტურის ნიშნებს იძენს, არამედ, თუ საამისო იდეოლოგიური ნებაც არსებობს, მიმღები პოლიტიკის სტერეოტიპებსაც. ამდენად, სადღეისოდ, პოსტსაბჭოთა პერიოდში, თარგმანმცოდნეობის როგორც დისციპლინის აქტუალური და მიზანშეწონილი მიმართულებაა თარგმნილ ეროვნული ლიტერატურაში ეროვნული იდენტობის ფენომენის კვლევა.

ქართული პოლიტიკური კულტურა მის საგარეო კურსზეც აისახებოდა და აისახება. როდესაც საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსზე მსჯელობდნენ უცხოელი ექსპერტები, მხედველობაში იღებდნენ იმ გარემოებას, რომ საგარეო პოლიტიკური კურსი იქმნებოდა საგარეო ურთიერთობათა კურსის განმსაზღვრელი ელიტის მიერ და არა მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ. კურსის განმსაზღვრელები ე.წ. საბჭოთა „აპარატჩიკები“ იყვნენ თვით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც კი. ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც 1996 წელს შეიქმნა, შედგებოდა სწორედ ასეთი კადრებისაგან, ისევე როგორც საგარეო კურსის მთავარ ინსტიტუციებს: სახელმწიფო კანცელარიას, საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, საპარლამენტო კომიტეტები. ამ პერიოდის საქართველო როგორც პესიმიზმით, ისე ოპტიმიზმით უყურებდა მომავალ საგარეო კურსს და ქვეყნის როლს მსოფლიოში, თუმცა პოლიტიკური კულტურა კვლავ ბუნდოვნად რჩებოდა, არ იკვეთებოდა მთავარი ღირებულებები და ფასეულობები, რაც განსაზღვრავდა საქართველოს როგორც

თანამედროვესა და დასაელურს, ან ტრადიციულსა და აღმოსაელურს. გაურკვეველი იყო საქართველოს მიზანმიმართება იყო თუ არა დემოკრატიული, თუ მას „მტკიცე ხელი“ სჭირდებოდა, იყო თუ არა რეალურად დამოუკიდებელი, თუ პატრონაჟს და პროტექტორს ეძებდა. „საქართველო პოსტკოლონიური ქვეყანაა, რადგან ახალი ელიტის პოლიტიკური ქცევის ნორმები კვლავ ატარებს საბჭოთა გამოცდილების ნიშნებს“ წერს სტივენ ჯოუნსი (87). ასეთ პირობებში რა განსაზღვრავდა თარგმანმცდნეობის პოლიტიკას? დასაელეთის გაიდეალება მოულოდნელი არ იყო ისტორიული მსხვერპლისა და გარესამყაროსაგან იზოლირებული ქვეყნისათვის. **პოსტკოლონიურ პარადიგმაშია გასაანალიზებელი არამარტო ცარისტული, არამედ, საბჭოური რეჟიმის დროს შექმნილი ლიტერატურა, ფილმები და თარგმანები.**

საბჭოთა ცენზურა და იდეოლოგია მხატვრულ თარგმანში

საბჭოთა ეპოქის ლიტერატურამ და ხელოვნებამ სამოქალაქო საზოგადოებაში გარკვეულწილად დანიშნულება დაკარგა და ოფიციალური კულტურის ფორმალური ადგილი დაიკავა. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში არსებული ცენზურა რჩება მე-20 საუკუნეში ცენზურის ყველაზე ხანგრძლივ პრაქტიკად. ბლიუმი წერს, რომ თვით ცენზურის კონცეპტი როგორც მართვა-რეგულირების მეთოდი დაახლოებითაც ვერ გადმოსცემს იმ მნიშვნელობას, რაც მან შეიძინა ტოტალიტარული რეჟიმის დროს. ტოტალიტარულ ქვეყნებში მთავარი პარამეტრები და საფუძვლები დაბეჭდილ-გამოქვეყნებულ

სახელმწიფო კანონმდებლობაში კი არ აისახება, არამედ იმ საიდუმლო ბრძანებებში, რომელთაც იდეოლოგიური იერარქია გამოსცემს; გარდა ამისა, აისახება იმ საიდუმლო ინსტიტუციებში, რომლებიც აკონტროლებდნენ ამ ბრძანებების აღსრულებას. ბლიუმის არგუმენტირებით, ასეთი რეჟიმების დროს მოქმედი ცენზურა სრულებით სხვა ფენომენია, მას თავისებური, განსაკუთრებული ტიპის მახასიათებლები აქვს. ცნება: „სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა“ საბჭოთა კავშირში არ ნიშნავდა მხოლოდ ცენზურის ბატონობას, ის პარტიული იდეოლოგიის მიერ ხელდასმით, კონტროლის სხვა მექანიზმების არსებობასაც გულისხმობდა. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდებოდა დისკურსის შინაარსზე, ბეჭდური სიტყვის გავრცელებაზე; 1922 წ. საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა ცენზურის ინსტიტუციონალიზაცია; ეს მიზნად ისახავდა მკაცრი კონტროლის დამყარებას, უფრო ეფექტური პოლიტიკური ზედამხედველობის დაწესებას მომრაველებულ პუბლიკაციებზე (ერმოლაევი 1997:3).

ცენზურის ახალ ორგანოს „გლავნოე უპრავლენიე პო დელამ ლიტერატური ი იზდატელ'სტვა“ (ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმიანობის მთავარი სამმართველო) ეწოდა, შემოკლებით კი „მთავლიტი“ სახელმწიფო ადმინისტრაციის დაწესებულება. მისი მიზანი იყო „ხელში აეღო ბეჭდური სიტყვის ცენზურის ყველა ფორმაზე კონტროლი“. მიზნიდან გამომდინარე, მთავლიტი ასრულებდა დასაბეჭდად და გასავრცელებლად გადადებული თითქმის ყველა ხელნაწერისა და ბეჭდური ტექსტის, ფოტოების, ნახატების, რუკების ინსპექციას (ერმოლაევი 1997:3). ამ დაწესებულებას, რომელიც პირდაპირ ექვემდებარებოდა კომუნისტურ პარტიას, უფლება ჰქონდა ნებართვა გაეცა (ან უარი განეცხადებინა) ნებისმიერი ტექსტის დაბეჭდვაზე. მთავლიტი კრძალავდა ისეთი ლიტერატურის დაბეჭდვა-გავრცელებას, რომლებიც: (1) შეიცავდა პროპაგანდას საბჭოთა

რეჟიმის, საბჭოთა კავშირის, რომელიმე პოლიტიკური ორგანოს ან მაღალჩინოსნის წინააღმდეგ (ცენზორს უნდა სცოდნოდა ავტორის პოლიტიკური პლატფორმა, მისი ერთგულება საბჭოთა კავშირისადმი, და კომუნისტური პარტიისადმი; (2) ახმაურებდა სამხედრო საიდუმლოებას; (3) დეზინფორმაციით საზოგადოებრივი აზრის ფორმულირებას ახდენდა; (4) ეროვნულ, ან რელიგიურ ფანატიზმს აღვივებდა; (5) იყო პორნოგრაფიული (ციტირებულია ერმოლაევთან 1997:3-4); ზოგადად რომ ვთქვათ, ყველაფერი იკრძალებოდა, რაც სოცრეალიზმის ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა. 1934 წ. კი შეიქმნა ახალი სალიტერატურო პროექტი, იმ მიზნით, რომ საბჭოთა კავშირში შექმნილი მხატვრული ტექსტების ასპექტები განესაზღვრათ; ცენტრალური სამმართველო სამი დეპარატამენტისაგან შედგებოდა: 1. რუსული ლიტერატურის, 2. უცხოური ლიტერატურის, 3. ადმინისტრაციულ- საკონტროლო;

უცხო ენების დეპარტამენტს ჰქონდა ორი ფუნქცია: წიგნების იმპორტაცია და პერიოდული გამოცემების კონტროლი. დამატებით, მთაელიტი აკონტროლებდა რუსული ლიტერატურის გამომცემლებს საზღვარგარეთ, უპირველესად, ევროპაში. რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის ცენზორები კონტროლს ვერ დაუწესებდნენ საზღვარგარეთული ქვეყნების კულტურას, მაგრამ დანარჩენი სამყაროსაგან სრული კულტურული იზოლაციაც დაუშვებლად მიიჩნეოდა. კომუნისტებმა გადაწყვიტეს, საზღვარგარეთული გამოცემები სახელმწიფოს მთავარ ბიბლიოთეკებში მოეთავსებინათ და ამგვარად დაეწესებინათ შეზღუდვა მომხმარებლისათვის. უცხოურ მასალებს ოფიციალური ცენზურა უნდა გაევლოთ, სახელმწიფო კომიტეტში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მცირე ბიბლიოთეკებსა და კერძო კოლექციებისთვისაც დაუშვებლად მიიჩნევდნენ. წიგნის ცენზურის გარეშე შემოტანის ნებისმიერ მცდელობა საბაჟოზევე

აღიკვეთებოდა. დიპლომატიური გზავნილების გარდა, მსგავსი გამოცემების კონფისკაცია პირდაპირ ფოსტის შენობიდან ხდებოდა. სახელმწიფოსა და მთავლიტის მკაცრი ზედამხედველობით ხდებოდა საბჭოთა კავშირში უცხოური ლიტერატურის გაერცელება; როგორც ამერიკელი თარგმანის თეორტიკოსი, მ. ტიმოჟკო წერს, *საბჭოთა კავშირში დასავლური კლასიკური ლიტერატურის რუსულად თარგმნა საბჭოთა რეჟიმის კულტურული რეპრესიების საწინააღმდეგო დისკურსი გახლდათ*"...translation of Western literary classics into Russian was used as a counter discourse to some of the most culturally repressive policies of the Soviet Union" (Tymoczko 2006:442).

ბლიუმი წერს, რომ კონტროლის ხუთსაფეხურიანი სისტემის პირამიდაში „მთავლიტი" შუალედურ რგოლს წარმოადგენდა. იერარქიის ქვედა საფეხურზე ავტორებისა და რედაქტორებისთვის დაწესებული ფილტრები იყო, ზედა საფეხურზე კი პოლიციისა და პარტიის დირექტივები, რასაც მკაცრად იცავდნენ (ერმოლაევი 2003:7-8). ამ სისტემის საბოლოო პროდუქტი „წმინდა" ტექსტი იყო, რომელიც შეესაბამებოდა პარტიის იდეოლოგიის ყველა ასპექტს, „საბჭოთა ზნეობას", მის მიზნებსა და იდეოლოგიას. ცენზურის პირამიდაზე უმაღლეს საფეხურს იკავებდა მალალჩინოსანი, კომპარტიის გენერალური მდივანი (რომლის ცნობილი აბრევიატურაა ქართულ-რუსულიდან ნაწარმოები „გენსეკი"); სწორედ მისი ვერდიქტი იყო საბოლოო და გადამწყვეტი, რაც გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა (ბლიუმი 2003:8); ლიტერატურაში გენერალური მდივნის ჩარევა სტალინის მმართველობის დროს განსაკუთრებულ ფენომენად იქცა. ასობით პოეტი, მწერალი და ხელოვანი ემსხვერპლა რეჟიმს.

საბჭოთა კავშირის დროს წიგნები, რომლებიც ვერ ერგებოდა იმ პერიოდის იდეოლოგიას. საერთოდ არ ითარგმნებოდა ან

ითარგმნებოდა ისე, რომ ხდებოდა ინფორმაციის გამოტოვება და შეცვლა დამახინჯება (კლიმოვიჩი, 2015). პრესას, ჟურნალ–გაზეთებსა და წიგნებს აკონტროლებდა *მთავლიტი*, მაკონტროლებელი ორგანიზაცია, რომელიც ოფიციალურად 1922 წლის 6 ივნისს ჩამოყალიბდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ცენზურა მიზნად ისახავდა რელიგიის შეუწყნარებლობასა და ათეიზმს. საზღვარგარეთული ლიტერატურა წარმოდგენილი იყო მოკლედ და თან ახლდა ფართო, „მაკონტროლებელი“ სქოლიოები.

ვინაიდან თარგმნა ეფექტური იარაღია იდეოლოგიის ასახვისა და მისი გავრცელების თვალსაზრისით,

საბჭოთა პერიოდში მხატვრული ლიტერატურა **გადაწერის, ან წაშლისა და გამოტოვების, ჩანაცვლების, ანტონიმური თარგმანის** სტრატეგიებით ითარგმნებოდა:

საბჭოთა რუსეთში გადაწერა მთარგმნელობითი ნორმად დამკვიდრდა. თარგმნის ამ სტრატეგიას მიმართავდნენ როგორც საბავშვო ლიტერატურის, ასევე მოზარდთა ლიტერატურის გადასათარგმნად.

გადაწერის სტრატეგიით თარგმნილ ტექსტებს შორის ერთ–ერთი საინტერესოა ალექსეი ტოლსტოის მიერ თარგმნილი, 1883 წელს დაწერილი კარლო კოლოდის **„პინოქიოს თავგადასავლები“**, სათაურად „ოქროს გასაღები, ანუ ბურატინოს თავგადასავლები“(1936). ბურატინო, ისევე როგორც პინოქიო, არის გრძელცხვირა ხის თოჯინა, მაგრამ ტოლსტოის ვერსიაში დედნის ამბავმა პირდაპირი იდეოლოგიური ცვლილება განიცადა. ტოლსტოიმ ტექსტიდან **„ამოკვეთა“** ის ნაწილები, რომლებიც მეტისმეტად მორალისტურად, ან მეტისმეტად შემზარავად „მიიჩნია“: მაგალითად *პინოქიოს ფეხის დაწვა, შავი კურდღლების მცდელობა დაემარხათ პინოქიო და მთელი თოიღენდის ამბავი, ზვიგენის მცდელობა გადაეყლაპა პინოქიო და მისი მამა* და სხვა.

საბჭოთა გარემო ბურატინოს „ოქროს გასაღების“ საშუალებით გამოხატავს არსებული სისტემის ღირებულებებს, როგორიცაა კერძო საკუთრების გაქრობა, რაც იდეოლოგიზებულია „ცუდი“ ყარაბას-ბარაბასისთვის თეატრის ჩამორთმევით, კოლექტიური მუშაობის მნიშვნელობა, თანასწორობისა და სოციალიზაციის იდეა.

ასევე საინტერესოა ამ სტრატეგიის გამოყენებით თარგმნილი დანიელ დეფოს „რიბინზონ კრუზო,“ რომელმაც თარგმნის პროცესში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. 1920–იან წლებში კ. ჩუკოვსკის მიერ შემოკლებული ფორმით შესრულებული „მეზღვაურ რობინზონ კრუზოს ცხოვრება და მისი შესანიშნაი თავგადასავლები“ გახდა საბჭოთა პერიოდის ყველაზე პოპულარული შემოქმედება. „რობინზონ კრუზოს“ თარგმანში არ ფიქსირდება ქრისტიანული ელემენტები. კრუზოს მამა მკაცრი და სასტიკია, მაშინ როდესაც დედნის ტექსტში კრუზოს მამა ლოცულობს შვილის კეთილდღეობისთვის და მის მიმართ დიდ სიყვარულს ავლენს. საბჭოთა კავშირის მოთხოვნების შესაბამისად ჩუკოვსკის ვერსიაში მოცემული ფილოსოფიული მოტივები გამოტოვებულია, ვინაიდან სულიერი განვითარებისაკენ სწრაფვა, თუ სულიერი შფოთვა თუ მღელვარება ეწინააღმდეგებოდა იმ პერიოდის იდეოლოგიას.

არსებობს გადაწერის სტრატეგიით თარგმნის სხვა მაგალითებიც, მაგალითად ლუის ქეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში.“ საბჭოთა კავშირში ის ოლგა ივანოვნა ტიმირიასევამ თარგმნა, როგორც „სონია საოცრებათა სამეფოში.“ (მანვე თარგმნა მარკ ტვენის „ტომ სოიერი“ და მრავალი სხვა).

მომდევნო თარგმნის სტრატეგია, რომელსაც საბჭოთა კავშირის მთარგმნელები იყენებდნენ არის **„წაშლა და გამოტოვება.“** იმ შემთხვევაში თუ მოცემული ტექსტი შეიცავდა ისეთ სიტყვებს ან ისეთ ინფორმაციას, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიას არ შეესაბამებოდა,

ასეთ სიტყვებსა თუ ინფორმაციას ან შლიდნენ ან საერთოდ უგულებელყოფდნენ.

მაგალითისათვის, დეივიდ ჰელბერტ ლოურენსის „ლეიდი ჩატერლეის საყვარელი“, რუსულ ენაზე 1932 წელს ითარგმნა. კლიმოვიჩი წერს, რომ მკაცრი ცენზურისა და იდეოლოგიური წნეხის გამო, ამ ტექსტის თარგმნა ძალიან რთული იყო, ის შეიცავს არა მხოლოდ ინტიმურ სცენებს, უხამს, უწმაწურ სიტყვებს, არამედ რელიგიურ ჰასაჟებსაც. რუსულ ენაზე თარგმნილმა რომანმა დაკარგა ლოურენსისათვის დამახასიათებელი სახასიათო მეტყველება. რუსულ ვერსიაში ე.წ „four letter words“–ანუ სკაბრეზული სიტყვების ამოღების შედეგად მიეიღეთ დედნისგან დაშორებული, ცერემონიული ტექსტი.

წაშლისა და გამოტოვების სტრატეგიას იყენებდნენ ასევე ბიბლიური სიტყვების, ციტირებების ან ბიბლიასთან კავშირში მყოფი იდიომების თარგმნის დროსაც. მაგალითად ჯონ სტეინბეკის „მრისხანების მტევნებში“ აღწერილი ოჯახი რელიგიურია, შესაბამისად ძალიან ბევრი ციტირებაა მოყვანილი ბიბლიიდან, მაგრამ არც ერთი მათგანი არ არის თარგმნილი, საბოლოოდ კი ორიგინალი ტექსტის ზოგიერთი ნაწილის მნიშვნელობა იცვლებოდა და ვერც მისი ემოციური დატვირთვა აღწევდა რუს მკითხველამდე.

ზოგიერთ შემთხვევაში „არასასურველი“ სიტყვა ან ინფორმაცია არ იშლებოდა, მაგრამ მას სინონიმებით ან ანალოგიებით **ანაცვლებდნენ**. ზოგადად, **ჩანაცვლება** არის თარგმნის კიდევ ერთი ტექნიკა, რომელიც საშუალებას აძლევს მთარგმნელს „თაეიდან მოიშოროს“ ისეთი სიტყვები, რომლებიც არ „ერგება“ საჭირო იდეოლოგიას. ჩანაცვლებულ სიტყვას ან ფრაზას სემანტიკურ დონეზე იგივე მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ჩანაცვლება ცვლის დედნის ემოციურ–ექსპრესიულ დატვირთვას. **ჩანაცვლება** საბჭოთა კავშირის სტანდარტული თარგმნის სტრატეგიაა.

სინონიმებითა და ანალოგიებით ჩანაცვლება ძირითადად ბიბლიური სიტყვების და ფრაზების თარგმნისას გამოიყენებოდა.

ბიბლიური შორისდებულების თარგმნის დროსაც კი გამოიყენებოდა ჩანაცვლების სტრატეგია. სტეინბეკის „მრისხანების მტევნებში" ვპოულობთ ჩანაცვლების შემდეგ მაგალითებს: *My God* – ну; *By God – Да* და ა.შ. თარგმნის ეს სტრატეგია წყარო ტექსტს ცვლის როგორც სემანტიკურ, ისე ემოციურ–ექსპრესიულ დონეზე.

„ანტონიმური თარგმანი" არის თარგმნის სტრატეგია, რომელიც თარგმნისას სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის გამოყენებას გულისხმობს. იდეოლოგიური მანიპულაციის გამო, ის სიტყვები, რომლებიც უნდა შეცვლილიყვნენ ითარგმნებოდა მისი საპირისპირო მნიშვნელობით. ასეთ შემთხვევებს მაშინ ჰქონდა ადგილი, როცა საკუთარი სახელი წარმოდგებოდა ბიბლიიდან, ასევე შორისდებულების თარგმნის დროსაც. მაგალითად, სტეინბეკის „მრისხანების მტევნებში" ანტონიმურად უთარგმნიათ *„Jesus H. Christ and God Almighty–იესო ქრისტე და ღმერთი"* და მიიღეს *„чёрт,"* ხოლო შორისდებულები: *„by God–ღვთის წყალობით"* ითარგმნა *„Эх, черт", „Holy Jesus"* როგორც *„Ах, черт".* თარგმნის ამ სტრატეგით მთარგმნელმა არამარტო ესთეტიკური აქცია არაესთეტიკურად და უარყო დედნის განწყობა, არამედ უპირველესი - საკუთარი ეთიკური ვალი დაივიწყა ავტორისადმი.

დასკვნის სახით შეიძლება დავძინოთ, რომ კონცეპტი *იდეოლოგიური მანიპულაცია* მე–20 საუკუნეში იღებს სათავეს. *იდეოლოგიური მანიპულაცია* გულისხმობს იმას, რომ თუ კონკრეტული ლიტერატურა ვერ ერგება სამიზნე ენის იდეოლოგიას, მაშინ ეს ტექსტი სხვადასხვა მთარგმნელობითი სტრატეგიების საშუალებით ისე უნდა ითარგმნოს, რომ არსებულ იდეოლოგიასთან სრულ ჰარმონიულ თანხვედრაში იყოს. **არსებული** სიტუაციიდან

გამომდინარე, თარგმნისას ხდებოდა უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გამოტოვება, შეცვლა, წაშლა, დამახინჯება.

საბჭოთა თარგმანის პოლიტიკა და საქართველო

თარგმანს, თუ მას ბინარულ ოპოზიციაში განვიხილავთ ორიგინალთან, ანუ დომინანტ ტექსტთან, მივიღებთ ფორმულას: დომინანტი-დომინირებული, რაც ახლოს დგას მეორე ბინარულ ოპოზიციასთან: კოლონიზატორი კოლონიზებული; იმდენად რამდენადაც კოლონიზატორს აქვს დომინანტის ფუნქცია, მას ემორჩილება, ექვემდებარება და მასზე დამოკიდებულ ობიექტად მიიჩნევა დომინირებული ანუ კოლონიზებული; ეს ბინარული ოპოზიციები ტენდენციურად დაიყვანება ასეთივე ბინარული ოპოზიციასთან: პირველადი ტექსტი და მეორადი ტექსტი.

გავიხსენოთ, იდეა, რომ მესამე მსოფლიო თავისუფლებას მოპოვებას კომუნიზმისგან გათავისუფლებით შეძლებდა. იგი უპირობოდ იყო მიღებული, კომუნიზმისგან გათავისუფლება.იდეიდან იქცა ცნებად, რომელსაც ხვეწდნენ და აფართოებდნენ სოციოლოგების, ანთროპოლოგების, პოლიტიკის მეცნიერების, ეკონომისტების ლეგიონები. ეს იყო საბჭოეთში მიმდინარე პროპაგანდის საპირწონე სვლა.

რაც შეეხება საბჭოთა უპოქის მკაცრი კონტროლსა და შეზღუდვებს, იგი ვრცელდებოდა ზოგადად ლიტერატურაზე, მთავარი სამიზნე კი, რასაკვირველია, უცხოური ლიტერატურის თარგმნილი ტექსტი იყო. ოქტომბრის რევოლუციის დასრულებიდან რამოდენიმე თვის შემდეგ,

გასცეს ბრძანება: `ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს კომუნისტურ იდეოლოგიას." იდეოლოგიური პროპაგანდა მკაცრ ცენზურას უწესებდა ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, მიზნად ისახავდა რა საბჭოთა საზოგადოების გაწმენდას ყოველგვარი მიუღებელი წარმოდგენებისაგან. ახალი პროპაგანდის სტანდარტების მიხედვით, ლიტერატურული ნამუშევრების დანიშნულება არამარტო სიამოვნება და გართობა იყო, არამედ, მკითხველის აზროვნების სასურველი იდეოლოგიით „დამუშავება". ამის შემდეგ ლიტერატურამ და ხელოვნებამ დაკარგა საჯარო გაგება და დაიკავა ფორმალური ადგილი საბჭოთა ეპოქის ოფიციალურ კულტურაში. საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის ცენზურა ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივად მოქმედი ცენზურა გახლდათ.

1934 წელს შეიქმნა ახალი ლიტერატურული პროგრამა, იმ მიზნით, რომ ეკვლიათ საბჭოთა კავშირში შექმნილი და აკრძალული ლიტერატურული ნამუშევრები. გარდა ამისა, მთავლიტი აკონტროლებდა რუსულ გამოცემებს საზღვარგარეთ, ძირითადად ევროპაში. საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურას საბჭოთა ცენზურის ქვეშ ვერ მოაქცევდნენ. სრული იზოლაცია უცხოურ კულტურისაგან შეძლებელი იყო, მაგრამ ლიტერატურაზე განსაკუთრებული შეზღუდვა ვრცელდებოდა. მხოლოდ საჯარო ბიბლიოთეკებში თუ შეხვდებოდით უცხოურ გამოცემებს. უცხოურ გამოცემას ჯერ უნდა გაევლო ოფიციალური ცენზურა სახელმწიფო კომიტეტში, დაწუნებული წიგნი კი ვერ მოხვდებოდა ვერც პატარა ბიბლიოთეკაში და ვერც კერძო პირის კოლექციაში.

ცენზურის მიერ დაშვებულ უცხოური ლიტერატურის თარგმანებში ხშირად ანგარიშმიუცემლად იყო გადაკეთებული საბჭოეთისთვის მიულებელი ცნებები; ცენზორის ჩარევა კურიოზებსაც

კი იწვევდა. მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ თრუმენ ქეფოთის რომანიდან „საუზმე ტიფანებთან“: სლენგი ***horse doctor*** აღნიშნავს ***ვეტექიმს***, ხოლო ***head shrinker*** - კი ***ფსიქოლოგს***. ამგვარი სლენგური, სტრატიფიკაციული ელემენტები ხშირად მთარგმნელისათვის ლინგვოკულტუროლოგიურ ბარიერს ქმნიან, რასაც მთარგმნელობითი მცდარობაც მოსდევს და საბოლოოდ კი თარგმანში აზრობრივი ამბივალენტურობას წარმოქმნის. მაგალითად, თუ მკითხველს ***horse doctor***-ს გადაეუთარგმნით როგორც „ცხენების ექიმს“, როგორც ეს ვ. ტატიშვილის თარგმანშია, მას არაერთგვაროვანი რეაქცია ექნება, ჩათვლის რა, რომ ამერიკაში, ან, კერძოდ, ტექსასის შტატში მიღებული პრაქტიკაა ცხენებს საკუთარი ვეტექიმი ჰყავდეთ.... ქვემოთ საილუსტრაციოდ მოგვყავს დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ნიმუშები:

“I’m her husband. Doc. Golightly. I’m a horse doctor, animal man. Do some farming, too: (Capote, 1985: 159).

„მე ქმარი ვარ, დოკ გოლაიტლი, ცხენების ექიმი გახლავარ, საქონელს ემკურნალობ და პატარა ფერმაც მაქვს ტიულიპთან ახლოს“ (კეპოტე, 1984:185).

როგორც ვხედავთ, არა მხოლოდ სლენგი: ***horse doctor*** – (რომელიც ვეტექიმს აღნიშნავს ენის სტრატიფიკაციული ვარიაციისას), ქცეულა ცხენების ექიმად, არამედ ***doc*** - რაც ექიმისთვის მიმართვის კნინობითი ფორმაა, საკუთარ სახელად არის ტრანსპონირებული.

სტრატიფიკაციული მეტყველების იმიტაციისას, მთარგმნელმა, სასურველია, არ აამეტყველოს პერსონაჟი ლიტერატურული ენით, რათა რეცეპტორისათვის არ დაიკარგოს მისი ენობრივი

პორტრეტისათვის დამახასიათებელი ეს მნიშვნელოვანი შტრიხი; ანუ, სუბსტანდარტული ენით მოსაუბრე პერსონაჟი სტანდარტული ენით მოსაუბრე პერსონად არ იქცეს თარგმანში. სლენგური სტრატიფიკაციული მეტყველების ანალოგიზაცია შეიძლება განხორციელდეს არა უშუალოდ სლენგის თარგმნით, ან რაიმე ქართული სლენგიზმის შემოტანით, რაც ასევე უმართებულოდ მიგვაჩნია, არამედ ეფექტის გადაადგილებით ისეთ ელემენტებზე, რომლებიც უფრო დაექვემდებარება შეცდომებსა და გაუმართავ, მდაბიო მეტყველებას. როგორც აღვნიშნეთ, სლენგის თარგმანი თითქმის ყოველთვის იწვევს აზრთა სხვადასხვაობას და ფართო განსჯის საგანი ხდება ლინგვისტთა მხრივ. როდესაც ფინელმა მთარგმნელმა პენტი საარიკოსკიმ 1960 წელს ჯ. სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ ფინურ ენაზე თარგმნა ითავა, მის წინაშე უდიდესი ამოცანა დადგა, რაც სელინჯერის აღნიშნულ სათაგადასავლო რომანში არაოფიციალური ენის, კერძოდ სლენგის ფართოდ გამოყენების ფინურ ენაზე ტრანსპოზიციას შეეხებოდა. მისი მცდელობა - ფინელი ჰოლდენი აემეტყველებინა მისი ამერიკელი პროტოტიპის მსგავსად, ანუ სლენგური გამონათქვამებით, მთარგმნელისაგან არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ კულტურულ კომპეტენციას მოითხოვდა. მთარგმნელის ამოცანას იმდროინდელი ფინური ენის აქტივიზების მარეგულირებელი ნორმებიც ართულებდა. მიუხედავად იმდროინდელი მწვავე კრიტიკისა, საარიკოსკის ფრიად გაბედულ ნაბიჯს, თარგმანში გამოეყენებინა ჰელსინკის სლენგი, თანამედროვე პოზიციიდან აღიარება და თარგმანის მაღალი შეფასება მოჰყვა. რასაკვირველია, მხატერულ დისკურსში სლენგით მეტყველება თარგმანში სრულ ანალოგიზაციით ვერ აისახება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სლენგი ლინგვოკულტუროლოგიურ უნიკუმს წარმოადგენს:

¬ "Christ, I nearly cooled, No fooling, the fat woman had almost had me. She was yakking up a storm. I guess I could not told you about the fat woman. Since I didn't know about her myself until my brother died. Right away I was wondering where he'd gone, what it meant, Fred's dying; and then I saw her, she was there in the room with me, and she had Fred cradled in her arms, a fat mean red bitch rocking in a rocking chair with Fred on her lap and laughing like a brass band. The mockery of it! But it's all that's ahead of us, my friend: this comedienne waiting to give you the old razz!" (Capote, 1985:178)

სანიმუშოდ მოცემული მონოლოგი ამერიკული სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სლენგით და რეალიური ავტორიზმით არის აღბეჭდილი (mean reds) მთლიანად პასაჟი გახანგრძლივებული მეტაფორაა, რომლის მხატვრული ღირებულება მონოლითურია კომპოზიციაში და სამიზნე ენაზე თარგმნისას ტექსტის მხატვრულ-ემოციური ეფექტის ეკვივალენტური ტრანსპოზიციისათვის საჭიროებს მთელ რიგ ტრანსფორმაციებს. გასათვალისწინებელია გამოყენებული სლენგის ევფემისტური ხასიათიცა და სლენგის ***fat woman*** ალუზიაც ევფემიზმთან: ***Grim Reaper***.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სიკვდილი ინგლისურენოვან ლიტერატურასა და კონცეფციურ გააზრებაში მამრობითი სქესისაა, მაგ.: The death himself had touched her - ოსკარ უაილდის რომანიდან „დორიან გრეის პორტრეტი", ან იგივე Grim Reaper. სიკვდილის ევფემისტური ადეკვატი ქართულ ენაშიც მამრობითი სქესისაა, მაგ.: „მიქელ-გაბრიელი". რაც შეეხება დედანში მოყვანილ მდედრობითი სქესის ევფემიზმს, ცნებითი შესატყვისობის დაძებნა ნეიტრალური სქესის „სულთამხუთავზე" შეიძლება შევაჩეროთ, ვინაიდან ქართულ ენაში აღნიშნული რეალიის

ევფემიზმები არ მოიცავენ მდედრობითი სქესის ვარიანტს. თარგმანში ევფემიზმისათვის: I nearly cooled დაძებნილია ქართულ ენაში არსებული საკმაოდ გაცვეთილი და სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი ეკვივალენტი: „წერილის წაღება“. სლენგი: yakking up a storm გადმოგვცემს სურათს, როდესაც სიკვდილის ძალა ასოცირებულია ამერიკული ხარის, იაკის ძალასთან და მის შეტევასთან. ქართულ სოციოკულტურულ რეალობაში უპრიანია ეს სლენგიც სალაპარაკო ენისათვის დამახასიათებელი პრედიკატიული ფრაზეოლოგიზმით ჩანაცვლდეს, სლენგის დაკარგვის ერთგვარი კომპენსაციისათვის:

„ღმერთო, კინაღამ წერილი წაიღე. ხუმრობა იქით იყოს. სქელუა სულთამხუთავი უკვე თავს მედგა და კინაღამ სული გამაფრთხობინა. შენთვის არ მომიყოლია, არა, სქელუას ამბავი? სანამ ჩემს თავზე არ ვიწვნიე რა იყო, სულთამხუთავზე წარმოდგენა არ მქონდა. ჩემი ძმის გარდაცვალებამდე მისი არსებობაც კი არ მახსოვდა; მაინტერესებდა სად წაიყვანა სიკვდილმა, რას ნიშნავდა გარდაცვალება. ახლა კი, ჩემი თვალით დავინახე წითელი საშინელება, ეს ძუკნა ჩემს ოთახში შემოსულიყო, მკლავებში ფრედი აეტატებინა, სარწეველა სავარძელში ჩამჯდარიყო, კალთაში კი ფრედი ჩაეკინა და სასულე ორკესტრივით დამგუგუნებდა. ოჰ, რა სანახაობა იყო! ყველაფერი წინ არის, ეს კომედიანტი ჩვენ გველის, რომ სეირი გვიჩვენოს. ახლა ხვდები, რატომ გაეგიჟდი და ყველაფერი გადაველეწე?“ (გვ. 144).

სლენგური სკაბრეზი “screw it cookie”, უხეშ, დეროგაციულ მარკერად მიიჩნევა; ქართულად მისი პირვანდელი თარგმანი ასე ჟღერს:

„ეჰ, ჯანდაბას”... ხოლო მეორეში კი ასე: „ერთი მაგათიც! ჩემო კარგო”... (ibid) რამდენადაც სლენგის პირველი ელემენტი სკაბრეზია, მისი მეორე კომპონენტი ალერსობითი მარკერია და ნიშნავს honey,

sugar და ა.შ. მეტყველების სიტუაციური ვარიანტულობისათვის ზოგადად, სკაბრეზული ფორმები დამახასიათებელია, რაც ბევრ ქართულენოვან თარგმანში განეიტრალებულია. წინამდებარე მაგალითში კი არ ფიქსირდება იმგვარი უცენზურო სკაბრეზი, რისი ტრანსპონირებაც არ შეიძლება თარგმანში. მისი გამოტოვება კი ემოციურ განწყობას გაფერმკრთალებულად გადმოსცემს.

1973 და 1984 წლებში გამოცემულ ვ. ტატიშვილის თარგმანში „საუზმე ტიფანისთან" დაფიქსირებულია მიმართვის ისეთი სტრატიფიკაციული ფორმები, რაც საბჭოთა ცენზურის ზეგავლენისაკენ მიგვითითებს. ეფიქრობთ, სწორედ ყალბი მორალიზების მქონე საბჭოთა იმპერიული ცენზურის შიშით, ტატიშვილისეულ თარგმანში „შინაბერად" ითარგმნა სლენგი: dyke (ლესბოსელი), ამგვარი „სამედიცინო სტერილიზაცია," ტაბუირება, ეფიქრობთ, თარგმანში მიუღებელია, რადგან, ცოტა არ იყოს, თარგმანში კურიოზული იეროგლიფი იქნება:

ორიგინალი:

"Incidentally," she said, "do you happen to know any nice lesbi¬ans? I'm looking for a companion. Well don't laugh. I'm so disorganized, I simply can't afford a maid; and really, lesbians are wonderful home-makers, they love to do all the work, you never have to bother about brooms and defrosting and sending out the laundry. Of course I like lesbians themselves, They don't scare me a bit. But stories about lesbians bore the bejesus out of me. I just can't put myself in their shoes".I had a companion in Hollywood. She played in Westerns, they called her the Lone Ranger; but I'll say this for her, she was better than a man around the house. Of course people couldn't help but think I must be a bit of a lesbian myself. And of course I am. Everyone is: a

bit. So what? That never discouraged a man yet, in fact it seems to goad them on. Look at the Lone Ranger, married twice. Usually lesbi¬ans only get married once, just for the name" (Capote, 1985:150).

ვ. ტატიშვილის თარგმანში ვკითხულობთ:

„სხვათა შორის, - მითხრა მან, ნაცნობი შინაბერა ხომ არავინა გყავთ? კომპანიონი მჭირდება. ისეთი დაუდევარი ვარ, მოსამსახურის ფული არა მაქვს. ეს შინაბერები კი შესანიშნავი დიასახლისები არიან. უყვართ სახლის საქმე და შენც არხეინად ხარ, აღარც დალაგება გჭირდება, არც მაცივარი გეკითხება და არც სამრეცხაო. ჰოლიეუდში ერთი კომპანიონი ქალი მყავდა. კოვბოურ ფილმებში იღებდნენ ხოლმე, მაწანწალა შინაბერას ეძახდნენ, მაგრამ ნამდვილად კაცსა სჯობდა შინაურ საქმეებში. ხალხმა რა ქნას, ჩემზე ფიქრობდნენ ალბათ, ესეც ცოტა შინაბერა იქნებაო და, რა თქმა უნდა, ასეც არის. ყველა ქალი ცოტათი შინაბერაა: ოდნავ. ჰო, კაცებს ამისი არ ეშინიათ, პირიქით, ეტყობა აღაგზნებთ კიდევაც, ჩემი მაწანწალა შინაბერასი არ იყოს, ორჯერ იყო გათხოვილი. საერთოდ შინაბერები მხოლოდ ორჯერ თხოვდებიან, ისიც გვარისთვის, სულერთი არ არის, მისის ასეთს დაუძახებენ თუ მისის ისეთს? (კაპოტე, 1985:150).

თარგმანს თუ დავუჯერებთ, შესაძლებელი ყოფილა ორჯერ გათხოვილი ქალი შინაბერა იყოს, ხოლო 18 წლის გოგონა კი (სწორედ ამ ასაკისაა ჰოლი გოულაითლი) ასევე, შინაბერად მიიჩნეოდეს. როგორც ვხედავთ, მეტყველების სტრატიფიკაციული მარკერების არაადეკვატურმა ტრანსპოზიციამ შესაძლოა აზრის სრული გაბუნდოვანება / ამბივალენტობა გამოიწვიოს თარგმანში.

ხოლო ამ სლენგის კნინობითი ფორმა: dykeroo, რომელიც დედანში განზოგადებული დეროგაციული მიმართვის ფორმად გვევლინება და არა პიროვნების კონკრეტულ გვარად, თარგმანში პერსონაჟის გვარად არის წარმოდგენილი.

"Bless you, Buster. And bless you for being such a bad jockey. If I hadn't had to play Calamity Kane I'd still be looking for¬ward to the grub in an unwed mama's home. Strenuous exer¬cise, that's what did the trick. But I've scared la merde out of the whole badge department by saying it was because Miss Dykeroo slapped meYessir, I can sue them on several counts, including false arrest"(Capote, 1985:179).

„ღმერთმა გიშველოს ბასტერ...იმისთვისაც გიშველოს, ღმერთმა, რომ ცუდი ცხენოსანი გამოდექი. კიდევ კარგი, ამორძალის როლი მათამაშე, თორემ *გაუთხოვარი დედების* სახლში ფაფის ჭამა არ ამცდებოდა. მაგარი ვარჯიში ძალიან შველის ხოლმე. მთელი პოლიციის ლა მერდე კი დავაფრთხე, როცა ვუთხარი, სულ მის დიკეროს ბრალია, ისე მაგრად ჩამარტყა-მეთქი. დიახ, სერ, ახლა შემიძლია რამდენიმე მუხლის მიხედვით, სამართალში მივცე, უმიზეზოდ დაპატიმრებაც შიგ შევა" (კაპოტე, 1985: 212).

შედარებისათვის მოგეყვანს თარგმანის ჩვენეული ვარიანტი, რომელიც მეტყველების სტრატიფიკაციული ვარიანტულობის მარკერს "dykeroo" ქართულ ენაზე მეტაფორით: „ვარდისფერი ქალიშვილით" გადმოსცემს:

„მაგარი ხარ, ბიჭუნა, მაგარი ხარ, რომ ასე სუსტი მხედარი გამოდექი, მე რომ შენი კეთილშობილი მაშველის როლის შესრულება არ დამჭირვებოდა, თურმე, *მარტოხელა დედების* საშობაიაროში უფასოდ ჩამორიგებული ულუფის იმედად ვიქნებოდი. ახლა კი...ძნელი იყო,

მაგრამ სწორედ ამან მიშველა. კაი გვარიანი შიში ვაჭამე მთელ ოპერებს. ასე ვუთხარი, ვარდისფერმა ქალიშვილმა რომ მლეწა, ბავშვი იმის შედეგად დაკარგეო. დიახაც, შემიძლია სხვადასხვა სარჩელი აღეძრა, მათ შორის უსაფუძვლო დაპატიმრების გამოც" (ქეფოთი, 2008: 214).

თუმცა, ქეფოთის რომანი კიდევ უფრო საინტერესო მისი ფარული ანტისაბჭოთა განწყობით არის, რომლის „ამოკითხვა" *წითელის, როგორც საბჭოეთის შიშის* ცნების გაგებით შეიძლება: წითელი, როგორც კომუნისტების მეტაფორა, ანტიკომუნისტური ამერიკული ცნებების ინვარიანტებად იქცა; ჯონ სბარდელატი საკუთარ ნაშრომში[37] აღწერს ცნობილ ცნებებს: „ჰოლივუდის წითლები" (Hollywood Reds), „წითელი საშიშროება" (red scare) და „ადრეული წითელი საშიშროება" (the first Red Scare). ტერმინი "the first Red Scare" -სსრკ-ს შექმნის ადრეულ პერიოდში გაჩნდა, რასაც მოჰყვა აშშ-სსრკ-ს ანტიფაშისტური ალიანსის ხანა და ეს ტერმინი მცირე ხნით გაქრა, თუმცა ომისშემდგომ ჩამოვარდნილი ფონზე, ამერიკელებმა სსრკ-ს უნდობლობა გამოუცხადეს (Levering 1976, 127) და ტერმინიც „დაბრუნდა". სბარდელატი მოგვითხრობს, როგორ ებრძოდა FBI სსრკ-დან აშშ-ში ჯაშუშების შედინებას, როგორ იკიდებდა ფეხს საბჭოთა აგენტურა ჩრდილოეთ ამერიკის სამთავრობო და რიგით თანამდებობებზე. კომუნისტები ძალაუფლებას ფილმის ინდუსტრიაშიც ეპოტინებოდნენ და გამოძიების ფედერალურ სააგენტო შიშობდა, რომ მათ თვით ჰოლივუდშიც კი შეაღწიეს, ასე გაჩნდა კიდევ ერთი ტერმინი ინვარიანტული სიტყვა წითელით, „ცელულოიდის წითლები" (Celluloid Reds).

„ის მძაფრი ქსენოფობია, რაც გაჩნდა პირველი Red Scare -ის გაჩენის დღიდან, არსად წასულა," წერს სბარდელატი.[58] ქეფოთის Mean Reds სწორედ კომუნისტებისადმი გაუცნობიერებელი, იდეოლოგიზებული შიშის რეფლექსიაა:

დედანი:

- Holly Golightly: No. The blues are because you're getting fat and maybe it's been raining too long, you're just sad that's all. The mean reds are horrible. Suddenly you're afraid and you don't know what you're afraid of. Do you ever get that feeling?

თარგმანი:

- არა, - წყნარად მიპასუხა მან. - ნაღველი შეიძლება შემოგაწვეს, თუ ქონი გედება, ან თუ გადაუღებლად წვიმს. მაშინ სევდიანდები, ესაა და ეს. აი, წითელი საშინელება კი საშინელებაა. გეშინია და შიშისაგან ოფლი გასხამს. მაგრამ რისი გეშინია, თვითონაც არ იცი...არაფერი იცი, გარდა იმისა, რომ რაღაც ცუდი უნდა შეგემთხვეს. განგიცდია ეს გრძნობა? (მთარგმ. აეტ. ხ. ბ.)

მიზანშეწონილია, რომ Mean Reds, როგორც რომანის ლაიტმოტივი რეალია ითარგმნოს ცირკუმლოკაციის სტრატეგიით, ანუ აზრობრივი გავრცობით, შესაბამისი შენიშვნის დართვით.

---

58 "The xenophobia so prevalent in the first Red Scare had by no means disappeared" (Sbardellati 2008:416).

რომანტიზმი, მოდერნიზმი და საბჭოთა ინტერტექსტუალიზაცია ბორის პასტერნაკისეულ ტიციან ტაბიძის თარგმანებში

ჰარშა რემის მიხედვით

რონალდ სანი წერს, რომ რუსულმა რომანტიზმმა არსებითად ფემინიზებული საქართველოს ხატი შექმნა. ამასვე ადასტურებენ სხვა მკვლევარებიც: „იმპერიის მშენებელი ძლიერი რუსი მამაკაცების ფონზე სრულიად საპირისპიროდ, უსუსურად და უუნაროდ არიან წარმოჩენილი ქრისტიანი ქართველი მამაკაცები“ ტიციან ტაბიძის ლექსების პასტერნაკისეული თარგმანები კომპრომისის, წინააღმდეგობისა და ტრანსფორმაციის ელემენტებს შეიცავს. მათგან ზოგიერთი შეიძლება იმ პერიოდის პოლიტიკას დაეაბრალოთ, ზოგიერთი კი რუსულ-ქართული საკონტაქტო ზონის ღრმა შრეებიანი ისტორიის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

რუსეთსა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ურთიერთობების ისტორია ჩვენს ხელთ არსებული მაგალითია, რომელიც რუსეთის კულტურულ ზეგავლენას ასახავს ყოფილი საბჭოთა კავშირის ევრაზიულ პერიფერიაზე. 1801 წლიდან, ანუ რუსეთის მიერ აღმოსაველეთ საქართველოს ანექსიიდან მოყოლებული, რუსეთ–საქართველოს ურთიერთობებმა პოლიტიკური კონტროლისა და კულტურული ძალაუფლების მემკვიდრეობა დატოვა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ორმა ქვეყანამ კულტურულადაც საკმაოდ გაამდიდრა ერთმანეთი. რუსულ–ქართული დიალოგი უფრო ინტენსიური 1017 წლის რევოლუციის შემდეგ გახდა, განსაკუთრებით კი 1921 წლიდან, როცა საქართველო საბჭოთა კავშირმა შთანთქა. ამით დასრულდა ხანმოკლე პოლიტიკური დამოუკიდებლობა საქართველოში, თუმცა, ამ

ფაქტმა მხოლოდ გააძლიერა საკუთარი კულტურის უნიკალურობის აღქმა. თუ გადავეფურცლავთ მე–19 საუკუნის იმპერიალისტურ და მეოცე საუკუნის კომუნისტურ ისტორიებს, რუსულ–ქართული ურთიერთობები უნიკალურ შემთხვევად ისახება, რომელსაც მერი ლუის პრატმა „კონტაქტის ზონა“, უწოდა, ანუ ის სოციალური სივრცე, რომელშიც „კულტურები ერთმანეთს ხვდებიან, ერწყმიან და ხშირად ეს ხდება ძალაუფლების საკმაოდ ასიმეტრიულ კონტექსტში.

ქართულ-რუსულ ურთიერთობებში, ისე, როგორც სხვა ქვეყნების ურთიერთობებში, ძალაუფლების ეს ასიმეტრია კულტურის დინამიკას უწყობდა ხელს, თუმცა, ორივე მხარისათვის ამას სხვადასხვა იმპლიკაცია ჰქონდა. როგორც ცარისტული, ისე კომუნისტური სახელმწიფოები კავკასიაში ცივილიზებისა და მოდერნიზების მისიას ემსახურებოდნენ, საბჭოთა კაუშირი, მისი წინამორბედი რეჟიმისაგან განსხვავებით, იდეოლოგიურად, პირობითი პარიტეტის პრინციპის ემყარებოდა და შემადგენელი რესპუბლიკების კულტურულ თვითკმარობას აღიარებდა. თუმცა, როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდგომ პერიოდში, ეს მისია უცნაურად გადასხვაფერდა რუსულ წარმოსახვაში, ვინაიდან, საქართველო, გამორჩეული თავისი ანტიკური ხანიდან სათავე-აღებული ისტორიით, ბუნებრივი სილამაზით, კულტურული სისხლსავსეობით, სტუმართმოყვარეობის ტრადიციით, აშკარად უგულებელყოფდა მოდერნიზაციის იმ ძალებს, რომლებიც ესწრაფოდნენ ქვეყნის ამ უნიკალური ნიშნების მოდიფიცირებას ან აღმოფხვრას. საქართველო რუსულ კულტურაში პრივილეგირებული სტატუსით სარგებლობდა, თვით რუსული რომანტიზმის (1820-1840წწ) ზენიტის ხანაშიც კი. სალიტერატურო კანონთა ფუძემდებელმა ბესარიონ ბელინსკიმ კავკასია რუსული მუზების „აკვნად“ მონათლა (389). ამ დროიდან მოყოლებული, საქართველო ურიცხვ ჩრდილოელ მოგზაურთათვის ხდება *„ლოკუს*

ამოენუსი“, ანუ, საკანე რუსული მეტროპოლიის კლიმატისა და პოლიტიკური შეზღუდვებისაგან სულის მოსათქმელად. აქ სრულიად უშფოთველად თანაარსებობდნენ ეთნიკურად ჭრელი კულტურები, რითიც საქართველომ თითქმის მითიური სტატუსი მოიპოვა რუსულ აზროვნებაში. ამ სტატუსის ხელყოფა სიღრმისეულმა ცვლილებების მეოცე საუკუნემაც ვერ მოახერხა. ქართული მითი კიდევ უფრო განამტკიცა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე ჟამმა (1918-1921), როცა სხვადასხვა მოდერნისტული ტრადიციების მიმდევარმა რუსმა მხატვრებმა და პოეტებმა საქართველოს დედაქალაქ თბილისს მოაშურეს.

მომდევნო ათწლეულებში, საბჭოთა კულტურის პოლიტიკა კვლავ განამტკიცებს ქართულ მითს, რითაც საბჭოთა ხალხებს ახალი, „ძმური“ ურთიერთობების „ნიმუშს“ უჩვენებს და არაიმპერიალისტურ ზრახვებში არწმუნებს. ამ იდეოლოგიის სათანადო დასაფუძვლებისათვის საჭირო გახდა რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობების ასახვა ისეთი შეზღუდული სალიტერატურო თემების ჩარჩოებში, როგორიც იყო: სოციალიზმის მშენებლობა და საბჭოთა *ეროვნული პოლიტიკა*, რომლი გატარებაც 1920 წლიდან დაიწყო: „ყველაზე ექსტრავაგანტურ ზეიმთან ერთად, რაც კი რომელიმე სახელმწიფოს ოდესმე დაუფინანსებია“. თუმცა, ქართული მითის „ქორწინება“ ამ ახალ იდეოლოგიურ იმპერატივებთან, რბილად რომ ვთქვათ, უხერხული ალიანსი აღმოჩნდა, რომელშიც მაინც აისახებოდა მთლიანი კომპლექსური მემკვიდრეობა ლიტერატურული რომანტიზმისა და მოდერნიზმისა, მათივე ისტორიულ კონტექსტში, კოლონიალურ ექსპანსიასა და იმპერიული კოლაფსის ფონზე. რუსი პოეტისა და რომანისტის, ბორის პასტერნაკის მიერ საქართველოს „აღმოჩენა“ 1930 წელს ამ შემთხვევის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ. ესაა უპრეცენდენტო სოციალური ცვლილებების,

ინდუსტრიალიზაციის და კოლექტიური რეორგანიზაციის სტალინური პოლიტიკის ხანა; პასტერნაკის ურთიერთობები საქართველოსთან უწინარესად იმ სწრაფი ცვლილებებითა და სიახლეებით არის სამახსოერო, რაც პოეტის შემოქმედებამ და პირადმა ცხოვრებამ განიცადა. რუს პოეტსა და მის ქართველ თანამოკალმეებს შორის მეგობრობის ძაფები გაიბა; სიახლე არამარტო პასტერნაკის შემოქმედებას დაეტყო, არამედ მათ მჭიდრო თანამშრომლობაზეც აისახა: რუსულ ენაზე ქართული პოეზიის თარგმნა დაიწყო. პასტერნაკი განსაკუთრებით ტიციანთან მეგობრობდა, ახალშეძენილ ქართველ მეგობართან (1895-1937) ქართული პოეტური მოდერნიზმის მამასთან...

პოსტსტალინურ ეპოქაში მიღებული ინფორმაციით, პასტერნაკ-ტიციანისეული ურთიერთობები შემოქმედებითი ნიჭისა და პიროვნული ერთგულების გამოცდა გახლდათ, თუ გავიხსენებთ, რა დრო იდგა და რა შემაძრწუნებელი წნეხის მანქანა მოქმედებდა. ლიტერატურული ბიოგრაფიები კი ალმავალი სტალინიზმის სოციო-კულტურულ კონტექსტში ყალიბდებოდა...როგორც წესი, ისტორიული მონაცემები საკმაოდ ინფორმაციულია, იმის თაობაზე, თუ როგორ ეწინააღმდეგებოდნენ ცალკეული გენიალური შემოქმედები საბჭოთა სახელმწიფოს ულმობელ და არაპროგნოზირებად მანქანას. რუსულ-ქართული საკონტაქტო ზონის კროს-კულტურული პოეტიკა და ისტორიულად არსებული თუ იმ დროის ლიტერატურული დინამიურობა და კულტურული პოლიტიკა ტექსტუალურ, უკეთ კი ინტერტექსტუალურ შრეებად განფენას გულისხმობდა...

ტერმინი „ინტერტექსტუალური“შედარებით ახალია, ლიტერატურათმცოდნეობაში, მისი თეორიული საწყისი კი რუსულ ფორმალისტურ სკოლაში გვხვდება, მაგალითად, მიხეილ ბახტინის

დიალოგის ცნებაში, პაროდიის თეორეზებისას; ასევე გვხვდება სიკვდილის შემდგომ გამოქვეყნებულ სოსიურის შრომაში ანაგრამებზე, ხოლო თვით ტერმინი 1969 წელს ჯულია კრისტევამ დანერგა. შესაბამისად, კრისტევა ტერმინს „წყაროების კრიტიკის“ „ბანალური“ ცნების საპირისპირო განსაზღვრებას ანიჭებს, რათა აღნიშნოს ერთი ან მეტი ნიშანთა სისტემის სხვა სისტემაში ტრანსპოზიცია... ამას კი, თავის მხრივ, თხრობით-აზრობრივი და დენოტაციური პოზიციების ახლებური განმარტება სჭირდება... კრისტევა ეხება ორ ისეთ ურთიერთგანსხვავებულ მნიშვნელობას, რაც ამ ტერმინს დაუკავშირეს; იგი უარყოფს ვიწრო მნიშვნელობის დეფინიციას, რაც აღნიშნავს „კონკრეტულ ტექსტში რაიმე, წინარე არსებული ტექსტების თანაარსებობის ინდივიდუალურ შემთხვევებს“. ეს კი ტექსტის გაგების არეალს აფართოებს. წინამდებარე კვლევა დიალოგის ინტერტექსტუალობის, როგორც „ფართო“, ისე „ვიწრო“ გაგებას მიმართავს, ტექსტში არსებული წინამორბედი ლიტერატურული გარემოებების როგორც ღია, ისე ფარული არსებობის გაშუქება მხოლოდ აკადემიური სავარჯიშო როდია. ფილოლოგიური თვალსაზრისით, მას შეუძლია დაადასტუროს ფართო დისკურსული ფორმაციებისა და კულტურული ტრადიციების ტრანსპოზიციაც და სახეცვლილებებიც (ამ შემთხვევაში რუსული, ქართული და საბჭოთა) სუპრაეროვნული ლიტერატურული ტენდენციებიც (რომანტიზმი, მოდერნიზმი, სოცრეალიზმი...) და თვით პოლიტიკური პროექტებიც (მაგალითად, იმპერიის ან საბჭოთა სოცრეალიზმის) სპატიო-ტემპორალურ თუ თვით ლინგვისტური საზღვრების მიღმა. მიუხედავად საბჭოთა კულტურისათვის დამახასიათებელი „გამაერთმთლიანებელი“ ტენდენციებისა, საინტერესოა, რა ზეგავლენას ახდენს კროს-კულტურული განსხვავებები ინტერტექსტების ფუნქციონირებაზე; კერძოდ, გულისხმობს თუ არა ინტერტექსტუალურობა ჰომოლოგურ სტრუქტურებს? ტოპოროვის, ცნობილი სემიოტიკოსის განცხადება

შეიძლება გამოგვადგეს რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული მოსაზრების მკაფიო ფორმულირებისათვის: „თუ ემპირიულ სიბრტყეზე ინტერტექსტუალურობის კვლევის ცნების ვიწრო გაგება განმარტავს „მსგავსებას“ და მსგავსების დოზას, მაშინ თეორიულ სიბრტყეზე „ინტერტექსტოლოგის“ უპირველესი ამოცანაა იმ ნიშანთა ტიპოლოგიის დადგენა, რითიც სხვადასხვა ტიპის მსგავსება მიიღწევა, მანვე უნდა გამოკვეთოს, „მსგავსის“ ფუნქციები მხატვრულ ტექსტებში. ი. სმირნოვი ინტერტექსტუალური კვლევის წინასწარი „დეიდეოლგიზაციისა“ და „მაქსიმალურად აბსტრაჰირებული ინტერტექსტუალური ლოგიკის კონსტრუირების“ მომხრეა მხატვრული ტექსტების, ხელოვნებისა თუ სხვა, მონათესავე დისკურსების ანალიზისას. გერმანელი სლავისტი რენატ ლეჰმანი კი ფრიად გამჭრიახად შენიშნავს, რომ რუსულმა აკმეიზმის პოეტურმა სკოლამ (ანა ახმატოვა, იოსებ მანდელშტამი) საკუთარი უნივერსალიზების უნარის მქონე კულტურის ფილოსოფიით წინ გაუსწრო საბჭოთა სემიოტიკურ სკოლას, მათი მოსაზრებები მეხსიერების არსებითი როლის შესახებ ინტერტექსტუალური მიმართებების სპეციფიკური მოდელის საფუძველია. ლეჰმანი ამ მოდელს უწოდებს „მონაწილეობის“ მოდელს და მას მიაწერს „მხატვრულ ტექსტში დიალოგური ფორმით აზრთა გაზიარებას კულტურათა შორის, რაც წარსულის განზოგადებულ და მოწიწებულ ხედვას ნიშნავს. თუმცა, ინტერტექსტუალურობის ცნება არ უნდა შეიკვეცოს მხოლოდ „მონაწილეობის“ გაგებით. ლეჰმანი ორ სხვა მოდუსს გვთავაზობს ინტერტექსტუალურობის გაგებისათვის: *ტროპს,* რომელიც მოითხოვს „წინამორბედი ტექსტისაგან გადახვევას“ და *ტრანსფორმაციას,* რომელიც სხვა ტექსტების მისაკუთრებას გულისხმობს, ანუ „უზურპატორული კონტროლის დაწესებას მათზე“ (17). ეს დამატებითი მოდუსები არ ეხება „არც ლიტერატურული ტრადიციების ხელუხლებელი სამყაროს შეთხზვას, არც უსამნო

ერუდიციის დემონსტრირებას, რაც ტექსტებში ციტირების სახით არის ხოლმე მოხმობილი", არამედ „სემანტიკურ „აფეთქებას", რაც თან სდევს ტექსტების კოლიზიას; სხვა სიტყვებით კი, თან სდევს ესთეტიკური და სემანტიკური სხვადასხვაობების წარმოქმნას". წინამდებარე ნაშრომში ტრადიციული ფილოლოგიური ძიებისას უპირატესობა მიეანიჭეთ საუკუნის მიჯნაზე რჩეულ პოეტურ ტექსტთა შესწავლას, პოეტურ დისკურსში მონაწილეთა გაცნობას. ეს პოეტური ტექსტები ნათლად ასახავს კულტურათა ურთიერთშეწყმას და ურთიერთზეგავლენას, კოლიზიებსა და აზრის ახლებურ ფორმულირებებს... ანუ, როგორც ტოპოროვი მიუთითებს, ეს პოეტური ტექსტები ნაკლებადაა ჰომოლოგური. გამოწვლილვით განვიხილავთ, რა ემართებათ ლიტერატურულ ტრადიციებს, კულტურულ მოძრაობებს, პოლიტიკურ პროექტებს, როცა კულტურათშორის კონტაქტის ზონაში თანხვდებიან (შულცე-ინგლერი). მაშასადამე, შეგვიძლია ისეთი ცნებაც ვახსენოთ, როგორიც კონტაქტის ზონის ინტერტექსტია. ამ შემთხვევაში, ორ ენაზე: ქართულად და რუსულად შესრულებული ტექსტები წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო ინტერტექსტებს: ინტერტექსტუალურობა კონტაქტის ზონაში ხომ ის მჭიდრო ქსელია, რომელშიც ორენოვანი ტექსტები ერთმანეთს „ეფინება" და ურთიერთს გამსჭვალავს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ინტერტექსტები ევრაზიული კულტურათშორისი ფენომენია და მდიდარი იმპლიკაციებს შეიცავს რომანტიზმის, მოდერნიზისა და საბჭოთა ლიტერატურის გასაგებად, დღემდე ცოტა რამ თუ არის ცნობილი მათ შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლებამ პასტერნაკს 1945 წელს დაავალა ეთარგმნა ბარათაშვილის შემოქმედება. პასტერნაკს უკვე ჰქონდა ქართული ლექსის თარგმნის გამოცდილება, ტიციან ტაბიძის პოეზიის

დიდი წილი სწორედ მან თარგმნა რუსულ ენაზე; 27 წლის განმავლობაში პასტერნაკმა ტიციანის 17 ლექსი თარგმნა. სამი ლექსი 1932-33 წლებში, ორი - 1934 წელს, ოცი კი 1956-59 წლებში. ქართველი პოეტების თარგმნა პასტერნაკმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო, მას ცალკე წიგნად უნდოდა გამოეცა ქართული ლექსების რუსულენოვანი ვერსია.

თავად ტიციანი მოწონებით აღნიშნავდა, რომ მისი ლექსები სემანტიკურად ზუსტად იყო თარგმნილი; "თითქმის ყველა ხატი და სიტყვათწყობა შენარჩუნებულია, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ და რუსულ ლექსში მეტრი განსხვავებულია; რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არამარტო ლექსის ხატებია ასახული თარგმანში, არამედ ლექსის მელოდიკაც. გასაოცარია, როგორ შეძლო ამის მიღწევა ქართულის სწავლის გარეშე," წერდა ტიციანი (ტაბიძე, *პასტერნაკის წიგნზე,* სტატიები, 133). გასაკვირია, მაგრამ ტიციანისაგან განსხვავებით, რუსი კრიტიკოსი კ. ლ. ზელინსკი პასტერნაკს საყვედურობს და მიუთითებს, რომ მის თარგმანებში ქართველი ავტორის ინდივიდუალობაა ამოშლილი. (PSS 5. 728). ჰ. რეჹს დამოწმებული აქვს გ. ლომიძის კრიტიკული მოსაზრება, რომ, ტიციანის ლექსების პასტერნაკისეული თარგმანები დედანს აშკარად დაშორებულია."თარგმანში გარდასახულია ლექსიკა, გამოტოვებულია ავტორის სტრიქონები, ტექსტი არასწორადაა გაგებული, ტიციანის გასაგებად და უშუალო მანერით გადმოცემულ ხატებს თარგმანში ჩაენაცვლა ბუნდოვანი და ორაზროვანი მინიშნებები" (ლომიძე, 279). ლომიძე უპირატესობას ტიხონოვის მიერ შესრულებულ თარგმანებს ანიჭებს.

1937 წლის შემოდგომაზე ტიციანის დაპატიმრებამ ოცი წლით შეაფერხა მისი შემოქმედების არამარტო გამოცემა, არამედ განხილვაც

კი. ამ პერიოდის საზოგადოებრივი აზრიც და პოეტისა და მთარგმნელის პირადი მიმოწერაც ცხადყოფს იმ უზარმაზარ იდეოლოგიურ პერმუტაციას და სტალინის ეპოქისთვის დამახასიათებელ დაძაბულობასა და ტერორს, რომლის ზეგავლენაც სფეროს წამყვან ფიგურებს მბრძანებლური ტონით კარნახობდა როგორც შემოქმედებით, ისე კრიტიკულ მიმართულებებს. თვითგადარჩენისა და საბჭოთა სისტემაში საკუთარი ადგილისათვის სასოწარკვეთილი ბრძოლის, პირადი ერთგულების მტკიცების პირობებში არავის ეცალა პასტერნაკის ქართულიდან თარგმნილი ლექსების პოეტიკა კრიტიკულად შეეფასებინა. თუმცა, შეფასების დროც დადგა: "საყოველთაო აღიარება, თითქოს პასტერნაკი თარგმნილი პოეტის გენიას გადმოგვცემს, გაქარწყლდა: მის თარგმანებში სხვისი პოეზია გადამუშავებულია, პოეტის აზრი სადავო, თავად პოეტი კი უარყოფილი", წერს მთარგმნელი და ლიტერატორი დ. რეიფილდი.

ეს შეფასება ცხადყოფს პასტერნაკის მთარგმნელობით ტენდენციას, ექსტრავაგანტული ემოციით გადმოსცეს სხვა პოეტის შემოქმედება, თუმცა ამის მიღმა ვერ იმალება ის ათასგვარი ტრანსფორმაცია, იდეოლოგიური აქცენტების გადანაცვლება და გამოტოვებები, რასაც იგი თითოეულ თარგმანში ერთდროულად მიმართავს.

მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე	иду со стороны черкесской
ჩამომრჩა უკან მე ჩერქეზეთი, ვუახლოვდები ჩვენსკენ დარიალს, დამშრალი თერგი ერთი წვეთია,	Иду со стороны черкесской По обмелевшему ущелью. Неистовей морского плеска Сухого Терека веселье.

მაგრამ ზღვასავით გულზე გადიარს.	Перевернувшееся небо
წამექცა თავზე ცა გარღვეული,	Подпёрто льдами на Казбеке,
და ცაზე კიდევ სხვა მყინვარის ცა,	И рёв во весь отвес расщепа,
და დარიალით გადარეული	И скал слезящиеся веки.
თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს.	Я знаю, от кого ты мчишься.
და გადავყურებ ალმას უფსკრულებს,	Погони топот всё звончее.
კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს,	Плетями вздувшиеся мышцы.
ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს	Аркан заржавленный на шее.
და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდეს.	Нет троп от демона и рока.
ვიცი, მომელის მაინც ეს ბედი,	Любовь, мне это по заслугам.
და ისიც ვიცი ჩემზე ახია,	Я не болтливая сорока,
ძვირფასო, არ ვარ, იცოდე, ყბედი,	Чтоб тешиться твоим испугом.
ან თავის მოკვლა რა ტრაბახია.	Ты — женщина, а кто из женщин
მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით	Не верит: трезвость не обманет,
ამ თვალუწვდენი ხრამების ფსკერი,	Но будто б был я с ней обвенчан —
ვიცი, ქალი ხარ, ყველა ქალივით	Меня так эта пропасть тянет.
ვიცი, ამასაც ეჭვით უცქერი.	Хочу, чтоб знал отвагу Мцыри,
	Терзая барса страшной

მინდა, რომ ვიყო მწირი გულადი, საშინელ ღამეს ვეფხვი რომ დაბღვენა, ვარ აესებული შენით გულამდე და მოვარდნილი ცრემლების წარღვნა. მინდა მოვიფრთხნა ამ შარაგზაზე, მინდა გავიხსნა გული ალალი, მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე, შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი.	ночью, И для тебя лишь сердце ширю И переполненные очи. Свалиться замертво в горах бы, Нагим до самой сердцевины. Меня убили за Арагвой, Ты в этой смерти неповинна. <Сентябрь 1926>

ტიციანის ლექსი მოგვითხრობს ლირიკულ გმირის მოგზაურობას სამხრეთკავკასიიდან საქართველოსკენ. ლექსში მდიდარია ლიტერატურული და ისტორიული სიმბოლოებით, მათგანი ზოგიერთი საკმაოდ ექსპლიციტურია; აღწერილია მითიური პეიზაჟი, რომელშიც გმირი სიკვდილს მიესწრაფვის. ამ მისწრაფებისა და სიკვდილის სხვადასხვა სცენარის წარმოსახვის გამო, ლექსი ოდნავ მაზოხისტურად და დეპრესიულად ჟღერს, გმირის თვითშებრალება და თავის დადანაშაულება რომანტიულ ლანდშაფტზე აღბეჭდილა. დარიალის ხეობა, კავკასიის მთები და ქედები, ალპური მდინარეები, მაგრამ ეს ყოველივე აზრსა და ტრადიციულ საზრისს კარგავს, რადგან, წყალუხვი თერგი დამშრალა და აღარ მიედინება ჩრდილო-აღმოსავლეთით, კასპიის ზღვისკენ, ხოლო მთის წვერს ცა გაურღვევია, რომელიც თითქოს პოეტს უპირებს დანთქმას

(წამექცა თავზე ცა გარღვეული), ეს ინვერსიები მიგვანიშნებს თავდაყირა მდგარ სამყაროზე, რომელიც პოეტს ართმევს პეიზაჟით ტკბობის უფლებას; გარე სამყარო მის შინაგან სამყაროში გადანაცვლებულა, თვალზე ცრემლი სდის, რომელიც მდინარისთვის „მოუპარავს", მდინარე კი დამშრალა. თავდაყირა დანახული ცა კი უფსკრულს დამსგავსებია, მასში მაცქერალი პოეტი კი საბოლოოდ მასში განიმქრება. თავად ლექსი პოეტის მონოლოგია საყვარელ ქალთან, რომელიც ვერ იჯერებს მის გამოცხადებულ თეიმკვლელობას, მაგრამ გმირი აქაც მართალი რჩება მის წინაშე, რადგან მისი სურვილი კი აღსრულდა, მაგრამ საბოლოოდ ყაჩაღებს ემსხვერპლა.

ტიციანის ლექსი ქართული და რუსული, ფოლკლორული და ლიტერატურული ინტერტექსტებითაა მდიდარი; ისინი ურთიერთშერწყმულია და უერთიერთშეხმიანებული. ლექსის დანარჩენი ნარატული ელემენტები ფოლკლორიდან, ან კლასიკური ქართული წყაროებიდან მომდინარეობს, ან გასულ ორ საუკუნეში შექმნილი რუსული და ქართული ტექსტებიდან, მათ კი, თავის მხრივ ზემოქმედება იქონიეს და შეცვალეს ლექსის ფოლკლორული საფუძვლები. გმირი თავდაპირველად თავს ამირანთან აიგივებს, ირანო-კავკასიურ ფოლკლორში (ციტ. მ. ჩიქოვანი, 225) ლეგენდარული, პრომეთეს მსგავსად ბოროტებასთან მორკინალი ამირანი ღმერთკაცია, იგი ეურჩება ღმერთების ნებას და ისჯება რკინის ხუნდებით (და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდეს). შემდეგი პროტაგონისტი ვეფხვებთან ღამით მეომარი მოყმეა (The Young Man and the Leopard:, see Tuite 36-41); ვისთანაც გმირი თავს აიგივებს. ლექსში მოხმობილი თავდაპირველი ეპიკური და ფოლკლორული წყაროები წარმოაჩენს წარსულ საგმირო შემართებასა და მეომრულ ღირსებას, თუმცა მათში არ ჩანს ფსიქოლოგიური განწყობის ნიუანსი. ტიციანის ლექსში კი ვაჟკაცობას, გმირობას და ფოლკლორული ტრადიციას ჩანაცვლებია

სიკვდილზე ფიქრი, სასოწარკვეთა, უსამართლო ბედისადმი მორჩილება. მიუხედავად იმისა, რომ ლექსში ეროვნულობის თემა უაღრესად ალეგორიულია, მისი ტოპოგრაფიკა ეფუძნება გასულ ორსაუკუნოვან კონფრონტაციას ქართველებს, რუსებსა და ჩრდილოეთკავკასიის მთიელებს შორის. ტექსტის ფსიქოლოგიური და გეოგრაფიული გეზი ლექსს ფოლკლორულ საფუძველს აცლის; ლექსი თითქოს თანამედროვეობის განზომილებაში ინაცვლებს; ეს აზრი კიდევ უფრო მყარდება უფრო თანამედროვე, მეთვრამეტე საუკუნის, ისევე როგორც რომანტიზმის ეპოქის რუსულ-ქართული ლიტერატურული ტექსტებიდან მოყვანილი ალუზიებით.

ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალსაჩინოა ინტერტექსტები ლერმონტოვის საქართველოს თემაზე შექმნილი ორი პოემიდან „მწირიდან“ და დემონიდან. „მწირის“ ეპონიმური გმირი, რუსების მიერ ბავშვობაში მოტაცებული და ბერად აღკვეცილი ჩრდილოკავკასიელი მთიელია, იგი ქართული მართლმადიდებლური მონასტრის საკნიდან გარბის, მისი სული მაინც თავისუფლებასა და ბუნებრივ გარემოში ცხოვრებას მიელტვის; წინ გადაყრილ ვეფხვთან შებრძოლება მის ველურ, ცივილიზაციამდელ ხასიათზე მიგვანიშნებს, რასაც ლერმონტოვი ხოტბას ასხამს, როგორც განსაცვიფრებელ მცდელობას, გაუძალიანდეს ცივილიზაციის შემოჭრას. ლერმონტოვის პოემა ქმნის დრამატულ, შემოსაზღერულ გეოპოლიტიკურ და კულტურულ სამყაროს, რომელიც ერთის მხრივ რუსულ ცივილიზაციასთან მებრძოლი ჩრდილოკავკასიელი მთიელების საომარი მოედანია. მეორეს მხრივ, მართლმადიდებლური მონასტერი ბედს შეგუებული ქართველების სიმბოლოა, რომლებიც ორი პოლუსის: კავკასიური ველურობისა და რუსული თანამედროვეობის მოსარიგებლად შუამავლობენ.

ეს სამგანზომილებიანი სტრუქტურა ლოგიკურად განაპირობებს ტიციანის ქართველი გმირის უმწეობას. ბერად

აღკვეცილი მთიელისაგან განსხვავებით, რომელიც საკუთარ ხვედრს ებრძვის, ტიციანის ლირიკული გმირი ნატრობს სიკვდილს, უფრო ცრემლის ღერა ეხერხება, ვიდრე სისხლის; პასიურობისა და უნებისყოფობის გამო, მას ვერც რომანტიულ მეამბოხედ აღვიქვამთ, ვერც ფოლკლორულ გმირად. ამ თვალსაზრისით, ტიციანისთვის უცხოა რომანტიზმი, როგორც ლერმონტოვისეული, ისე ლექსში ალუზიად მოყვანილი საგმირო ეპოსისთვის დამახასიათებელი. ტიციანის ლექსში ისეც სუსტად გამოხატული მოდერნიზმი მას აშორებს რომანტიკოსებს; ეს კიდევ უფრო ცხადად ჩანს ლერმონტოვის მეორე ნაწარმოების, „დემონის“ ალუზიით. საქართველოს ტემაზე შექმნილი ეს პოემა, შეიძლება ითქვას, რუსულ-ქართული ურთიერთობების ალეგორიაა, ბედნავს მეფის ასულ თამარას დემონი აცდუნებს, რუსული შფოთიანი რომანტიკული სულის გამოვლინება. დემონი ამირანის ლეგენდის ფოლკლორულ დეეს ენაცვლება. პასტერნაკი აღნიშნავდა, რომ ლერმონტოვის დემონი მაკაშირებელი ტექსტია, რადგან მასში ერთმანეთს შეერწყა ირანული ფოლკლორი და ევროპული ქრისტიანული ტრადიცია, ხოლო ქართულმა ლეგენდამ დასაბამი დაუდო რუსულ რომანტიკულ ტექსტებში პიროვნული თავისუფლებისკენ ლტოლვის თემას. როგორც „ლერმონტოვმა აიღო თემა საქართველოდან“, წერს პასტერნაკი, ასე „განმანათლებლობის ეპოქის ქართული ლიტერატურაც რუსული გახდა“ (PSS 5. 730; ჰ. რემის ხაზგასმა) „დემონის“ გაელენით. პასტერნაკის მიერ ჩამოყალიბებული ეს მოსაზრება გვიჩვენებს, რომ „დემონის“ შექმნისა და კულტურათშორისი დამკვიდრების ისტორია მხოლოდ ერთ-ერთია იმ აპროპრიაციული დამოკიდებულებიდან, რაც საქართველომ განიცადა რუსეთისაგან, როგორც მთავარი დამკვეთისა და მესაკუთრისგან. ლერმონტოვის „დემონი“ კიდევ უფრო ამძაფრებს იმ უთანასწორობას, რაც ნაგულისხმევია რუსულ-ქართულ ურთიერთობაში.

ტიციანის ლექსში ლერმონტოვის ტექსტის არაერთი შეხსენებაა: თვით ფაბულა, ტოპოგრაფია, აღწერილობითი ელემენტებიც კი მაგალითად მეორე და მესამე სტროფებში მოხმობილი თავს დაქცეული ცა და ალმასისებრი უფსკრული „დემონიდანაა“. ტიციანის ლირიკული გმირი რამდენიმე ფიგურის ერთობლივი ხატია: პრომეთე-ამირანი, პუშკინის „კავკასიის ტყვე“ და ბოლოს, თამარას უმწეო საქმრო, უფლისწული სინოდალი, ლერმონტოვის „დემონის“ ეპიზოდური გმირი. მას დემონი შთააგონებს სატრფოს მონატრებას, გზად კი, მდინარე არაგვის ნაპირთან, ოს ყაჩაღებს ჩაუსაფრებს. გარდაცვლილი სინოდალი საკუთარი ქორწილის ლხინში ცხენს მიჰყავს. სწორედ ეს ეპიზოდია მოხმობილი ტიციანის ლექსში, თუმცა, გარკვეულწილი სახეცვლილებით: ტიციანის ლირიკული გმირი, სინოდალისაგან განსხვავებით, არც ყაჩაღებს და არც სვებედს არ ებრძვის, იგი მორჩილად ეგებება სიკვდილს, როგორც გარდაუვალ ხვედრს. რონალდ სანი წერს, რომ რუსულმა რომანტიზმმა არსებითად ფემინიზებული საქართველოს ხატი შექმნა. ამასვე ადასტურებენ სხვა მკვლევარებიც: „იმპერიის მშენებელი ძლიერი რუსი მამაკაცების ფონზე სრულიად საპირისპიროდ, უსუსურად და უუნაროდ s არიან წარმოჩენილი ქრისტიანი ქართველი მამაკაცები“ (როგორ ყალიბდებოდა ქართველი ერი, 46, ციტ. ლეიტონი, 192-211). ტიციანის უაღრესად ორიგინალური პასუხი ლერმონტოვისადმი, ისევე როგორც მომდევნო პლეადის ავტორებისადმი, გახლავთ ის, რომ მათი საერთო რაკურსიდან - თამარასა და დემონის ურთიერთობებიდან გამოსვლაა საჭირო, რათა დაინახო მოკლული ქართველი უფლისწული, პერსონაჟი, რომელიც სრულიად მარგინალურია რუსული ტრადიციაში. ტიციანი საკუთარ პერსონაჟს ანიჭებს ხმას, მაგრამ არ აძლევს სამოქმედო ასპარეზს: ის საუბრობს, მაგრამ არ იბრძვის და კვდება ისტორიული მეტოქის, კავკასიელი მთიელის ხელით. მისი ბედი

არამარტო ტიციანისთვის დამახასიათებელ თვითგანადგურების დრამას გვიხატავს, არამედ საქართველოს ეროვნული მარცხისაც.

როგორ გაართვა პასტერნაკმა თავი ქართულ რუსული ალუზიებით ესოდენ მდიდარ ლექსს? დონალდ რეიფილდმა ისიც კი განაცხადა, რომ ტიციანის ლექსში „პასტერნაკმა საკუთარი თავი აღმოაჩინა". რეიფილდმა პასტერნაკის პოეზიისათვის ტიპური არაერთი ტროპის ციტატა მოიყვანა: „ცისა და მიწის შერწყმა, მდინარის წყალი და ცრემლები", რათა ხაზი გაესვა ამ პასტერნაკის საკუთარი ლექსსა და თარგმანს შორის მსგავსებისათვის. პასტერნაკმა თარგმნილი ლექსი საკმაოდ გადაასხვაფერა, ლექსის პირველიეე სტროფში სიტყვა „ჩვენსკენ" ჩანაცვლებულია ზედსართავით „წყალმარჩხი", რომელიც, ალბათ ზედმეტად ამძაფრებს დამშრალი მდინარის ხატს. ამ ჩანაცვლებით, დარღვეულია ლექსის მთლიანი ორიენტაცია, შემსუბუქებულად არის გადმოცემული საქართველოს ისტორიული დაპირისპირება ჩრდილოეთ კავკასიასთან, მთასა თუ ბარში, „მხიარული" თერგიც ის ხატია, რომელსაც მთარგმნელი გვთავაზობს, დედნის ცრემლნარევი კონტექსტისთვის კი სრულიად შეუსაბამოა. მთარგმნელი აშკარად დასესხებია პუშკინის ლირიკულ ლექსს, „კავკასია" (1929), იმდენად, რომ რითმაც კი ერთნაირია [I nishchii naezdnik taitsia v ushel'e / Gde Terek igraet v svirepom vesel'e,] პუშკინი, 1.266). პუშკინი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თავს მესამე სტროფში: მთარგმნელს შემოაქვს კონცეპტი - არკანი - იგივე ლასო, ან ყულფი, ავტორი კი ამბობს, რომ ყელზე რკინის ბაწარი მოსდეს. პუშკინის პოემის „კავკასიის ტყვის" პირველიეე სტრიქონებში სწორედ არკანი არის ხსენებული [On bistro na arkane/Mladogo plennika vlachil], პუშკინი, 3.89). პასტერნაკის პუშკინიზმები მთლიანად არღვევს ლექსის სიმბოლური გეოგრაფიას: პუშკინისათვის ჩრდილო კავკასიელი ყაჩაღი და მდინარე თერგი თავისუფლების სიმბოლოები

არიან და ასახავენ რუსეთის დამპყრობლობის წინააღმდეგ ღირსეულ ამხედრებასა და ამაოდ დამაშვრალობას. საქრათველოსთვის, ტრადიციულად, ისინი კულტურულად განსხვავებულ, საფრთხესთან და ძალადობასთან გაიგივებულ ხალხს წარმოადგენს. სწორედ ისინი თარეშობენ საქართველოსა და მისი ალპური მთიანეთის ათასგვარი საშიშროებით სავსე სამეზობლო და საკონტაქტო ზონაში და სიმბოლურად წარმოადგენენ კიდეც მისთვისაც არანაკლებ საფრთხეს, ვიდრე რუსეთისთვის. ტიციანის მიერ ხაზგასმული საფრთხეები პასტერნაკთან გამქრალა, ხოლო ლირიკული გმირის მკვლელების ვინაობა ანონიმურად რჩება. მთარგმნელს სიტყვა „ყაჩაღიც“ კი არ გადაუტანია, უდავოა, ეს საბჭოთა „ხალხებს შორის ძმური ურთიერთობის“ იმპერატივის გამო მოხდა:

მეორე სტრიქონში, თუმცა უფრო შეპარვით, მაგრამ გრძელდება ტიციანისეული სახეების ამოკაფვა, რაც ესოდენ სახასიათო ლირიკულ გმირს ქმნის; უშუალო თხრობას სიმბოლური კორელაციები ენაცვლება, თითქოს ეს საკმარისი პოეტურობით გადმოსცემდეს სათქმელს. მესამე სტროფში კიდევ უფრო სერიოზული გადახვევაა დედნიდან: მთარგმნელს დემონის დაკუნთული ფიზიონომია შეუნარჩუნებია, რაც, უდავოდ, მასაც და ავტორსაც, დემონის თემაზე მიხეილ ერუბელის დიდებული სურათების ზეგავლენით აქვთ აღწერილი, თუმცა, პირველ და მეორე პირის აღრევა შინაარსობრივ ბუნდოვანებას, მეტიც, დარღვევას იწვევს: ტიციანის გმირი ამბობს: „კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს“, ხოლო პასტერნაკი თარგმნის: «Я знаю, от кого ты мчишься», ამდენად, თუ ტიციანთან გმირს დასდევნებია დემონი, რუსულენოვანი თარგმანის მკითხველს მცდარი წარმოდგენა ექმნება, თითქოსდა დემონი გმირის სატრფოს მისდევს. ეს მძიმე მთარგმნელობითი შეცდომა დამახასიათებელია პასტერნაკის მიერ თარგმნილი ტიციანის ლექსებისათვის. კიდევ ერთი სტრიქონი:

„ან თაეის მოკვლა რა ტრაბახია“ რუსულად თარგმნილია როგორც «Чтоб тешиться твоим испугом», ამდენად, სრულიად არ ჩანს პოეტის ფიქრები თვითმკვლელობაზე; უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფიქრის მდინარება გადანაცვლებულია და სატრფოს დასტრიალებს: რუსულ თარგმანში სწორედ სატრფოა შეშინებული, ოღონდ გაურკვეველია, თუ ვისი სიკვდილის ეშინია, თაეისი, თუ ლირიკული გმირის. მეზუთე სტროფში კვლავ ირღვევა ტიციანისეული ხატი, ტაბიძე წერს, რომ ქალი, თაეისი ბუნების გამო, ეჭვის თვალით უყურებს მას; პასტერნაკის ელიპტიკურ თარგმანში კი ვკითხულობთ: «Ты — женщина, а кто из женщин / Не верит: трезвость не обманет», ცხადია, რომ პასტერნაკი პოეტის შფოთვას საკუთარ თაეზე და უმწეობის გამძაფრებულ გრძნობას არასწორად გადმოგვცემს, მეტიც, ტიციანის პერსონაჟს რომანტიკული გმირიეით მიაწერს სატრფოზე ზრუნვას. დონალდ რეიფილდმა პასტერნაკის ინოვაციური თარგმანი შემდეგნაირად შეამკო: „ლექსის მხიარული ენერგეტიკა გაცილებით უფრო მკეირცხლია, ეიდრე გლადიატორის ელეგია, რომელიც ტიციანის განწყობას სრულად ასახაეს“.

რაოდენ მაღალმხატერულიც არ უნდა იყოს თარგმანი, თვითმკვლელობაზე დაწერილი ლექსის ესოდენ გაბუნდოვანება და სასოწარკვეთის შემსუბუქებულად გადმოცემა უმართებულოა. და თუ დიალოგის მეტაფორულ მნიშენელობასაც გავითვალისწინებთ, სატრფოს სახეს ორმაგი დატეირთეა აქვს, რადგან მასთან ქართეელი ერია გაიგივებული. მთარგმნელის მიერ დაშეებული შეცდომა ლექსის მთაეარი ალეგორიასაც გაბუნდოვანების რისკის წინაშე აყენებს. უსასოობა და საკუთარ თაეში დაეჭვება რასაკვირველია ტიციანის ლირიკული პერსონაჟის არსებითი თვისებებია. თუ მას ტიციანის ადრეულ შემოქმედებას შეეადარებთ, ეს ორი თვისება ბადებს აზრს, რომ პოეტი მიესწრაფეოდა რუსული და ევროპული ლიტერატურული

მოდელებისაგან გათავისუფლებას. ეს მგზნებარე სწრაფვა გავლენებისაგან გათავისუფლებისაკენ სიმბოლურია და საქართველოს ბედნავს ურთიერთობებსაც ასახავს ჰეგემონ მეზობელთან; ამ სიმბოლოს ნაწილია ლერმონტოვის „დემონის" ინტერტექსტიც ტიციანის ლექსში.. უნდა დავასკვნათ, რომ პასტერნაკის ნათარგმნი ტიციანის ლექსები შეიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა კომპრომისი, რეზისტენცია და ტრანსფორმაცია. ზოგიერთი ელემენტი შესაძლოა თარგმანში პოლიტიკის გამო გაჩნდა, ზოგიერთი კი რუსულ-ქართული კონტაქტის ზონის არცთუ მარტივი ისტორიის განმავლობაში წარმოქმნილი შთაბეჭდილებების გამო. პასტერნაკი, ტიციანივით, ცენზურის წნეხის გამო, ვალდებული იყო ავტორის მოდერნისტული ფაზა მიეჩქმალა.

ლიტერატორი და მკვლევარი, ბერკლის უნივერსიტეტის პროფესორი ჰარშა რემი, აფასებს რა პასტერნაკის მიერ ტიციან ტაბიძის თარგმანს, წერს: „პასტერნაკის, როგორც მთარგმნელის მეთოდი დიდი თავისუფლებით გამოირჩევა: როგორც მან ტიციანს 1933 წ. ოქტომბერს მიწერილ წერილში „გაუმხილა", რომელშიც ერთმანეთს ერწყმოდა თავმდაბლობა და სიამაყე, „დიდი მთარგმნელები გარკვეულწილად ძალადობას სჩადიან ორიგინალისადმი, მათ შორის ცუდსაც და კარგსაც. ჩემი, ალბათ, უფრო პირველ კატეგორიას მიეკუთვნება[59] ჰ. რემი, პასტერნაკის ტიციანისეული პოეზიის თარგმანის კრიტიკისას, ძირითადად აქცენტს აკეთებს თარგმანში პატრიოტული სულისკვეთების დაკარგვაზე, რაც ასევე პოსტკოლონიურ ტრანსლაციად განიხილება.

[59] Materialy 100: cf. also his 'Zametki perevodchika' [1943] *PSS* 5. 52.

აღსანიშნავია, რომ თუ ჰარშა რემი ლექსის რუსულ თარგმანს 2006 წელს აკრიტიკებს, ა. ბაქრაძის კრიტიკა კი ორმოცი წლით ადრე, 1966 წელს გაისმა:

> „რუსული თარგმანის ტავტოლოგია (**я пули жду, смерти не избегнуть, близок срок**) ტ. ტაბიძის სტრიქონებს ენერგიას უკარგავს. როცა ტიციანის სტრიქონებს კითხულობთ, თოფის გავარდნას ელით, ძრწოლა გიპყრობთ. რუსულ თარგმანში კი ცივი, სტატისტიკური ჩამოთვლაა, რაც ვერ იწვევს ემოციას, აღელვებას, საშინელის მოლოდინის გრძნობას. თუ ლექსს შინაგანი მუხტი, განწყობილებით ნათქვამი აზრი დავუკარგეთ, ეს უკვე აღარ არის თარგმანი. არ გვაცნობს იმ მწერალს, ვისაც ვთარგმნით. ტიციანის ლექსის ტემპერამენტი მისი აზრობრივი შინაარსის ნაწილია. რუსულ თარგმანში კი ეს ტემპერამენტი პირწმინდად დაკარგულია. ამით ლექსის ფორმაც და შინაარსიც გაღარიბებულია“, (ბაქრაძე, 2005: 290).

პასტერნაკს უთარგმნია ასევე ტიციან ტაბიძის "ლექსი მეწყერი":

თარგმანი:
Тициан Табидзе, перевод Б.Пастернака

«Не я пишу стихи. Они, как повесть, пишут
Меня, и жизни ход сопровождает их.
Что стих? Обвал снегов. Дохнет – и с места сдышит,
И заживо схоронит. Вот что стих.

Под ливнем лепестков родился я в апреле.

Дождями в дождь, белея, яблони цвели.
Как слёзы, лепестки дождями в дождь горели.
Как слёзы глаз моих они мне издали.

В них знак, что я умру. Но если взоры чьи-то
Случайно нападут на строчек этих след,
Замолвят без меня они в мою защиту,
А будет то поэт – так подтвердит поэт.

Да, скажет, был у нас такой несчастный малый,
Орпирских берегов большой оригинал.
Он припасал стихи, как сухари и сало,
И их, как провиант, с собой в дорогу брал.

И до того он был до самой смерти мучим
Красой грузинской речи и грузинским днём,
Что верностью обоим, самым лучшим,
Заграждена дорога к счастью в нём.

Не я пишу стихи. Они, как повесть, пишут
Меня, и жизни ход сопровождает их.
Что стих? Обвал снегов. Дохнёт – и с места сдышит,
И заживо схоронит. Вот что стих».

ამავე ლექსის ინგლისური ვარიანტი დაეძებნეთ სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის კომუნიკაციების დეპარტამენტის ბიულეტენში, რომელიც 1971 წლით თარიღდება:

BULLETIN
of the
CENTER FOR SOVIET & EAST-EUROPEAN STUDIES
IN THE PERFORMING ARTS

SCHOOL OF COMMUNICATIONS
CARBONDALE, ILLINOIS 62901, U.S.A.

SOUTHERN ILLINOIS UNIVERSITY
TEL.: 453-5174, Area Code 618

WINTER 1971

No. 5


THEATER AND DANCE TOUR TO THE USSR
Summer 1971

Spend nine weeks attending theatrical and dance productions, rehearsals, and dance and theater schools in various centers in the USSR. The tour will cover the following

following poem by the young Soviet poetess, Yunna Moritz (now) and the poem by Bulat Okudzava "Grant Us Protect Us Poets."

Here, as far as I know, is the first translation into English of Yevtushenko's now classic poem "The Poets Avalanche" which was also translated beautifully and faithfully into





THEATER AND DANCE TOUR TO THE USSR
Summer 1971

Spend nine weeks attending theatrical and dance productions, rehearsals, and dance and theater schools in various centers in the USSR. The tour will cover the following cities: Leningrad; Tallin, Esthonia; Kiev, Ukraine; Baku, Azerbaijan; Yerevan, Armenia; Tbilisi, Georgia; and Moscow. The aim will be to see the lesser known national minority theaters and dance groups in the Soviet Union. Returning back through Europe, there will be brief stays in Bucharest and Belgrade. The tour is from June 21 to August 28 and the cost is approximately $1,300. Details of the itinerary and applications are available at the Center. Tour Director–Herbert Marshall.

THE POETS OF THE NATIONAL MINORITIES OF USSR

Through the years many friends and colleagues have complained that in the English-speaking world the over-

following poem by the young Soviet poetess, Yunna Morrits shows and the poem by Bulat Okudjava "Guard and Protect Us Poets."

Here, as far as I know, is the first translation into English of Tabidze's now classic poem "The Poem Avalanche" which was also translated beautifully and faithfully into Russian by Pasternak.


I am firstly indebted to Joseph Noneshvili, who painstakingly went over the poem in its original and explained it to me in Russian.

I am also indebted to my friend Professor David Lang, Reader in Caucasian Studies at the London School of Oriental Languages, for introducing me to two pupils of his, Mr. George Sasoon and Miss Eliz Fuller who have helped me to check the accuracy of my translation and its transliteration.

I give it here in its original language, in its transliterated form, with a literal translation and my final translation.

ეს ისტორიული დოკუმენტი მოიცავს ცნობებს, რომ სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის კომუნიკაციების დეპარტამენტთან არსებული საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ხელოვნების კვლევების ცენტრის დირექტორის, ჰერბერტ მარშალის თაოსნობით, მკვლევრები აღმოსავლეთ ევროპაში, კერძოდ საბჭოთა კავშირში, ლენინგრადში, ტალინში, კიევში, ბაქოში, ერევანში, თბილისსა და მოსკოვში იმყოფებოდნენ ეროვნული თეატრალური და ქორეოგრაფიული მიღწევების გასაცნობად; ამ ტურნეს მიზანი იყო საბჭოთა კავშირის

ნაკლებად ცნობილი ეროვნული უმცირესობების კულტურის გაცნობა; ტურნეს დასასრულს, ამერიკელი მეცნიერები ბუქარესტსა და ბელგრადში გეგმავდნენ მცირე ხნით გაჩერებას. ამ მოგზაურობის ხანგრძლივობა სულ ცხრა კვირა იყო, 21 ივნისი-28 აგვისტოს განმავლობაში, ხოლო ღირებულება სულ რაღაც 1300 აშს. დოლარი. მარშალი წერს, რომ ტურნე მისი მეგობრებისა და კოლეგების მოთხოვნის კვალდაკვალ დაგეგმა. ინგლისურენოვან სამყაროს მხოლოდ რუსულენოვანი ავტორების შემოქმედების წაკითხვის შესაძლებლობა ეძლევათ, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის 50% შედგება ეროვნული უმცირესობებისაგან, რომლებსაც საკუთარი ენა და კულტურა აქვთ. ჩვენი ცენტრი ეცდება ამ ნაკლოვანების აღმოფხვრას....საქართველოში, ცნობილმა პოეტებმა, ირაკლი აბაშიძემ და იოსებ ნონეშვილმა მთხოვეს ქართული პოეზიაც მეთარგმნა! რაც გავაკეთე კიდეც, დავასრულე აბაშიძის "პალესტინა, პალესტინა", რომელიც მას მე-12 საუკუნის ქართველი ბარდის, შოთა რუსთაველის შესახებ დაუწერია. ასევე ვთარგმნე იოსებ ნონეშვილი და ტაბიძე. ტაბიძეს ქართველ მაიაკოვსკად იცნობენ. ის და მისი ახლო მეგობარი, პაოლო იაშვილი სტალინის ეპოქას ემსხვერპლნენ, პირველი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მეორემ თავი მოიკლა.



Our Center will try, in a modest way, to redress the balance. We shall be interested in hearing from anyone who can translate or has translations from any of the languages of the National Minorities of the USSR. Particularly poetry and plays.

In response to the promptings of Mikola Bazhan, one of the leading poets of the Ukraine, I translated from the Ukrainian a large number of poems from KOBZAR by Taras Shevchenko for the UNESCO centenary of that bard. It was published in the centenary volume "TARAS SHEVCHENKO - SELECTED WORKS" by Progress Publishing House, Moscow in 1964. At the same time my wife made a 1¼ life-size statue of Shevchenko for his Museum in Kiev.

Then, Irakli Abashidze and Joseph Noneshvili, leading poets of Georgia, asked me to tackle Georgian! Well, I did, and have completed 'PALESTINA, PALESTINA' by Abashidze, a modern epic on the 12th century Bard of Georgia, Shota Rustaveli, as well as poems by Noneshvili and Tabidze.

Tabidze was known as the Mayakovsky of Georgia, he and his close friend and poet Paolo Yashvili were both innocent victims of The Stalinist Period, the first was executed and the second afterwards committed suicide.

ტიციანის ლექსის ინგლისური თარგმანი სამხრეთ ილინოისის უნივერსიტეტის არქივებში

ეპრენბურგი წერს, რომ ბევრ რუს პოეტს უყვარდა ტიციანი და პაოლო, ესენინს, პასტერნაკს, ტიხონოვს, ზაბოლოცკის, ანტოლკოვსკის (First Years of Revolution", p. 117, McGibbon &Kee, 1962) და ეს სიყვარული კვლავ გრძელდება, რასაც გვიჩვენებს ახალგაზრდა საბჭოთა პოეტესას, იუნა მორიცის თარგმნილი ბულატ ოკუჯავას ლექსი ("Guard and Protect Us Poets"). „მე კი, რამდენადაც ვიცი, პირველად ვთარგმნე ინგლისურად ტიციანის უკვე კლასიკად ქცეული "ლექსი მეწყერი", რომელიც ასევე მშვენივრად და ერთგულად უთარგმნია რუსულად პასტერნაკს. მე დავალებული ვარ იოსებ ნონეშვილისაგან, რომელმაც შრომატევადი საქმე გასწია და ლექსის


დედნისეული აზრი რუსულ ენაზე ამიხსნა. ასევე დაეალებული ვარ ლონდონის აღმოსაელური ენების სკოლის კავკასიის შემსწაველი განყოფილების მეცნიერის, დეეიდ ლანგისაგან, რომელმაც თაეისი ორი მოსწაელე გამაცნო; ჯორჯ სასუნმა და ელიზ ფულერმა დიდი დახმარება გამიწიეს ჩემი თარგმანის სისწორისა და მისი ტრანსლიტერაციის დამოწმებაში", წერს მკვლეევარი.

მარშალმა შემდეგი მეთოდით შეასრულა თარგმანი:

1. ქართულენოვანი ლექსის თითოეული სტრიქონი ტრანსლიტერაციით ჩაწერეს;

2. თითოეული სტრიქონის ქეეშ მიაწერეს სიტყვასიტყვითი თარგმანი ინგლისურად.

3. მარშალმა საბოლოოდ საკუთარი პოეტური ვერსია ჩამოაყალიბა:


Transliteration of Georgian Text
with Literal Translation

[FIRST QUATRAIN REPEATED

THE POEM AVALANCHE

by Titsian Tabidze

Translated from the Georgian by Hornet Marshall

(With the help of Joseph Nonashvili, Tbilisi, Georgia)

„ლექსი მეწყერის“ რუსული და ინგლისური თარგმანები:

ლექსი მეწყერი ტიციან ტაბიძე აპრილი, 1927 წ.	ლექსის პასტერნაკისეული თარგმანი:	The poem Avalanche Translation from the Georgian by Herbert Marshall with the help of Jozeph Noneshvili, 1971
მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს. ლექსს მე ეუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს. მე დაებადე აპრილის თვეში, ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან, მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან. აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები, ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება, ერთ პოეტს	Не я пишу стихи. Они, как повесть, пишут Меня, и жизни ход сопровождает их. Что стих? Обвал снегов. Дохнет — и с места сдышит, И заживо схоронит. Вот что стих. Под ливнем лепестков родился я в апреле. Дождями в дождь, белея, яблони цвели. Как слезы, лепестки дождями в дождь горели. Как слезы глаз моих	I don't write poems. Poems write me. My life with poetry inextriucably merges. Poetry is an avalanche surging, submerging Amd burying alive in snowy whiteness. The month of April I was born in 'neath apple blossom. floweresf of flowers, Petals snowy whiteness falling Like my own tears, they shower, shower. Thus I know I shall die and depart Leaving behind this poem in evidence

მაინც გულზე მოხვდება და ეს ეყოფა გამოსარჩლებად. იტყვიან ასე: იყო საწყალი, ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი. ლექსები იყო მისი საგზალი, არ მოუცლია ერთი ნაბიჯი. და აწუალებდა მას სიკვდილამდე ქართული მზე და ქართული მიწა, ბედნიერებას მას უმალავდენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცა. მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თეითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს. ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს	они мне издали. В них знак, что я умру Но если взоры чьи-то Случайно нападут на строчек этих след, Замолвят без меня они в мою защиту, А будет то поэт, — так подтвердит поэт. Да, скажет, был у нас такой несчастный малый С орпирских берегов, — большой оригинал. Он припасал стихи, как сухари и сало, И их, как провиант, с собой в дорогу брал. И до того он был до самой смерти мучим Красой грузинской речи и грузинским днем, Что верностью	And if it touches but one poet's heart Without me he'll say a good word in my defence. Yes, he'll say, there lived one poor chap, A grafted sapling from Orpir's fertile earth, Poems he carried like rations in his knapsack, Along his chosen path, from which he never swerved. The sun and earth of Georgia's loveliness Tortured to death that poor Georgian lad, Yet he never enjoyed any happiness For he gave to poetry all the happiness he had. I don't write poems. Poems write me My life with poetry inextriucably merges. Poetry is an avalanche surging, submerging

	обоим, самым лучшим, Заграждена дорога к счастью в нем. Не я пишу стихи. Они, как повесть, пишут Меня, и жизни ход сопровождает их. Что стих? Обвал снегов. Дохнет — и с места слышит, И заживо схоронит. Вот что стих.	And burying alive in snowy whiteness.

ტიციანის იგივე ლექსის კიდევ ერთი, ვ. ურუშაძისეული თარგმანი, რომელიც მარშალის თარგმანს მოჰყვა თან:

ლექსი მეწყერი ტიციან ტაბიძე აპრილი, 1927 წ.	A POEM LANDSLIDE ვენერა ურუშაძის თარგმანი
მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს, ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.	I write no verses, verse writes me, Makes me what I am, Kindles, breathes and sows


ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ	Life within my heart,
მეწყერს, რომ გაგიტანს და	Freedom in my soul,
ცოცხლად დაგმარხავს.	Wisdom in my mind,
მე დავიბადე აპრილის თვეში,	Truth to make me whole.
ვაშლების გაშლილ	A poem is a landslide,
ყვავილებიდან,	Thundering and strong,
მაწვიმს სითეთრე და წვიმის	Races, catches, bears you
თქეში მოდის ცრემლებად ჩემს	Down the sliding mass,
თვალებიდან.	In a frenzied drive,
აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები,	In a tight embrace,
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც	Buries you alive.
დარჩება,	I was born in April
ერთ პოეტს მაინც გულზე	Out of apple blossoms,
მოხვდება და ეს ეყოფა	Whiteness, splashes, rain-drops
გამოსარჩლებად.	Pouring over me,
იტყვიან ასე: იყო საწყალი,	Snow-white apple flowers,
ორპირის ფშანზე გაზრდილი	From my eyes the tears
ბიჭი.	Fall below in showers.
ლექსები იყო მისი საგზალი, არ	When I die, I know
მოუცვლია ერთი ნაბიჯი.	This poem will remain
და აწვალებდა მას სიკვდილამდე	Trembling, living, singing.
ქართული მზე და ქართული მიწა,	If it touch and hold
ბედნიერებას მას უმალავდენ,	Just one poet's heart
ბედნიერება მან ლექსებს მისცა.	I can say my life
მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი	Is a thing of art.
თვითონ მწერს,	All will say there was
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან	A boy from Orpiri,
ახლავს.	Nurtured, taught and moulded
	By the breath of song,

ლექსს მე ეუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.	Harmony and rhyme, Having depth and height, Gripping fast on time. Never straying far, In his sack he carried Stanzas, songs and measures Full of vibrant tone, Teemed with lofty thought, Mad, unfettered, free, Fallen, chained' and caught. Georgian sun and soil Made him weep till death, Wounding, painful, loving. Joy was taken from him, Naught could woe remove, Yet he gave to verses Happiness and love. I write no verses, verse writes me, Makes me what I am, Kindles, breathes and sows Life within my heart, Freedom in my soul, Wisdom in my mind, Truth to make me whole.

ქართული კულტურისა და მეცნიერების ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოჩენა საბჭოთა ეპოქაში, საბჭოთა რკინის ფარდის

მიღმა, ქართული მხატვრული სიტყვიერების, ქართული სამეცნიერო მიღწევების გატანა და დასავლეთის ინტელიგენციისთვის გაცნობა სამხრეთ ილინოისის ცენტრის უდიდესი დამსახურებაა და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობა საგანგებო აღნიშვნასა და მადლიერებას იმსახურებს.

„ჩემ ძვირფას კოლეგას, ჰერბერტ მარშალს, საუკეთესო სურვილებით, ავტორისაგან“, პროფესორი გივი გაჩეჩილაძე“ ეს გახლავთ თარგმანის თეორია მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტისაგან, პროფესორ გივი გაჩეჩილაძისაგან, თბილისის უნივერსიტეტიდან. წიგნს ეწოდება „მხატვრული თარგმანი და ლიტერატურული ურთიერთობები“ (Artistic Translation and Literary Inter-Relations - ასე უთარგმნია რუსული წიგნის დასახელება თავად ჰერბერტ მარშალს). წიგნი გამოცემულია მოსკოვში, 1972 წელს, გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მიერ. ვიმედოვნებთ, პროფესორი გაჩეჩილაძე მოახერხებს და ეწვევა აშშ-ს, ჩვენს კამპუსს და თავის დარგში ლექციას ჩაატარებს. ეს დარგი კი თანდათანობით კიდევ მეტად დაფასდება, ვინაიდან მსოფლიოში ურთიერთობის ტემპი იზრდება, რასაც განსაკუთრებით დააჩქარებს ბრეჟნევ-ნიქსონის შეთანხმება და სსრკ-აშშ-ს გარდაუვალი დაახლოება“, წერს მარშალი.



COLLEGE OF COMMUNICATIONS AND FINE ARTS
DEPARTMENT OF THEATER

Dr. Archibald McLeod, Chairman

ADVISORY COMMITTEE

Dr. John Hawley, Chairman
Dr. Oliver Caldwell
Dr. John King
Dr. Paul Morrill
Dr. Olga Orechow

Other Books Received
(To Be Reviewed)

From Georgia, U.S.S.R.

1. I was delighted to receive a present from Tbilisi, Georgia: a new book inscribed "To My Dear Colleague, Herbert Marshall, with best wishes from the author." It is on the theory of translation by one of the leading experts in the world, Professor Giorgi Gachechiladze of the University of Tbilisi. It is called *Khudozhestvenny Perevod I Literaturnye*

Vzaimosvyazi or *Artistic Translation and Literary Inter-Relations*, published by Sovietsky Pisatel, Moscow, 1972.

We are hoping one day that Professor Gachechiladze will be able to visit the U.S.A. and our campus to lecture on his subject, which is becoming more and more valuable in this ever-increasingly inter-communicating world, and particularly because of the Brezhnev-Nixon agreement and the inevitable

make word-for-word translations of the verses you like if necessary.

Thank you in advance,

Grena Chanadze
Manager of the Department of Georgica
Nanuli Anidze
Translator of the Department

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის რუსული თარგმანები

მერის კულტურული იდენტობა

გალაკტიონის „მერი“ ინტეგრალური ოეზიის ნაწილია[60] და იგი სიმბოლისტური ლექსწერის პრინციპებს მიჰყვება [61].

---

[60] „პოეტური ტექსტის შეცნობის მეორე ეტაპი გულისხმობს ცნობიერ, რაციონალურ აღქმას, ლექსის გააზრებას, აეტორის სათქმელის გაცნობიერების მცდელობას. ამ დროს ჩვენ უკვე ვუფიქრდებით პოეტის სიტყვებს, მათ აზრობრივ მნიშვნელობას, გვსურს, ამოვიცნოთ ის კონკრეტული აზრი, რომელიც აეტორმა ჩადო ამ სტრიქონებში. თუკი ინსტინქტურ ეტაპზე მკითხველის წინაშე წარდგებოდა მისი საკუთარი მე, ახლა ეს მე ეძებს კაეშირს აეტორის მე-სთან. ეს არის ლექსის შეცნობის ინტელექტუალური ეტაპი. შესაძლოა, გალაკტიონის სიტყვათა კონკრეტული აზრობრივი მნიშვნელობის ძიება ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა, რადგან პოეტის გენიალურ ლექსთა უმრაელესობა შექმნილია სიმბოლიზმის მხატვრული და თეორიული პრინციპების თანახმად; სწორედ სიმბოლიზმი უცხადებს უნდობლობას ადამიანის გონისმიერ მოღვაწეობას და ხშირად უარს ამბობს სიტყვათა კონკრეტულ, ლოგიკურ მნიშვნელობაზე. მისთვის მნიშვნელოვანია სიტყვათა ისეთი კაეშირები, რომელიც წარმოგეიჩენს მათ უზოგადეს ურთიერთმიმართებას და არა უბრალო ლოგიკურ ან სინტაქსურ ურთიერთდამოკიდებულებას. ამგვარ პოეზიას მიხეილ კვესელაეამ „ინტეგრალური პოეზია“ უწოდა; ინტეგრალური პოეზიის აღქმა კი გულისხმობს არა მხოლოდ ინტელექტუალური,არამედ, შესაძლოა, სულიერი ძალების მოშველიებას. მხოლოდ ამ დროს იხსნება სრულად ჩვენიეე ინტელექტუალური შესაძლებლობებიც. რასაკვირველია, ინტელექტის მუშაობა აუცილებელია სიმბოლისტური პოეზიის, მათ შორის, გალაკტიონის ლექსების აღქმისასაც. მაგრამ ამ დროს ჩვენი გონება უნდა ცდილობდეს დააფიქსიროს არა მოელენათა მიწიერი სახე, მატერიალური კანონზომიერებანი, არამედ სიტყვების, მოვლენების აზრების, გრძნობების მთლიანობა. მაგრამ სწორედ ამ მთლიანობის აღსაქმელად ხდება საჭირო სულიერი მოღვაწეობაც; ფაქტობრივად, მთლიანობის აღქმა გულისხმობს კიდეც სულიერ მოღვაწეობას. უფრო ზუსტად რომ წარმოვიდგინოთ, თუ როგორი შეიძლება იყოს სულიერი ჭვრეტა. გავიხსენოთ, თუნდაც ილია ჭავჭავაძის „აჩრდილი“. როგორც გვახსოვს, „აჩრდილის“ ლირიკული გმირის წინაშე იხსნება სამყაროს ფარული არსი, მას ესმის „ბუნების მეტყველება“, ხედავს „უცნაურ სახილველს“, ე.ი. აღიქვამს არა მიწიერ, მატერიალურ მოვლენებს, არამედ სამყაროს სულიერ საზრისს; ყოველივე ეს კი ხდება მას შემდეგ, რაც გონისმიერი ეჭვებისგან გვემული მისი სული და გული „განცხოელდა წმიდის სიყვარულითა“. სწორედ ამგვარი შეიძლება იყოს სულიერი, ინტუიციური შემეცნება-ლექსის შემეცნების მესამე, დამაგვირგვინებელი ეტაპი; სწორედ ამიტომ არის საჭირო სულიერი ძალების დაძაბვა არა მხოლოდ სამყაროს მთლიანობის, არამედ ლექსის მთლიანობის აღსაქმელადაც, რადგან ყოველი მაღალ მხატვრული ლექსი წარმოადგენს

რასაკვირველია, საზოგადოებას ურჩევნია პოეზიას მიწიერი, მარტივად აღსაქმელი მნიშვნელობა შესძინოს, გახადოს „სანახაობითი“, მონახოს პოეტის სატრფო დედამიწაზე და არ გასცდეს იმ ყოფიერების ჩარჩოთა ზღვარს, რომლის მიღმაც ზეციერებასთან მიახლოებული ფილოსოფია იბადება, მსოფლიო სევდა შეიგრძნობა და მსოფლიო კულტურის მიერ ღვთისმშობლის ამაღლებულ ხატს ეხმიანება. თუმცა, ახმადულინას თარგმანი სცდება "მერის" წაკითხვის როგორც პოპულარულ, ისე სამეცნიერო განზომილებებს. თუ გალაკტიონის ლექსის **პოეტური ვიზუალიზაციაა** ღამის სიბნელისა და ცისფერი თვალების გზაგასაყარი, ნათელი ალები, თანდართული მისტიფიკაციის ელემენტი - *იდუმალ* გაფითრებული სახე, ტრფობის სულიერება, გზნების მეტაფორა, როგორც ცეცხლის ეფექტი: *იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა...* დაკარგული ბედის ქარს გაყოლილ ნამქერთან ასოცირება; **ლექსის აუდიალური მხარე:** ლოცვის ხმა, ფიცის ხმა, [მწარე] გოდების ხმა, [მძაფრი] ქარის ქროლის ხმა, ვერხვის ფოთლებს [ბნელხმიანი] შრიალი, ოცნების „შრიალი“, [ხშირი] წვიმის წვეთების წყვეტილი რიტმისა და გულდაწყვეტილი სატრფოს მეტაფორა. **ლექსის კინესთეტიკური მხარე** - ვარდთა ნელი სურნელი, განუწყვეტელი წვიმა,

---

მიკროსამყაროს, სამყაროს მთლიანობის გამომსახველ მოდელს, რომელიც გვაკავშირებს მთელს გარესამყაროსთანაც. მეორე მხრივ,ლექსის, ე.ი. სამყაროს სრული აღქმა ჩვენივე შინაგანი სამყაროს გამთლიანებით უნდა მოხდეს. ლექსის შეცნობის ინტუიციურ ეტაპზე ხორციელდება ამჯერად უკვე სამმაგი კავშირი: მკითხველისა საკუთარ თავთან, ავტორის პიროვნებასთან და მთელს გარესამყაროსთან“ (ბელა წიფურია).

[61] „ფრანგული სიმბოლიზმიდან მომდინარე ეს არქეტიპი თავად გალაკტიონთანაც დომინირებს. კიდევ უფრო პარადოქსულია, რომ გალაკტიონის და მისი სიმბოლისტური ლექსების პოპულარობა რეალური და დაშვებული იყო საბჭოთა პერიოდში. რეალისტურ-პათეტიკურ, საბჭოურ ლექსებზე უწინ სწორედ *მე და ღამე, მთაწმინდის მთვარე, ლურჯა ცხენები, მერი, თოვლი* იკითხებოდა საჯაროდ, პოეზიის საღამოებზე სწორედ მათ მოსმენას ელოდა ხალხი“. წერს ლიტერატურათმცოდნე ბელა წიფურია.

ნაბდის შემოხვევა - როგორც სეფისაგან თაშესაფრის სიმბოლო, სახლთან, კერელთან პოვნა ღონე-მიხდილის ნავსაყუდელის.

თარგმანის წაკითხვის შემდეგ ვასკვნით, რომ არსებობს ორი „მერი“ - ახმადულინას „*მერი*“ მხოლოდენ მიწიერების მეტაფორაა, თარგმანში დაკარგულია გალაკტიონის „მერის“ უდიდეს სიწმინდესთან მიახლოებული სიმბოლო. თარგმანი ლექსის სემანტიკური მნიშვნელობებისა და სემიოტიკური ნიშნების ძალზე მარტივი მთარგმნელობითი ინტერპრეტაციაა. განსაკუთრებით თვალშისაცემია ფრაზა: «и в ночь дождей я проклял Мери».. მერის წყევლა გვიჩვენებს, თუ რაოდენ მარტივად გაუაზრებია „მერის“ იდენტობა მთარგმნელს, რამაც შვა თარგმანში ის მიწიერებაცა და ბიწიერებაც რასაც დედანს ვერ დასწვამებ. ცხადია, თუ მთარგმნელი ავტორის თემას ბოლომდე ვერ ჩასწვდა, მისი ხმა ყალბია და უინტერესოა. გალაკტიონის „მერის“ რუსული თარგმანი საინტერესო მხოლოდ მასში დაშვებული შეცდომების გასიგრძეგანების თვალსაზრისით არის. აქვე უნდა გავიხსენოთ ზემოთ განხილული ვაჟა-ფშაველას „არწივის“ რუსულ თარგმანებში წყევლის ფორმულების უმართებულო შეტანა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ასეთია რუს მთარგმნელ-ავტორთა საზოგადო აღქმა ქართული მეტყველების სოციო-კულტურული ნიშნადობისა.

გალაკტიონ ტაბიძე, მერი	Белла Ахмадулина, Мери	Khatuna Beridze, Mary
შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი! მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა, სანდომიან ცის ელვა და ფერი	Венчалась Мери в **ночь дождей,** **и в ночь дождей я проклял Мери.** Не мог я отворить дверей,	You wedded in Church that night Mary! Mary, the death in your eyes that night, The thunder and the colour of the sky,

მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!	восставших между мной и ей,	Was sad, as is the autumn's sigh!
აფეთქებული და მოცახცახე იწოდა ნათელ ალთა კრებული, მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე იყო იდუმალ გაფითრებული. იწოდა ტაძრის გუმბათი, კალთა, ვარდთა დიოდა ნელი სურნელი, მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა სხვა არის ლოცვა განუკურნელი. მესმოდა შენი უგონო ფიცი... მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა... ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი: ეს გლოვა იყო, თუ ჯვარისწერა? ლოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა...	**и я поцеловал те двери.** Я знал - там упадают ниц, колечком палец награждают. **Послушай! Так кольцуют птиц! Рабынь так рабством утруждают!** Но я забыл твое лицо! Твой профиль нежный, твой **дикарский, должно быть, темен, как крыльцо** ненастною порой декабрьской? И ты, должно быть, на виду толпы заботливой и праздной проносишь белую фату,	Seeing lustrous shiver of the flames, the brightest candles, and yet the more The ashen face of yours, paler than glim, Was mysterious forevermore. The flames engulfed the dome and temple, The gentle fluids of roses' fragrance Dissolved, as the ladies prayers Fatigued by eternal patience. Your dazed wedding vow I overheard... My sweetest Mary, I disbelieve In that torment day, and I demurred, That day of lament, was it a marriage? An orphaned soul wept at rocks, The gems for rings were lost in wind,

იყო ობლობა და შეცოდება, დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა. ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა! ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა. ნაბადი ტანზე შემოვიხვიე, თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს; ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე ღონე-მიხდილი მივაწექ კედელს. ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს, როგორც გაფრენილ არწივის ფრთები. და შრიალებდა ტოტი ვერხვისა, რაზე – ვინ იცის, ვინ იცის, მერი!	как будто траур **безобразный**? Не хорони меня! Я жив! Я счастлив! Я любим судьбою! Как запах приторен, как лжив всех роз твоих... Но бог с тобою. Не ведал я, что говорю, - уже рукою обрученной и головою обреченной она склонилась к алтарю. И не было на них суда - на две руки, летящих мимо... О, как я молод был тогда. Как стар теперь. Я шел средь дыма, вкруг дома твоего плутал,	The souls were bare, and pitying folks Not festive, though, and colours so bleak. Where to, I strolled at hasty pace… The road from Temple to gloomy sights, The whirling storm riveted my space, While the rain fell in drizzles and cries. I wrapped myself in my Nabadi, To submit to my bitter thoughts, Ah, but here it is your home's walls, Here I can recline and prop. So as I stood, saddened, in a nook of Aspen trees, so black and tall, Of their music, in night's gloom Of rustling leaves in eagles recall,

ბედი, რომელიც მე არ მელირსა – ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი. სთქვი: უეცარი გასხივოსნება რად ჩაქრა ასე? ვის ვეედრები? რად აშრიალდა ჩემი ოცნება, როგორც გაფრენილ არწივის ფრთები? ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი, ან რად ეიჭერდი შუქს მოკამკამეს? ან „მესაფლავეს“ ვისთვის ემღეროდი, ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს“? ქარი და წვიმის წვეთები ხშირი წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული და მე ავტირდი – ვით მეფე ლირი, ლირი, ყველასგან მიტოვებული.	во всякой сомневался вере. Сто лет прошло. И, как платан, стою теперь. Кто знает, Мери, зачем мне показалось вдруг, что нищий я? - И в эту осень я обезумел - перстни с рук я поснимал и кинул оземь? Зачем "Могильщика" я пел? Зачем средь луж огромных плавал? И холод бедственный терпел, и "Я и ночь" читал и плакал? А дождик лил всю ночь и лил все утро, и во мгле опасной все плакал я, как старый Лир,	And twigs of Aspen trees still rustling, Shared not, Mary, they shared nothing, The grace, to which I could not come through, Was wasted in wind, as the dust of snow. Say, when the sudden gleam has bounced, And vanished?! in vain I'm pleading... And bourn on the soaring eagle's wings, My dreams are rustling, I am still dreaming, Why did I read the sky in contemplation, Why did the translucent lights marvel me, To whom I sang my verse of a mortician, And my lyrics of the "Night and Me"... The wind and rainfall's outpouring drench,

	как бедный Лир, как Лир прекрасный.	Stormed and stopped, as my heartbeats ceased, And I could not help it, just not to weep, As wept poor Lear, the abandoned king.

უმართებულოა, თარგმანმა უგულებელყოს დედნის განწყობა, ტონალობა და მსოფლხედვა, ხოლო მთარგმნელი ვერ ჩასწვდეს იმ ექსტრალინგვისტურ ასოციაციებს, რაც რითმისა და ინტონაციის ფორმატში მოქცეული ლინგვისტური ინფორმაციის აღქმის გეზს იძლევა. გალაკტიონი გვიყვება ადამიანზე, რომელმაც დაკარგა დღესასწაული, მაგრამ არ დაუკარგავს იმედი და ოცნება; მისი უკიდეგანო სევდა პოეტმა ერთდროულად სადა: „ნაბადი ტანზე შემოვიხვიე, თავი მივანდე ფიქრს შეუწყეტელს; / ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე ღონე-მიხდილი მივაწექ კედელს". და ამაღლებული ტონალობების: „რად აშრიალდა ჩემი ოცნება, როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?" - შერწყმით ასახა, რადგან მარადიულ, არამიწიერ სიყვარულს მიუძღვნა ოდა. კიდევ ერთი, მართლაც უსახური შედარება გვხვდება თარგმანში, «как будто траур **безобразный**», რაც ხელახლა გვარწმუნებს, რომ მთარგმნელისთვის, თავადაც პოეტისთვის, უცნობი დარჩა ლექსის სიდიადე; რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, გალაკტიონის გენიალური ლექსი რუსი მკითხველისათვისაც უცნობად რჩება, თავად პოეტი კი სატრფოს

მაწყევრად. თარგმანის პოსტკოლონიურმა თეორიამ ერთერთ სტრატეგიულ ტერმინად დაამკვიდრა კონცეპტი "აპროპრიაცია"; უპრიანი იქნება, თუ ამ ტერმინს გადმოვაქართულებთ, როგორც "მისაკუთრებას"; არამარტო გალაკტიონის "მერის" რუსული თარგმანის ანალიზი, არამედ ზოგადად რუსული ე.წ. "პწკარედული" თარგმანის ანალიზი ცხადყოფს, რომ "მისაკუთრებას" ერთ-ერთი ფეხმოკიდებული მთარგმნელობითი მეთოდია. ტერმინი განსაზღვრავს, რამდენად აძლევს მთარგმნელი თავს უფლებას, ა) დედანში არარსებული ხატები შეიტანოს თარგმანში; ბ) ეს ხატები დამაკნინებელ ელფერში იყოს წარმოჩენილი; თარგმანი კი დედანთან შედარებით დაბალი რეპუტაციის ლექსიკით იყოს გაწყობილი; ახმადულინას გაულექსავს საკუთარი მოსაზრებები: **«Послушай! Так кольцуют птиц! Рабынь так рабством утруждают!»** რაც არამარტო რომანტიული პოეზიისაგან დგას შორს, არამედ ავლენს საქართველოს, როგორც ორიენტალური ქვეყნისადმი დამოკიდებულებას; პოსტკოლონიური თეორიის ფუძემდებლები მიუთითებენ, რომ დასავლეთისათვის ორიენტალური "არაცივილიზებული", ეგზოტიკური სამყაროა, სადაც ქალებს მონებივით ქორწინების ხუნდებით ბორკავენ, ან ჩიტებივით აბამენ რგოლს. ახმადულინას პოლიტიკური ხედვა საოცარ ჰარმონიაშია პუშკინის, ლერმონტოვის, ბესტუჟევ-მარლინსკის, პოლონსკის მიერ ეგზოტიზებულ, "ველურად" დასურათხატებულ საქართველოსთან. თუ ახმადულინას მერის დავაკვირდებით, მერის პროფილი ერთდროულად ნაზი და ველურია, კანის ფერი კი მუქი, როგორც აზიელ ქალს შეჰფერის: «Твой профиль нежный, твой **дикарский,** должно быть, темен, как крыльцо». მერის ცისფერი თვალები კი პოეტ-მთარგმნელს ყურადღების ღირსად არ უცვნია, რითიც რუსეთში ტრადიციულად დამკვიდრებული შთაბეჭდილება ქართველი ქალის აზიური ტიპაჟის

ხატი არ დაარღვია. ცალკე საკითხია ის, რამდენად კარგი პოეტია ბელა ახმადულინა, მისი მოღვაწეობის შემფასებლებსა და დამფასებლებს მცდარი სუბიექტივიზმით სჯერათ, რომ პოეტური თარგმანი მხოლოდ „ლექსის ქმნადობაა“. თუმცა, თარგმანმცოდნეობის დღევანდელი კრიტიკული მიმართულება არავითარ „ავტორიტარულ აზრს“ არ სცნობს და პოსტკოლონიური კვლევების უმთავრესი მიზანიც კითხვების დასმაა. საინტერესოა, რომ ასეთი კითხვის ნიშანი აღნიშნულ რუსულ თარგმანს, თავად რუსმა პოეტმა და მთარგმნელმა იური ლიფშიცმა დაუსვა და უაღრესად უარყოფითი შეფასებაც მისცა:[62] „ეს არ არის თარგმანი, ეს არის ტაბიძის ამ მშვენიერი ლექსის ბოროტი დაცინვა. აი რა დარჩა ახმადულინას თარგმანში ამ ლექსისაგან:“[63]

«Венчалась Мери в ночь ...
и в ночь ... Мери.
... лицо...
... траур...
... запах... роз...
... Я шел...
... дома твоего...
... перстни... оземь...
Зачем "Могильщика" я пел?
и "Я и ночь" читал и плакал?
... все плакал я, как ... Лир,
как ... Лир, как Лир...»

---

[62] https://www.stihi.ru/2013/04/07/9667

[63] «Это не перевод, а надругательство над прекрасным стихотворением Табидзе. Вот что осталось от оригинала в «переводе» Ахмадулиной».

აქვე უნდა მოვიყვანოთ „მერის“ ინგლისური თარგმანის ინესა მერაბიშვილის ღირსშესანიშნავი ვერსია:

Galaktion Tabidze
MARY
You were married that night, Mary!
Mary, that night your eyes died all,
Hues and glints of skies so fairy
For autumn's sadness truly called!

Blasting and trembling, waving high,
Blazed brightness of the burning flames,
And paler than candles, all in light,
Seemed mystic colour of thy face.

Dome of the church and walls on fire,
Slow fragrance of roses was spread,
Prayer of women, of waiting tired,
Sounded but desperate and mad.

Faintly I heard your thoughtless vow...
Though never believed it... my dear!
Torture it was, but knew not how
Wedding turned into grief and tears.

And someone wailed close to the walls
Losing the gemstones in the wind...
Pity and loneliness there tolled,
It was not merriment indeed.

I left the church and quickly paced
Towards the roads! Could hardly see!
The heavy wind blew in my face,
It rained and rained, and waters streamed.

I wrapped around my thick flint cape
And yielded to unceasing thoughts;
Your house! The place – to which I came,
Exhausted, leaned against the wall.

I stood in grief and did not quit,
In front of me stood aspen trees,
Black, rustling with dark-sounding leaves
As if a soaring eagle's wings.

The aspen branches waved their leaves,
For what strove they? What did they mean?
The only message I could feel –
My luck was gone, gone with the wind.

Mary, pray tell me, sudden lustre,
Why died away? Whom shall I plead?
Why did my dream with noise rustle,
As if a soaring eagle's wings?

Why did I gaze at skies with smiles?
Why did I catch those beaming rays?
In vain sang my "Grave Digger's" lines,
"The Night and I" of doleful days?

The wind, the rain with drops so clear

Were breaking like the heart, all seared,
Anguish and pain no one could hear,
I wept, forlorn, as if King Lear.

Translated by Innes Merabishvili

„გთხოვთ, საერთოდ არ გადამთარგმნოთ“ -

სიმონ ჩიქოვანის ლექსების რუსული თარგმანების მთარგმნელობითი სტრატეგიები

მთარგმნელობითი სტრატეგია, უწინარესად გულისხმობს უცხოური ტექსტის სათარგმნად შერჩევას, შემდეგ კი მისი თარგმნის მეთოდის ჩამოყალიბებას. ორივე ამოცანა სხვადასხვა ფაქტორებითაა განპირობებული, როგორიცაა კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური ფაქტორები. ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან შემუშავდა არაერთი მთარგმნელობითი სტრატეგია, რომელთაგან ლ. ვენუტი ორ ძირითად მთარგმნელობით კატეგორიას გამოყოფს. მისი აზრით, მთარგმნელობითი პროექტი შეიძლება სამიზნე კულტურის დომინანტური ღირებულებებისადმი კონფორმისტული იყოს, აგრეთვე გამოირჩეოდეს კონსერვატიული და აშკარად ასიმილაციური მიდგომით, ან ტექსტისადმი აპროპრიაციული, ანუ მითვისებითი მიდგომით, რაც შიდაპოლიტიკის მხარდამჭერი თარგმანის შექმნას ნიშნავს. ალტერნატიულად, მთარგმნელობითი პროექტი შეიძლება დომინანტურისადმი რევიზიონისტული (გადასინჯვითი) ან რეზისტენტული (წინააღმდეგობის გამწევი) მიდგომით გამოირჩეოდეს:

ასეთი მთარგმნელობითი სტრატეგიები გადასინჯავს დომინანტურს და კონცენტრაციას ახდენს მარგინალიზებულზე; აღადგენს დედნის იმ ტექსტებს, რაც შიდაპოლიტიკურმა კანონებმა არ დაუშვა თარგმანში, აგრეთვე, არქაულ ტექსტებსა და მთარგმნელობით მეთოდებს იკვლევს და ახალი ტექსტურ ფორმების განვითარებაში მონაწილეობს (მაგ.: ახალი კულტურული ფორმების); უდავო ფაქტია, რომ ნებისმიერი მთარგმნელობითი სტრატეგია ქვეყნის კულტურული სიტუაციის პასუხად იქმნება, თუმცა, ყოველთვის ასე როდია. უცხოენოვანი ტექსტის თარგმანში შეინიშნება (ა) „მოშინაურების“ მეთოდის აქტივიზება, ან (ბ) „გაუცხოურების“ მეთოდის აქტივიზება. ამ მეთოდის გამოყენება მოტივირებულია ლინგვისტური ანდა კულტურული სხვაობის შენარჩუნების იმპულსით; ამ მეთოდის გამოყენებისას, მთარგმნელს დამკვიდებული შიდაკულტურული ღირებულებებისათვის გვერდის ავლა უწევს. „გაუცხოურების“, როგორც მთარგმნელობითი სტრატეგიის ფორმულირება თავდაპირველად გერმანიაში მოხდა და თანხვდება კლასიციზმისა და რომანტიზმის ეპოქებს. გერმანელმა ფილოსოფოსმა და თეოლოგმა ფრიდრიხ შლეიერმახერმა 1813 წ. წაიკითხა ლექცია: „თარგმნის სხვადასხვა მეთოდის შესახებ“. მან განაცხადა, რომ თარგმნის ორი მეთოდი არსებობს: მთარგმნელი ავტორს „არ ეხება,“ რამდენადაც კი შეძლებს ამას, მისკენ მკითხველი მიჰყავს, ან მკითხველს „არ ეხება“, რამდენადაც კი ეს ხელეწიფება და ავტორი მიჰყავს მისკენ. (ლეფეველი 1992:149).

შლეიერმახერი აღიარებდა, რომ თარგმანთა უმეტესობას „მოშინაურების“ მეთოდი ეტყობოდა. ამ მეთოდით თარგმნილი სამიზნე ენის ტექსტები უცხოური ტექსტის ეთნოცენტრულ რედუქციას წარმოადგენდა, იკარგებოდა კულტურული ღირებულებები. რუსულ ენაზე თარგმნილ ლიტერატურას განსაკუთრებით ეტყობოდა „მოშინაურების“ მეთოდის გამოყენების კვალი, რის მაგალითადაც

ქართველი პოეტის, სიმონ ჩიქოვანის რუსულ ენაზე დაწერილი მიმართვაც გამოდგება. ავტორი აპროტესტებს მისი ლექსების რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანებს; პარადოქსია, მაგრამ ჩიქოვანის კრიტიკული წერილი თავად რუს მთარგმნელს, კ. ჩუკოვსკის მოჰყავს თავის წიგნში, როგორც თარგმანისადმი რუსიფიკაციული მიდგომის ნიმუში:

> ***«Прошу, чтобы меня не переводили совсем…То есть: не хочу фигурировать перед русскими читателями в том фантастическом виде, какой придают мне мои переводчики. Если они не способны воспроизвести в переводе мою подлинную творческую личность, пусть оставят мои произведения в покое. Ибо горе не в том, что плохой переводчик исказит ту или иную строку Чиковани, а в том, что он исказит самого Чиковани, придаст ему другое лицо»*** (ЧУКОВСКИЙ, 1968:21).

საინტერესოა, ვინ თარგმნიდა სიმონ ჩიქოვანს რუსულ ენაზე და რამდენად აისახა რუსიფიკაციული მეთოდი მისი პოეზიის თარგმანებზე? ჩიქოვანის ორი ლექსი რუსულ ენაზე არსენი ტარკოვსკისა და პოეტ ბელა ახმადულინას უთარგმნიათ.

სიმონ ჩიქოვანი ძველი ჭადარი	არსენი ტარკოვსკი СТАРАЯ ЧИНАРА
ჭადრის გაშლილი ჩრო სად არი, ოქროს ჩარდახს რომ ადრე ფარაჟდა? რამ დააბერა აგრე ჭადარი, ან აგრე როგორ დაპატარავდა? ეწუხვარ და მინდა წყალი ვუბოძო, მერქანს ვეკვრი და ეემარტოვები, გვალვით დამსკდარა ქერქი უკორძო და გაძარცულან ჭადრის რტოები. ბუნებამ შექმნა თვისი წესები, სიბერეს წელში მოხვრა სჩეევია. მაგრამ ფესვები, ჭადრის ფესვები, ჩემს სიჭაბუკეს შემოხვეევია.	Как же так, чинара! Почему Постарела ты, скажи на милость? Словно в сердце что-то надломилось. Слоено свет убавился в дому. Тень твоя состарилась заметно, Обветшал наряд. Раньше листья грохотали медно, А теперь, как жесть, они бренчат Есть закон, придуманный не мною: Годы клонят долу все земное, Отцветает буйная весна,

	И мелькают пестро дни за днями — Но твоими властными корнями Молодость моя оплетена.

თარგმანი ვერც დედნის რიტმსა და მელოდიას ასახავს და ლექსიკურადაც დაშორებია ავტორის სათქმელს. ლექსში მთარგმნელის რიტორიკული კითხვები: **Как же так, чинара! Почему / Постарела ты, скажи на милость?** ტიპური რუსული დისკურსის ენობრივი ერთეულებია და საერთო არაფერი აქვს ქართული ლექსის ხატებთან, ჭადრის ჩეროგადაფარებულ ოქროს ჩარდახთან, განძარცულ ხესთან პოეტის განმარტოებასა და სიჭაბუკიდან თანშეზრდილთან სევდისმომგვრელ გამოთხოვებასთან; წელში მოხრილი, დაპატარავებული, ერთ დროს ვარჯიანი ჭადრის ქერქადქცეულ მერქანს პოეტი ცოცხალი არსებასავით ესათუთება: **„მერქანს ვეკვრი და ვემარტოვები, / გვალვით დამსკდარა ქერქი უკორძო / და გაძარცულან ჭადრის რტოები“** ... ტარკოვსკი კი ამ სტრიქონებს უპირისპირებს „ფოთლის ადრინდელ სპილენძისებრ გრუხუნსა და

ამჟამინდელ თუნუქის ჟღრიალს“: **«Раньше листья грохотали медно, / А теперь, как жесть, они бренчат»**. თარგმანს ვერც მთარგმნელისეული პოეტური ჩანართები შველის (რომელიც დედანში საერთოდ არ არის): **«Отцветает буйная весна, / И мелькают пестро дни за днями»** - რადგან ამ ცხრამარცვლიან პოეტიზმებს თუნდაც დედნის ათმარცველედის რიტმიკის, ანუ მისი პირვანდელი სახის აღდგენა არ შეუძლიათ.

როგორც აღვნიშნეთ, ჩიქოვანის პოეზიას რუსი პოეტი, ბელა ახმადულინაც თარგმნიდა. „სერაფიტის გამოხმობის“ თარგმანი, რომელიც ახმადულინას ეკუთვნის, დედნის რიტმის შესაქმნელად საჭირო მარცვალთა რაოდენობას ტარკოვსკის თარგმანივით უგულებელყოფს; ახმადულინას ლექსის სათაური გადაუთარგმნია როგორც **«ЗОВУ СЕРАФИТУ»** (ვუხმობ სერაფიტს):

სერაფიტის გამოხმობა, სიმონ ჩიქოვანი, 1941 წ.	ЗОВУ СЕРАФИТУ მთარგმნელი ბელა ახმადულინა
1.ქარიშხალმა დაგიმსხვრია დარბაზი,ფრთამომტყდარი დაგტიროდა არმაზი. იმ დროიდან მტკვრის ნაპირზე გელოდი, დავიღალე, მოიგვალვა ველობი.	Не умерла, не предана земле.Ты — на земле живешь, как все. Но разве, заметив боль в пораненном крыле, не над тобою плакал твой Армази? О, как давно последние дары

2.ახლა შეგხვდი,მოშრიალდი კალომდი, კვლავ მიმღერე რასაც ძველად ჰგალობდი, უხსოვარ დროს რომ ვგალობდით მე და შენ, ორ მდინარედ შემოსული მცხეთაში. 3.სამარეში გარინდულხარ ასული, რომ კუბოში ჩაგეფუთნა წარსული. შენი ხმები-შენახულა ჰაერში, გარინდული, შესუდრული კაეშნით! 4.მე შევარხევ, შენი ტკბილი ღუღუნი განმეორდეს, გაარღვიოს უკუნი. დამიჯერე, მეწვის სულის სანათი, მოგიტანე ხილით სავსე კალათი. 5.ხილს შეახე თლილი ხელი ლაღობით	**тебе живая суета** **дарила!** С тех пор я жду на берегах Куры, и засухой опалена долина. **Не умерла.** **И так была умна,** **что в спешке** **доброты и** **нетерпенья** **достиг твой шелест** **моего гумна**[37]**:** **вздох тишины и** **слабый выдох пенья.** **Что делаешь? Идешь?** **Или пока** **тяжелым гребнем** **волосы неволишь?** **Не торопись.** **Я жду тебя — века.** **Не более того.** **Века всего лишь.** **Еще помедли, но** **приди. Свежа** **и не трудна твоя** **дорога в Мцхету.** **Души моей** **приветная свеча** **уже взошла и** **предается свету.** **Уж собраны и ждут** **тебя плоды**

და იგემე ჩვენი მიწის ნაყოფი.	**и лакомства, стесненные корзиной.**
წამოდექი, ყელი წამოიღერე და ტკბილი ხმით შენ ვენახზე მიმღერე.	Как милосердно быть такой, как ты: сюда идущей и такой красивой. В молчании твой голос виноват.
6.სილამაზე მოგვიტანე სამარით, წელზე გერტყა ვაზის წნული ქამარი.	**Воспой глубоким горлом лебединым и виноградаря, и виноград,**
ღვიძავს მცხეთას, გაიღვიძეს მამებმა, ღვიძავს არმაზს,ალარ ესმის ვაება.	и виноградники в краю родимом. Младенческою песней умудрен, я разгадаю древние затеи
7.ჩუქურთმა ხარ, სიმღერა ხარ საწუთროს, ტურფა დაო, შენმა ფერფლმა გვაკურთხოს.	**и вызволю из тесноты времен отцов и дедов** доблестные тени.
სამარეა თუ წარსულის საგულე დატოვე და სილამაზე გვარგუნე!	Бессмертное не может быть мертво. Но знает ли о том земля сырая, ошибку ожиданья моего оплакивая и благословляя? Как твой удел серьезен и высок:

	в мгновенных измененьях мирозданья всё бодрствует великий голосок бессмертного блаженства и страданья.

თარგმანის წაკითხვისას, გვახსენდება ა. ბაქრაძის მართებული კრიტიკა ქართული ლიტერატურის რუსულენოვანი თარგმანების შესახებ: **„ამ თარგმანების ხარისხი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს? გულახდილად რომ გითხრათ, არც საკმარისია და არც დღევანდელ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. რუსულად თარგმნილი ქართული მწერლობის ნიმუშებს თუ დაკვირვებით გავსინჯავთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი დაბალი მხატვრული ღირსების თარგმანებია. ეს არსებითად სწორი აზრია და ნუ შევეცდებით, თითო-ოროლა კარგი თარგმანის მოშველიებით, იგი უარვყოთ და საქმე საათივით აწყობილად მოვაჩვენოთ გამოუცდელ მკითხველს“** (ბაქრაძე, 2005:291).

ჩიქოვანის თერთმეტმარცვლიანი ლექსი ახმადულინას ათმარცვლიანით უთარგმნია, პირველივე კუპლეტში საგრძნობია მთარგმნელის თვითნებური მიდგომა და რითმის შესანარჩუნებლად კონსტრუქციების სახელდახელო აგება; თუმცა ლექსი არც კონსტრუქციაა, არც რითმა, არც რიტმი და მელოდია, არამედ მათი ჰარმონიული ერთიანობა განცდის სიწრფელესთან, ემოციის მეტყველებასთან, რაც ჩიქოვანისთვის უდავოდ არის დამახასიათებელი. თარგმანში კი არამხოლოდ რიტმული, არამედ აზრობრივი სურათიც გადასხვაინაირებულა. თუ ჩიქოვანი სერაფიტის ქარიშხლით დამსხვრეულ დარბაზს გვანახებს, ახმადულინა სერაფიტს აცოცხლებს:

«Не умерла, не предана земле.Ты — на земле живешь» (არ მომკვდარხარ, არ ხარ მიწას მიბარებული), ხოლო მეტაფორიზებული „ფრთამოტეხილობა“, სიეულის პოეტური გამოხატულება: **„ფრთამომტყდარი დაგტიროდა არმაზი“** მარტოდ შთენილობის ხატს კი არ გადმოგვცემს, არამედ *„დაჭრილი ფრთის ტკივილს“*, რომელიც, გაუგებარია, თარგმანში სერაფიტთან ასოცირდება თუ არმაზთან: **«Но разве, заметив боль в пораненном крыле, не над тобою плакал твой Армази?»** თუ **„ძველი ჭადარის“** თარგმანში ტარკოვსკიმ ჩიქოვანისეული მხოლოდ ბოლო ორიოდე სტრიქონი დატოვა, ახმადულინამ შვიდსტროფიანი ლექსიდან ოთხი სტრიქონის გადმოცემა შეძლო, ხოლო დანარჩენ სტროფებში მისეული წარმოსახვის ნაყოფი ალუზიები და მეტაფორებია, რომელსაც საერთო არაფერი აქეს ჩიქოვანის პოეტურ მეტყველებასთან. ავტორი წერს: **„დამიჯერე, მეწვის სულის სანათი“**, ახმადულინა კი თარგმნის: **«Души моей приветная свеча / уже взошла и предается свету»** - ანუ, მისი სულის საამო სანთელი ანთებულა (აქ უნებლიე ასოციაცია გვიჩნდება მზესთან, რადგან ზმნა **взошла** - ჩვეულებრივ, რუსულში, სწორედ მზესთან არის კოლოკაციაში, თუმცა, ახმადულინა აქ მას მეტაფორულად იყენებს) და დღის სინათლეს უერთდება. მეტნაკლები ერთგულებით თარგმნილ ოთხ სტრიქონშიც, მთარგმნელს გაზვიადებული აქვს პოეტის ლაკონიური ლექსთწყობა, ჩიქოვანის ორ სტრიქონში ჩატეული სათქმელი **დამიჯერე, მეწვის სულის სანათი, / მოგიტანე ხილით სავსე კალათი** ახმადულინამ მთელი კუპლეტით ითარგმნა: **«Души моей приветная свеча / уже взошла и предается свету. / Уж собраны и ждут тебя плоды. / и лакомства, стесненные корзиной».**

ასეთი თარგმანი სცდება თარგმანის თეორიაში აღწერილ **„მოშინაურების“** მეთოდს და უახლოვდება მიდგომას, რომელსაც

თეორეტიკოსები ტერმინი „აპროპრიაციით“ (Appropriation) ანუ „მისაკუთრებით“ აღნიშნავენ. ტარკოვსკის მიერ ჩიქოვანის თარგმანს შეიძლება ავტორად მივაწეროთ *ჩიქოკოვსკი*, ხოლო ახმადულინას მიერ ნათარგმნს კი *ჩიქოდულინა*. სწორედ ამიტომ მიაგო სიმონ ჩიქოვანმა პირუთვნელად რუს თანამოკალმეებს პასუხი, როდესაც საკუთარი პოეტური ხმის ნაცვლად თარგმანში მათი პოლიფონია მოისმინა.

ანა კალანდაძის ლექსი „პაწაწინა რტო ვარ“ რუსულ ენაზე

ბელა ახმადულინას ქართული ლექსის თარგმანებში ისევე პოეტ ახმადულინას ხმა ჟღერს, მისი ხატები, მისი რითმი და რიტმია წარმოჩენილი; ავტორის წილხვედრი, ღვთით ბოძებული ნიჭი და გამომსახველობა მთარგმნელს „დაუტყვეებია“ და მის ნაცვლად საკუთარი წარმოუჩენია. იმდენად უმართებულოდ დაშორებია ლექსის მეტყველება დედანსა და ავტორს, რომ კითხვას ბადებს: ვის ახმოვანებს ის „ქართული“ ლექსები, რომლითაც რუსული აუდიტორია ტკბება, ავტორს თუ მთარგმნელს? ახმადულინას მთარგმნელობითი პოლიტიკასა და რუსულის ჰეგემონიას ვერ „გადაურჩა“ ანა კალანდაძის ლექსი, გაზაფხულის მეტაფორა, „პაწაწინა რტო ვარ.“

ანა კალანდაძე „პაწაწინა რტო ვარ“	Анна Каландадзе Я совсем маленькая веточка… მთარგმნელი ბ. ახმადულინა
მეფერება მზე ალერსის მთოვარს,	Вот я стою – ни женщина, ни девочка,

ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა... მე მიგალობს, როდი მიმატოვა, თოხიტარა, პაწაწინა რტო ვარ... ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის, ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად... დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი: პატარა ვარ, მოფერება მინდა! მითხარიო: როგორ, როგორ ვანდო საიდუმლო აშარსა და მსტოვარს? მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო, მეშინია, პაწაწინა რტო ვარ!	и ветер меня гладит по плечам. Я – маленькая, маленькая веточка. Садовник, утоли мою печаль. Садовник, заслони меня от ветра: мои он разоряет лепестки. Что сделаю я – маленькая ветка? Ведь у меня ни слова, ни руки. О, подойди, скажи: не солгала ты, ты – маленькая веточка, прости. А ветер – он буян и соглядатай, и ты меня от ветра защити.

უნდა აღინიშნოს რომ პარალელური სტრუქტურები არსებობს ანა კალანდაძის ლექსს „პაწაწინა რტო ვარ“ და გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „ატმის რტოო, დალალულო რტოო“ შორის:

ანა კალანდაძე: „პაწაწინა რტო ვარ“	გალაკტიონ ტაბიძე „ატმის რტოო, დალალულო რტოო“

ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის, ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად...	ყვავილების ქარში მიჰქრის ტბორი.
დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი:	ამ გრიგალში დრო არ არის სხივის...ქარი კივის, ქარი კივის, კივის.
პატარა ვარ, მოფერება მინდა! თოხიტარა, პაწაწინა რტო ვარ...	დაღალული ყვავილი ხარ სუსტი.
მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო, მეშინია, პაწაწინა რტო ვარ!	ახლა ზღვაა, ახლა სისხლის დროა, თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი...

გალაკტიონის ლექსის დრამატული ესთეტიკა ბინარულად აწყვილებს სუსტ, დაღალულ ყვავილთან შორეულ სიმშვიდეს, ყვავილების ქარს, ქარიშხალს, გრიგალს, ზღვას, სისხლს, ნარგ(ავ)ის ნაპრალებზე გადამსხვრევას. გალაკტიონის ლექსში შერწყმულია ასევე ბინარული ოპოზიციები: ერთმანეთს თანადროულად მიჰყვება თხრობის *განყენებული მანერა, ფილოსოფიური განკერძოება:* „თუ გადარჩი, ხომ გადარჩი, კარგი.“.. და *თანამგრძნობი ტონალობა* ატმის რტოს ჭვრეტისას: „ატმის რტოო, დაღალულო რტოო.“

ანა კალანდაძის პაწაწინა რტო *განპიროვნებულია, უშუალო მანერა თანაგანცდას* ითხოვს: „ქარი მარხევს და ყვავილებს მაცლის“, „ყვავილს მომწყვეტს, გაიტაცებს მინდვრად...“ *კლემა და მოკრძალებული ტონალობა* გადმოაქვს ასევე განპიროვნებულ ქართან გასაუბრებას: „დამიყვავე, ქარო, ნუ ხარ მკაცრი.“ ქარისთვის

გულისნადების განდობის სურვილი ანა კალანდაძის პაწაწინა რტოს ქალურობის სიმბოლოთი აღბეჭდავს: // მითხარიო: როგორ, როგორ ვანდო //საიდუმლო აშარსა და მსტოვარს? მიუხედავად პარალელური სტრიქონებისა, ანა კალანდაძის ლექსი სიფაქიზის განცდას ბადებს //მეფერება მზე ალერსის მთოვარს, //ვარდისფერად ცამან ჩამომთოვა...// მე მიგალობს, როდი მიმატოვა// და სისათუთით უპირისპირდება გალაკტიონის „ატმის რტოს“ იდუმალ ტრაგიზმსა და ბობოქარის მოლოდინს.

არც ერთი მთარგმნელობითი თეორია არ სცნობს ტრანსფორმაციების ისეთ სტრატეგიას, სადაც სალექსო განწყობა და პოეტური ხატების მეტამორფოზა დასაშვებია. მართალია დედანში ქალის ნატიფ სიმბოლოს ძალდაუტანებლად აღიქვამს მკითხველი, მთარგმნელის „პაწაწინა რტოს“ მაგიერ გენდერულად გამოკვეთილი, გარდატეხის ასაკში მყოფი პიროვნების ხატი (იგი რუსულ თარგმანში „არც ქალია და არც გოგონა ჯერჯერობით“) თეალშისაცემი და ზედმეტია. აგრეთვე „დედნიდან აცდენილი ხატებია ქარი, რომელიც რტოს „მხრებზე „ეფერება“, მებაღის მოხმობა, ვინც რტოს ნაღველი უნდა გაუქარვოს და გზა „ჩაუხერგოს“ ქარს, რომელიც „ყვავილის ფურცლების „ფლანგავს.“ მომდევნო სტრიქონებში მთარგმნელი საკუთარ რტოს ხატავს: „არც სიტყვის თქმა შემიძლია, არც ხელები მაქვს“, ახმადულინა რუს მკითხველს „სრული უმწეობის“ უმართებულო ილუზიას უქმნის, რომ აღარფერი ვთქვათ გასარითმად ჩართულ სტრიქონებზე: «//О, подойди, скажи: не солгала ты, //ты – маленькая веточка, прости» სადაც გაურკვეველია, ვინ განასახიერებს ადრესატს და ვინ ადრესანტს. მთარგმნელის სემანტიკური თვითნებობის შედეგად, გამეორებულია მიმართვის ფორმა, რაც იწვევს რიტმული სურათის ტრანსფორმაციას,

დაჟინებულ, კაპრიზულ ტონალობას, ამით კი თარგმანში დედნისეული კდემის მაგიერ თავნება ხასიათის შთაბეჭდილება ჩნდება:

«Садовник, утоли мою печаль.

Садовник, заслони меня от ветра»...

ახმადულინას თარგმანი პოეტებს შორის უდიდესი ნდობის გამოვლენად მიაჩნდა, რადგან, თითქოს, თარგმნის პროცესში „მთარგმნელი პოეტის საიდუმლოს ეზიარება“. ახმადულინას სურდა რუს მკითხველს „ახლობლად“ აღექვა ქართველი პოეტიცა და მისი სათქმელიც, მისი მთარგმნელობითი შრომაც აქეთ იყო მიმართული, ხოლო სურდა ეს თუ არა ავტორს, მას არასოდეს უკითხავს.

კულტურული კორუფცია, კულტურული სტერილიზაცია, კულტურული ავტოდაფე

„დათა თუთაშხიას“ რუსული და ინგლისური თარგმანის პოლიტიკა

ლინგვისტიკური და კულტუროლოგიური ასპექტები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტკოლონიურ პარადიგმაში იკვლევენ ცარიზმის ეპოქისა და საბჭოთა პერიოდის ქართულ ლიტერატურას, რუსულენოვან ლიტერატურას, რომლის თემაც საქართველო და ქართველები არიან ქართული ლიტერატურის რუსულენოვან თარგმანებს.

პოსტკოლონიური თარგმანის მეტაფორა პოსტსაბჭოთა სინამდვილისათვის უნიკალური ცნებაა, რადგან პოსტსაბჭოთა ტრანსლატიო იმპერიის ცნება უშუალოდ უკავშირდება მთარგმნელობით საქმიანობას: ის, რასაც იდეოლოგიური მანქანა ცენზურის ხელით ახორციელებდა, იყო მხატვრულ თარგმანში დედნის იდენტობის სტერილიზაცია, ავტორის იდენტობის სტერილიზაცია, დიდი იმედით მიმართული ეროვნული თვითიდენტობის სტერილიზაციისაკენ, საბოლოო რუსიფიკაციული მიზნებით (თარგმანის მიზნობრიობაზე საუბრისას, ბუნებრივად გვახსნებს თავს თარგმანმცოდნეობის სკოპოსის თეორიაც). თავად თარგმნის პროცესი, როგორც მოქმედება, საქმიანობა, თავისი არსით ცნება სტერილიზაციას უკავშირდება, ჩვეულებრივ, თარგმნის პროცესმა, ისე როგორც შედეგმა, გენდერული მეტაფორა შეიძინა იმ ცვლილებების გამო, რასაც სამიზნე ტექსტი განიცდის; თუმცაღა ცვლილებები ენათა სისტემებს შორის სხვაობამ განაპირობა და კრიტიკოსებს მხედველობაში ძირითადად ცვლილებების ლინგვისტური ბუნება აქვთ. უნდა გავახსოვდეს, რომ ეს ცვლილებები, უპირველესად, ამ კულტურული პროცესის მონაწილე ერების ურთიერთგაგებაზე აისახება. ამასთან, თარგმნის პროცესი თანაბრად არის დაკავშირებული როგორც სამიზნე, ისე დედნის ენასთან და მთარგმნელს, სამიზნე ტექსტში ცვლილებების შეტანით ავტომატურად შეაქვს (არამატერიალიზებული) ცვლილებები დედნის ტექსტშიც. ამდენად, პროცესი უკუქმედითია. ამ თეორიის საფუძვლად მთარგმნელის მონური დამოკიდებულების ცნობილი ფაქტორიც კმარა, რაც ვლინდება ან დედნის ან სამიზნე ტექსტების მიმართ.

რომან „დათა თუთაშხიას“ ინგლისური თარგმანი 1986 წ. მოსკოვში გამომცემლობა „რადუგამ“ გამოსცა. ბუნებრივია, წიგნი საბჭოთა კავშირის აუდიტორიას ვერ გასცდებოდა. რომანისა და მისი

რუსულენოვანი ავტოთარგმანის შეპირისპირებითი კელევის შედეგად აღმოჩენილი შეცდომების კლასიფიკაციის შედეგად ვასკვნით, რომ თუ მთარგმნელობითი ტრანსგრესიის მიზეზი რომანის რუსულენოვან ავტოთარგმანში კომუნისტური ცენზურაა, ინგლისურ თარგმანში ეს მიზეზი შუამავალი ენის გამოყენებაა; თარგმანი რუსულიდან ე. წ. პწკარედის გამოყენებით არის შესრულებული, რაც დასაბუთებულია შეპირისპირებითი კელევით.

რომან „დათა თუთაშხიას“ რუსულ თარგმანში აღმოჩენილ გადაცდომათა კლასიფიკაცია:

(1) რუსულ თარგმანს დამატებული აქვს კომუნისტური პოლიტიკური მსოფლმხედველობა, თარგმანი და შესაბამისად მკითხველის გონება „გაწმენდილია“ ერისა და სახელმწიფოებრიობის, როგორც არსობრიეი ცნებებისაგან.

(2) თარგმანში ამოშლილია ერისა და სახელმწიფოებრიობის არსობრიეი ცნებები:

(3) პოლიტიკური თვალსაზრისი, რაც გიორგიევსკის ტრაქტატსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს შეეხება, თარგმანში შერბილებული ტონით არის გადმოცემული და რედაქტირებულია;

(4) გენდერულად უარყოფითი მარკირება შეინიშნება რუსულ და ინგლისურ თარგმანებში;

(5) **რუსულ თარგმანში რუსიფიცირებულია კნინობითი მიმართვის მარკერები, რაც ზედმიწევნითაა გამეორებულია ინგლისურ თარგმანში; ამდენად, ინგლისურენოვან მკითხველს, ვინც დედანს არ იცნობს, ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ქართულ საზოგადოებაში რუსიფიცირების ეს მარკერები ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით მიღებული და დამკვიდრებული იყო;**

(ნ) ქართული ტოპონიმის რამდენიმე სხვადასხვა ფორმა რუსულ და ინგლისურ თარგმანებში ცენზურის მარკერებად უნდა მივიჩნიოთ.

განვიხილოთ კლასიფიკაციაში მითითებული მთარგმნელობითი შეცდომების თითოეული ნიმუში:

(1) **რუსულ თარგმანს დამატებული აქვს კომუნისტური პოლიტიკური მსოფლმხედველობა, თარგმანი და შესაბამისად მკითხველის გონება „გაწმენდილია“ ერისა და სახელმწიფოებრიობის, როგორც არსობრივი ცნებებისაგან:** დედანსა და თარგმანში ავტორის ხმა უნისონში უნდა ჟღერდეს; „დათა თუთაშხიას“ ავტო-თარგმანში ეს უნისონი დრამატულად არის აცდენილი დედანს; ავტორი-მთარგმნელის ხმა რეჟიმის მოთხოვნებთან უფრო ჟღერს უნისონში, ვიდრე ქართულ ტექსტთან. დედნიდან აცდენის განხილული მაგალითები პოლიტიკური მოტივაციისკენ მიგვითითებს. არ შეგვიძლია ეამტკიცოთ, რომ თავად რომანში არსად ისმის პრო-სახელისუფლებლო რიტორიკა, მაგრამ თარგმანში ეს რიტორიკა დამატებით ფორმებს იძენს. მთავლიტის ძალდატანებით, საბჭოთა კავშირში დაბეჭდილ თარგმანებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ „საბჭოეთის მამების“ - ლენინის, სტალინის, მარქსის, ენგელსის... რამდენიმე გვერდიანი სახოტბო წანამძღვრები. საბჭოთა რეჟიმის დასასრულამდე ათწლეულით ადრე, დაიწყეს სახოტბო რიტორიკის თვალისამხვევ მანევრად გამოყენება და მისი წამძღვარება პოლიტიკურად არცთუ „საბჭოური“ შინაარსის ლიტერატურისთვის. მთავლიტის იდეოლოგიური ძალდატანება ემორჩილებოდა კოლონიური რეჟიმის მკაცრ მოთხოვნებს. „დათა თუთაშხიას“ რუსულ თარგმანში გვხვდება პოლიტიკური დითირამბი, რომელიც დედანთან დისონანსს სწორედ რეჟიმისადმი მორჩილი ტონის გამო ქმნის. განვიხილოთ მაგალითი, სადაც მთარგმნელი-

ამირეჯიბის ხმა უფრო მეტად დამთმობია მოთხოვნისადმი, ვიდრე ავტორი-ამირეჯიბის ხმა:

დედანი:

„ პოლიტიკოსები დაპირებებს არასოდეს იშურებდნენ, – ხმა ამოიღო მუშნი ზარანდიამ.

– ბოლშევიკი ხართ? – სიცილით ვკითხე კარიძეს.

– არა. – ისევ გაბრაზებულივით გაიქნია ბანჯგვლიანი თავი–პირი კარიძემ“ (ამირეჯიბი 453:1997).

თარგმანი:

«– Политики никогда не скупились на обещания, – заговорил наконец Мушни Зарандиа.

– Это верно, но Ульянов искренний и честный человек. Всем своим разумом он действительно желает благоденствия народам Российской империи. Правда и честность заложены в самом его учении. Масса плотью чувствует правду и, когда приходит срок, идет за честными идеями.

– Да вы большевик, – рассмеялся я» (Amireejibi, 1981:268).

ზემოთმოყვანილი მთარგმნელობითი ნიმუში პოლიტიკური იდეოლოგიის ძალმომრეობის კიდევ ერთი ეპიზოდად უნდა ჩაითვალოს; მაამებლური მოწიწება კომუნიზმის ბელადისადმი ლიტერატურასა და მწერლობაზე ძალადობის ფორმაა. წარმოდგენილი მაგალითით დასტურდება, რომ კერპად ქცეული ლენინის მოხსენიება ავტორს საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკაში დედნის დასაბეჭდად არ დასჭირდა, რუსულ თარგმანში კი ეს აუცილებლობა დადგა[64]. მუშნი

---

[64] გ ალხაზიშვილი წერს: „პარტიაში შესვლა, პარტიის წევრობა თუ არაწევრობა, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კომუნისტური იდეოლოგიის გაზიარებას ან გაუზიარებლობას.

ზარანდიას კომენტარსა და მთხრობელის შეკითხვას შორის ჩნდება ჩანართი ცენზურისთვის: *„ულიანოვის, წრფელი და პატიოსანი ადამიანის“* შესახებ. *მთელი თავისი გონით, მას რუსეთის იმპერიის ხალხებისათვის კეთილდღეობა სურს“. მის სწავლებაშია სიმართლეც და პატიოსნებაც. ხალხს მასა სხეულით გრძნობს სიმართლეს და დრო რომ დადგება, პატიოსან იდეებს გაჰყვება“.*

როგორც ჩანს, ქართული ტექსტი ცენზორთა თვალს „გამოეპარა“, ან „თვალი მოუხუჭეს“; წიგნის გამოსვლა დაემთხვა ლიბერალურ

ლოიალობის პრინციპს მაინც იცავდნენ. სამოციან, სამოცდაათიან წლებში ლოიალურად განწყობილ თითო-ოროლა ცენზორსაც გადაეყრივარ, რომელთა თვალის მოხუჭვის, წაყრუების თუ ცრუდ ნათქვამი „ვერ გაიგე“-ს წყალობით არაერთი ლექსი, მოთხრობა, რომანი, კინოფილმი, სპექტაკლი და ა. შ. გადარჩენილა და სამზეოზე გამოსულა. ისინი უჩინარნი იყვნენ მაშინაც და უფრო უჩინარნი არიან ახლა. სანაცვლოდ, არსებობდნენ „მწერლუკები“, „ხელოვნებათმცოდნუკები“, „კრიტიკოსუკები“, რომლებიც საკუთარი ინიციატივით, პარტიის დაკალებით – „ცენზურაგამსხლტარ“ მხატვრულ ლიტერატურას, კინოფილმებს, სპექტაკლებს კომპარტიის, სოცრეალიზმის „შაე-თეთრ“ პრიზმაში ატარებდნენ, ლანძღვა-გინების ქარიშხალს თავზე დაატეხდნენ მათ ავტორებს ... მაშინ ამისთვის გულაგის ბანაკებში უკვე აღარ ასახლებდნენ. მათი დევნის ახალი მეთოდები ჰქონდათ შემუშავებული. არ დაბეჭდავდნენ, ფილმს არ გადააღებინებდნენ, სპექტაკლს არ დაადგმევინებდნენ, აქედან გამომდინარე, ჰონორარს არ მისცემდნენ. სამუშაოდან დაითხოვდნენ, ერთი სიტყვით, უსახსროდ დატოვებდნენ. ამ პერიოდში გრძელდება გასული საუკუნის 30-იან წლებში დამკვიდრებული „ეშმაკური“ ტენდენცია: პოეტური კრებული რომ გამოგეცა, აუცილებელი იყო ლირიკული ლექსების წინ წაგებძღვარებინა „პარაეზები“. „პარაეზები“ ერქვა კომუნისტური იდეოლოგიის ამღიარებელ, მხარდამჭერ, დითირამბულს - გასული საუკუნის სამოც-სამოცდაათიან წლებში ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჟალიბდება ერთგვარი „პერმეტული სკოლა“, რომელიც ესთეტიკური კონცეფციითაც და უფრო მეტად (პოლიტიკური) იდეოლოგიური თვალსაზრისით უპირისპირდება სოცრეალიზმს. კარგად მესმის, რომ ქრონოლოგიურად „პერმეტული ლიტერატურისა და ხელოვნების“ სათავეები უფრო ადრე არსებობდა, მაგრამ სამოც-სამოცდაათიან წლებში „დათბობისა“ და „უძრაობის“ ჟამს „პერმეტიზმისა“ და ნაწილობრივი „დეპერმეტიზაციის“ მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა. პატრიოტული თემატიკა სახელმწიფოებრიობის დაკარგვის, ან კრიზისის დაძლევის ცდაა, რომელიც ილიას, აკაკი,ს რაფიელ ერისთავი,ს ეკა-ფშაველას შემოქმედებაში ზენიტს აღწევს“.

პერიოდს, როდესაც „რუსეთის იმპერიის ხალხებად“ წოდებული და დასავლეთში „ეთნიკურ უმცირესობად“ მიჩნეული რესპუბლიკები ნაკლებ წნეხს განიცდიდნენ და კულტურის სფეროც, მეტნაკლებად, ფორმალურად კონტროლდებოდა.

(2) **თარგმანში ამოშლილია ერისა და სახელმწიფოებრიობის არსობრივი ცნებები:** როგორც დედნისა და თარგმანის შეპირისპირებით ხდება ცხადი, იმ პერიოდის საბჭოური პოლიტიკური კონიუნქტურის პირობებში, ამირეჯიბ-ავტორს და ამირეჯიბ-მთარგმნელს **განსხვავებული იდეოლოგიური ამოცანები** ჰქონდათ დასახული. რუსული თარგმანის ენობრივი პოლიტიკის ფორმირება კომუნისტური პოლიტბიუროს „რისხვის“ და მისგან მომდინარე შიშისთვის ანგარიშის გაწევით მოხდა.

დედანი:

(ამონარიდი სანდრო კარიძის ერცელი მონოლოგიდან): “დღეს თუკი ვისმე თავისუფლების, **სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული** აქვს, მხოლოდ იმის ბრალია, რომ ზნეობა უმდგრადესია სულიერ ღირსებათა შორის.” (ამირეჯიბი, 1997:188)

თარგმანი:

«Но если и по сей день можно встретить людей, которые сберегли **любовь к свободе и любовь к родине**, то это потому только, что нравственность – самая стойкая духовная категория, свойственная человеку».

რუსულ თარგმანში გვაქვს «**любовь к свободе и любовь к родине**» - თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარული (რომელშიც დიადი საბჭოეთი იგულისხმევა), ხოლო მთარგმნელობითი მანიპულაცია ჩანს ცნება „**სახელმწიფოებრიობის**“ ამოშლით.

ქართულ რომანში არსებული ცნება „ერი“ რუსულ თარგმანში გაიგივებულია ცნება „ხალხთან.“ ზოგადად, განსხვავებულია ერისა და ეროვნულის ცნებითი განზომილების ქართული და რუსული მსოფლხედვაც: რუსულ ენაში ცნება „ერი“ გამოიხატება ნასესხები სიტყვით нация, თავად რუსულ ენას კი არ მიუნიჭებია სახელდება „ხალხზე“ მაღალი სულიერი ღირებულებების მქონე ცნებისთვის; აღმნიშვნელის არქონა და სესხება აღსანიშნის იმ ფუნქციურობის მზომია, რაც ერს აკისრია, რომლის გამოყენებას, რატომღაც, რამდენჯერმე „მოერიდა“ თარგმანი. მამარდაშვილის ცნებათშორისი განსხვავება ერსა და ეთნოსს შორის[65] კი ამოწმებს ერის მაღალ ღირებულებებს ეთნოსთან /ხალხთან შედარებით.

ამონარიდი სანდრო კარიძის მონოლოგიდან, სადაც ცნება „ერი“ ცნება „ხალხით“ არის ჩანაცვლებული:

დედანი:

„ერი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს.“

თარგმანი:

«И наш народ стал похож на пущенное в луга стадо».

ცნება „ერი“ მხოლოდ მონოლოგის დასასრულ ფრაზაშია შენარჩუნებული:

დედანი:

„რანი ვართო, რომ ბრძანეთ, უდიდეს ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სიმართლე უნდა მოგახსენოთ: საშოვარს გადაგებული გათითოკაცებული, ყოფილი ერი“.

---

[65] "ჩვენ ისტორიაში ვცხოვრობთ და არა ბუნებაში, ისტორიაში და ეთნოსში. ჩვენთვის ეს ნიშნავს, რომ ჩვენ, ქართველები, როგორც ქრისტიანი ერი, ერი ვართ მხოლოდ იმის წყალობით, რომ ამ ერის წევრმა პიროვნებებმა თავიანთ ქართულ ეთნიკურ სხეულში შეასრულეს გარკვეული სულიერი აქტები და ამის შემდეგ იშვნენ როგორც ერი და არა როგორც ეთნოსი. "

თარგმანი:

«А что представляем мы сейчас – я отвечу вам, но прошу меня простить за грубость моей правды. Мы – разрозненный, лишенный единства народ, занятый стяжательством, мы – **бывшая нация!**“»

ცნება „ერსა“ და ცნება „ხალხის“ გაიგივების კიდევ ერთი ნიმუში რომანის თარგმანში:

დედანი:

(ამონარიდი მაგალი თოდუას მონოლოგიდან) „მაგ განზრახვით და დაპირებით ბევრმა მიაღწია მაღალ თანამდებობას, მარა იქ რომ მივიდა, მერე ვეღარ შეძლო სურვილისა და დაპირების შესრულება, – სიტყვა ჩამოართვა მაგალიმ. – ასე იცის სხვის სამსახურში დიდკაცობამ. მეფის სამსახური, მისთვის სასარგებლო და შენი ერისთვის საზარალო რაც არის, იმას გაგაკეთებინებს მარტო“ (ამირეჯიბი, 1997: 440).

თარგმანი:

«– На эту высоту многие поднимаются с ношей добрых намерений и обещаний, а потом, смотришь, ничего не свершилось, ничего не сбылось, – сказал Магали. – Так и бывает, когда большим человеком становишься на чужой службе. На государственной службе будешь делать то, что выгодно царю и вредно твоему **народу**» (Амирэджиби, 1881: 260)

ზოგიერთ შემთხვევაში, ცნება „ერი“ განზოგადებულია და ამდენად, როგორც ცნება, „ამოშლილი“ თარგმანში.

დედანი:

„დღევანდელი ქართველი ერიც ხომ თაეისი მომავალი თაობების მამა-პაპაა და რატომ დაუკრეფია გულხელი, ნეტავი, და არც კლავს და არც ჟლეტს არავის, ჰა?“ (ibid).

თარგმანი:

«Нынешние грузины, отцы и деды будущих поколений, почему они не воюют, не убивают, почему они тише воды и ниже травы, почему?» (ibid).

რომანის თარგმანში ცნებებით მანიპულაციისა და განსხვავებული იდეოლოგიის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ვარიანტია ცნება „სახელმწიფოსა“ და ცნება „სახელმწიფოებრიობის“ „გაიგივება“:

ამონარიდი ნანო თავყელიშვილის მონოლოგიდან:

დედანი:

„ – ვფიქრობ, ეგრე უბრალოდ არ უნდა იყოს საქმე, ბატონო ვახტანგ, – ჩაერია ნანო. – როგორ ფიქრობთ, რაში მდგომარეობს გადაგვარება, რა თვისება დაკარგა ხალხმა?

– ეგ უკვე ნათქვამია!

– არ არის ნათქვამი, – მიუგო ნანომ. – სიყვარული დაკარგა. თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული.

– როგორ ბრძანეთ, ქალბატონო ნანო? – სანდრო კარიძე შუბლშეკრული, თვალებგამახული დაელოდა პასუხს.

– რა, მაგის თქმა არ შეიძლება? ცენზურა კრძალავს? – მიამიტად ჰკითხა კარიჭაშვილმა სანდროს“ (ამირეჯიბი, 1997:223).

თარგმანი:

«Не так просто, батоно Вахтанг, – вмешалась Нано. – Не так просто, как вам кажется. Что же случилось с народом? Какое свойство, по-вашему, он потерял?

– Я уже сказал – ненависть.

– Нет, не ненависть, – воскликнула Нано. – Он потерял любовь! Любовь к свободе, к родине, к **государству**.

– Как вы изволили сказать, госпожа Нано? – Сандро Каридзе, сморщив лоб, с интересом посмотрел на Нано.

– Разве это нельзя говорить, – **засмеялся Каричашвили. – Запрещено цензурой?»** (Амирэджиби, 223:1881).

იდეოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა თარგმანის გადახვევა დედნისაგან და რუსულ ტექსტში სიძულვილისა და სიყვარულის ანტინომიათა ჭიდილის გაჩენა, **სახელმწიფოებრიობის** სიყვარულის ნაცვლად **სახელმწიფოს** (რომლის იმპლიცირებული მნიშვნელობაც არის საბჭოთა სახელმწიფო) სიყვარული.

ამავე წინადადების რუსულ თარგმანში იდეოლოგიური მანიპულაცია ვლინდება: კარიჭაშვილის ანტი-რეჟიმული განწყობის ილოკუციური ძალა და პერლოკუციური ეფექტი განსხვავებულია დედნისაგან, ისევე, როგორც ექსტრალინგვისტური ინფორმაციის ინფერენციაა სხვადასხვაგვარი:

„– რა, მაგის თქმა არ შეიძლება? **ცენზურა კრძალავს?** – მიამიტად ჰკითხა კარიჭაშვილმა სანდროს“

მიამიტი კითხვის, როგორც ექსტრალინგვისტური ინფორმაციის შემცველი ილოკუციური აქტის პერლოკუციური ეფექტია დადებითი პასუხის ინფერენცია, იგი მყარდება მეტყველების ტონალობითაც, ხოლო თავად შეკითხვა წმინდა რიტორიკულ პლანში უნდა განვიხილოთ; ექსტრალინგვისტური ინფორმაციის ინფერენციაა „ცენზურა კრძალავს სიტყვის თავისუფლებას. ეს საზოგადო

ჭეშმარიტებაა და მაშასადამე, კითხვაც ამიტომ არის მიამიტი ტონალობის". რუსულ თარგმანში კი, ცენზურის შესახებ სიცილის ტონალობაში საუბარი - შდრ.: „მიამიტად ჰკითხა კარიჭაშვილმა" ქვეყანაში სიტყვის თავისუფლების იმპლიკაციაა: «Разве это нельзя говорить, – **засмеялся Каричашвили.– Запрещено цензурой?»** თარგმანის მკითხველი კი, სიცილის, როგორც ექსტრალინგვისტური ინფორმაციის შემოტანით, სრულიად საპირისპირო, მცდარ ინფერენციამდე მიდის, თითქოსდა სიტყვის თავისუფლება გარანტირებული იყოს.

თვით ცნება ცენზურა დედანში ამბივალენტურია: ცენზურა - არა როგორც მოაზროვნეთა დამსჯელი ინსტიტუცია, არა როგორც კომუნისტური პროკრუსტეს სარეცელი, არამედ როგორც *ნიჭიერების მცველი და გრაფომანიის მტერი:*

დედანი:

„მე კაზმული სიტყვიერების ცენზორი ვარ, ელიზბარ. ყველა ღონეს ვხმარობ, მხატვრული ლიტერატურა და პოეზია ხელთ არ იგდოს თავხედობამ და განდიდების მანიით შეპყრობილმა უმეცრებამ. დარწმუნებული ვარ, კეთილ სამსახურს ვუწევ ჩემს სამშობლოს. მეორე: ჭეშმარიტად მაღალნიჭიერი თხზულება ცენზურის მხრივ ისევე შეუვალია, როგორც ორდინარული უნიჭობა. ცენზურა არც ლაჟვარდისფერს ებრძვის, არც შავს. ამ ორ ფერს შორის მოთამაშე ნაცრისფერს ებრძვის, უნიჭობასაც, ჩემო კარგო ელიზბარო!"

თარგმანი:

«Я занят изящной словесностью, Элизбар,– ответил Каридзе. – По мере сил я стараюсь, чтобы ею не завладели невежды и властолюбцы. Я уверен, что мои старания способствуют процветанию родины. **А прекрасные творения, я знаю, не подвластны цензуре.** Ей не под силу

погасить ослепительное сияние их красок. Но бывает мертвенный, тусклый цвет, разбойничий серый цвет бездарности. Я борюсь с этим цветом, мой дорогой Элизбар!»

მხოლოდ საზოგადო ტერორს გადარჩენილი ინტელიგენციისთვის დგას ამ განცხადების მიღმა უზარმაზარი ირონია. ავტორის დამოკიდებულებას ცენზურის როლისადმი ეს ირონია სძენს ორმაგ სახეს: ერთს ჭეშმარიტს, მეორეს კი ნიღაბს. ცენზურის შესახებ ორმაგი ექო ინტელიგენციას საკუთარი მწვავე გამოცდილებით ესმის, ცენზურას კი ამ ქებაში ელიტარული ცენზურისათვის განკუთვნილი ტრაფარეტული „საკაზმი“ პროლეტარების ქვეყნის მშენებელთა ქებათაქება ჩაეწვეთება. „მაღალნიჭიერების“ ამირეჯიბისეული განსაზღვრებაც ირონიაა, რადგან მისი საზრისი ორმაგი ენით წერაა, რასაც საკუთრივ კიდევ სხვა ნიჭი და მოხერხება უნდა - ცენზურისთვის ხელჩასაჭიდიც რომ არაფერი იყოს და გამგებისთვის კი გასაგები ქვეტექსტი იკითხებოდეს. თარგმანში „მთარგმნელობითი ავანტურაა“ „ჩადენილი“: თუ დედანი ამბობს, რომ ცენზორი მაღალნიჭიერ თხზულებას ვერაფერს დააკლებს, „მაღალნიჭიერება“, როგორც რეალური იდეოლოგიური ფასეულობებისა და არასაბჭოთა მსოფლხედვის მოხერხებულად შენიღბვასთან ასოცირებული ცნება, რუსულად ფრიად ნეიტრალური ცნებით, „მშვენიერი ქმნილებებით“ არის ჩანაცვლებული:

დედანი:

„ჭეშმარიტად მაღალნიჭიერი თხზულება ცენზურის მხრივ ისევე შეუვალია, როგორც ორდინარული უნიჭობა“.

თარგმანი:

«А прекрасные творения, я знаю, не подвластны цензуре» .

(3) პოლიტიკური თვალსაზრისი, რაც გიორგიევსკის ტრაქტატსა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს შეეხება, თარგმანში შერბილებული ტონით არის გადმოცემული და რედაქტირებულია;

ბილინგვა აეტორის მთარგმნელობითი მანიპულაციები ის შემთხვევაა, როცა თარგმანი ერთგულად არ მისდევს დედანს, მაგრამ ამ ორგულობის მიზეზი არც მთარგმნელის წინასწარი განწყობაა და არც მისი არაკომპეტენტურობა.

რუსულ ენაზე თარგმნილი ქართული ლიტერატურის მკითხველი ვერ (მო)ახერხებს იმ კრიტიკული ტონალობის ინტერპრეტაციას, რაც აეტორის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ განწყობა-დამოკიდებულებას საცნაურს ხდის დედანში. თარგმანის ენა შექმნა ცენზორმა, ხოლო მთარგმნელი და ცენზორი თავად სისტემამ. ამდენად, თარგმანის პოსტკოლონიური თეორია იკვლევს კოლონიური ეპოქის კრიტიკული დისკურსის თარგმანს რუსულ ენაზე და თარგმანის ძირითად ღირებულებებს, ცნებებს, მათ შორის მთარგმნელის მორალურ ღირებულებებს, დედნისადმი ერთგულ მეტყველებას ან აპროპრიაციულ დამოკიდებულებას და ენობრივი მანიპულაციის იდეოლოგიურ შედეგებს.

დედანი:

„– თვით ერეკლეს პოლიტიკაც ვახტანგ გორგასალის ოპერაციის გეოგრაფიულად შებრუნებული განმეორება გახლდათ – საყრდენით ჩრდილოეთში და მახვილით სამხრეთში, მაგრამ ამ ვითარებამდე იმდენად გაჩანაგებულებმა მივაღწიეთ, რომ რუსეთმა ქართველთა მოკავშირეობას მათი მფარველობა ამჯობინა, სხვათაშორის, თვით ქართველებმაც მფარველობის ქვეშ ყოფნა ამჯობინეს“...

თარგმანი:

«Впоследствии, уже в новые века, Ираклий Второй хотел совершить операцию, географически обратную той, какую совершил в свое время Вахтанг Горгасали, – с опорой на севере, меч повернут на юг, **но к этому времени мы были так обессилены, что сами нуждались в покровительстве. И нашли его в союзе с Россией. Грузины пришли к покровительству»...**

სემანტიკური მნიშვნელობისა და პრაგმატიკული ინფერენციის შეპირისპირებითი ანალიზი:

დედნის სემანტიკური მნიშვნელობა	რუსული თარგმანის სემანტიკური მნიშვნელობა	ინგლისური თარგმანის სემანტიკური მნიშვნელობა
...ამ ვითარებამდე იმდენად გაჩანაგებულებმა მიეაღწიეთ, რომ რუსეთმა ქართველთა მოკავშირეობას მათი მფარველობა **ამჯობინა,** სხვათაშორის, თვით ქართველებმაც მფარველობის ქვეშ ყოფნა **ამჯობინეს**...	...но к этому времени мы были так обессилены, что сами **нуждались** в покровительстве. И нашли его в союзе с Россией. Грузины **пришли** к покровительству	...by that time we were so weak that **we needed** protection ourselves. And **we found** it in the alliance with Russia (p. 264)

	სიტყვასიტყვითი უკუთარგმანი ქართულად:	სიტყვასიტყვითი უკუთარგმანი ქართულად:
	იმ დროისათვის ჩვენ ისეთი დაუძლურებული ვიყავით, რომ თავად გვჭირდებოდა მფარველობა. ეს ვპოვეთ რუსეთთან კავშირით. ქართველები მივიდნენ მფრაველობითი დამოკიდებულების თვის.	იმ დროისათვის ჩვენ ისეთი დასუსტებული ვიყავით, თავად გვჭირდებოდა მფარველობა. ეს კი რუსეთთან ალიანსში ვპოვეთ.
	თარგმანის ანალიზი	თარგმანის ანალიზი
	როგორც ვხედავთ, თარგმანში გადანაცვლებულია წინადადების ქვემდებარე, ანუ მოქმედი პირი: ა. ქართულ ტექსტში გადაწყვეტილების მიმღები პირი რუსეთია, რომელიც ერთპიროვნულად წყვეტს ორი	ინგლისური თარგმანი რუსული ენიდან არის შესრულებული, რასაც ორ ენაზე ეკვივალენტთა დონეზე შედარება გვიჩვენებს: შდრ.: რუს. [обессилены] -ის ინგლისური

	სახელმწიფოს ურთიერთობის ბედს და საკუთარი ძალის დემონსტრირებას ახდენს პოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად. ბ. ქართულ ტექსტში ჩანს, რომ დაუძლურებულ ქართველებს ფაქტობრივად არჩევანი არ დაუტოვა რუსეთმა, ქართველების ნება არ იყო გათვალისწინებული ოფიციალური ხელშეკრულების მნიშვნელოვანი სახეცვლილებისას. გ. ჩნდება საფუძველი სამოკავშირეო ხელშეკრულებიდან ძალადობრივი და კაბალური ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის.	ეკვივალენტად - [weak] არის გამოყენებული; ხოლო ქართ. [გაჩანაგებული] - ის ინგლისური ეკვივალენტი იქნებოდა [devastated]. ამასვე მოწმობს რუსულ და ინგლისურ ტექსტებში ერთი და იმავე წინადადების გამეორება: რუს.: **сами нуждались в покровительстве.** ინგლ.: **we needed protection ourselves.** ქართ. უკუთარგმანი: [თავად გვჭირდებოდა მფარველობა] იგივე წინადადება დედანში არ გვხვდება.

		ინგლისურ თარგმანში „გამქრალია“ რუსეთის საქართველოსთა ნ სამოკავშირეო ხელშეკრულების პოლიტიკური ფორმატის სახეცვლილების ფაქტი და მოტივი და ქართველები მივიდნენ მფრაველობითი დამოკიდებულები ს და არა სამოკავშირეო ურთიერთობის სათხოვნელად. ანალოგიური შინარსი დედანში არ გეხვდება. დედანში ნათქვამია, რომ რუსეთმა გაჩანაგებული საქართველოს მფარველობა ამჯობინა და არა მოკავშირეობა, რასაც, საქართველო,

		იძულებული იყო, დათანხმებოდა. მთარგმნელობით ი მანიპულაციით, თარგმანში სწორედ ეს იძულება არის ნებაყოფილობით ი შეცვლილი; ასევე შეცვლილია პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობის მოდელიც: ინგლისურ თარგმანში ჩანს რუსული ცენზურის კვალიც - თარგმანში პოლიტიკური პროტექტორატი შეცვლილია ალიანსის ფორმატით.
პრაგმატიკული ინფერენცია	პრაგმატიკული ინფერენცია	პრაგმატიკული ინფერენცია
(1) ფაქტობრივი გარემოებაა, რომ რუსეთმა „გიორგიევსკის ტრაქტატის“	(1) ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ხელშეკრულების	(1)ფაქტობრივი გარემოებაა, რომ ისეთი დაუძლურებული

ხელმოწერის შემდეგ სხვა პოლიტიკა „ამჯობინა“ და არა ის, რაზეც ხელი იყო მოწერილი. თავზე პროტექტორის მისია აიღო და არა მოკავშირის, რაც თავად **სამოკავშირეო ხელშეკრულების პირობის დარღვევა იყო;** (2)ავტორის რუსული პოლიტიკის მხარდამჭერი არგუმენტია, რომ გაჩანაგებული და რიცხობრივად მცირე ერი გიგანტი სახელმწიფოს პოლიტიკური მოკავშირე ვერ გახდება: *თვით ქართველებმაც მფარველობის ქვეშ ყოფნა ამჯობინეს...* (3) რადგან ცნობილია სიტუაციის ფაქტობრივი გარემოება და გარემოების „გამამართლებელი“არგუმენტი, დამაჯერებელი ჩანს ავტორისეული დასკვნის გულწრფელობაც:	გაფორმების დროისათვის ისეთი დაუძლურებული იყო საქართველო, რომ თავად სჭირდებოდა მფარველობა. მან ეს ჰპოვა რუსეთთან კავშირით. ქართველები მივიდნენ მფრაველობისთვის. **რუსეთს არ დაურღვევია სამოკავშირეო ხელშეკრულება.** (2)ავტორის რუსული პოლიტიკის მხარდამჭერი არგუმენტია, რომ საქართველოს ესაჭიროებოდა მფარველობა: ქართველები მივიდნენ მფრაველობითი დამოკიდებულების თვის. ანუ, მათთვის პოლიტიკური არჩევანის უფლება არ წაურთმევიათ.	იყო საქართველო, რომ დაცვა, მფარველობა ესაჭიროებოდა: *we needed* (2) ავტორის რუსული პოლიტიკა ინგლისურში კიდეე უფრო გამყარებულია იმ გარემოებით, რომ პროტექტორატი, მფარველობა და ამგვარი მისია ხსენებულიც არ არის და რუსეთი წარმოდგენილია, როგორც საქართველოს მოკავშირე. ქართველები და რუსები თანასწორი პარტნიორებია, ამდენად, ალიანსში არიან.

„სხვათაშორის, თვით ქართველებმაც მფარველობის ქვეშ ყოფნა ამჯობინეს" - თუმცა, რამდენიმე ლინგვისტური მოულენა, ინფერენციის ჰომოგენურობაზე ზეგავლენას ახდენს; მაგ.: ემფაზა დეიქსისზე - [თვით] მითითებაა, რომ ქართველი, ნორმალურ პირობებში, ჯეროვნად არ მიიჩნევდა მფარველობით დამოკიდებულებას რუსეთისაგან; და ასეთ არჩევანს - [ამჯობინეს] არ გააკეთებდა ნებაყოფლობით. ამდენად, ავტორს გამოყენებული აქვს გრამატიკული ხერხი, რომელსაც პრაგმატიკაში ევიდენციალს უწოდებენ, რათა თავადვე ეჭვქვეშ დააყენოს საკუთარი ე.წ. ილოკუციური გამონათქვამი. ასევე აღსანიშნავია ავტორის დამოკიდებულების გამოხატვა ჩართული გამოთქმით -	(3) რუსულ თარგმანში არ არის დეიქსისი [თვით] - რომელიც წინადადებას გააფორმებდა შემდეგნაირად: „თვით ქართველები მივიდნენ მფრაველობითი დამოკიდებულების თვის" - ლინგვისტური ინფერენციის ჰომოგენურობაზე გავლენას არ ახდენს სათქმელის ორმაგი კოდით ჩამოყალიბება ევიდენციალის მეშვეობით.	

სხვათაშორის, რომლითაც იგი მიგვანიშნებს, თუ რაოდენ სასხვათაშორისო და პოლიტიკურად ნაკლებად მხედველობაში მისაღები იყო ქართველთა აზრი საკუთარი სახელმწიფოებრიობის შესახებ რუსეთისათვის. ყოველივე ეს მიუთითებს საგანგებო ლინგვისტური მიდგომების წინასწარ გააზრებას, სათქმელის ორმაგი კოდით ჩამოყალიბებას, რაც მიგვანიშნებს ცეზურისთვის გამიზნულ მეტყველებისკენ და არა ავტორის გულწრფელობისკენ. ორმაგი კოდიდან ერთ-ერთი შეიცავს ევიდენციალს, ანუ გასაღებს წარმონათქვამის ინფერენციისა და ინტერპრეტაციისათვის.		

თუ ქართულ ტექსტში აეტორი ღიად მეტყველებს რუსეთ-საქართველოს სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერა-სახეცვლილებასა და ამ პროცესების თანმხლებ გარემოებებზე, რუსულ თარგმანში მისი პოლიტიკური შეხედულებები „დუმს“, შერბილებულია, ან მთლიანად რედაქტირებულია.

(4) გენდერულად უარყოფითი ნანოს მიმართ შეინიშნება რუსულ და ინგლისურ თარგმანებში; თუ დედანში ნანო აქტიური და მებრძოლი ქალია, რუსულ თარგმანში იგი მერყევ, პასიურ ქალად წარმოაჩენს. Is this addition to the Russian translation a distraction from a more coherent Georgian wording that Nano is negative about the political movements of the time? Is this what should be hidden from the Russian censors by the author-translator? This argumentation would not come as a surprise taken into consideration the path it passed through before even getting permission for publishing in the native language. [66]

SL (Georgian) text	TL 1 (Russian) text	TL 2 (English)
”ქალი ვარ, მართალია, მაგრამ მაინც საკმაოდ კარგად ვიცნობ ჩვენი დროის პოლიტიკურ მიმდინარეობებს.	“– Видишь ли, хотя я женщина, но хорошо разбираюсь в политических	“You see, even though I’m a woman, I have a good understanding of the political

[66] “შემდეგ რაღაც ისეთი მოხდა, რაც მანამდე არ მომხდარა ლიტერატურაში: Eduard Shevardnadze offered "the operational issue of the ‘Tsiskari’ editorial board" to the Central Committee Bureau for consideration along with his own opinion and received a positive response". (http://www.magticom.ge/magazine/2001-2/2001-2-8.html).

	течениях нашего времени.	movements of our times.
	თარგმანის ანალიზი	თარგმანის ანალიზი
	რუსული თარგმანი ეკვივალენტურია დედანთან	ინგლისური თარგმანი ეკვივალენტურია რუსულთან.
არც ერთი არ მაკმაყოფილებს. ჩემს შეხედულებებს, წარმოდგენებს, რწმენას, არც ერთი არ ემთხვევა.	Если живешь в Европе, то без этого не обойтись, надо понимать, что к чему, надо быть в курсе жизни. Да и у нас тоже...	If you live in Europe, it's a necessity, you must understand what's what, keep abreast of the times. And here, too...
	თარგმანის ანალიზი	თარგმანის ანალიზი
	რუსული თარგმანი განსხვავდება დედნისგან. მასში ჩამატებულია ფრაზა, რომელიც დედანში არ არის.	ინგლისური თარგმანი ეკვივალენტურია რუსულთან. მაშასადამე განსხვავდება დედნისგან. მასში ჩამატებულია ფრაზა, რომელიც დედანში არ არის.

მეორე მხრივ, ბოროტების შემჩნევის, დანახვის უნარი და მის წინააღმდეგ ლაშქრობის თანდაყოლილი ჟინი არ მასვენებს და ვერ კი მიმიგნია, როგორ და რაში აღვასრულო ეს თვისება, კეთილგონიერი, უტყუარი მოქმედების გეზს ვერ ვპოულობ, გესმის?"(ამირეჯიბი, 1997:203) აღნიშნული აბზაცი რუსულად თარგმნილი არ არის: კეთილგონიერი, უტყუარი მოქმედების გეზის ძიება ნანოს თვისებაა; დედანში იმპლიცირებულია, რომ ნანო აქტიურია, მოქმედებს, ეძებს. ეს დინამიკა თარგმანში ჩანაცვლებულია ნანოს პასიური და სტატიკური მდგომარეობით: რუს. თარგმანი: *თავად არ შემიძლია ბრძოლაში*	Но нет ничего такого, **что было бы мне по душе, что выражало бы именно мои взгляды и представления.** უკუთარგმანი ქართულად: მაგრამ ისეთი არაფერია, რაც მომეწონება, რაც გამოხატავს უშუალოდ ჩემ შეხედულებებსა და წარმოდგენებს. Потому, наверно, сама я не могу принять участия в борьбе, не то, думаю, могла бы на что-нибудь пригодиться. უკუთარგმანი ქართულად: ამიტომაც, ალბათ, თავად არ შემიძლია ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ვფიქრობ, შემეძლო რაიმეში გამოდგომა.	But there is nothing that suits me personally, that expresses my personal views and concepts. That's probably is why I can't participate in the struggle. If that weren't the case, I would be of some use, I believe…I can't understand myself, or decide how I should live, **how to find my own form of life,** activity, do you get me? (Amirejibi 1985: 227 vol. I). უკუთარგმანი ინგლისური თარგმანიდან: პირადად მე არაფერი მესადაგება, რადგან ჩემ პირად შეხედულებებსა და მრწამსს არ გამოხატავს. ალბათ ამიტომ არ შემიძლია

მონაწილეობის მიღება. დედანი ამბობს, რომ ნანო ასპარეზს ვერ ხედავს საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოსავლენად და მიანიშნებს ქალისათვის შეზღუდულ პოლიტიკურ ვითარებაზე. გარდა ამისა, მას სურს ის უტყუარი გზა განჭვრიტოს, რაც მას ბრძოლაში გამარჯვებას მოუტანს.		ბრძოლაში მონაწილეობა. ასე რომ არ იყოს, მჯერა, რაიმეში გამოვდგებოდი. დამოუკიდებლად არ შემიძლია იმის გაგება, ან გადაწყვეტა, თუ როგორ ვიცხოვრო, ჩემი საკუთარი ცხოვრების ფორმა ან საქმიანობა ვიპოვო. გესმით ჩემი? როგორც ვხედავთ, ინგლისური თარგმანის ინფერენციული მნიშვნელობა არამარტო დედნისაგან, არამედ რუსული თარგმანისგანაც განსხვავებულია, ნანო სრულიად დაბნეულ, დამოკიდებულ, უსუსურ პერსონაჟად არის წარმოდგენილი, ვინც მხოლოდ

		საკუთარი ცხოვრებისა და საქმიანობის ფორმების ძიებითაა შემოზღუდული.
	И вместе с тем мне не дает покоя способность ненавидеть зло и против него ополчаться." (Amirejibi: 116) უკუთარგმანი ქართულად: მეორე მხრივ, ბოროტების შემჩნევის, დანახვის უნარი და მის წინააღმდეგ ლაშქრობის თანდაყოლილი ჟინი არ მასვენებს. რუსული თარგმანის ინფერენციული მნიშვნელობა ნანოს მერყევ, პასიურ ქალად წარმოაჩენს. ის არ მიელტვის ბრძოლას. დედანში ნანოს მებრძოლი ტონი თარგმანში	

	შერბილებულია, ფრაზა: „ლაშქრობის *ჟინი“* ჩანაცვლებულია *ამბავრებით.* რითიც ნაწილობრივ განეიტრალებულია გალაშქრების, ომის სემანტიკა და ბრძოლის ასოციაცია.	

მიუხედავად გენდერული სტერეოტიპისა, რაც მე-19 ს-ში რაც ტექსტის დასაწყისშია, ნანო ავტორს ახმოვანებს: ამირეჯიბი სწორედ ნანოს „ანდობს“ საკუთარი პოლიტიკური პოზიციის გახმიანებას; სწორედ ნანოს აქვს პოლიტიკური მდგომარეობის შეფასების უნარი, ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხედვა, ანალიტიკური აზროვნება და მეამბოხე სული. ნანოს პერსონაჟი, სახელმწიფოებრივი აზროვნებითა და პოლიტიკური პოზიციით განასახიერებს დაუმონებელი ინტელექტუალების განზოგადებულ ხატს, ისე როგორც ქართველი ქალის ხატს. მას გაცნობიერებული აქვს იმპერიის მრავალსახეობაც და მისგან მომდინარე ბოროტებაც.

(5) რუსულ თარგმანში რუსიფიცირებულია კნინობითი მიმართვის მარკერები, რაც ზედმიწევნითაა გამეორებულია ინგლისურ თარგმანში. ინგლისურენოვან მკითხველს, ვინც დედანს არ იცნობს, ექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ქართულ საზოგადოებაში რუსიფიცირების ეს მარკერები ენობრივი და კულტურული თვალსაზრისით მიღებული და დამკვიდრებული იყო;

ელაჰოვი წერს, რომ სხვადასხვა კულტურაში არსებული კნინობითი მიმართვის ფორმები ეკვივალენტური ცნებითი შინაარსის ვერ იქნება,

თვით მონათესავე ენებშიც კი, ამას კი ცნებათა შორის განსხვავებული ემოციური დატვირთვა განაპირობებს (ვლახოვი, 1980:40). სუფიქსი, რომელიც თან ახლავს საკუთარ სახელს, როგორც მიმართვის კნინობით ფორმას, ეროვნულ იდენტობასაც ასახავს. თარგმანის მიმღები ენის სუფიქსების დართვა საკუთარ სახელზე იწვევს კულტურული იდენტობის არასწორად წარდგენას.

დედანი:

„ დააყენებს ხალხს კაკოია თაბაგარი, ასწავლის, აქ რომ სახელები ვილაპარაკეთ,

TL text: ზეპირად. სახელებს რომ დაისწავლიან, მერე რომელი რას ნიშნავს, იმას დაასწავლის“ (ამირეჯიბი,1997:41).

თარგმანი:

“У Какошки Табагари они живо выучат все имена, а после он их смыслу обучит”.

კნინობითი მიმართვა მეტყველების სტრატიფიკაციული ვარიანტულობაა, მისი თარგმანი ეფექტის ანალოგიზაციის პრინციპით შესაძლებელია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში რუსული სუფიქსებით გაწყობა ქართულ ენაზე რუსული ენის დომინაციურ გავლენას ავლენს. ამ უცხოკულტურული გავლენის კიდევ ერთი ნიმუშია ქართველი პერსონაჟისათვის რუსული თიკუნის შერქმევა:

„– ფაფა რომ უყვარდა... “კაშკა” შეარქვეს–მეთქი!.. – ტაში შემოჰკრა დასტურიძემ და სახეზე უმალ ხელები აიფარა, კიდევ არ შემომკრან სილაო“ (ამირეჯიბი,1997:344).

«У Дастуридзе глаза на лоб, на крупу уставился:
– Он ведь кашу любил... Я же говорил, **«Кашкой»** его звали» (Амирэджиби, 1981:203)

(6) ქართული ტოპონიმის რამდენიმე სხვადასხვა ფორმა რუსულ და ინგლისურ თარგმანებში ცენზურის მარკერებად უნდა მივიჩნიოთ. სანამ რუსები „მინგრელიას“ უწოდებდნენ, არსებობდა ტოპონიმი ოდიში. 1803 წელს ოდიში რუსეთმა საკუთარ პროტექტორატად გამოაცხადა. სწორედ მაშინ იშვა ტოპონიმები „სამეგრელო“ და ყოველად უმართებულო „მინგრელია“,[67] ახალი კოლონიის სახელწოდების შეცვლა ცენტრისთვის გახლდათ პერიფერიაზე საკუთარი ლეგიტიმაციის გააერცელებისა და დომინაციის ნიშანი.

რომანის რუსულ თარგმანში საინტერესოა ტოპონიმის ორმაგ ვარიანტზე დაკვირვება:

რუსული თარგმანი:

«Ограничив себя пределами **Мингрелии и Самурзакано**, Мушни Зарандиа в каждом из трех родов наметил по одному бандиту, считавшемуся в своем клане первым по могуществу и славе» (Амирэджиби, 1981:97).

«– Мир и достаток дому сему, – благословил Дата на своем **мегрельском** наречии. Пожелали добра хозяину и мы» (Амирэджиби, 1981:198).

პოსტკოლონიური შეფასება უნდა მიეცეს ტოპონიმების რუსიფიკაციასაც: იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, ტოპონიმის ძირიც და სუფიქსიც რუსიფიცირებულია. თანამედროვე თარგმანმცოდნეობა ტოპონომების თარგმნის წინააღმდეგია და ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიპციის მეთოდს მიიჩნევს მართებულად, რადგან ტოპონიმი ეროვნული რეალია, ეროვნული კულტურის

[67] http://www.nplg.gov.ge/dadiani/samagrelo.html

ნაწილია. თუმცა, უკვე დამკვიდრებული ფორმების გადარქმევა ხანგრძლივი და ნებაყოფილობითი პროცესია.

ამირეჯიბისეული რუსულენოვანი ავტოთარგმანი შესრულდა ცენზურის წნეხქვეშ; სწორედ ამიტომ ჩათვალეს, რომ მისი სანდოობის ხარისხი მისაღები იყო რომანის ინგლისურ ენაზე სათარგმნად. ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის ცნებათა იდეოლოგიური ტრანსფორმაცია თარგმანში ავტო-მთარგმნელის თვით-განადგურების მეტაფორაა, რადგან მისი ორიენტირია არა საკუთარი დედნის იდეოლოგიური ერთგულება, არამედ ტოტალიტარული რეჟიმისგან თავის დახსნის მცდელობა. სწორედ ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ რუსული თარგმანი „უთმობს“ არა დედანს, არამედ რეჟიმს. გასათვალისწინებელია ის ფსიქო-ემოციური ეფექტიც, რასაც თარგმანი ახდენს რუს მკითხველზე ეროვნული ხედვის პრორუსული კონცეპტუალიზაციით. თარგმანის პოსტკოლონიური შეფასებით, თარგმანი, როგორც გადაწერა, არის დედნის იდეოლოგიური არსის მანიპულირებული წარმოდგენა და არა დაწერილის შეცვლა შინაარსობრივად. ასეთი თარგმანი შიშის გამო თხზავს კულტურათშორის სიყალბეს: მთარგმნელობითი რეცერანსი ის მრუდე სარკეა, რომელიც ვერ აირეკლავს ეროვნულ ანტიიმპერიულ განწყობას.

ავტორი ეზოპეს ენას მიმართავს:

ამირეჯიბი ეზოპეს ენით მეტყველებს ეროვნულ გრძნობებზე და ამ გზით ცდილობს რუს მკითხველამდე მიიტანოს რომანში მე-19 საუკუნეში დასმული პრობლემა: ეროვნული კონსოლიდაციის იდეა.

ეზოპეს ენა „დათა თუთაშხიას“ დედანსა და რუსულ და ინგლისურ თარგმანებში

დედანი:

– არაკი ვიცი ერთი მე, ჩვენი არ არის ის, – ნანოს მიმართა ლაზმა. – ლომია დაჭრილი იმ არაკში, სისხლი მოსდის მკერდიდან და გარშემო აფთრებს სიხარული აქვთ და ზეიმი, ლომი რომ კვდება და ლეში მათ რომ დარჩებათ, იმიტომ. გაგულისდება ლომი, მოიკრებს უკანასკნელ ძალ-ღონეს, წამოუხტება აფთრებს, სისხლის გუბეს დააყენებს მათსას. იბრძოლებს დიდს, გამოელევა ილაჯი, ჩაუარდება მათი სისხლის გუბეში და ბანაობს შიგ. ისეა არაკში, რომ მტრის და მოშურნის სისხლმა უნდა მოუშუშოს და შეუხორცოს ჭრილობა ლომს.

თარგმანი:

– «Я вспомнил басню, она не наша... Смертельно ранен лев, из груди его льется кровь, а вокруг торжествует стая шакалов, радуясь, что лев умирает и труп достанется им. ***Лев не может стерпеть их ликования*** и, собрав последние силы, бросается на шакалов, раздирает их в клочья. И шакалья кровь лужей стекает к его ногам. Изнемогающий от долгой борьбы лев бросается в эту кровавую лужу. По басне получается, что кровь врагов и завистников должна исцелить льва, вернуть его к жизни» (Амирэджиби, 1977:135)

თარგმანი ინგლისურ ენაზე:

"I've remembered a fable, not one of ours..a fatally wounded lion, blood spurting from his chest, is surrounded by a triumphant pack of jackals, happy that the lion is dying and the corpse will be theirs. The lion ***can't stand their joy*** and, summoning the last of his strength attacks the jackals and tears them to shreds. And the jackal's blood pours into a puddle at his feet. Exhausted by the fierce battle, the lion plunges into the bloody puddle. According to the fable, the

blood of his enemies and ill wishers will heal lion, return him to life" (Amierejibi, 261-262 vol. I).

არაკის გაგრძელება, დედანი:

„ახლა, არწივი რომ არის, ქართული ლექსი: მისი დამწერი დიდი კაცია ძალიან ქართველებში, ყველაზე დიდი იყოს, იქნება. დღეს. იცით თქვენ ეს. ამ დიდ კაცს რატომ არ მოუვიდა აზრად, ნეტავი, მისი არწივიც რომ წამოფრენოდა ყვაე-ყორანს, ბუმბული გაეფანტა მათი და შეება მიცემოდა ამით? რატომ და, ასე რომ ექნა, გაბოროტების და ჯაერის ამოყრის მაგალითი უნდა მიეცა სხვისთვის. **არ ქნა მან ეს**" (ამირეჯიბი, 1997:231).

არაკის გაგრძელება, თარგმანი რუსულ ენაზე:

«Арзнев Мускиа на секунду запнулся и продолжал: – Вы все знаете грузинское стихотворение «Орел». Великий человек написал его, Важа Пшавела, по-моему, самый великий из современных грузин. Ему не пришло в голову исцелить раненого орла кровью воронья. Потому что, кончив так свое стихотворение, он призвал бы к насилию и мести. **А он не хотел, он не мог»** (Амирэджиби, 1977:135)

არაკის გაგრძელება, თარგმანი ინგლისურ ენაზე:

"Arznev Muskia stopped for a second and then went on. You all know the Georgian poem "The Eagle". A great man wrote it, Vazha Pshavela, I think the greatest of contemporary Georgians. It didn't occur to him to heal the wounded eagle with the raven's blood. Because by ending his poem that way he would be calling for violence and revenge. **And he didn't want that, he couldn't"** (Amierejibi, 261-262 vol. I).

არაკის გაგრძელება, დედანი:

„მესამედ გაიმეორებ შენთვის, თუ პირველად წაიკითხავ - არწივის სიბრალული, თანაგრძნობა გეწვევა კაცს ჯერ, მის მხარეზე დაგაყენებს, ღონემიხდილს და განწირულს შეგაყვარებს ლექსი. მაგ კაცს განგებისგან აქვს მადლი დასხმული საამისოდ. ადვილად შეუძლია ეს. შეაყვარა და, რომ მიალწია ამას, გენდობა უკვე. იცის, რასაც გააკეთებ, სიყვარულიდან ამოსული იქნება ის. ამიტომ არის, რომ არ გირჩევს და არ გეუბნება, ასე და ისე მოიქეციო, - ლაზი წამით დაფიქრდა და დასძინა: - ნამდვილი რაც არის, ყველაფერში ასე უნდა იყოს, მგონია. უნდა დავაკვირდე, ერთი ამას“ (ამირეჯიბი, 1997:231).

არაკის გაგრძელება: თარგმანი რუსულ ენაზე:

«Сколько ни читай, сколько ни повторяй эти строки – в первый раз, в сотый раз, – и всегда одно чувство – любви к орлу. Любовь к слабому, к обреченному – вот к чему взывает поэт. А бог с избытком наделил его этим даром – даром понимания, сострадания. А когда нам передается его чувство, значит он доверяет нам. Знает, что твой поступок тоже теперь будет продиктован любовью, и потому он не учит, не диктует, не заставляет. **Так, верно, во всех великих творениях, я только не думал обо всех»** (Амирэджиби, 1977:135)

არაკის გაგრძელება, თარგმანი ინგლისურ ენაზე:

“No matter how many times you read those lines, no matter how many times you repeat them – you always have the same feeling – love for the eagle. Love for the weak, the doomed – that’s what the poet is asking. And God had bestowed that talent upon him in excess – the gift to understand, to feel compassion. And when that feeling is imparted to us, it shows he trusts us. He knows that your actions will now be dictated by love, and, therefore he doesn’t preach, lecture or

insist. That must be the way it is in all great works, but I haven't thought about all of them" (Amierejibi, 261-262 vol. I).

რუსული და ინგლისური თარგმანებში მარკირებული წინადადებების შედარება ცხადყოფს, რომ ინგლისური თარგმანი შესრულებულია რუსული თარგმანიდან. დედნიდან გადაცდომები ერთი თარგმანიდან შესრულებულ მეორე თარგმანში კიდევ ერთხელ მოწმობს საზოგადოდ აეთენტური ტექსტის უპირატეს ღირებულებას, შუალედური ენის გამოყენებით შესრულებული თარგმანის სათუობასა და სუბიექტივიზმს, თარგმნილი ტექსტის ვერიფიკაციის აუცილებლობას უშუალოდ დედანთან. თარგმანის თარგმანი, როგორც დამკვიდრებული ფენომენი, განპირობებულია თარგმანის თეორიის უგულებელყოფით, რომელიც სარწმუნო წყაროდ მხოლოდ დედანს აღიარებს. ის კომუნისტი ცენზორების მიერ მოსკოვის „გლავლიტში" იყო საგანგებო დავალებით შემოწმებული, დასავლეთის „მტრულად განწყობილი" მკითხველის ხელში „ჩავარდნამდე".

ამირეჯიბი ეზოპეს ენაზე გადმოსცემს იმპერიისა და იბერიის ხატებს, ერთი ჯუნგლის კანონის მქადაგებელია, სისხლისმოყვარე ნადირთა მეფის არაკია, ცხოვრების მტაცებლური მოდელით. ამირეჯიბი მას ცხოვრების სრულიად სხვა მოდელით ემიჯნება: - ღირსებით, სულიერებით, მაღალი მორალური ღირებულებებით - ეს. მისი მეფური თვისებებით. ამ არაკის პოლიტიკური დისკურსი დიდაქტიკურია: დაჭრილია ფაუნის ორი სამეფო ბინადარი, ვხედავთ სად დევს სამანი მათ მენტალობას შორის. ერთის რიტორიკა ძალმომრეობაა, მეორისა კი ღირსება: ამირეჯიბი საბჭოური რიტორიკა იმავე მშვიდობიანი პოლიტიკის მომხრეა, რასაც ეჟა-ფშაველამ ცარიზმის ეპოქაში ბრძნულად გასცა პასუხი: „ამ დიდ კაცს რატომ არ

მოუვიდა აზრად, ნეტავი, მისი არწივიც რომ წამოფრენოდა ყვაეყორანს, ბუმბული გაეფანტა მათი და შეება მიცემოდა ამით?“

კულტურული კორუფცია, კულტურული სტერილიზაცია და კულტურული ავტოდაფე: როგორც საბჭოთა ეპოქის მთარგმნელობით საქმიანობის აღმნიშვნელი პოსტკოლონიური ტერმინები

1. ტერმინი კულტურული კორუფცია ვუწოდეთ ერთი კულტურის კუთვნილი ტექსტის ნებისმიერ სხვა ენაზე თარგმნა პწკარედის საშუალებით, ცენზურის პირობებში, რაც იწვევს მეტყველების ორგემაგეობის ეფექტსა და ტექსტის დამახინჯებას, იდეოლოგიურ სახეცვლილებას და მკითხველამდე ვერ აღწევს ის იდეა, რაც ღირებული იყო ავტორისათვის. კულტურული კორუფცია კოლონიური

რეჟიმის შედეგია; იგი კოლონიური თარგმანის ნაირსახეობაა და მას შედეგად მოსდევს დედნის პოსტკოლონიური ტრანსლაცია.

2. მოვლენას, რომელიც აღნიშნავს თარგმნილი ლიტერატურაში წმენდა-ამოშლას პოლიტიკური ცენზურის ზეგავლენის გამო, აღვნიშნავთ ტერმინით - **კულტურული სტერილიზაცია.**
3. ავტო-თარგმანს, რომლის დროსაც ცენზურის ზეგავლენა იწვევს იდეოლოგიურ ტრანსფორმაციას, საკომუნიკაციო ეფექტის გადანაცვლებას, დამახინჯებას, პოლიტიკური პოზიციის მიმალვას ეზოპეს ენის გამოყენებას და ა. შ. ვუწოდეთ კულტურული ავტოდაფე (**cultural auto-da-fe**).

იდეოლოგიისა და თარგმანის ურთიერთმიმართება განვიხილეთ კომუნისტური ცენზურის პერიოდის ქართულ-რუსული თარგმანების მიმოხილვით. საინტერესოა, რომ მთარგმნელების წინაშე მდგარ **იდეოლოგიური ძალადობის პრობლემას** ყურადღება ნაკლებად, ან საერთოდ არ ექცეოდა. ამ პერიოდის კრიტიკოსები კულტურის სხვა სფეროების პოლიტიკურ დისკრიმინაციაზე წერენ. ცენზორის მიერ ათვალწუნებული მწერალი წიგნს ვერ დაბეჭდავდა,

თარგმნილი ლიტერატურის კვლევის დროს გამოვლინდა ღია და დახურული აგენცია ენობრივ პოლიტიკაში. განვსაზღვრეთ პოლიტიკურად მოტივირებული მხატვრული ტექსტისათვის დამახასიათებელი ნიშნები და დადგინდა რამდენიმე ისეთი ტერმინის განსაზღვრება, რასაც პოსტკოლონიური ლიტერატურის მომდევნო კვლევებისთვის კონცეპტუალური ღირებულება აქვს და სასარგებლო იქნება როგორც მხატვრული ლიტერატურის დედნის, ასევე დედნისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზის კვლევითი მეთოდოლოგიისათვის:

(1) პოლიტიკური ეკვივალენტობა ეს არის პოლიტიკური ტექსტის თარგმანის პრაგმატიკულ-ასოციაციური შესაბამისობა დედანთან; ასეთი ეკვივალენტობის დამყარება, სულ მცირე, არ იწვევს სკანდალურად გახმაურებულ შეცდომებს, პოლიტიკურ გაუგებრობებს. ტექსტის მთავარი შეტყობინება, რომელიც დიპლომატიურ-მოზომილი ენობრივი საშუალებებით გადმოიცემა, იგივე ლინგვისტურ და ფსიქო-ემოციურ ეფექტს იწვევს. თარგმანში ასახულია დედნის ცალკეულ სიტყვათა პრაგმატიკული მნიშვნელობები, რომლებიც, ამავე დროს, ეკვივალენტურ ასოციაციებს იწვევს მიმღებ აუდიტორიაში. პოლიტიკური ეკვივალენტურობა უნდა ახასიათებდეს არამარტო უშუალოდ პოლიტიკურ ტექსტებს, არამედ საერთაშორისო იურიდიულ ხელშეკრულებებსაც.

(2) კულტურული ეკვივალენტობა - ავტორის მიერ მხატვრული ლიტერატურისათვის დაკისრებული მისიის, საკუთარი კულტურის, მისი მიზანსწრაფვისა და / ან ისტორიული გამოცდილების ასახვის, იმპლიციტური ეროვნულ-პატრიოტული მეტყველების ეკვივალენტურად გადაცემა თარგმანის მკითხველისათვის (პოსტკოლონიური მწერლების ნაწარმოებების თარგმნა ასიმილაციის სტრატეგიით)

(3) კულტურულ-პოლიტიკური ეკვივალენტობა ალეგორიულად, მითოლოგიურად, ან რეალისტურად გამოხატული პოლიტიკური მიზანმიმართებისა და ზემოქმედების მქონე ტექსტის, მათ შორის მხატვრული ლიტერატურის ეკვივალენტურად ასახვა ტექსტის მეტყველებისა და ასოციაციურ დონეებზე.

ბოლოთქმა

- (1) ილიას შემოქმედების რუსული თარგმანები უნდა განვიხილოთ პოლიტიკური მანიფესტის ჩახშობის პრეცენდენტებად კომუნისტურ ეპოქაში. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისი ქართული ლიტერატურის პატრიოტული მოტივებისა და პოლიტიკური მეტყველების, როგორც ცარისტული იმპერიისადმი შეფარვით გამოთქმული უკმაყოფილების ჩახშობის პრეცენდენტები რუსულ თარგმანში კომუნისტური რეჟიმის ცენზურის ან თავად მთარგმნელის სუბიექტური

დამოკიდებულების (რომელზეც ქვემოთ დაწერილებით გვექნება საუბარი) ზეგავლენით.

- (2) იმპერიული კულტურის წარმომადგენელთა პირველი თაობის შექმნილი ორიენტალური მითების სტერეოტიპები საქართველოსა და ქართველებზე საუკუნეების განმავლობაში ახდენდა გავლენას რუსულ ცნობიერებაზე; ამ მითებში გაქვავებული ნიშნები იქცა საქართველოსა და ქართველების სიმბოლოდ და ამ ქვეცნობიერი ხატების მემკვიდრეობითობა იგრძნობა გალაკტიონის „მერის“ რუსულ თარგმანში. ახმადულინას „გაველურებული მერი“ ხელშესახები მაგალითია, როგორ აღბეჭდავს ქვეცნობიერი ხატი მომდევნო თაობის, ანუ კომუნისტური იმპერიის კულტურის მოღვაწეების ცნობიერებას, როგორ ამჟღავნებენ ისინი ინერციით იმპერიული კულტურული პოლიტიკის ქმნადობის პროცესის არსს, ხასიათს, ცნობიერებაზე ზემოქმედების უნარს და სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას. ეს პროცესი ციკლაციას რამდენიმე ფაზად გადის: კოლონიზატორული სახელმწიფო იდეოლოგია ქმნის კულტურის პოლიტიკას, ნერგავს კულტურულ იდეოლოგიას, კულტურის მსახურებისთვის ეს არის უპირობოდ მიღებული ბუნებრივი გარემო, რომელშიც სახელმწიფო აწრთობს მათ ფსიქოლოგიურ განწყობას. იდეოლოგია ქმნის სუბიექტური ხედვის წინაპირობას: კოლონიზატორული ქვეყნის შვილებს სწამთ საკუთარი ქვეყნისა და მათი პირადი უპირატესობის და სწორედ ამ განზომილებიდან აღიქვამენ და ესაუბრებიან დანარჩენ სამყაროს. სოციალური და კულტურული ასიმეტრია მათ სასარგებლოდ ასეთია კოლონიზატორული ქვეყნის კულტურის წარმომადგენელთა გაუცნობიერებელი თუ

გაცნობიერებული მსოფლაღქმა; ტრანსლაცია არის იმპერიული მსოფლხედვის პრიზმაში გარდატეხილი „უცხოს“ კულტურული იდენტობა; მას აქვს ისეთი გაგებაც, როგორიც ს. რუშდისეული ხედვაა:[68] რაც მითად აქცევს კოლონიას. ამ მითებით საზრდოობს როგორც რუსული საზოგადოება, კულტურის მოღვაწეები თუ რიგითი მკითხველი, ისე კოლონიზატორული სახელმწიფო, რომელმაც პირველადი კულტურული იდეოლოგია დანერგა, როგორც პირველადი მითი, ხოლო მასზე კი აღმოცენდა უამრავი სხვა მითი; ეს გახლავთ კოლონიზატორის იდეოლოგიური პროტოტექსტი, რომელსაც ქმნის სახელმწიფო, მასზე კი განფენილია პოლიტიკური ინტერტექსტები, რომელსაც იდეოლოგიით ნასაზრდოები კულტურის სფეროს წარმოამდგენლები თხზავენ, რომლებიც თავად ხდებიან მომავალი თაობების მასაზრდოებლები კოლონიზატორი სახელმწიფოს იდეოლოგიით.

- **ცარისტული იმპერიის მწერალთა და პოეტთა მიერ შეთხზული სიმულაკრუმი საქართველოს შესახებ, ერის გამოგონება და წარმოსახული ტერიტორია კოლონიზატორული იდეოლოგიის მიერ შექმნილი ფსიქოლოგიური განწყობის ნაყოფი იყო.**

- ის საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ, თუ როგორ იცვლის ფორმას ქართული ეროვნული კულტურის იერსახე ორი სხვადასხვა თაობის რუსული იმპერიული კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებაში - თუ პუშკინმა, ლერმონტოვმა და

---

[68] Having been borne across the world, **we are translated men**. It is normally supposed that something always gets lost in translation; I cling, obstinately, to the notion that something can also be gained."

სხვებმა მეტაფორულად „თარგმნეს“ საქართველო ორიენტალურ სამყაროდ, ხოლო ქართველები ველურებად, ბელა ახმადულინამ მათგან მემკვიდრეობით მიღებული ცოდნა გამოაელინა, როდესაც გალაკტიონის „მერის“ მთავარი პერსონაჟი ყოველგვარი მეტაფორიზაციის გარეშე შერაცხა ველურად.

- როგორც ვხედავთ, წლების შემდეგ ბელა ახმადულინას სწორედ ის შავგვრემანი, აზიელი, მაცდური მკვლელი, ველური ქალი ედგა თვალწინ, რომელიც მის ცნობიერებას შთაუბეჭდა კულტურის პოლიტიკამ. ამ ფენომენს შეიძლება ვუწოდოთ პროტოტექსტის ზეგავლენა ინტერტექსტზე.

- სიმონ ჩიქოვანისა და ანა კალანდაძის ლირიკის რუსულმა თარგმანებმა გვიჩვენა, რომ მთარგმნელებმა საკუთარი პოეტური იდეოლოგია მოახვიეს თავს ქართულ ლექსს, საკუთარი ხმით გადაფარეს დედნის სათქმელი და ხატები. ასეთ პრეცედენტს მთარგმნელის პოლიტიკას ვუწოდებთ.

- სამივე შემთხვევა კი ერთიანად წარმოადგენს თარგმანში „აპროპრიაციის“, ანუ დედნის მითვისება-მისაკუთრების მთარგმნელობით მეთოდს.

გლოსარიუმი

აბროგაცია: კოლონიზატორის ენის გამოყენების კორექტული ან სტანდარტული უარყოფა

აგენცია: ტერმინი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტკოლონიურ მიმართულებაში. ეს ტერმინი ბოლო პერიოდში გამოიყენება როგორც პოსტსტრუქტურული თეორიების ერთობლიობის ფარგლებში. ვინაიდან ადამიანის სუბიექტურობა განპირობებულია იდეოლოგიით (ალთუსერი), ენით (ლაკანი) ან დისკურსით (ფუკო). საბოლოო ჯამში კი ამ სუბიექტის მიერ შესრულებული ნებისმიერი ქმედება უნდა იყოს მიზეზშედეგობრივი. კოლონიური დისკურსისთვის ეს ტერმინი საკმაოდ საკამათო აღმოჩნდა თვით ჰომი ბაბასა და გაიატრი სპივაკისთვის; მათი აზრით, შეუძლებელია გაექცე ძალას, რომელიც მბრძანებლობს. ტერმინი ასევე გულისხმობს მოქმედების შესრულების და წარმოდგენის

შესაძლებლობის არაერთგვაროვნებას და ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: *შეუძლია თუ არა ინდივიდს იმოქმედოს დამოუკიდებლად? თუ მისი ქმედებები განსაზღვრულია და კონსტრუირებული?*

ალეგორია: ალეგორიის უმარტივესი განმარტება არის „სიმბოლური თხრობა, სადაც მოქმედებები გადმოცემულია სიმბოლურად". ალეგორია მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა იმპერიულ დისკურსში, სადაც ქვის ქანდაკებები ხშირად იმპერიული ძალაუფლების ალეგორიებს წარმოადგენდა. შესაბამისად, პოსტკოლონიური გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა იყო შესაბამისი ალეგორია და მისი გამოყენება, რაც წარმოადგენდა იმპერიული დომინირების აღმნიშვნელ ალეგორიულ ხერხს. ფრედრიკ ჯეიმონი გვთავაზობს საკამათო ჰიპოთეზას „მესამე მსოფლიო ლიტერატურა მრავალეთნიკური კაპიტალიზმის ეპოქაში" (1986), რაც ეროვნული ალეგორიის სახეა. აიაზ აჰმედი მოცემულ განცხადებას აკრიტიკებს (იხ:1992), მაგრამ სტეფან სლემონი უფრო კონკრეტულად განმარტავს, თუ რა ხარვეზები აქვს მოცემულ განცხადებას: ის მხოლოდ მიჰყვება ევროცენტრული ლიტერატურის ცნებას და უარყოფს კოლონიურს, თუმცა ეს უკანასკნელი ალეგორიის სახითაა გადმოცემული. ალეგორია ერთ-ერთი დომინანტური ხერხი იყო პოსტკოლონიურ ლიტერატურაში, რომელშიც ასახულია პოსტკოლონიური მმართველობის სრული სურათი.

ალტერაცია: უცხოსა და განსხვავებულის სტატუსი, პოლიტიკური, კულტურული, ლინგვისტური და რელიგიური თვალსაზრისით. ალტერაცია, როგორც კვლევითი მიმართულება, იკვლევს ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის განსხვავების და გაუცხოების ფენომენს.

ამბივალენტობა: ორმაგი მიდგომა, რომელიც ჩანს კოლონიისადმი კოლონიზატორის დამოკიდებულებაში. კოლონიზატორი, როგორც

წესი, კოლონიას მეორეხარისხოვნად და ეგზოტიკურ „უცხოდ“ მიიჩნევს. კოლონია კი კოლონიზატორს ამორალურად, არაკეთილსაიმედოდ თელის, ამავე დროს კი შურით უყურებს. ჰიბრიდულობის კონტექსტში ეს ცნება მოიცავს ორმაგ კონცეპტს: როგორც წყეველას, ასევე ლოცვას.

აპროპრიაცია /მისაკუთრება, მითვისება: ტერმინი აღწერს იმ ხერხებს, რომლის საშუალებითაც პოსტკოლონიური საზოგადოებები ითვისებდნენ იმპერიულ კულტურას: ენას, წერის ფორმებს, თეატრს, თუნდაც ფიქრისა თუ განსჯის თავისებურებას, რაც შთანთქავდა თავიანთ მშობლიურ კულტურას და იდენტობას. ეს ტერმინი ასევე აღწერს სტრატეგიებს, რომლითაც დომინანტი ქვეყნები იპყრობდნენ კულტურასა და ტრადიციებს დაქვემდებარებულ ქვეყნებში (სპერი 1993:28). ასევე, პოსტკოლონიური თეორია ყურადღებას ამახვილებს კვლევის ხერხებზე, როცა დომინანტი ან კოლონიური სახელმწიფო იყენებს დომინანტი სახელმწიფოს დისკურსის ხერხებს, რათა შეიცვალოს არსებული. მაგალითისთვის, წარმოშობით უცხოელი მწერალი, რომელიც წერისთვის ინგლისურს ირჩევს, ახდენს აპროპრიაციას. აპროპრიაცია/მისაკუთრება: პროცესი, რომლითაც ენას „ავალებენ“ და „აიძულებენ“ სხვისი კულტურული გამოცდილება „მიისაკუთროს“ და „იტვირთოს“.

დიასპორა: ადამიანების ნებაყოფლობითი ან იძულებითი მიგრაცია სამშობლოდან. დიასპორის ლიტერატურა უმეტესწილად ეხება პიროვნების იდენტობის, ენის, კულტურის ალტერაციას/ცვლას ან შენარჩუნებას სხვა ქვეყანაში ცხოვრების პირობებში.

ერი/ეროვნება: ერთი ხალხის გაერთიანება ერთი მთავრობის მმართველობით. ეროვნული ინტერესი ასოცირდება დამოუკიდებლობისთვის, ეთნიკური და კულტურულ იდენტობისთვის

ბრძოლასთან. ირონიაა, მაგრამ ერი/ეროვნება, ასევე ასოცირდება საყოველთაო უფლებების საწინააღმდეგო ცნებასთან, მულტიკულტურულ ცნებებს, გამომდინარე გეო-ეკონომიკური ინტერესებიდან. ამგვარად, ეროვნული დამოუკიდებლობისკენ სწრაფა ხდება ისევე ასოცირდება რეგიონთან, როგორც ეთნიკურობასა და კულტურასთან. როცა ახალი ერი ყალიბდება, იდენტობა და ეთნიკურობა წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან.

ესენციალიზმი: რაიმეს არსებობის არსი და რაობა რასის, ეთნიკურობის ან კულტურის კონტექსტში. ესენციალიზმი კონკრეტულ სოციუმებს სთავაზობს, თუ რა უნდა არსებობდეს ან არ არსებობდეს, აღნიშნულ საზოგადოებაში. პრაქტიკულად, ესენციალიზმი ცდილობს გამოკვეთოს განსხვავებები სოციუმებს შორის, თუ რომელია სტატუს ქვო და რომელი დომინანტი. ესენციალისტების მოთხოვნებს იყენებს კოლონიზატორი ძალა, თუმცა, ასევე შესაძლოა, კოლონიაც იყენებდეს კოლონიზატორის მოთხოვნების უარსაყოფად.

ეთნიკურობა: ისეთი თვისებების ერთობლიობა, რაც დამახასიათებელია სოციუმისთვის- საერტო ღირებულებები, რწმენა, ნორმები, გემოვნება, ქცევა, გამოცდილება, ისტორია და პატრიოტიზმი, ხშირად უკავშირდება პიროვნების იდენტობას.

ეგზოტიზმი: კოლონიზატორის პერსპექტივიდან დანახული უცხო კულტურის აღქმის პროცესი, განსხვავებული კულტურის მახასიათებლები უცხო და მიმზიდველია, თუმცა, „არა მათი ჩვეული ნორმის ფარგლებში“. ირონიას იწვევს ის ფაქტი, რომ როდესაც ევროპელთა ჯგუფები ასწავლიდნენ ადგილობრივ სკოლის მოწაფეებს, ისინი მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, მშობლიურ ბუნებას, თვით მცენარეებსა და ცხოველებს ეგზოტიკურად აღიქვამენ, ხოლო ნორმალურად და ტიპიურად აღიქვამენ ევროპულს.

ენა: კოლონიალიზმის და პოსტ-კოლონიალიზმის კონტექსტში ენა კოლონიზაციის და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის საშუალებაა. უფრო კონკრეტულად კი, მშობლიურ ენის დაცვა გარე მარწუხებისგან. ევროპული ენების გამოყენება ხშირად სადავო საკითხია პოსტკოლონიური ავტორებისთვის.

იდენტობა: საკუთარი თავის ინდივიდუალური აღქმა. იდენტობა მნიშვნელოვანია საკუთარი პიროვნებისა და სოციალურ მორალის კონცეპტუალიზაციისთვის, ასევეა ეროვნული ცნობიერებისათვის. ხშირად მოიცავს ორ კონცეპტს ესენციალიზმს და „უცხოს.“

იდეოლოგია: ღირებულებების, რწმენათა, ან საერთო იდეათა სისტემა, რომელსაც იზიარებს კონკრეტული სოციალური ჯგუფი და ხშირად მიღებულია, როგორც ბუნებრივი, ან არსობრივად ჭეშმარიტი.

კანიბალი: ტერმინი „კაციჭამია“ პოსტკოლონიური თეორიებისთვის სხვა ინტერესს იძენს. იგი გულისხმობს, რომ ევროპული დომინანტური ხელმწიფოები მორალურ-იდეოლოგიურ ცვლილებებს ახვევენ თავს კოლონიზებულ სახელმწიფოებს. ძველ ინგლისურ ლექსიკონში მოცემული „კანიბალის“ განმარტება კარგადაა მორგებული პოსტკოლონიურ იდეოლოგიაზე, სადაც დომინანტი ქვეყანა ზეგავლენას ახდენს კოლონიზებულზე. კანიბალიზმი მეტაფორულად მიღებულია დასავლეთის პრიმიტივიზმად,

კატალიზისი: (კონკრეტულად, ახალი მსოფლიო) რამდენიმე ეთნიკური ჯგუფის შეერთება /დაკავშირება ერთმანეთთან, ხშირად უფრო სადავო ტერიტორიებზე სადაც ყალიბდება ახალი იდენტობისა და ურთიერთობების ფორმები.

კოლონიალიზმი: ევროპის იმპერიალისტური ექსპანსია მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში გასული ოთხასი წლის განმავლობაში, როდესაც

დომინანტი სახელმწიფო აკონტროლებდა დაქვემდებარებულ სახელმწიფოს. კოლონიზატორისთვის ეს იყო მარგინალური ტერიტორიები. იგი ზეგავლენას ახდენდა კოლინიზებული ქვეყნის სოციალურ, პედაგოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. ქვეყანაში ყალიბდებოდა იერარქია: ელიტურ კლასს ქმნიდა ევროპელ გადმოსახლებულთა კლასი და ადგილობრივი, განათლებული ელიტის კლასი. იგი გახლდათ შუალედური რგოლი ევროპელ „დედა ერსა“ და ადგილობრივ, კონტროლირებულ ხალხს შორის. ასეთი სისტემა თავისთავში მოიცავდა ისეთ ცნებებს, როგორიც არის რასობრივი მეორეხარისხოვნება და ეგზოტიკური „უცხო“.

პოსტკოლონიალიზმი: აღნიშნავს „მესამე მსოფლიოს“ კოლონიზების შედეგების კვლევას, საზოგადოებასა და კულტურაზე, თუ როგორ იპყრობდა და აკონტროლებდა ევროპული სახელმწიფოები კულტურებს და თუ როგორ ცდილობდნენ დაქვემდებარებული ჯგუფები დამპყრობლური რეჟიმის გამკლავებას. პოსტკოლონიალიზმი არის როგორც თეორია ისე პრაქტიკული კვლევა, რომელიც შეხება პოლიტიკურ და კულტურ ცვლილებებს. იგი დღემდე ვითარდება სამ ფართო მიმართულებად.

კოლონიური განათლება: პროცესი, რომლის საშუალებითაც კოლონიზატორი ახდენს სუბალტერნული ადგილობრივი ელიტის ან მოსახლეობის ფართო ფენის ასიმილაციას, იმ მხრივ, რომ ასწავლის საკუთარი აზროვნების მიმართულებას და აზიარებს საკუთარ მსოფლაღქმას.

კრეოლიზაცია: საზოგადოებები, რომლებიც ჩნდება ეთნიკური და რასისტული ჯგუფების შეერთების შედეგად, რომელიც აყალიბებს ახალ ფსიქოლოგიურ და სულიერ თვით-განსაზღვრასა და თვითიდენტიფიცირებას.

მაგიური რეალიზმი: დასავლური ლიტერატურის რეალისტური მეთოდების ადაპტაცია ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის კულტურის წარმოსახვითი ცხოვრების აღწერის მიზნით. კოლონიზებული ხალხები მითურ, მაგიურ, ზებუნებრივ მოვლენებს სრულიად განსხვავებულად აღიქვამენ, ვიდრე დასავლეთევროპელები. მაგიური რეალიზმი აერთიანებს ევროპული რეალიზმის ელემენტებს ზღაპრულთან; ეს ორი სამყარო თითქმის შერწყმულია ამ ჟანრის მხატვრულ ლიტერატურაში.

მიმიკრია: კოლონიზებულის ბაძვა-ადაპტაცია კოლონიზატორთან ენის, განათლების, ჩაცმის სტილის მხრივ. მას ახასიათებს ამბივალენტობა და ჰიბრიდულობა.

ორიენტალიზმი: პროცესი (მე-18 საუკუნის დასასრულიდან დღემდე), ევროპულ კვლევებისა და კულტურის მიერ აღმოსავლეთი/აზია წარმოსახულია, როგორც ეგზოტიკური „უცხო". ორიენტალიზმი არ არის სხვა კულტურების ჭეშმარიტი კვლევა. ის არის აღმოსავლური, ისლამური და აზიური კულტურებისადმი ზოგადად დასავლეთევროპული დამოკიდებულება. როგორც წესი, დასავლეთი უარყოფს, ან უგულებელყოფს აღმოსავლური კულტურების არსებით განსხვავებულობას.

რასა: ადამიანების დაყოფა ან კლასიფიკაცია მათი ფიზიკური და ბიოლოგიური მახასიათებლებს მიხედვით, რასისტულ იდეოლოგიას მიჰყვებიან ხშირად დომინანტი სახელმწიფოები. მე-18/19 საუკუნეებში ეს იყო პრეტექსტი კოლონიზატორი სახელმწიფოებისა კოლონიური ქვეყნებისადმი. „ თეთრკანიანთა ტვირთი"

სემიოტიკა: ნიშნებისა და აღმნიშვნელების ერთიანი სისტემა. კულტურული სემიოტიკა ისეთი ნიშნების შექმნის საშუალებას იძლევა,

რომლითაც კოლონიზატორული ძალა ცდილობს გააკონტროლოს სხვა ჯგუფი და მათი ასიმილაცია მოახდინოს.

სივრცე/ტერიტორია: წარმოადგენს გეოგრაფიულ ტერიტორიას, დაუსახლებელს ან დასახლებულს. ადგილი, მეორე მხრივ კი მისაკუთრებული ტერიტორია. მოიცავს ლანდშაფტს, ენას, გარემოს კულტურას და ა შ.

სუბალტერნი: დაბალი ან კოლონიზებული კლასი, რომელსაც თვითგამოხატვის ძალზე მცირე საშუალება აქვს, ამდენად, საკუთარი მეობის წარმოსაჩენად, იგი დამოკიდებულია მმართველი კლასის ენასა და მეთოდებზე.

უცხო: სოციალური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება, როდესაც ერთი ჯგუფი არ აღიარებს და მეორეხარისხოვნად თელის მეორეს. ტერმინი „უცხოს“ წოდებისას, ადამიანები, როგორც წესი, ხაზს უსვამენ განმასხვავებელ ან საწინააღმდეგო ნიშნებს და სხვებს აღიქვამენ სტერეოტიპული წარმოდგენებით.

ჰეგემონია: მმართველი კლასის ძალა, დაარწმუნოს სხვა კლასები, რომ მათი ინტერესები საერთო-საყოველთაოა, არა მხოლოდ ეკონომიკურ პოლიტიკური, არამედ განათლებისა და ასთან და მედიის საკითხების მხრივაც.

ჰიბრიდულობა: ახალი, კულტურათშორისი ფორმები, რაც კულტურათა ურთიერთგაცვლის შედეგად იქმნება. ჰიბრიდულობა შესაძლოა იყოს სოციალური, პოლიტიკური, ლინგვისტური, რელიგიური და ა შ. ჰიბრიდულობა არ ნიშნავს კულტურათა შერწყმას მხოლოდ მშვიდობიანი გზით, ეს პროცესი, შესაძლოა, ხანგრძლივი და გამანადგურებელი ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობდეს.

ციტირებული და დამოწმებული ლიტერატურა

Adlam, Carol. *Women in Russian Literature after Glasnost*. London: Legenda,2005. Print.

Ashcroft, Bill, Griffiths, Gareth, Tiffin, Helen, eds. *Postcolonial Studies: The Key Concepts*. 3rded. Abingdon: UK, Routledge, 2013. PDF file.

Babich, Jurii. "Reinterpretatsiaantichnogomifa v strukturеromana L. Ulitskoi "Medeia i ee deti". *NaukovizapiskiXar'kivskogonacional'nogopedagogichnogouniversitetaim.G.S. Skovorodi*. Ser.: Literaturoznavstvo. — Vip. 2(1). – C. 133-137, 2011. Print.

Bakhtin, Mikhail. "Formivremeniikhronotopa v romane. Ocherkipoistoricheskoipoetike"// *Bakhtin, M. M. Voprosi literature I estetiki*. – M.: Xudozh. Lit. – *C.234-407*, 1975; .http://philologos.narod.ru/bakhtin/hronotop/hronmain.html

Bakhtin, Mikhail. *The Dialogical Imagination*, trans. Caryl Emerson and Michael Holquist, Austin and London: University of Texas Press, 1981. Print / PDF.

Bassnett, Susan. *Post-Colonial Translation*: Theory and Practice, London: Routledge, 1998. Print / PDF file.

Braund, David. *Georgia in antiquity*. New York: Oxford UniversityPress, 1994. Print.

Brown, Archie. *From Democratization to "Guided Democracy" Democracy after Communism*. Eds. DiamondL. Plattner M. F.,The Johns Hopkins University Press, 2002. Print.

Chiladze, Otar. A *Man was Going Down the Road.* The Garnett Press, 2012. Print.

Childs, Peter, Williams Patrick. *Introduction To Post-Colonial Theory*, Prentice Hall, 1997. Print.

Childs, Mary Evelynne. *Classical Allusions and Imperial Desire: Problems of Identity in Georgian and Russian Literature.* Dissertation. University of Washington, 2012. PDF file.

Clowes, W. Edith. *Russia on the Edge. Imagined Geographies and Post Soviet Identity*, Cornell University Press. 2011. PDF.

Derrida, Jaques. *Of Grammatology*, trans. Gayatri Chakravorty Spivak, Baltimore: Johns Hopkins University Press, 1976. Print.

Dijk, van Teun. A Critical Discourse Analysis. Second draft, 1998. Web. 20 Aug. 2016
http://www.hum.uva.nl/~teun/cda.htm

Fitzpatrick Sheila. *Everyday Life in Russia Past and Present*, edited by Choi Chatterjee et al., Indiana University Press, 2015, Web JSTOR, 10 Sept. 2017.

Gerasimov, Ilya. Glebov, Sergey, Mogilner, Marina. The Postimperial Meets the Postcolonial: Russian Historical Experience and the Postcolonial Moment, *AbImperio*, 2. 2013. Print.

Gill, Graeme. Nationalism and the Transition to Democracy: The Post – Soviet Experience, *Demokratizatsiya*, 14(4), 613-626, Heldref Publications, 2006. Print.

Hung, Eva. *Translation and Cultural Change: Studies in History, Norms and Image-Projection.* Philadelphia, PA, USA: John Benjamins Publishing Company. 2005; Web:http://site.ebrary.com/lib/bilgi/Doc?id=10081775&ppg=2 Web. 21/07/2008

Jones, Stephen. The Role of the Cultural Paradigm in Georgian Foreign Policy. *Communist Studies and Transition Politics*, 19, 3, 83-110, 2003. PDF file.

Kovtun Natalia V. "Gnostic Code in the Novel by L. Ulitskaya "Medea and Her Children" *Journal of Siberian Federal University. Humanities & Social Sciences* 9 (2012 5) 1343-1356УДК 82.091:111.8. PDF file. 15 May 2017.

Kubiniova, Julia. 2009. UniverzitaMateJaBela, FacultaHumanitnych Vied, Katedra slovanských jazykov. Zborník je výstupom grantového projektu Slovanské literatúry 20. storočia – dialóg kultúr, jazykov, a areálu č. 1/4736/07; Banská Bystrica.

Kuch, Heinrich. Kriegsgefangenschaft und Sklaverei bei Euripides. Untersuchungen zur "Andromache", zur "Hekabe" und zu den "Troerinnen". Verlag: Berlin. Akademie- Verlag., 1974 Print.

Layton,Susan.*Russian Literature and Empire: Conquest of the Caucasus from Pushkin to Tolstoy*. Cambridge University Press, 1994; Print / PDF file.

Layton, Susan."Eros and Empire in Russian Literature about Georgia". *Slavic Review*, Vol. 51, No. 2 (Summer, 1992), pp. 195-213.JSTOR PDF file. 27/11/2010. http://www.jstor.org/stable/2499527

Levering, Ralph. American Opinion and the Russian Alliance, 1939–1945. Chapel Hill: the University of North Carolina Press.

Lieven, Dominic."Dilemmas of Empire 1850-1918. Power, Territory, Identity".*Journal of Contemporary History*, Vol. 34, No. 2 (Apr., 1999), pp. 163-200. Sage Publications, Ltd. JSTOR PDF file. 14 Feb.2011.

http://www.jstor.org/stable/261214

Manning, H.Paul. "Describing Dialect andDefining Civilization inan Early GeorgianNationalist Manifesto: Ilia Ch'avch'avadze's"Letters of a Traveler". 2004.*The Russian Review*Vol. 63, No. 1 pp. 26-47. Web. PDF file.

MarshJ.Rosalind.*Literature, History and Identity in Post-Soviet Russia, 1991-2006.*Berm: Peter Lang AG International Academic Publishers, 2007.

Martin, Terry. The Origins of Soviet Ethnic Cleansing, Modern History, 70, 4, 813-861. The University of Chicago Press. 1998. JSTOR PDF file. March 21, 2007.

http://www.jstor.org/stable/2990684

Moore, David Chioni. Is the Post- in Postcolonial the Post- in Post-Soviet? Toward a Global Postcolonial Critique. PMLA, 116, 1, Special Topic: Globalizing Literary Studies, (Jan.,), 111-128, Modern Language Association. 2001. JSTOR PDF file. May 28, 2008. Stable URL: http://www.jstor.org/stable/463645

Moreschini Claudio. "Medea in Italian Literature". *Journal Phasis*, Vol. 10, No 2-10. 2007; Web. 10 Aug. 2016.

Muff, Rebecca A. Contemporary Russian writers: Rejecting Definition in Literary Rebellion. A Senior Honors Thesis. Texas A&M University. 2008. http://oaktrust.library.tamu.edu/bitstream/handle/1969.1/85752/THESIS.pdf

Orlovskaya, Natalya. "The Image of Medea in the Works of a Fourteenth-Century English Author". *Journal Phasis*. Web.20 Aug. 2016.

Vol 10, No 2-12, 2007;

Parthé, Kathleen F. Russian Village Prose: The Radiant Past By 1992

Rayfield, Donald. "Unicorns and Gazelles", Pasternak, Rilke and the Georgian Poets. Forum for Modern Language Studies, Volume XXVI, Issue 4, 1 October 1990, Pages 370–381, https://doi.org/10.1093/fmls/XXVI.4.370

Ram, Harsha.Towards a Cross-cultural Poetics of the Contact Zone: Romantic, Modernist, and Soviet Intertextualities in Boris Pasternak's Translations of T'itsianT'abidze. Comparative Literature. 2007. 59 (1): 63-89; doi:10.1215/-59-1-63. Web. 25 April 2009.

Ram, Harsha. Shatirishvili Z. "Romantic Topography andthe Dilemma of Empire: TheCaucasus in the Dialogue ofGeorgian and Russian Poetry", *The Russian Review*. 2004. 63 pp. 1–25. Web. 15 April 2009.

Reisner, Oliver. "Travelling between Two Worlds -the Tergdaleulebi, their Identity Conflict and NationalLife". 2006. *pp.* 36-50; Web. 12 Sept. 2010.

http://georgica.tsu.edu.ge/files/06-History/Nationalism%20&%20Identity/Reisner-d.u.pdf

Rywkin, Michael. *Moscow's Lost Empire*. New York: M. E. Sharpe, 1994. Print.

Sbardellati, John. "Brassbound G-Men and Celluloid Reds: the FBI's Search for Communist Propaganda in Wartime Hollywood" (Film History, Volume 20, pp. 412–436, 2008. Copyright © John Libbey Publishing ISSN: 0892-2160. Printed in United States of America)

Scomp, Elizabeth A. and Sutcliffe, Benjamin M. *LudmilaUlitskaya and the Art of Tolerance*, University of Wisconsin Press, 2015. Print.

Spivak, Gayatry Chakravorty. *A Critique of Postcolonial Reason, Toward a History of the Vanishing Present.* Harvard University Press,1999. Print / PDF File

Suny, Ronald Grigor. The Empire Strikes Out: Imperial Russia, "National" Identity, and Theories of Empire, Chapter for A State of Nations: Empire and Nation-Making in the Soviet Union, 1917-1953, first delivered as a paper for the University of Chicago Conference in 1997, Empire and Nations: The Soviet Union and the Non-Russian Peoples. Web. http://www.dartmouth.edu/~crn/crn_papers/Suny4.pdf

Sutcliffe, Benjamin M. "Liudmila Ulitskaia's Literature of Tolerance". *The Russian Review*Volume2009. 68 pp, 495–509, issue 3. Web. 23 April 2017.

Ulitskaia, Lyudmila E. "Medeia i ee deti". *Novyi Mir.* 1996, 3; Print

Venuti, Lawrence. *The Scandals of Translation,* Routledge 1998. New York. Print / PDF file.

ციტირებული და დამოწმებული ლიტერატურა პოსტკოლონიალიზმის შესახებ:

Анчабадзе Ю.Д., Волкова Н.Г. Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке. М.: Наука, 1990. - 273 с. ISBN: 5-02-008756-4.

Аргун Р. О. Шанава. А. Б. К.П. Патканов, и его взгляд на «древнюю историю Грузии» Из серии: Критические Заметки Выпуск 1 СУХУМ 2014

Butake, B., 1990, And Palm-Wine Will Flow, Yaounde: SOPECAM. Garuba, H., 2003, "Explorations in Animist Materialism: Notes on Reading/Writing African Literature, Culture, and Society," Public Culture 15(2):261-285.

Beridze, K. Language Politics and Construction of Identities, pp.6-14, Translation Studies: Retrospective and Prospective Views ISSN 2065-3514; 2011, Year IV, Issue 10; Galati University Press.

Classical Allusions and Imperial Desire: Problems of Identity in Georgian and Russian Literature, University of Washington, Mary Evelynne Childs, 2012

Changing the Terms: Translating in the Postcolonial Era, edited by Sherry Simon, Paul St. Pierre, 2000

Gammer, M. (1994). Muslim Resistance to the Tsar: Shamil and the Conquest of Chechnia and Daghestan London: Frank Cass (vol. 2.1, p. 101).

Jacques François Gamba, "Voyage dans la Russie meridionale et particulierement dans les provinces au dela du Caucase, fait depuis 1820 jusqu"en 1824"

Narrative Poems by Alexander Pushkin and by Mikhail Lermontov, translated by Charles Johnston, Random House. 1979

Mangan, J.A (ed.) The Imperial Curriculum: Racial Images and Education in the British Colonial Experience,, by. Routledge, 2012.

Tymoczko, Maria Translation: Ethics, Ideology, Action. The Massachusetts Review. Vol. 47, No. 3 (Fall, 2006), pp. 442-461; The Massachusetts Review, Inc. Stable URL: https://www.jstor.org/stable/25091110.

ქართულენოვანი წყაროები:

კავკასიის ტყვე; ბალჩისარაის შადრევანი / ა. პუშკინი; მთარგმ. : კონსტანტინე ჭიჭინაძე.თბილისი, საბლიტგამი 1950.57

ბაქრაძე, ა. თხზულებანი: ტომი V. თბილისი: ნეკერი; ლომისი, 2005.

ციტირებული და დამოწმებული ლიტერატურა

პუშკინის შემოქმედების შესახებ

Ram, H. (1999). *Prisoners of the Caucasus: Literary Myths and Media Representations of the Chechen Conflict*, University of California, Berkeley, Permalink (available at http://escholarship.org/ uc/item/ 6418r154), 1-34, (pp. 3, 9).

Баранова, О.А., (2011). "Периодизация творчества А. С. Пушкина." In *Вісник ЛНУ імені Тараса Шевченка* № 9 (220), Ч. III, 149-155, (p. 151).

Хомякова, О.Р. (2006). "Кавказский пленник А.С. Пушкина (преломление жизненных конфликтов в художественные в романтических произведениях)." In *Весці БДПУ*. 3 Серыя 1, 104-108.

Кавказский пленник//Типы Пушкина/Под ред. Н. Д. Носкова при сотрудничестве С. И. Поварнина. — СПб.: Изд-во «Слов. лит. типов», 1912. — С. 266—267 [= 298—299]. — (Слов. лит. типов; Т. VI, вып. 7/8), (available at http://feb-web.ru/feb/pushkin/ltpworks- abc/ltp/ltp-2982.htm, http://feb-web.ru/feb/pushkin/ltpworks-abc/ltp/ltp-2982.htm?cmd =p&istext=1).

Белинский, В. Г. (1948). *Собрание сочинений в трех томах*. Под общей редакцией Ф. М. Головенченко. ОГИЗ, ГИХЛ. М.,. Том III. Статьи и рецензии 1843-1848. (vol. 3).

Gammer, M. (1994). *Muslim Resistance to the Tsar: Shamil and the Conquest of Chechnia and Daghestan* London: Frank Cass (vol. 2.1, p. 101).

Hokanson, K. (1994). Pushkin's Invention of the Caucasus, *The Russian Review*, 31/ 3, 336-352.

Пушкин А.С. (1937). *Полное собрание сочинений*. Изд. Академии наук СССР. 1937.Т.II,III.

Бахтин М.М. (1986). *Литературно-критические статьи*. – М.: Художественная литература, (pp. 464-484).

Golovin, I. (1854). *The Caucasus*, Trubner & Co. 12, Paternoster Row; T.F.A Day, London, (p. 20).

Тропинин. В.А. (1776-1857). Портрет неизвестной грузинки. Музей искусств Грузии.

გამომცემლობის დირექტორი ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი მალხაზ ფალავა